დოკუმენტური ცნობები ეგზარქოსებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

ავტორ-შემდგენელი
ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე)

❖

წიგნი I

❖

თბილისი, 2023

სალმრთო განწესება

სჯობს ბრძოლა, თუკი მშვიდობის მიღწევა მხოლოდ
ბოროტებასთან შერიგებით არის შესაძლებელი.

VI მსოფლიო კრება.

მეცნიერი რედაქტორები:

ლევან ნიკოლეიშვილი,
პოლიტიკის მეცნ. დოქტ.

აკაკი(მამუკა) კარტოზია,
ისტორიის მეცნ. დოქტ.

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის მეცნ. დოქტ.

გულბაათ რცხილაძე,
პოლიტიკის მეცნ. კანდ.

ISBN 978-9941-9345-6-8

© ბერდ. ბიორბი, 2023

ზანდუკი

წიგნი I

წინათქმა 4
სახელმძღვანელო იდეა 11
დიდთა ქართველთა შეგონებანი 17
ქართული პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულება 29
ეგზარქოსთა დროს დაბეჭდილი საეკლესიო
ლიტერატურა 62
«ავტოკეფალიის გაუქმება» 70
«ფრესკების განადგურება» 76
ვალერიან მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი 81
ადოლფ ბერჟე, საქართველოს შეერთება რუსეთთან..... 131
ვასილი პოტო, საქართველოს შემოერთება 231
გამოყენებული ლიტერატურის სია 251
სახელთა საძიებელი 259
რეზიუმე ქართულ ენაზე 266
Резюме (რეზ. რუს. ენაზე) 268
Summary(რეზ. ინგ. ენაზე) 270

წიგნი II

რუსეთ-საქართველოს ხელისუფალთა და წარჩინებულ პირთა ეპისტოლური ურთიერთობა (ალ. ცაგარლის, მ. ბროსესა და ვ. მაჭარაძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები: 1651-1774 წწ.).
გეორგიევსკის ტრაქტატი –
დოკუმენტები: 1771-1783 წწ.
იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი
1801 წლის 18 იანვრისა.
იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი
1801 წლის 12 სექტემბრისა.
საეკლესიო კავშირის აღდგენა –
1943 წლის 19 ნოემბერი.
საქართველოს ეგზარქოსთა ისტორია.

წინასიტყვაობა

წიგნის სათაურმა შესაძლოა, მკითხველთა შორის არაერთგვაროვანი ასოციაცია აღძრას: თანამედროვე მედიით შთაგონებულისთვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ყველა შემთხვევაში უარყოფითი კონტექსტის შემცველია; ლიბერალი ინტელექტუალისთვის ხომ ყველაფერი ისედაც ნათელია – რუსეთზე მთელ დასავლეთს ერთი აზრი აქვს, ე. ი. მისი მუდამ განვითარებადი და თანამედროვე აზროვნებაც ანალოგიური უნდა იყოს; ქართველი ინტელიგენტისთვის, რომელიც ჩვეულებრივ არაეკლესიურია და რელიგიურად განუსწავლელი, ეგზარქოსები ცარიზმის აგენტებს წარმოადგენდნენ და, რა თქმა უნდა, მათ ქმედებაში რაიმე პოზიტიურის დანახვაც შეუძლებელია.

ამიტომ თავიდანვე შევნიშნავთ, რომ წინამდებარე ნაშრომი არც რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა პოლიტიკური წყობის მიზანშეწონილობის კვლევას ეძღვნება, არც ქართველი და რუსი ერების დასაპირისპირებელი მასალის შეგროვებასა და შუღლის გაღვივებას, არამედ უკვე არსებული და ადრე გამოქვეყნებული ისტორიული საბუთების კვლავ გამომზეურებით დაინტერესებულ მკითხველს შეახსენებს, რომ ეს ორი ქრისტიანი ერი შეძლებისდაგვარად ყოველთვის მხარში ედგა ერთმანეთს და, მიუხედავად ცალკეულ ჩინოვნიკთა ავანტიურიზმისა, მათ ურთიერთმეგობრობის არჩეული გზიდან პრინციპულად არასდროს გადაუხვევიათ.

რუსოფობია, ისევე როგორც, საერთოდ, ადამიანებისა და ნები-

სმიერი ქმნილებისადმი გამოვლენილი სიძულვილი (გარდა ცოდვისა და ბოროტი სულის მიმართ), აგრესიასა და შეუწყნარებლობას წარმოშობს, მაგრამ რუსთმოძულენი მოვალენი არიან, მოთმინება მოიპოვონ და ცივი გონებით ისტორიულ ფაქტებს გაუსწორონ თვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ დრო, ადრე თუ გვიან, ისტორიულ სამართლიანობას მაინც აღადგენს და სიცრუის პროპაგანდისტები ცხოვრების კანონზომიერებას ვერსად გაექცევიან. ჩვენი მხრივ, მზად ვართ კორექტული კრიტიკის მიღებისა და ფაქტობრივი შეცდომის გასწორებისთვის, მაგრამ პროვოკაციული იარლიყების გამოგონებასა და ცილისწამებაში, თუ ასეთს ადგილი ექნება, ვერავის შევეჯიბრებით; მხოლოდ უფლებას ვიტოვებთ, რომ მართალ სიტყვას უფრო გავუფართოვოთ გზა და საჭიროების შემთხვევაში «ძეგლისწერამდეც» აღვამაღლოთ იგი.

სიმართლე ზოგჯერ ადვილად შესაცნობი არ არის, მაგრამ ადამიანი წინასწარ აკვიატებულ შეხედულებებს თუ არ ემონება, მაშინ იგი, ერთი მხრივ, მოვლენათა განსჯას აუცილებლად შესძლებს და, მეორე მხრივ, რადიკალიზმისგანაც თავს დაიცავს. თუ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, ეს არ ნიშნავს, რომ ერთმანეთი სამტროდ გავიმეტოთ. ლოგიკური მსჯელობა და მოვლენათა სწორი ანალიზი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და შესაბამისი ცოდნის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ცოდნა და გამოცდილება ერთბაშად არ ეძლევა ადამიანს. ამისთვის გულმოდგინე შრომა, ბეჯითი სწავლა და სათანადო დროა საჭირო. ამიტომ ახალგაზრდებს განსაკუთრებული გონიერება მართებთ, რომ ცრუ პოლიტიკოსებს არ აჰყვნენ და თავიანთი ძვირფასი დრო, ნაცვლად სწავლისა და ზნეობის განმტკიცებისა, მიტინგებისთვის შეთხზული იდეების სამსახურს არ შეალიონ.

უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ჭეშმარიტება ყოველთა სახილველად და განკაცებულად მოევლინა კაცობრიობას, მაგრამ ხალხში მაინც განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებანი არსებობდა: «რომელნიმე იტყოდეს: „კეთილ არს“; ხოლო სხუანი იტყოდეს: „არა, არამედ აცთუნებს ერსა“»(ინ.7,12). საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის გაყოფილია, მაგრამ ჩვენ იმ აზრის განმტკიცებას უნდა შევუწყოთ ხელი, რომელიც «კეთილ არს» და არა

იმას, რომელიც «აცთუნებს ერსა».

რაც შეეხება თვით ნაშრომს, იგი რამდენიმე ცალკეული თავისა და ნარკვევთა თარგმანებისგან შედგება. მთავარ ავტორებს მოკლე მიმოხილვით წარმოგიდგენთ.

აქტუარიუსის[1] **ფრანცისკ პლოენის** რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიული მიმოხილვა ფრიად საინტერესო ნაშრომია.[2] მასში დაცული ცნობები ელჩების საოქმო ჩანაწერებიდან ამონარიდ ფაქტებს ემყარება და, მათი მისიიდან გამომდინარე, მაშინდელი საქართველოს ამა თუ იმ კუთხის შესახებ იმდენად მრავალფეროვან აღწერას შეიცავს, რომ რელიგიური, პოლიტიკური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ანალიზის გაკეთების საშუალებას იძლევა. ამიტომ, ვფიქრობთ, ქართულ ისტორიოგრაფიას ნამდვილად გაამდიდრებდა ფრ. პლოენის „მიმოხილვის“ თარგმნა (მით უმეტეს, მისი ფრანგული დედნის მოძიების შემდეგ), მაგრამ, ამჯერად, ჩვენ მხოლოდ მისი ქრონიკალური შინაარსით ვისარგებლეთ, რათა გვეჩვენებინა ინტენსივობა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობისა, კერძოდ, 1586-1740 წლების განმავლობაში.

სხვათა შორის, იმედი პლოენის ფრანგული დედნის აღმოჩენისა მთლად გადაწურული არ გვაქვს, თუმცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ერთ-ერთი პირველი მკვლევარი **ს. ა. ბელოკუროვი,** როცა ამ საქმეში შეტანილი წვლილისთვის **მ. ბროსესთან** ერთად ფრ. პლოენს მოიხსენიებს, რუსულ წყაროს და ბროსეს ფრანგულ გამოცემებს იმოწმებს,[3] მაგრამ პლოენის ფრანგულ დედანს არც ის ასახელებს.

პროფ. **ვალერიან მაჭარაძის**(†.2000 წ.) «გეორგიევსკის ტრაქტატი» გარკვევით აღგვიწერს ამ დოკუმენტის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიის სწორად გააზრებისთვის. ტრაქტატის ტექსტი გამოკვლევითურთ რამდენჯერმე გამოიცა სხვადასხვა ავტორის

---

[1] რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის ჩინოვნიკი, რომელიც საარქივო საბუთების რეესტრს ზედამხედველობდა; **Актуариус**-ის თანამდებობა პეტრე I-მა შემოიღო.

[2] ალ. ცაგარლის მიხედვით, დაწერილია დაახ. 1800 წელს. **А. Цагарели, Грамоты… Т. I.** გვ. XXXI(სქ.). – წყაროთა სახელწოდებანი სრულად იხ. გამოყენებული ლიტერატურის სიაში.

[3] **С. Белокуров, Сношения…, с. CXVIII-CXIX,** სქ.

მიერ, მაგრამ ვ. მაჭარაძის კრიტიკულად დადგენილი დოკუმენტი ყველაზე სრულყოფილია; ისევე, როგორც – ავტორისეული ანალიზი და დოკუმენტის შინაარსიდან გამოტანილი დასკვნები. საერთოდ უნდა ითქვას, პროფ. ვალერიან მაჭარაძე, როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ობიექტური მკვლევარი, იმდენად შეუვალი ავტორიტეტია, რომ თავისი დოკუმენტური საისტორიო მონოგრაფიების წყალობით მეცნიერული ცილობის სურვილს ყველაზე რადიკალურად განწყობილ ოპონენტებსაც კი უკარგავს. ცნობისთვის შევნიშნავთ, რომ ვ. მაჭარაძის მონოგრაფიები დიდი მოცულობისაა. ამიტომ, თავის დროს, ჩვენ მათი თეზისები[4] სრულად გამოვაქვეყნეთ და ერთად შეკრებილი, სხვა ნარკვევებთან ერთად, 2015 წელს დავბეჭდეთ ჟ. „სამი საუნჯის“ სპეციალურ დამატებაში: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი – ისტორია და თანამედროვეობა.[5]

გამოჩენილი კავკასიოლოგი **ადოლფ ბერჟე**(†.1886 წ.) არა მარტო რედაქტორი და გამომცემელია მრავალტომიანი სერიისა «აქტები, შეკრებილი კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ»(იხ. ლიტერატურის სიაში), არამედ ავტორია მრავალი ფრიად საინტერესო პუბლიკაციისა, რომლებიც თავის დროს ჟურნალში «რუსეთის სიძველენი»(Русская старина) დაიბეჭდა. ამავე სათაურით 2011 წელს გამოიცა ად. ბერჟეს რჩეული თხზულებანი, რომლიდანაც ქართულად თარგმნილი ერთი თავი «საქართველოს შეერთება რუსეთთან» წინამდებარე კრებულში არის წარმოდგენილი.

აღნიშნული თხზულებების რედაქტორი გვაუწყებს, რომ «1888 წელს თბილისის კავკასიურ მუზეუმში ადოლფ პეტრეს ძე ბერჟეს მეგობართა და თაყვანისმცემელთა მზრუნველობით დაუდგეს ძეგლი – ბრინჯაოს ბიუსტი მარმარილოს პიედესტალზე»(გვ.15). წინა გვერდზე დაბეჭდილია ძეგლის ფოტოც,[6] რომელიც დამსახურებული მეცნიერისადმი პატივსაცემ შთაბეჭდილებას ნამდვილად ახდენს. იგი ახლანდელი ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ეზოში მდგარა, მაგრამ დღესდღეობით ბიუსტის ადგილსამყოფე-

[4] გარდა ერთისა, რომელიც 2007 წელს ისტორიკოსის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

[5] ელ-ვერსია იხ. ვებ-გვერდზე: sinergia.ge.

[6] იგივე ფოტო უკომენტაროდ, აგრეთვე, გამოქვეყნებულია ჟ-ში «საქართველოს ბიბლიოთეკა» №4(37), 2009. გვ.13.

ლი ვერავისგან შევიტყვეთ. დასანანია, რომ 1858-1867 წლებში ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის, ადოლფ ბერჟეს ამაგისა და დამსახურების შესახებ ახლანდელი ეროვნული ბიბ-ლიოთეკის არცერთი სივრცე არაფერს გვეუბნება, ხოლო ძველი ბიუსტის მოძიებაზე საუბარი ახლანდელ დირექტორთან მხოლოდ დროს დაგვაკარგვინებდა და ამიტომ ისტორიის გაცოცხლების საქმე მომავალს მივანდეთ.

ადგილობრივი სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატუ-რა ად. ბერჟეს «საქართველოს რუსეთთან შეერთებას» აქამდე მხოლოდ ერთი რეცენზიით[7] გამოეხმაურა. ჩვენი აზრით, მასში მოცემულ კრიტიკულ შეფასებებს არგუმენტაცია აკლია და მისი მიმოხილვით მკითხველს იმაზე მეტს ვერაფერს შევძენთ, ვიდრე თვით თხზულების გაცნობით არის შესაძლებელი. თუმცა ერთი რამ წინასწარვე უნდა გავითვალისწინოთ: ისტორიის მათრახმა ჩვენი ნათესავისთვის დამახასიათებელ ცოდვათა გამო ზურგი ჩვენც შეიძლება აგვიწვას, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად მოთ-მინება უფრო სასარგებლოა, ვიდრე გმირ მამა-პაპათა სახელით მუდმივად კვეხნა და ქადილი. მით უმეტეს, ადოლფ ბერჟე ქა-ართველი ერის კეთილმოსურნე ისტორიკოსია და ზოგჯერ მის მიერ მკაცრად გამოთქმული შეფასებები ობიექტურობის დაცვის სურვილით არის ნაკარნახევი.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას ეძღვნება, აგრეთვე, ერთი პატარა თავი გამოჩენილი სამხედრო ისტორიკოსის, გენერალ-ლეიტენანტის **ვასილი პოტოს**(†.1911 წ.) მონუმენტური თხზულები-დან «კავკასიის ომი», რომელიც პირველად ხუთ ტომად 1887-1889 წლებში დაიბეჭდა. მრავალწლიანი და ნაყოფიერი ლიტერატუ-რულ-ისტორიული შემოქმედების გამო რუსეთის კულტურულმა საზოგადოებამ ვ. პოტოს საპატიო მეტსახელი «კავკასიის ისტო-რიის ნესტორი» უწოდა, რომელიც რუსეთის ისტორიის მამამ-თავრისა და ჰაგიოგრაფიის წ^ა ნესტორ ჟამთააღმწერელის(XI-XII სს.) ღვაწლს გულისხმობს. ამასთან, მის პატივს უდავოდ ის შეუ-ფასებელი დამსახურებაც ზრდის, რომელიც მისი თხზულებების მორალურმა და პატრიოტულმა სულისკვეთებამ, მხედრობის ზნე-

[7] ამირეჯიბი ზ., ადოლფ ბერჟე – საქართველოს ისტორიის მკვლევარი // კლიო(სა-ისტორიო ალმანახი), №2, 1998. გვ. 92-106.

ობრივმა დარიგებებმა და სამხედრო საქმისადმი სიყვარულის დანერგვამ განაპირობა.

ვ. პოტოს სამწერლო და სამხედრო მოღვაწეობის მრავალი წელი უშუალოდ საქართველოსაც უკავშირდება. იგი იყო რედაქტორი «კავკასიური კრებულისა» (Кавказский сборник), რომელიც თბილისში 1876-1912 წლებში გამოიცემოდა (სულ დაიბეჭდა 32 ტომი); 1906 წლიდან განაგებდა კავკასიის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმს (ახლა – თბილისის „ცისფერი გალერეა"), რომლის ექსპონატთა და კავკასიის ომების ეპოქის შესასწავლად სპეციალური «ცნობარი» შეადგინა.

ვასილი ალექსანდრეს ძე პოტო თბილისში გარდაიცვალა. იგი წ^ა ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის (ახლა მის ადგილზე თბილისის პარლამენტის შენობა დგას) ეზოში დაკრძალეს, მაგრამ 1930 წელს ტაძრის განადგურების შემდეგ დამსახურებული გენერლის საფლავიც დაიკარგა.

რაც შეეხება ჩვენი კრებულის მეორე ნაწილს, მისი შედგენილობა ზანდუკში არის წარმოდგენილი. ეგზარქოსთა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლამ დამატებითი დრო მოითხოვა და ამიტომ გამოცემის გაჭიანურებას ნაშრომის ორ წიგნად გაყოფა ვამჯობინეთ. მეორე წიგნში დოკუმენტურ მასალასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, დაიბეჭდება ისტორია საქართველოს ეგზარქოსებისა, რომელთა სიას აქვე წინასწარ წარმოგიდგენთ.

საქართველოს ეგზარქოსების სია

№	სახელი(გვარი, †.გარდ. წ.)	ეგზარქოსობის პერიოდი	წწ.
1	**ვარლამი**(ერისთავი,†.1830)	8 ივლ.,1811 - 14 მაისი,1817	6
2	**თეოფილაქტე**(რუსანოვი,†.1821)	14 მაისი,1817 - 19 ივლ.,1821	4
3	**იონა**(ვასილევსკი,†.1849)	1 ოქტ.,1821 - 5 მარტი,1832	11
4	**მოსე**(ბოგდანოვ-პლატონოვი,†.1834)	12 მარტი,1832 - 13 ივლ.,1834	2
5	**ევგენი**(ბაჟენოვი,†.1869)	1 სექტ.,1834 - 12 ნოემ.,1844	10
6	**ისიდორე**(ნიკოლსკი,†.1892)	12 ნოემ.,1844 - 1 მარტ.,1858	14
7	**ევსევი**(ილინსკი,†.1879)	1 მარტ.,1858 - 8 დეკემ.,1877	20
8	**იოანიკე**(რუდნევი,†.1900)	8 დეკემ.,1877 - 27 ივნ.,1882	5
9	**პავლე**(ლებედევი,†.1892)	6 ივლ.,1882 - 29 სექტ.,1887	5
10	**პალადი**(რაევი,†.1898)	29 სექტ.,1887 - 18 ოქტ.,1892	5
11	მღ.მოწ. **ვლადიმერი** (ბოგოიავლენსკი,†.1918)	18 ოქტ.,1892 - 21 თებ.,1898	6
12	**ფლაბიანე**(გოროდეცკი,†.1901)	21 თებ.,1898 - 10 ნოემ.,1901	3
13	**ალექსი** I(ოპოცკი,†.1905)	10 ნოემ.,1901 - 1 ივლ.,1905	4
14	**ნიკოლოზი**(ნალიმოვი,†.1906)	1 ივლ.,1905 - 9 ივნ.,1906	1
15	**ნიკონი**(სოფიისკი,†.1908)	9 ივნ.,1906 - 28 მაისი,1908	2
16	**ინოკენტი**(ბელიაევი,†.1913)	7 დეკ.,1909 - 9 სექტ.,1913	4
	პიმენი(პეგოვი), დროებითი რწმუნებული	1912	
	გრიგოლი(იაცკოვსკი), დრ. რწმ.	9 სექტ. - 4 ოქტ.,1913	
17	**ალექსი** II(მოლჩანოვი,†.1914)	4 ოქტ.,1913 - 20 მაისი,1914	1
	პიმენი(პეგოვი), დრ. რწმ.	20 მაისი - 26 ივნისი, 1914	
18	**პიტირიმი**(ოკნოვი,†.1915)	26 ივნ.,1914 - 23 სექტ.,1915	1
19	**პლატონი**(როჟდენსტვენსკი,†.1917)	5 დეკ.,1915 - 13 აგვის.,1917	2

ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე)

სახელმძღვანელო იდეა

გარდასულ დღეთა მნიშვნელოვანი მოვლენების შესწავლა ყოველთვის სარგებლობის მომტანია, ვინაიდან წინაპართა გამოცდილების გათვალისწინების გარეშე თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემები, უბრალოდ, ვერ გადაწყდება. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი დებულება ისტორიულადაც, ანუ პრაქტიკულადაც, არაერთხელ დამტკიცებულა, მაგრამ დროდადრო ქართველი კაცი ივიწყებს წარსულს, წყდება ცნობიერების მასაზრდოებელ ნიადაგს და უფესვო მცენარეს ემსგავსება.

ახლაც, მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის მსგავსად, მძიმე ჟამი უდგას საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ არც ომია, არც შიმშილობა და არც ტერორისტული აქტები, პირიქით, მშვიდობაა, აღმშენებლობა, წინსვლა სოფლის მეურნეობასა და ზოგიერთ სამრეწველო სფეროში, ქვეყანა მორალური დეგრადაციის შეუქცევად პროცესს მაინც ვერ აფერხებს. «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» მიერ 2004-2011 წლებში მოშლილი განათლების სისტემის მართვასა და მედიაში დანერგილ ანტიეროვნულ პროპაგანდას იგივე გარეშე ძალები აგრძელებენ და ადგილობრივ ხელისუფლებას, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, წინააღმდეგობის გაწევის საშუალებასაც არ აძლევენ. ამიტომ ჩვენი სუვერენიტეტი ვრცელდება იმ ზღვრამდე, სანამდეც ჩვენი «მეგობარი სახელმ-

წიფოები» მოისურვებენ. ასეთია დღესდღეობით დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს იმ პოლიტიკური არჩევანის შედეგი, რომელიც მან სსრკ-ის დაშლის (1991 წ.) შემდეგ გააკეთა.

ამჟამად, როგორც ყველასთვის ცნობილია, ჩვენი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაა, რომელთაც, თავის მხრივ, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი აქვთ – რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დაქვეითება ყველა შესაძლო სანქციის გამოყენებით. მაშასადამე, ოფიციალურად საქართველო იმ პოლიტიკური ბანაკის წევრია, რომელსაც სათავეში აშშ უდგას; ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისით კი, მის გლობალისტურ იდეოლოგიასთან ჩვენს ქვეყანას არაფერი ანათესავებს.

თანამედროვე არასამთავრობო, ანუ უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებული, ორგანიზაციების, ე. წ. ექსპერტებისა თუ პოლიტოლოგების საერთო აზრიც ანტირუსულ განწყობას ნერგავს და ისტორიულ ვითარებასაც ისე წარმოადგენს, რომ თითქოს რუსი ერისადმი დაპირისპირება და მტრობა ქართველთათვის ბუნებრივი მდგომარეობა იყოს. დღევანდელი ჩვენი მკითხველი თუ არამკითხველი საზოგადოება ისე მიეჩვია რუსეთის სახელმწიფოსა და რუსი ერის აუგად მოხსენიებას, რომ განსხვავებულ შეხედულებას მტრობად ან, უკეთეს შემთხვევაში, უმეცრებად მიიჩნევს. მაშინ, როცა უხერხულიც კი უნდა იყოს შეხსენება იმისა, რომ ამ რაოდენობრივად დიდ ერს შესაბამისი დონის მეცნიერები, მწერლები, ხელოვანები, რელიგიისა და კულტურის მოღვაწენი ჰყავს. ქედმაღლური დამოკიდებულებითა და ათასგვარი სანქციის დადებით რუს ხალხს არაფერი დააკლდება, იკითხოს იმან, ვისაც ამ მართლმადიდებელი ერისგან მფარველობა და დახმარება მიუღია, ხოლო სამაგიეროს უმადურობითა და სიძულვილით უხდის.

დავუშვათ, თანამედროვე ქართველს არ მისცემია საშუალება ობიექტურად განხილული ისტორიის გაცნობისა; ან არ უცხოვრია საბჭოთა კავშირის არსებობის დროს,[1] როცა თხუთმეტი რესპუბ-

[1] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა (სსრკ) იარსება 1917-დან 1991

ლიკის შემადგენლობაში საქართველოცა და რუსეთიც ერთი სახელმწიფოს წევრნი ვიყავით; ან უშუალო ურთიერთობა არასდროს ჰქონია რუსი ეროვნების ადამიანებთან, მაგრამ ის ხომ მაინც იცის, რომ დღეს ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილი, დაახლოებით მილიონი კაცი, რუსეთშია დასაქმებული და ოჯახისთვის საარსებო სახსარს იქიდან გზავნის. ნუთუ რუსეთის ცნობილ აკადემიებსა და უნივერსიტეტებში ცოდნის შეძენა, ნაირგვარი პროდუქციის სასარგებლო ექსპორტ-იმპორტი, ბოლოს და ბოლოს, ნათესაური და მეგობრული კავშირ-ურთიერთობანი საბაბია იმისთვის, რომ რუსოფობიით მთელი სოციალური გარემო დასნეულდეს?

განსაკუთრებით სავალალოა, რომ ფონს ამ ფობიისთვის მედიასა და ინტელიგენციასთან ერთად სასულიერო დასი ქმნის (რაც ბერი, ის ერი); ზოგი მღვდელმთავარი ჩვენ მეზობლად „ბოროტების იმპერიის ნაშთს, მტერსა და მოძულეს“ ჭვრეტს, ხოლო ჩრდილოელი მეზობლისადმი სიმპათიის გამოხატვისთვის ყველას „ერის მოღალატედ“ აცხადებს. ისტორიული ფაქტების ზერელე ცოდნითა და უსაფუძვლო არგუმენტებით საქვეყნო საქმეთა განსჯა სარგებლობას ვერავის მოუტანს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დიდ წინაპართა – წ˜ა ვახტანგ გორგასლის, წ˜ა გიორგი მერჩულის, წ˜ა ილია მართლის და მრ. სხვ. – ნაანდერძევისა და გამოცდილების გათვალისწინება მაინც აუცილებელია, რომ ერთმორწმუნე ერების, მით უმეტეს მეზობლის, კეთილ საქმეთა დაფასება შევძლოთ და კიდევ ერთ სულიერ სნეულებას, უმადურობის ცოდვას არ ვეზიაროთ.

ამიტომ, ვფიქრობთ, საქართველოს ეგზარქოსთა მოღვაწეობის შესახებ არსებული ცნობების მიუკერძოებლად გაშუქება არა მარტო სამართლიანობის აღდგენას, არამედ ორ ერთმორწმუნე ერს შორის ხელოვნურად გაღვივებული შუღლის ჩაცხრობასაც შეუწყობს ხელს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ, ჩვეულებრივ, პოსტ-საბჭოთა

წლამდე. საქართველო მისი წევრი იყო 1921 წლიდან. შედგებოდა 15 რესპუბლიკისაგან: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, უზბეკეთი, ყაზახეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ლიტვა, მოლდავეთი, ლატვია, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი, თურქმენეთი, ესტონეთი.

ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შემუშავებული **ტენდენცია** რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკას, საქართველოსთან მიმართებით, აქცევს მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში: **ქართული ენის დევნა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და ქართველი სამღვდელოების დევნა-შევწიროება.** მაშასადამე, რუსეთის საბოლოო მიზანი ქართველი ერის გადაგვარება, ეროვნული თვითშეგნებისა და მშობლიური ენის აღმოფხვრა, რუს ერთან ასიმილაცია და შერწყმა უნდა ყოფილიყო. ეს იდეოლოგიური ტენდენცია იმდენად მომთხოვნია ავტორთა მიმართ, რომ ისტორიული თხზულებები რუს მოღვაწეთა დამსახურებას ან რუსეთის კეთილისმყოფელ გავლენას საერთოდ ვერ ასახავენ.

ნუთუ გონიერების საზღვრებს სცდება ლოგიკურად წარმოქმნილი კითხვები: თუ რუსეთის ძლიერ სახელმწიფოს ქართველთა გადაჯიშება მართლაც ჰქონდა განზრახული და ამისთვის საეკლესიო და საგანმანათლებლო იდეოლოგიურ პროგრამას თანმიმდევრულად განახორციელებდა, მაშინ მას რამ შეუშალა ხელი, რომ ორი საუკუნის განმავლობაში, 1801-დან 1991 წლამდე, მიზანს ვერ მიაღწია? თუ, ერთი მხრივ, მაჰმადიანურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ საქართველოსა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესები ყოველთვის ერთმანეთს ემთხვეოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ორი მეზობელი ერის სტრატეგიული მოკავშირეობის სიმტკიცეს ერთი სარწმუნოების ფაქტორი განსაზღვრავდა, მაშინ რა სარგებლობის მომტანი უნდა ყოფილიყო რუსეთისთვის მორალურად გატეხილ, ეროვნებადაკარგულ და ფიქციურ ერთან პარტნიორობა?

სანამ უშუალოდ ეგზარქოსთა საქმიანობის განხილვაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობთ, უწინარეს ყოვლისა ცხადად უნდა გამოვკვეთოთ ჩვენი **სახელმძღვანელო იდეა**, რათა ისტორიულ პიროვნებათა და მოვლენათა შეფასების დროს ზნეობრივ ღირებულებათა ერთსა და იმავე საზომს დავემორჩილოთ. სხვაგვარად, ვერც ჩვენ ავიცილებთ იმ გაუგებრობას, რომელიც უპრინციპობის ან უცოდინრობის გამო საზოგადოებას ორ დაპირისპირებულ ბანაკად ჰყოფს. ქართველმა ხალხმა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში თავის თავზე გამოსცადა, რომ ამ სახიფათო და-

პირისპირებებს ზოგჯერ სისხლის ღვრაც მოსდევს. ამიტომ პატივი უნდა ვცეთ ჩვენს ტრადიციას, წინაპართა ანდერძს და **ყოველ საქმეში ქრისტიანული ფასეულობებით ვიხელმძღვანელოთ.**

უკეთუ ქრისტიანული მცნებები არ ვაქციეთ ნეოლიბერალიზმთან იდეური ბრძოლის საშუალებად, მაშინ ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილებასაც ვერ შევძლებთ. გლობალიზაციის ადეპტები უკვე სახელმწიფოთა კანონმდებლობებზეც ზემოქმედებენ და ერთნაირსქესიანთა ქორწინებით, ნარკოტიკების ლეგალიზაციითა და ლგბტ-თა პრივილეგიების აღიარებით მომაკვდინებელ ცოდვათა დაკანონებას ახერხებენ. ფაქტობრივად, მათი საქმიანობა სახელმწიფოებრივ მმართველობათა წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან თავიანთ ხალხებზე ზრუნვის ნაცვლად ხელისუფალთ აიძულებენ, რომ ერის გამრავლების საწინააღმდეგო და ეროვნული გადაგვარებისთვის შექმნილი კანონები მიაღებინონ.

ამჟამინდელ რთულ სოციალურ პროცესებს სერიოზული ანალიზი სჭირდება. პირველ რიგში, ისტორიული კანონზომიერებანი უნდა გვარწმუნებდეს, რომ რელიგიური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე ყოველგვარი კვლევა უსარგებლოა, რადგან ყველა ბოროტების თავადი განსაკუთრებული სისასტიკით ჭეშმარიტებას, ანუ მის მცველს, მართლმადიდებელ ეკლესიას ებრძვის, რომლის თავი – მისი დამთრგუნველი – უფალი იესო ქრისტეა. მაგალითად, რა კავშირია ნეოლიბერალურ იდეოლოგიასა და რუსოფობიას შორის? განა არ შეიძლებოდა ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური იდეებით მანიპულირება რუსების სიძულვილის გარეშე? – მსოფლიოზე გაბატონების მსურველებმა იციან, რომ რუსეთის სახელმწიფო მართლმადიდებლობის ციტადელია. მისი ძლიერების გარეშე თანამედროვე მართლმადიდებელი ერები განწირული არიან გლობალისტურ-ამორალური ტყვეობისათვის, რომელიც, როგორც უკვე ჩანს, სისასტიკით აქამდე არსებულ ყველა რეჟიმს აღემატება და მისი დამყარების შემთხვევაში ღირსებას მხოლოდ რჩეულები თუ შეინარჩუნებენ. მართალია, რუსეთის მიმართ სათანადო მადლიერებას ყველა ადგილობრივი ეკლესია ვერ იჩენს, მაგრამ იგი, მადლობა ღმერთს,

მართლმადიდებელთა მფარველობის მისიას უკვე ექვსი საუკუნეა უანგაროდ აღასრულებს: **«ყოვლის ქრისტიანის შემნახავნი ეგენი არიან»**.[2] აქედან გამომდინარე ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ცდილობს ერეტიკული დასავლეთი ყოველი მხრიდან შემოეჭდოს რუსეთის საზღვრებს.

თითქოს დასავლეთმა(აშშ, ევროპა) ყველა დასახული მიზანი განახორციელა: სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირი[3] დაარღვია, სსრკ დაშალა, გავლენის გასაფართოებლად ფერადი რევოლუციებიც მოაწყო, ხოლო რუსეთსა და საქართველოს შორის ისეთი შუღლი ჩამოაგდო, რომ მეზობელი სახელმწიფოები დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენასაც ვერ ახერხებენ; საქართველო კი, მიუხედავად «ნაციონალთა» რეჟიმის დამხობისა, 2008 წლის კონფლიქტის ორგანიზატორს ოფიციალურად დღემდე ვერ ასახელებს და მოლაპარაკების დაწყების პერსპექტივასაც ვერ ქმნის; მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთმა რუს და ქართველ ერებს შორის სულიერი ნათესაობის გაწყვეტა ვერ შეძლო.

ვერც შესძლებს! იმიტომ, რომ მართლმადიდებლებს ერთმანეთი უნახავადაც უყვართ და ერთმანეთისთვის განსაკუთრებით ლოცულობენ. როგორ უნდა ავუხსნათ ათეისტ ამერიკელს ან ევროპელს, რომ მართლმადიდებლებს მტრებიც კი უყვართ და მათი გადარჩენისთვის ღმერთს ევედრებიან. ერთობის ეს ფენომენი რომ ვინმეს აუხსნა, უფალი იესო ქრისტე უნდა სწამდეს, რომელიც თავის წმიდა ეკლესიაში შემოკრებილ მართალ ადამიანებს, განურჩევლად ეროვნებისა, უძლეველი მადლით მფარველობს. ოცი ს-ის განმავლობაშიც კი ვეღარ გაიგეს ჭეშმარიტებისა და სიყვარულის მტრებმა, რომ ჰეროდეც, ნერონიც და დიოკლეტიანეც... ფარი-

[2] **М. Броссе, Переписка...** გვ. 65,10 (წყაროთა სრული დასახელებანი იხილეთ ლიტერატურის სიაში). – ხაზი ყველგან ჩვენია(ბ.გ.).

[3] სოციალისტური ბანაკის ძირითადი წევრები იყვნენ: სსრკ, ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, იუგოსლავია, ვიეტნამი, გერმანია(დემოკ. რესპ.), ჩინეთი, კუბა, კორეა(დემოკ. რესპ.), ლაოსი, მონღოლეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია; ასევე: ნიკარაგუა, ვენესუელა, ეკვადორი, ნეპალი, გრენადა, ალჟირი, ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი, კონგო, სომალი, გვინეა, ზიმბაბვე, მაგადასკარი, ავღანეთი, ბირმა და კიდევ რამდენიმე მცირე სახელმწიფო.

სეველნიც, მწიგნობარნიც და მთელი სინედრიონიც... ხალიფებიც, ხონთქრებიც და შაჰებიც ვერაფერს გახდნენ ქრისტეს წინააღმ-დეგ, და ვერც ვერასდროს ვერაფერს გახდებიან!

თუმცა, ქრისტეს უძლეველობა და მასზე მინდობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოქმედება არ მოგვეთხოვება. პირიქით, ქრისტიანს საზოგადოებრივი და პიროვნული პასუხისმგებლობა ერთნაირად აკისრია, რადგან სხვისთვის გაკეთებული სიკეთით მჟღავნდება მისი სარწმუნოება და სიყვარული, ანუ ის ძირითადი თვისებები, რომელნიც არიან აღმასრულებელნი ქრისტიანული სჯულისა. ამასთან, ჩვენი განსახილველი საკითხიდან გამომდინარე, ხაზ-გასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ **უფლის წინაშე ყოველი საქმე იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენად გულმოდგინედ და გულწრფელად არის იგი შესრულებული.** მხოლოდ იდეისადმი ერთგულება არის საწინდარი იმისა, რომ კაცმა მისთვის არა მარტო შრომა და მოთ-მინება, არამედ თავდადებაც შეძლოს.

დიდთა ქართველთა ზეგონებანი

ეროვნულ პრობლემათა გადაწყვეტის დროს ჭეშმარიტების სხ-ვადასხვა კრიტერიუმს მიმართავენ, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა ჩვენს დიდ წინაპართა ნააზრევს ენიჭება. რამდენადაც ისინიც, თავის მხრივ, სიბრძნეს ცხოვრებისეული გამოცდილებითა და გონებრივი გარჯით იძენდნენ, არც მათი ყველა შეხედულების დოგმატიზება შეიძლება, მაგრამ უპირატე-სობას იმიტომ ვანიჭებთ, რომ თავიანთი მამულიშვილობითა და თავდადებით საკუთარი აზრებიც ისე გამოაწრთეს და მათ ისეთი ნათელი შესძინეს, რომელიც მადლიერ შთამომავლობას ახლაც გზას უნათებს.

რამდენიმე ამონარიდს ჩვენც შევახსენებთ მკითხველს, რათა წინამდებარე ნარკვევში გამოკვეთილი პოზიცია რუსეთ-საქართ-ველოს ურთიერთობაზე, სიახლედ და ორიგინალურ მოსაზრებად არ მიიჩნიოს.

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

«რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობელად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე. მარტო მით რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისე ცხადია, ისე ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. **რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოველ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენს სამშობლოს მისი წყლულნი...** ეს სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოვებისა და გაერთებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის. წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ველარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარ ადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა».[4]

«ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ხმალამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ... გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოაღწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც თავზარსა სცემდა და მეორესაც... სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთისმოსავმა და ღვთისმოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს

[4] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XIV, თბ., 2007. გვ. 292-293.

ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად...

იმპერატორმა პავლემ, მოისმინა რა გაჭირვება მეფე გიორგისა და საქართველოსი და იუწყა-რა ახალი მუქარა სპარსეთისა, აწიოკება ქვეყნისა ოსმალეთისა და ლეკთა თარეშობისაგან, მსწრაფლ შეუდგა, რომ მეფე გიორგის გადაწყვეტილი პასუხი მისცეს. 23 თებერვალს 1799 წელს ბრძანება მისცა ჩრდილო-კავკასიის ჯარის მთავარმმართველს, მოამზადოს საქართველოში წასასვლელად მეშვიდმეტე ეგერის პოლკი გენერალ-მაიორ ლაზარევისა...

დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა, დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა.

დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს

და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოებაგაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული.

დღეს, 26 ნოემბერს 1899 წ., სწორედ ასი წელიწადია მას აქედ».[5]

«ჩემი მოკრძალებული როლი ჩემს მცდელობაში მჟღავნდება, რომ რაიმე სარგებლობა მოვუტანო ხალხს, რომელსაც ამდენი შფოთის, ტანჯვისა და აოხრების შემდეგ განსვენებისა და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს მფარველობით მიეცა...

მე მთლიანად გამსჭვალული ვარ იმ სასიკეთო აზრით, რომ ჩემს თანამემამულეებს აუცილებლად ვუჩვენო ჭეშმარიტი გზა მათი ზნეობრივი და რელიგიური წარმატებისა, რომელიც რუსთა და ქართველთა, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრთა, ურთიერთმეგობრულ და ძმურ კავშირზე იქნება დაფუძნებული... ქართველებს მტკიცედ სწამთ, რომ რუსეთი მათ მხსნელად და დამცველად მოევლინა. ის მყუდროება და ის შესაძლებლობა მშვიდობიანი წინსვლისა, რომელიც ჩვენ რუსეთის მფარველობით მოვიპოვეთ, მეტად დიდი შენაძენია, რომ მას ჩვენი სულისა და ჩვენი გულის მთელი ძალებით არ ვაფასებდეთ. ეს რწმენა რუსეთისადმი, დიდსულოვნად და უანგაროდ ქომაგობისა, ძლიერ განმტკიცებულია ქართველში, ხოლო აქედან წარმოქმნილი გრძნობა ღრმა მადლიერებისა არის სწორედ ის დაუშრეტელი წყარო, რომელსაც რუსეთის მიმართ კეთილი გრძნობებიდან ამოზრდილი ყლორტები შეუძლია გადააქციოს მშვენიერ ხედ სიცოცხლისა, რომლის გაშლილი რტოები ყველაფერს მიუაჩრდილებენ»...[6]

[5] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XIV, თბ., 2007. გვ. 304-315.

[6] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XVII, თბ., 2012. გვ. 186-187 (ციტატები ჩვენი

მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

«რუსეთის იმპერიასთან საქართველოს სამეფოს შეერთების თაობაზე ყოვლად უმოწყალესი მანიფესტის გამოქვეყნების თანავე [12.09.1801]... საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდული საშიშროების ნისლი გაიფანტა, ბნელი ჰორიზონტი განათდა და ჩვენთვის სხვა, საუკეთესო ჟამი დადგა. აწ საქართველოს აღარ ეშინია ფანატიკოს მუსულმანთა ველური ურდოების შემოსევისა, რომელნიც წინანდელ დროს ანადგურებდნენ ჩვენს ტაძრებს, ქალაქებსა და სოფლებს, მოსახლეობის საუკეთესო ნაწილს ატყვევებდნენ და ქვეყნიდან გაჰყავდათ. პირიქით, მთელი ქართველი ხალხი, სარგებლობს რა ძლევამოსილი რუსეთის საფარველქვეშ დაურღვეველი მყუდროების ცხოველმყოფელი სიკეთეებით, პროგრესისა და ცივილიზაციის გზით მშვიდობიანად წინ მიიწევს. საქართველოს ეკლესია ბედნიერად ცხოვრობს და ხალხის რელიგიურ-ზნეობრივი ყოფის სხვადასხვა მხარე, როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავზე შეგვიძლია დავინახოთ, მნიშვნელოვნად ამაღლდა და გაუმჯობესდა».[7]

ნეკრესელი მიტროპოლიტი ამბროსი (მიქაძე)[8]

«დღეს აქამომდე ქრისტეს მაგინებელთა უსჯულოთაგან საქართველოს ეგოდენი შეწუხება, რყევა, ტყვენვა და აოხრება – ეს ყველას გამოგვივლია, შევსწრებივართ და თვალ-წინაც გვიდგას.

მაგრამ ამ დიდის ჴელმწიფის ალექსანდრესაგან, ჩვენზედ მოწყალებას ასე ვხედავ, რაგვარადაც ერთს საცოდავად განყინულსა და გაცივებულს მზის სიტფო მიადგეს, და რაგვარადაც ერთს მამაკვდავსა და სულის ამოსვლაზედ მიწურვილს, ღმრთის მოწყალების

თარგმნილია – ბ. გ. რ.). აგრეთვე, იხ.: შალვა გოზალიშვილის პუბლიკაცია – ჟ. მნათობი, №9, 1957. გვ. 153,157.

[7] **Е.К. (Епископ Кирион), Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901. გვ.15-16.**

[8] ამბროსი ნეკრესელი ეპისკოპოსი, ქადაგებანი და მოძღვრებანი, თბ., 1881. სადიდებელად მისისა უდიდებულესობისა, დიდისა იმპერატორისა ალექსი პირველისა, გვ. 284-291.

მადლმა მიხედოს, და დიდი მეცნიერი დოქტორი წამლის მიცემით მიეშველოს და სული მოუბრუნოს. და კიდევ, ერთს აღელვებულს ზღვის ღელვას ერთი ხვამალდი თუ ნავი დასანთქმელად მიმოდაჰქონდეს, და იმაში მყოფნი ერთს ღმრთის მოწყალების ნავთსაყუდელს ეწივნენ. მე გლახაკი ჩვენს ქვეყანას ასე ვხედავ, და მრავალჯერაც ამისთანას თავში ცემასაც შევსწრებივარ. და ახლა ყველას იმედი გვაქვს და ვსასოებთ, რომ იმ განსაცდელებს აღარას შევესწრათ. და ნება უფლისა იყავნ...

აწ ესერა საქართველოსა ერთა დიდისა იმპერატორისა ალექსანდრეს ჩვენზედ მოწყალებას გვახარებენ,... ძალითა და ძლიერებითა მისისა იმპერატორებისათა დაცემა მტერთა ჩვენთა, გამოხსნა ჩვენი მაჴმადიანთაგან და აღმოყვანება საქართველოსა ვითარცა ჯოჯოხეთისა პყრობილებისაგან კაცთა ბუნებისა. და აჰა ვარსკვლავი ჩვენთვის აღმობწყინვებული, და შემმუსრველი და დამცემელი მოაბელთა და ამორეველთა; ესე იგი უსჯულოთა მათ სპარსთა, ოსმალთა და ლეკთა მრავალგზის აღმაოჴრებელთა და წარმტყვენველთა ჩვენთა... აწ დღეს სანატრელთა მეფეთა ჩვენ საქართველოსათა ჴმა უყვეს ვედრებითა ღაღადებისათა. ჶ დიდო იმპერატორო, გვიხსნენ ჩვენ, ერნი საქართველოსანი, ესოდენსა ჟამსა უღმრთოთა მათ ჩვენ ზედა განძვინებულისა ზღვასა შინა დანთქმისა და მოოჴრებისა უსჯულოთა მახმადინთაგან, რამეთუ წარვსწყმდებით. ხოლო დიდმან იმპერატორმან განიღვიძა ვითარცა მძინარემან ლომმან, და ვითარცა უძლურთა და სნეულთა მკურნალმან, მოწყალემან უფალმან და მამამან, და მოგვხედა უძლურთა, დაღონებულთა და დღითი დღე აოჴრებულთა უსჯულოთა მახმადიანთაგან, და გამოგვიჴსნა მუდამ თავის დაქნევისა და მუქარისა მათისაგან, და შერისხნა ზღვებრ აღძვრასა მათსა იესოსებრ, და დიდისა ბასილისებრ ივლიანე განდგომილსა ზედა, ქრისტიანეთ ასაოჴრებელად მოქადულისა, და ვითარცა ძალითა და ჴელმწიფებითა, და სპა ჯარ-ლაგირ-როტათი. ეგრეთვე ჭეშმარიტად ცხოველისა ჯვარისა მადლითა და ღმრთის მინდობითაცა, უკუნაქცია, განსდევნა და შეაძრწუნა უსჯულო იგი სილაღე და მძლავრება მათი, და განძვინებულისა ზღვის მღელვარებისა მათისაგან განგვარინნა

და გამოგვიჴსნა ესოდენნი ერნი საქართველოსანი...

აღდგინებულ არს საქართველო, და დაცემულ-არს ყიზილბაშნი, და ნუ გეშინისთღა, რამეთუ აჰა ესერა გამოჴსნილნი ჴელთაგან მათთა, განიხარეთ! განიხარეთ! „რადუიტეს!“ „რადუიტეს“! მოწყალებისა დიდისა იმპერატორისათა. არამედ ვითარცა მხურვალე პეტრე, მოწაფე იგი იესოსი, ეგრეთვე დიდი იგი იმპერატორი პეტრე პირველი, მოწყალე საქართველოჲსა, ისწრაფდა აღდგინებასა დაცემულებისა ჩვენისასა, ვითარცა იმპერატრიცანი, ასულნიცა მისნი ელისაბედ და ეკატერინა, არამედ ვერღარა უსწრო ჟამმან საწუთოსამან. გარნა ახალმან ამან იოანე, საყვარელმან მოწაფემან ქრისტესმან, ესე იგი დიდმან იმპერატორმან ალექსანდრე წინა უსწრო და გვახარებს ერთგულ-მონათა ამათ თჳსთა მიერ აღდგინებასა დაცემულებისა ჩვენისასა უწყალოთა მახმადიანთაგან, და თანა გვიბრძანებსცა... ერთგულ მონათა ამათ თვისთა, რათა უმაღლესი ბძანება და მანიფესტი მტკიცითა და ჭეშმარიტითა მორჩილებითა შევიწყნაროთ ყოვლითა სულითა, გულითა და გონებითა...

უფროსღა და უმეტეს აქა თქვენდა მიმართ ჯერარს, ვითარცა მამებრივითა მხილებითა, მოხსენებაჲ თქვენდა, პირითა და გულითა, მორჩილებითა და სიყვარულითა, მონება და სამსახური დიდისა მის და მრავალ-მოწყალისა ხელმწიფისა დიდისა რუსეთისა ალექსანდრე იმპერატორისა... ახლა ესეც ხომ მართალია, რომ ამდენის ხნის ძველთა ისრაელთაებრ შეწუხებული, იმ დიდებულს ჴელმწიფესა და ჴელმწიფე მამა-პაპათა მათთა ვევედრებოდით, ვეხვეწებოდით და ჩვენის მტრებისაგან გამოჴსნასა და შეწევნასა ვსთხოვდით. მაგრამ ამ დიდებულმა ჴელმწიფემ ალექსანდრე პირველმან, ამან უფრო თავს გამოიდვა ჩვენი შეწყალება და კიდეც აღასრულა; ძალითა, ჯარითა, ხაზინითა, რიგის მიცემითა და ჩვენის მტრების შეშინებითაცა.

და ამისთვის ყველას მადლობა გვმართებს ღმრთისა და იმისის ჴელმწიფობისა, და ვმონებდეთ და ვლოცვიდეთ ყოველნივე ერთბამად, ერთითა პირითა და გულითა, უდიდებულესსა ჴელმწიფებასა იმპერატორისა ალექსანდრესსა. რათა აღამაღლოს უფალმან ღმერთმან ძალი, მკლავი და ძლიერება მისი, და დაუმორჩილნეს

და დაუმდაბლნეს ყოველნი წინა აღმდგომნი, ურჩნი და მბრძოლნი მისისა ჴელმწიფობისანი, და მფარველობა და მოწყალება მისისა იმპერატორებისა, დიდისა ჴელმწიფისა ალექსანდრე პავლეს ძისა, შეუცვალებელად იყავნ ჩვენ ზედა, ყოველთა ერთა ივერიის საქართველოსათა. რათა განრომილნი უღმრთოთა აგარიანთაგან ვადიდებდეთ დაუსაბამოსა მამასა და ძესა და ყოვლად წმიდასა სულსა, აწ და უკუნისამდე, ამინ».

გენერალი პეტრე ბაგრატიონი[9]

«მათს დიდებულებას, ყოვლად მოწყალეს ჴელმწიფეს[რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს], სრულის გულით სურს, რომ საქართველო ყოვლითურთ მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული.

ამისთვის თქვენც გმართებსთ, რომ ყოველნივე თქვენნი ნათესავნი და მოყვარენი განამტკიცოთ ჴელმწიფის ერთგულებასა და ქვეყნის სამსახურში. თქვენვე იცით, თუ რუსეთის უძლეველი მჴედრობა და ყოვლად მოწყალის ჴელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდ უბედურებას მიეცემოდა, და ამისთვის გმართებთ სრული ერთგულებით სამსახური ჴელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა; და გირჩევთ სიყვარულით, რომ რაც მანდ მყოფთ ჯართა დასჭირდესთ პური თუ სხვა სახმარი ნივთი, შეძლებისაებრ შეეწივნეთ და სასყიდელიც მიიღოთ ჴელმწიფისაგან.

თქვენს ბრწყინვალებას ვარწმუნებ ამას, რომ თუმცა არ მინახიხართ, მაგრამ ვიცი ჩემი ძმის, კნიაზ რომან ივანიჩისაგან, თქვენი კეთილგონიერება და ერთგულება ჴელმწიფისა, რომლისათვისაც მოხარული ვარ და კიდევაც ვითხოვ თქვენგან თქვენი ჩვეულებრივი სიმჴნე და ერთგულება ჴელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა არ მოშალოთ, რომლისთვისაც ჴელმწიფისაგან მიიღებთ საკმაოს წყალობასა; და იქნება მეც მოვიდე და თვითონ მე გიჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულსა. და სხვებ დავშთები უმწვერვალესსა პატივისცემასა შინა თქვენსა».

წელსა 1806, აპრილის 30.

---

[9] საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 5, თბ., 1944, გვ. 744. წერილი თავ. ოთარ ამილახვარისადმი. ტექსტი დადგენილია პროფ. დ. გვრიტიშვილის მიერ.

მთავარეპისკოპოსი გაიოზ რექტორი(ბარათაშვილი)[10]

«შეერთებისათვის და მფარველობისა სამეფოსა საქართველოისა რუსეთის იმპერიისა თანა წელსა 1783 აგვიტოს 20 და თანამდებობითისა მადლობისა ესოდენისათვის მოწყალებისა ღვთის.

თქმული სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, ეკლესიასა შინა კათოლიკესა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლის მიცვალებისასა, არხიმანდრიტისა და თელავის სემინარიის რეკტორის გაიოსის მიერ და

აკურთხენ ღმერთმან დრო ესე, და განამტკიცენ მაღალმან მარჯვენა ეკატერინა დიდის მფარველობასა ზედა საქართველოსასა და განაგრძვენ ღმერთმან დღენი კეთილმსახურისა მეფის ჩვენისა ირაკლი მეორისა, აღსარებასა შინა უმაღლესი სახელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის საიმპერატორო ტახტისასა.

მოდრკა ღმერთი უმდაბლესსა თხოვასა ზედა, პირველთა კეთილმსახურთა მეფეთა ჩვენთასა და მიიღო იგი აწინდელმან ბედნიერობით მმეფობმან კეთილმსახურმან ხელმწიფემან ჩვენმან მეფემან ირაკლი, ვითარცა დაუნჯებული მამათა მიერ საუნჯე.

რაიმე შევსწიროთ შენდა ქველის მოქმედო ღმერთო ჩვენო! ვითარ ცხად ვჰყოთ სიდიდე ესოდენისა ქველისა მოქმედებისა, რომელიცა მოჰფინე მამულსა ჩვენსა.

გარნა შემძლებელ ვარ თქმად, ვითარმედ ღვთისა მიერი ქველისმოქმედება ესე არა ეგოდენ საკუთარი მეფისათვის, რაოდენცა სამფლობელოთა მისთათვის, და თუმცა გონიერება თქვენი, პატიოსანო მსმენელნო! სრულებით ჰგრძნობს სიდიდესა ამის ღვთისა მიერისა მოწყალებისასა, ვითარცა დაამტკიცებს მხიარულებითა ესე შეკრულება თქვენი, გარნა მიხედეთ დასასრულებითა მიზეზთა მისთა.

კაცი ოდეს აღიძვრის ხელყოფად საქმისა რაისიმე, მყისვე გამოხატავს თვის შორის ვითართამე სასარგებლოთა დასასრულთა, რომლისათვისცა გულსმოდგინე არს სრულყოფად მისა, სიტყვისამებრ საღმრთოსა წერილისა, „ვითარმედ კაცი საქმისა მიმართ კეთილსა განმტკიცებულ“. და შემდგომად სრულყოფისა საქმისა მის ჰგრძნობს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა,

[10] ჟ. „დროშა“, №5, 1959. პუბლიკაცია შ. ხანთაძისა.

შემეცნებისამებრ ბრძნისა სოლომონისა: „და ვიხილე, რამეთუ არს კეთილი, რომელ იხაროს კაცმან ქმნულთა თვისთა ზედა, რომელნიცა იქმნებიან შემდგომად მისა“. რომელისა მართლისამებრ ჰაზრისა პატივსცეთ ბედნიერობითსა ამას საქმესა კეთილ მსახურისა მეფისა ჩვენისასა და პატივ ვჰსცეთ, ვითარცა ქველისმოქმედებასა ღვთისა ყოვლისა მპყრობელისასა, რომელმანცა უპყრა ხელი მარჯვნივ ცხებულსა თვისსა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსივნისა, მპყრობელსა სრულიად რუსეთისასა და წინაძღომითა თვისითა დაუვაკნა მთანი იგი შეუვალნი კავკასიისანი, და პორფირისა მისისა სიგრილითა დაჰფარა მამული ჩვენ და სკიპტრისა მისასა შარავანდედითა განამტკიცა სკიპტრა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა. ჰოი, ნიჭსა ყოვლად მდიდრისა და ქველისა მოქმედებასა მაღლისასა დაულევნელსა.

ამას ბედნიერობითსა შემთხვევასა შინა ვის ჩვენგანისა არს გული მყარი, რომელიცა არა ჰგრძნობდეს თვის შორის გამოუთქმელსა სიხარულსა და დღესასწაულობით არა მოუთხრობდეს მილოცვითსა ხმასა განსვენებისა თვისისასა.

და ვინათგან ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდმო არს, ამისათვის თანამდებ ვართ, რათა მაღლისადმი მსხვერპლად სიმართლისა შევსწიროთ მადლობაჲ მხურვალითა გულითა, ვითარცა დასრულებითი მიზეზი შეკრებულებისა ამის ჩვენისა.

ესე ვითარისა ამის მადლობისა დასაბამად ვჰყოთ ვედრებაი საყდრისადმი ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა განგრძელებისათვის დღეთასა კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა, ვითარცა მამისა მოღვაწისა, რომელმანცა ძლიერებისა თვისისა სისხლნი წარმოაცალიერნა ოფლითა სიმხნისა შრომისათა უვნებლად დაცვისათვის სამფლობელოსა თვისისა და მარადღე მიურულებლად სცვიდა ერსა თვისსა გარემოს მყოფთა მძვინვარეთა მტერთაგან, რომელნიცა ნიადაგ ჰლამობდენ განბძარვასა მისსა და შემდგომად ესე ვითარისა სიბრძნისა საჭითა მიაყენა ნავთსაყუდელსა უღელვოსა და მხეცთა მათ მძვინვარეთა, რომელთაცა აღეშკმოთ პირნი და ბრჭყალნი შთანთქმად და განბრძარვად, ერთსა მას განუმზადა მახვილი იგი

მკვეთრი და მეორესა ბურთი ცეცხლისა სოფელსა შინა დიდებულისა და საკვირველისა რუსეთის ძალისა, რომელმანცა საშინელითა ქუხილითა თვისითა დააჯაბნა ვითარცა კურდღელნი ლომად მგონებელნი თავთა თვისთანი.

და შენ სამღვდელოო პირო და მიზეზო ამის ყოვლისა კეთილობისაო, რომელმანცა სამეფო შენი შემოზღუდე უძლეველითა და სოფელსა შინა საკვირველითა რუსეთის ძალითა და პორფირითა რუსეთის საიმპერატოროს ტახტისათა წარგარგნე სკიპტრა მეფობისა შენისა, რომლითაცა დაამტკიცე საუკუნო მშვიდობა და მყუდროება ერისა შენისა და მით სრულ ჰყვეთ თანამდებობითი იგი შეკრულება, რომლისთვისცა დაგადგინა შენ ღმერთმან თავად ერისა თვისისა. ამისთვის მადლობადცა მისა უმეტეს ყოვლისა თავი შენი ათანამდებე და ერისა ამის შენისა მსხვერპლად ქებისად შეწირული მადლობაი მიართვი ყოვლად მაღალსა, რათა შენ მიერისა ამის განზრახულისა სიმტკიცე უკუნისამდე ეგოს როსიისა ერთობასა შინა და აღსარებასა უმაღლესისა ხელმწიფებისა როსიისა იმპერატორთასა, ამინ».

იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯუღაშვილი)[11]

«XVIII საუკუნის დამლევისათვის საქართველოს წინაშე იდგა დილემა: იგი ან ყველაზე ბარბაროსულ სახელმწიფოებს – სპარსეთსა და თურქეთს – უნდა ჩაეყლაპა, ან რუსეთს უნდა შეერთებოდა. საქართველომ მეორე გზა აირჩია და სწორად მოიქცა. ამიერკავკასიაში მაშინ ერთმანეთის მეტოქე პოლიტიკური ძალებიდან რუსეთი ბევრად უფრო პროგრესული იყო. შეერთებამ მალე გამოიღო ნაყოფი: ქვეყანამ თავი დააღწია გარეშე მტრების განუწყვეტელ თავდასხმებს, მიიღო მეურნეობის აღდგენის, კულტურული წინსვლის შესაძლებლობა».

გარდა ზემოთ წარმოდგენილი ამონარიდებისა, გადახედეთ წიგნის მეორე ნაწილში დაბეჭდილ დოკუმენტებს, წერილ-ეპის-

[11] *ციტატა წიგნიდან:* კანდიდ ჩარკვიანი, სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები, თბ., 2015. გვ. 83.

ტოლეებს საქართველოს მეფე-დედოფლების, კათალიკოსების და სახელმწიფო მოხელეებისა, – ეს არის ერთიანი გრძელი ფსკვნილი ხვეწნისა და ვედრებისა დიდი რუსეთის იმპერიის[12] ხელმწიფეთა მიმართ, რათა მათ, როგორც ღმრთისგან განჩინებულ ქრისტიანობის მფარველებს, მართლმადიდებლური საქართველოც შეეწყალებინათ და ურჯულოთა მიერ მოსრვისა და განადგურებისგან გადაერჩინათ.

რატომ იმდაბლებდნენ და იმცირებდნენ თავს ჩვენი ხელისუფალნი, მიწად და ფერხთა მტვრად რატომ ეგებოდნენ უცხო ტახტის მპყრობელთ, იქნებ ღირსება აკლდათ ან თავმოყვარება, რომ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ქვეყნის ბედი და ერის საუნჯე სხვისთვის დაეთმოთ? – არა! რადგან «საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი». მიწამდე დამდაბლებას, ტკივილის დათმენასა და თავის გაწირვას მხოლოდ სამშობლოს სიყვარული შეაძლებინებს კაცს, რომლის უანგარო გრძნობებს სრულყოფილებას ჭეშმარიტი სარწმუნოება ანიჭებს.

თქვენ კი, რუსთმოძულენო, გონებადაბინდულნო და უმადურნო ქართველნო, თითქოს ახალი ისტორიის შემოქმედთა წოდებას იჩემებთ, მაგრამ ყოველგვარ ეროვნულ გამოცდილებას, წმიდათა და ღირსთა მამულიშვილთა ნაანდერძევს, ერთმორწმუნე ერთა მეგობრობასა და სიყვარულს უგულებელყოფთ, ამპარტავნობით ლაღობთ და თან გგონიათ, რომ თქვენი პროდასავლური ღირებულებების მხარდაჭერით, იმავდროულად, აღმოსავლური ეკლესიის ინტერესებსაც იცავთ, ხოლო თქვენს თვალთმაქცობას ვერც ვერავინ ამჩნევს!

სინამდვილე დაუნდობელია ცრუთა მიმართ! მოჩვენებითი ქრისტიანობა ათეისტობაზე უარესია. როგორც წმიდა მამები გვარიგებენ: სჯობს არ შეხვიდე ეკლესიაში, ვიდრე შეხვიდე და რამე დააშავო. რისი იმედი უნდა ჰქონდეთ ერთმორწმუნეთა მოძულეებს, როცა ისინი განკითხვის ჟამს დიდი რუსი წმინდანების წინაშე წარსდგებიან?! – ალბათ, მაშინაც იტყვიან: ჩვენ არა რუს ერს, არამედ მხოლოდ პოლიტიკოსებს შეურაცხვყოფდითო. –

[12] რუსეთის იმპერიამ 1721-დან 1917 წლამდე იარსება.

მაგრამ პასუხიც ხომ შესაბამისი იქნება: უგუნურნო! თუ პოლიტიკოსებს განაცალკევებთ ერისაგან, მაშინ, როცა რუს იმპერატორებს მფარველობას ევედრებოდით, დასახმარებლად მოვლენილ რუსთა ჯარს ხალხს აკუთვნებდით თუ ხელისუფლებას? თუ ახლანდელ პრეზიდენტს გულისხმობთ, რომელსაც რუსი ხალხის 90 პროცენტი უჭერს მხარს და მისი ლანძღვით თვით ერსაც შეურაცხჰყოფთ? ან იქნებ რუსეთის ეკლესია და მისი იერარქიაა ერისგან გამოსაყოფი, რომელსაც თქვენებური ქრისტიანობის მაღალი სამსჯავროდან ლანძღვასა და გინებას არ აკლებთ?!

ქართული პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულება

დიდთა ქართველთა შეგონებანი, რა თქმა უნდა, სუბიექტური განწყობის შედეგად არ ჩამოყალიბებულა. მას წინ უძღოდა მრავალი ისტორიული მოვლენა, რომლის გამოცდილებითაც უცილობელი დასკვნების გამოტანა გახდა შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შედეგად საქართველომ დაკარგა ერთმორწმუნე და სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც მაჰმადიანურ სახელმწიფოთა გარემოცვაში ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახის შენარჩუნებისთვის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა.

1453 წელს «დაცემა კონსტანტინეპოლისა და საერთოდ ბიზანტიისა იყო ნამდვილი უბედურება არა მარტო ბერძნების, არამედ წინა აზიის ყველა ქრისტიანისთვისაც»; კერძოდ, საქართველოსთვის ამ მოვლენამ მძიმე შედეგები გამოიღო პოლიტიკური, ეკონომიკური და განსაკუთრებით კულტურული თვალსაზრისით. «საქართველო აღმოჩნდა რა მუსულმანური სამყაროს გარემოცვაში, მისმა კულტურამ აშკარად დაცემისკენ დაიწყო გადახრა, ვიდრე იგი შეძლებდა ამ გარემოცვის გარღვევასა და ჩრდილოეთით ხელის გაწვდენას ამ დროისთვის მსოფლიო ისტორიის არენაზე გამოსული „მესამე რომის“, დიდი მოსკოვის სახელმწიფოსაკენ».[13]

[13] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ.,

მიუხედავად გარეგანი ფაქტორებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისა, სახელმწიფოს შიდა რყევები მაინც უფრო მეტად აზიანებს. ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც. ქვეყნის სიმტკიცეს კატასტროფული ბზარები გაუჩინა პოლიტიკურმა დანაწევრებამ ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის **გიორგი VIII**-ს (†1476 წ.) დროს, როცა ქვეყანა სამ სამეფოდ: ქართლის, კახეთისა და იმერეთის, და ხუთ სამთავროდ: აფხაზეთის, ოდიშის, სვანეთის, გურიისა და სამცხის (საათაბაგო), დაიშალა.[14] ამასთანავე, იმერეთისა და ლიხს იქითი სამთავროებისთვის ქუთაისში ახალი საკათალიკოსო კათედრა 1390 წლიდან უკვე არსებობდა, ანუ ერთიანი ავტოკეფალური ეკლესიაც ორად იყო გაყოფილი.

1492 წელს კახეთის მეფე **ალექსანდრე I** ელჩების მეშვეობით რუსეთის მეფე **იოანე III**-ს ატყობინებდა ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ და მისგან დახმარებასა და მფარველობას ითხოვდა; მაგრამ მაშინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ რუსთა მეფეს საშუალება არ მისცა, რომ სპარსთა და თურქთა გამუდმებული თარეშით გატანჯულ ივერიელთა მოსარჩლე გამხდარიყო[15].

1586 წელს[16] მეფე **თეოდორე იოანეს ძის** ბრძანებით საქართველოში[17] წარმოგზავნილი მოენე **ეგნატე რუსინი** მოსკოვში დაბრუნდა და გარდა იმისა, რომ მან საქართველოს სახელმწიფოს შესახებ ცნობები შეკრიბა, თან ივერიელი მთავარის (**князь**) **ალექსანდრე ლევანის ძის**[18] მიერ გამოგზავნილი დესპანებიც ჩამოიყვანა. 9 ოქტომბერს გამართულ აუდიენციაზე მირთმეული წერილიდან მეფემ შეიტყო, რომ მას ქართველები ივერიის მაოხრებელი

1955. გვ. 89.

[14] ჯანაშვილი მ., საქართველოს საეკლესიო ისტორია... გვ. 105.

[15] **Иоселиани Пл., Краткая история...** გვ. 100-101.

[16] ცნობები ამ დროიდან 1740 წლამდე ძირითადად მოყვანილია ფრ. პლოენის რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიის მიმოხილვიდან: **М. Броссе, Переписка...** გვ. I-XCI.

[17] ფრ. პლოენი, XIX ს-ის სხვა ავტორთა მსგავსად, კახეთს საქართველოდ მოიხსენიებს.

[18] იგულისხმება კახეთის მეფე ალექსანდრე II: 1574-1605 წწ. ამ პერიოდში მარტო ერთი წლით, 1602 წ., ტახტი ეპყრა მის ძეს დავით I-ს.

თურქების წინააღმდეგ დახმარებასა და მფარველობას თხოვდნენ.

1587 წლის 11 აპრილს მოსკოვიდან გაგზავნილი ელჩობა მომდევნო წლის 13 ოქტომბერს დაბრუნდა და მეფეს თვით მთავარი **ალექსანდრეს** ხელმოწერილი (28.09.1587) ქვეშევრდომობის აქტი ჩააბარა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მთავარი თავის ბატონიშვილებთან, დიდებულებთან და ივერიის მთელ სამეფოსთან ერთად რუსეთის მეფესა და მის შთამომავლობას მორჩილებას უცხადებდა. ამასთანავე, მთავარი, უკვე როგორც რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი, მეფეს ჯარით დახმარებას თხოვდა, რათა ურჯულოთაგან თავი დაეცვა. ელჩებმა მეფეს მოახსენეს სიტყვიერად დაბარებული თხოვნის შესახებაც: ალექსანდრე თეოდორესგან საქართველოში გამოსაგზავნად სამეცნიერო საგანთა მასწავლებლებს, მღვდლებს, ბერებსა და მხატვრებს ითხოვდა.

1589 წლის 25 თებერვალს შემდგარ აუდიენციაზე ქართველმა ელჩებმა მეფე **თეოდორესგან** მოისმინეს პასუხი, რომ იგი თანახმაა, თავის საფარველქვეშ მიიღოს ივერიის მთავარი და საქართველოში მასწავლებლები, ბერები, მღვდლები და ხატმწერები გამოგზავნოს; ხოლო ელჩებისთვის გადაცემულ წერილში ნათქვამი იყო, რომ ასტრახანისა და ყიზლარის ერისთავებს მიღებული ჰქონდათ ბრძანება, მტრის შემოსევის შემთხვევაში დაეცვათ მთავარი **ალექსანდრე** და მთელი მისი სახელმწიფო. გარდა ამისა, მეფე თავის ჯარს გაგზავნის ლეკების წინააღმდეგ, რათა რუსეთ-საქართველოს შორის მგზავრობა უსაფრთხო გახდეს. ამისთვის კი **ალექსანდრე** და მისი მემკვიდრენი ყოველთვის რუსეთის ერთგულნი უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო თუ ვინმე ღალატს განიზრახავდა, დამნაშავე თვით მთავარს მკაცრად უნდა დაესაჯა.

ელჩებმა ასევე ჩამოიტანეს მოსკოვის პატრიარქის **იობის** ორი წერილი; ერთის ადრესატი იყო მთავარი ალექსანდრე, რომლითაც პატრიარქი იმედოვნებდა, რომ მთავარი მფარველობას გაუწევდა საქართველოში წარმოგზავნილ სასულიერო პირებს; მეორე წერილიც ანალოგიური შინაარსისა იყო და ივერიის მიტროპოლიტის **ნიკოლოზისთვის** იყო განკუთვნილი.

უკვე 1590 წელს, ივერიიდან დაბრუნებული რუსი ელჩები მეფეს

მოახსენებდნენ, რომ მთავარი **ალექსანდრე** მადლიერი იყო მფარველობისა და მისთვის გაგზავნილი საჩუქრებისთვის. საერთოდ, სტუმართაგან საჩუქრების მირთმევა ორივე მხარისთვის დამახასიათებელი ჩვეულება იყო, მაგრამ ჩვენი თხრობა მხოლოდ დიპლომატიურ ურთიერთობათა არსებით საკითხებს ეხება და ამიტომ ძვირფასი მოსაკითხების აღწერაზე ყურადღება არ გადაგვაქვს.

1590 წლის 30 ნოემბერს, მოსკოვში ქართველი ელჩები ჩავიდნენ და 13 დეკემბერს შემდგარ აუდიენციაზე მეფე **თეოდორე იოანეს ძეს** მთავარი **ალექსანდრეს** წერილით აცნობეს, რომ მთიელი ტომები ძალიან აწუხებენ ქართველებს; თავს ესხმიან დღისით და ღამით, ატყვევებენ მათ და მთებში გადაჰყავთ. ამიტომ მთავარი დაბეჯითებით თხოვს მეფეს, რომ ამ მთიელი მტრების წინააღმდეგ საქართველოში თავისი ჯარი გამოგზავნოს. ასევე, ადრე გამოგზავნილი ხელოვანების მიუხედავად, მთავარი ისევ ითხოვს, რომ მეფემ მეჩიტბადენი, მონადირენი და სამი გამოცდილი ფერმწერი გაუგზავნოს, რადგან ათასწლოვანი ქართული ეკლესიების ფრესკები წაიშალა და ადრე ჩამოსულმა ხატმწერებმა ყველა ხატის აღდგენა ვერ შეძლეს. მთავარი აგრეთვე ითხოვდა ზარბაზნის ჩამომსხმელი ოსტატებისა და მეზარბაზნე ჯარისკაცების გაგზავნას, რომელთაც მისი ხმარება ეცოდინებოდათ და ამ საქმეში ქართველთა განსწავლასაც შეძლებდნენ.

1591 წლის 7 მარტს, ქართველ ელჩებს აცნობეს, რომ, მთავარი **ალექსანდრეს** თხოვნის თანახმად, მეფის ბრძანებით ლეკების წინააღმდეგ ჯარი გაიგზავნება, ხოლო საქართველოში მეჩიტბადეებსა და ხატმწერებს მოავლენენ. რაც შეეხება ზარბაზნის ჩამომსხმელ ოსტატებს, ისინი ქალაქ ფსკოვში იმყოფებოდნენ და მანძილის სიშორის გამო მათი ჩამოყვანა სწრაფად ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ, როგორც კი გზა ივერიისკენ უსაფრთხო გახდებოდა, მეფის ბრძანებით მზა ზარბაზნებს ასტრახანიდან საქართველოში ჩამოიტანდნენ.

1593 წლის ივნისში, საქართველოში შედგა ელჩობა თავადის **ივანე ვსევოლოდსკისა**, რომელიც მოსკოვში მომდევნო წლის დეკემბერში დაბრუნდა. იმჟამად თავად **ანდრია ხვოროსტინინს**

ბრძანება მიეცა, რომ აეღო ქ. ყიზლარი და გზა ივერიისკენ სამხედრო ძალით გაეწმინდა. მეფის სახელით, ბოიარინი **ბორის გოდუნოვი** მთავარ **ალექსანდრესგან** წერილობით მოითხოვდა, რომ მას აღნიშნულ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო და მადლიერების გამოსახატავად მეფესთან მისი ძე გიორგი ან კონსტანტინე გაეგზავნა. ამასთან, იგი ალექსანდრეს აუწყებდა, რომ მეფის ბრძანებით ამიერიდან საქართველოსთან დაკავშირებული ყველა საქმე მას ჰქონდა მინდობილი.

1596 წლის 1 ივნისს, მეფე **თეოდორე იოანეს ძემ** ხელმწიფე (Государь)[19] **ალექსანდრესთან** ელჩები გაგზავნა. მეფის ეპისტოლეში ნათქვამი იყო, რომ პირობის თანახმად რუსებმა ბრძოლით აიღეს ქ. ყიზლარი, მაგრამ ლეკების დასამორჩილებლად მომზადებული ლაშქრობისთვის ქართველებმა დამხმარე ჯარი არ გამოგზავნეს. მიუხედავად ჯარის აღჭურვისთვის გაწეული დიდი ხარჯებისა, რადგან ხელმწიფე ალექსანდრე ისევ დებდა ერთგულების პირობას მთელ მის სახლეულთან და ქვეყანასთან ერთად, მეფე ლეკების წინააღმდეგ ჯარს ხელახლა გამოგზავნიდა. ამასთან, მეფე მოხარულია, რომ ალექსანდრემ დაუჯერა მას, თავის სიძეს, ქართლის მეფე **სიმონს** შეურიგდა და საუკუნო ზავი დადო მასთან.

1599 წლის 23 აგვისტოს, ქართველმა ელჩებმა მეფე **ბორის თეოდორეს ძე გოდუნოვს**(რომელმაც სამეფო ტახტი 1598 წლის 17 თებერვალს დაიკავა) ხელმწიფე **ალექსანდრეს** ეპისტოლე გადასცეს, რომლითაც იგი უკმაყოფილებას გამოხატავდა, რომ ამ 12-წლიანი მფარველობის განმავლობაში მეფემ მას არასაკმარისი დახმარება აღმოუჩინა. ამასთანავე, მეფის ჯარს არც ხელმწიფისთვის, არც მისი სამეფოსთვის და ქრისტიანული ეკლესიისთვის არავითარი სარგებელი არ მოუტანია; მიუხედავად მეფის დაპირებისა, ივერია მისი მტრებისგან აოხრებულია, მოსახლეობა

[19] ტიტული თვით ტექსტშია შეცვლილი: მთავარის ნაცვლად ხელმწიფე წერია. რამდენადაც ჩვენ ფრანგულ დედანზე ხელი არ მიგვიწვდა, ძნელია თქმა, თვით ფრ. პლოენი იცვლის პოზიციას თუ ეს რუსული ტექსტის თავისებურებაა. ალბათ, მეორე ვარაუდი უფრო მისაღებია, ვინაიდან, როგორც თხზულების დასაწყისშივე არის მითითებული, ტექსტი რუსულად მთავარი არქივის რამდენიმე მოხელემ თარგმნა (**переведенный чиновниками архива**).

დატყვევებულია, ეკლესია-მონასტრები დაქცეულია და ა.შ.

1601 წლის 25 აგვისტოს, მეფე **ბორისმა** ევერიელი ელჩები გაისტუმრა და თან ხელმწიფე **ალექსანდრესთან** თავისი წარმომადგენლებიც გააყოლა. მიზანი ამ ელჩობისა იყო ხელმწიფე ალექსანდრესა და მთელი მისი სახლისაგან იმ ფიცზე მტკიცებულების მიღება, რომელიც მათ მეფე **თეოდორე იოანეს ძის** მიმართ ჰქონდათ დადებული. მეფის ელჩები **ივანე ათანასეს ძე ნაშჩოკინი** და **ივანე ლეონტიევი** ევერიელ ხელმწიფეებს, **ალექსანდრესა** და **დავით I**-ს 1602 წლის 1 ივლისს ეახლნენ. მოთხოვნის შეტყობინებისთანავე, ხელმწიფეთა და სამეფო კარის ყველა დიდებულის მიერ თავიანთი და ქვეყნის სახელით დადებულ იქნა ერთგულების ფიცი მეფე **ბორის თეოდორეს ძისა** და უფლისწულ **თეოდორე ბორისის ძის** მიმართ.

მალე ამ მოვლენებს არასახარბიელო ფაქტებიც დაერთო. გარდა იმისა, რომ **დავით I**-ს ბრძოლაში ჩართვა მოუხდა, ზაფხულის ისეთი სიცხეები დაიჭირა, მოსახლეობამ მთებს შეფარა თავი. აუტანელმა პაპანაქებამ ბევრი მეჩიტბადის, მწერლის, მოისრისა და სხვა სამეფო ქვეშევრდომის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო თვით რუსი ელჩები დასნეულდნენ. გარდაიცვალა ხელმწიფე დავითიც და ევერიის თვითმპყრობელი ისევ ალექსანდრე გახდა. მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, მას ელჩების კიცხვა არ შეუწყვეტია და სიბრაზისგან მათი გამგზავრების დრო გამოზამთრებამდე გადადო.

1604 წლის 15 თებერვალს, მოსკოვში ჩავიდნენ ევერიის ხელმწიფის **ალექსანდრესგან** ელჩად წარგზავნილი ბერძენი არქიმანდრიტი **კირილე ქსანთოპულოსი** და მდივანი **საბა**, რომელთაც მინისტრებთან, **მიხეილ ტატიშჩევთან** და **გრიგოლ კლობუკოვთან** შეხვედრის დროს ბევრი არასასიამოვნო შეკითხვის მოსმენა მოუხდათ. მათ აინტერესებდათ: ხელმწიფე ალექსანდრემ რატომ მოიხსენია ფრიად უწმაწური სიტყვებით მეფე **ბორის თეოდორეს ძე** და რატომ ჩიოდა მეფისთვის გაგზავნილი საჩუქრების გამო, მაშინ, როცა მეფემ მეგობრული ურთიერთობის აღსანიშნავად საჩუქრების მხოლოდ მცირე ნაწილი დაიტოვა და დანარჩენი ივ-

ერიელ ელჩებს უკანვე დაუბრუნა?

რუსმა მინისტრებმა დასძინეს, რომ მეფის ელჩები **ივანე ნაშჩოკინი** და **ივანე ლეონტიევი** ხელმწიფე **ალექსანდრემ** დიდად შეურაცხჰყო, როცა ისინი ტყეში დაასახლა და მათი თანმხლები პირები შიმშილით ამოწყვიტა, ხოლო იმავე დროს თურქი ჩაუში დიდი პატივით მიიღო და თავისი სასახლის გვერდით დააბინავა; ხელმწიფე **გიორგი** კი, ძე ალექსანდრესი, განჯის თურქი ფაშის **ქაიხოსროს** ასულზე დაქორწინებას ესწრაფოდა. ეს ფაშა ალექსანდრეს სუფრებს არასდროს აკლდებოდა და საპატიო ადგილიც გიორგის ზემოთ ჰქონდა დათმობილი. ყველა ეს ქმედება საძრახისი იყო იმ ფიცის მიხედვით, რომელიც ხელმწიფე **ალექსანდრემ** მეფეს მისცა. ამასთანავე, უსაფუძვლო საყვედურს გამოხატავდა ალექსანდრე იმის თაობაზე, რომ თითქოს მეფემ მას ლეკების წინააღმდეგ ჯარი არ გაუგზავნა. სინამდვილეში ჯარი გასაგზავნად მზად იყო, მაგრამ ალექსადრემ იმდენად დააყოვნა რუსი ელჩების დაბრუნება, რომ შემოწმებას საჭიროებდა გავრცელებული ხმების ნამდვილობა ივერიაში მომხდარი გადატრიალებისა და ალექსანდრეს გარდაცვალების შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც **თეოდორე იოანეს ძის** მეფობისას ხელმწიფე **ალექსანდრემ** ლეკების წინააღმდეგ დახმარების თხოვნით ელჩი გამოგზავნა, მეფემ დაუყოვნებლივ შეასრულა მისი სურვილი. თუმცა, იმის მაგივრად, რომ ალექსანდრეს რუსეთის ჯართან თავისი ძალები შეეერთებინა, მან რუსი ელჩების წინაშე მოიბოდიშა და ლეკებთან დაზავება აღიარა, რაც ლეკების ხელმწიფის ასულზე გიორგი ალექსანდრეს ძის დაქორწინებით იყო განპირობებული.

მაშასადამე, გარემოებანი ცხადჰყოფენ, რომ ხელმწიფე **ალექსანდრე** მეფეს უმოქმედობას არამართებულად მიაწერს. რუსმა მინისტრებმა ასევე თქვეს, რომ ხელმწიფე **დავითს** ივერიის უმაღლესი ხელისუფლების მიღების შესახებ მეფისთვის არაფერი უცნობებია და არც ჯარი უთხოვია ლეკების წინააღმდეგ. ნათლად ჩანს, რომ ალექსანდრე გულწრფელად არ მოქმედებდა, მას განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა თურქებთან და, მიუხედავად მისი პირობისა, ბოლო აუდიენციაზე რუს ელჩებთან ერთად თურქი

ჩაუშის დასწრებისაც არ მორიდებია.

საკმაოდ მძიმე შეკითხვათა მოსმენის შემდეგ ელჩმა **კირილემ** ქრისტიანი ბერის პასუხისმგებლობით თქვა, რომ ხელმწიფე ალექსანდრესგან მეფის წინააღმდეგ არავითარი შეუფერებელი სიტყვა არ სმენია. პირიქით, ალექსანდრე და მთელი მისი სახლი და დიდებულები ლოცულობენ მეფის კეთილდღეობისთვის და მას საქართველოს მფარველობისთვის სასოებენ. ასევე, შეუძლებელია, რომ მთავარი(!) **ალექსანდრე** მეფის მადლიერი არ ყოფილიყო, როცა მისგან ურიცხვი საჩუქარი ჰქონდა მიღებული. რაც შეეხება რუსი ელჩების საკითხს, პასუხისმგებლობა **დავითს** უნდა დაეკისროს, რადგან იგი არა მარტო ეურჩებოდა მამას, არამედ **ალექსანდრე** საქართველოს ხელმწიფის ტახტიდანაც ჩამოაგდო და ამისთვის ღმერთმა იგი ულმობელი სიკვდილით დასაჯა.

მეფის კარის წარჩინებულნი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ტახტის ირგვლივ შექმნილი მოვლენებით, რაზეც ბერმა **კირილემ** თქვა: ერთხელ მთავარი **ალექსანდრე** ციებ-ცხელებით ძლიერ დასნეულდა. ავადმყოფობა იმდენად გახანგრძლივდა, რომ მისი ძენი **დავითი** და **გიორგი** ტახტის ბედზე დაფიქრდნენ. დიდებულთა ხრიკების მიუხედავად, ძმებმა შეძლეს შეთანხმება და გადაწყვიტეს, რომ გიორგი სამფლობელოს გარკვეულ ნაწილს მიიღებდა, ხოლო დავითი მეფედ გამოცხადდებოდა; მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო ვერაგ დიდებულთა წაქეზებას და მამას სამეფო ინსიგნიების – დროშის, გვირგვინისა და ქამარ-ხანჯლის – გადაცემა სიცოცხლეშივე აიძულა.

დავითმა დაახლოებით ერთი წელიწადი იმეფა, მაგრამ ბევრი ბოროტი საქმის აღსრულება მოასწრო. გარდა იმისა, რომ მამას სასტიკად ეპყრობოდა და აშიმშილებდა კიდეც, მის ყველა ერთგულ ადამიანს დაუნდობლად დევნიდა. მან ასეთი ჩვიდმეტი კაცი თავის მოკვეთითა და ხრამში გადაგდებით დაასჯევინა. ბოლოს, როცა ერთმა დავითისგან დევნულმა კაცმა გაქცევა მოახერხა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიას შეაფარა თავი, მაგრამ ეს საცოდავი მაინც გამოათრიეს და პირდაპირ კარიბჭეში მოკვეთეს თავი, მაშინ ამ საქციელით გაგულისებული **ალექსანდრე** ტაძარში

ფეხშიშველი შევიდა და თავის ძეზე ისეთი საშინელი წყევა წარმოთქვა, რომ იმ დღესვე მოიწია მასზე რისხვის ღრუბელი. ჯერ კბილები ატკივდა, შემდეგ ტანი დაუსივდა, ერთ კვირაში კი მთელი ნაწლევნი გარეთ გადმოენთხა და ულმობელი ტანჯვით აღმოხდა სული. მისი სიკვდილის შემდეგ, მთავარმა ალექსანდრემ ძმის მიერ დატყვევებული **გიორგი** გაათავისუფლა და მეფედაც აკურთხა, მაგრამ მმართველობის სადავეები კვლავ თვითონ შეინარჩუნა.

იმავე 1604 წლის 4 მარტს, მეფე **ბორის თეოდორეს ძემ** ქართველი ელჩები, ბერი **კირილე** და მდივანი **საბა** მიიღო, რომლებმაც მას მთავარი **ალექსანდრეს** წერილი ჩააბარეს. იგი მორჩილებასა და კეთილ განწყობილებას გამოხატავდა, მაგრამ მაინც ჩიოდა დანაპირების შეუსრულებლობაზე. ხელმწიფე წერდა, რომ ქართველი ხალხი მოუთმენლად ელის მეფის ჯარს, რომელიც უბედურ ქრისტიანებს მტრის ურდოთა შემოსევებისგან დაიცავს; თვითონ კი რუსეთთან შესაერთებლად ადგილობრივი ჯარი უკვე მზად ჰყავს. წერილი მთავრდებოდა დაბეჯითებითი თხოვნით, რომ იგი მეფემ თავისი მფარველობის ქვეშ მიიღოს და მისი ქვეყანა მტერთა თავდასხმებისგან დაიცვას, რისთვისაც ლეკების სამი ქალაქის აღება იქნებოდა საჭირო.

1604 წლის 19 აგვისტოს, მოსკოვიდან წარგზავნილი ელჩები, **მიხეილ ტატიშჩევი** და **ანდრია ივანოვი** მთავარ **გიორგის** შეხვდნენ და მეფის საჩუქრებიც მას გადასცეს, რადგან მთავარი **ალექსანდრე** ამ დროს სპარსეთის შაჰის კარზე იმყოფებოდა. ელჩებმა გიორგისგან შეიტყვეს, რომ საქართველოს საზღვრებს, ერთი მხრივ, სულთან **მაჰმუდის** წინამძღოლობით თურქთა ლაშქარი, ხოლო, მეორე მხრივ, ლეკები უახლოვდებოდნენ. გიორგის თხოვნითა და ელჩების თანხმობით, ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად ასისთავის **მიხეილ სენოვსკის** მეთაურობით ორმოცი რუსი მსროლელი გამოიყო.

7 ოქტომბერს, **გიორგი** თურქებს საზღვრიდან ერთი დღის სავალზე დაუხვდა. პირველივე ზალპის მიცემისთანავე თურქები უკუიქცნენ; გამოდევნებულმა ქართველებმა ბევრი თურქი დაატყვევეს, ხოლო ადრე ტყვედ ჩავარდნილი თანამემამულენი

გაათავისუფლეს. ბრძოლაში არც ერთი მსროლელი არ დაჭრილა. ლეკებსაც იგივე ბედი ეწიათ, გაქცეულებმა მთებს შეაფარეს თავი.

1605 წლის 1 იანვარს, მთავარმა **გიორგიმ** რუსი ელჩები მოიწვია და მეფისადმი ერთგულების ფიცი მათ წინაშე დადო, ქვეშევრდომობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და ბეჭედიც დაუსვა. მთელი ეს წესი საიდუმლოდ ჩატარდა, რათა შაჰს რაიმე არ შეეტყო; წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავარი **ალექსანდრეს** სიცოცხლეს შესაძლოა საფრთხე შექმნოდა.

8 იანვარს, ელჩებმა კარისკაც **ივანე მიხეილის ძე ბუტურლინისგან** მიიღეს ცნობა, რომ რუსთა ჯარებმა დაღესტანში გააშენეს ახალი ქალაქი ყიზლარი (Тарки, Терки), დაიპყრეს მრავალი ადგილი, გაანადგურეს ან დაატყვევეს მტრის მრავალი მებრძოლი და ხელთ იგდეს დიდი რაოდენობით ხორბალი, ცხენები და საქონლები. ამ ამბების შეტყობინების შემდეგ, მთავარმა **გიორგიმ** ელჩებს თავისი სურვილი გაუზიარა, რომ მათ მისი სახელით მეფისთვის ეთხოვათ საქართველოში ერთი ან ორი ქალაქის გაშენება, რომელშიც ქვეყნის დასაცავად რუსი სამხედრო პირები დამკვიდრდებოდნენ. გიორგი იმედოვნებდა, რომ საქართველოსთვის მფარველობის აღთქმის მიცემის შემდეგ რუსი მეფენი ქრისტიანული ტაძრების აკლებასა და დანგრევას აღარ დაუშვებდნენ.

ამასობაში შაჰმა მთავარ **ალექსანდრესა** და მის ძეს **კონსტანტინეს**, რომელიც მის კარზე იმყოფებოდა, ნება დართო სამშობლოში დაბრუნებისა, ოღონდ იმ პირობით, რომ კონსტანტინეს ქალაქ შემახაზე (ახლ. აზერბაიჯანში) უნდა გაელაშქრა, რისთვისაც შაჰს მრავალრიცხოვანი ჯარი გასაყოლებლად უკვე მზად ჰყავდა.

8 მარტს, ალექსანდრე და კონსტანტინე საქართველოში დაბრუნდნენ და სპარსეთიდან თან ჩამოიყვანეს ოთხი ხანი, ექვსი სულთანი და დაახლოებით რვა ათასი იანიჩარი. ეს პრივილეგიური ქვეითი ჯარი, რომელიც ძირითადად ბავშვობაში ტყვედ წაყვანილი და გამაჰმადიანებული ქართველებისგან შესდგებოდა, სინამდვილეში მარტო შემახას ასაღებად სულაც არ იყო გამიზნული. როგორც რუსი ელჩებისთვის ცნობილი გახდა, სპარსეთის შაჰმა მთავარი **კონსტანტინე** იმ დავალებით გამოუშვა, რომ მთავარი

გიორგი მოტყუებით შეეპყრო და სპარსეთში გაეგზავნა, ან, გარეგმოება თუ ხელს არ შეუწყობდა, მოეკვდინა კიდეც. მართლაც, 12 მარტს, კონსტანტინემ მამაცა და ძმაც, ალექსანდრე და გიორგი, თავიანთ ერთგულ სამღვდელოებასა და დიდებულებთან ერთად ამოხოცა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა, ხოლო რუს ელჩებს შეუთვალა, რომ მთავარი **გიორგი** მეფისა და შაჰის ღალატის გამო დაისაჯა, მას თურქებისთვის საქართველოს გადაცემა ჰქონდა განზრახული; მთავარმა ალექსანდრემ კი მისი ძის ხვედრი იმიტომ გაიზიარა, რომ ისინი თანამოაზრენი იყვნენო.

21 მარტს, რუს ელჩებთან შეხვედრის დროს მთავარმა კონსტანტინემ მათს შეკითხვებს უპასუხა: **შაჰ-აბასი** კეთილგანწყობილია მეფის მიმართ, ხოლო თვით ის შაჰის მხარდაჭერით ხვალ შემახაზე გალაშქრებას აპირებს; რაც შეეხება ალექსანდრესა და გიორგის ხვედრს, ეს ამბავი ელჩებს სულაც არ უნდა აკვირვებდეს, რადგან უწინ თავისი მამა და ძმა თვით ალექსანდრემ მოაკვდინა. კონსტანტინემ ასევე თქვა, რომ შვიდი წლისა იყო, როცა მამამ შაჰს მიაბარა, და იძულებით მაჰმადიანობა მიაღებინეს, მაგრამ ახსოვს ის დრო, როცა ქრისტიანი იყო და წინაპართა მსგავსად ქრისტიანები ყოველთვის უყვარდა. რუსმა ელჩებმა მომდევნო შეხვედრაზე, 31 მარტს, განუცხადეს **კონსტანტინეს**, რომ თუ სურდა მეფის მფარველობის მიღება, მაშინ ერთგულების ფიცი უნდა დაედო. მაგრამ მან, შაჰის მრისხანების მომიზეზებით, ფიცის დადებაზეც და ქრისტიანული სარწმუნოების მიღებაზეც უარი განაცხადა.

კონსტანტინესთან გამომშვიდობების შემდეგ, რუსი ელჩები ქართლის მთავართან, **გიორგი სიმონის ძესთან** გაეშურნენ. მთავარმა ელჩები 28 აპრილს მიიღო. მეფის წერილის გაცნობისა და ელჩთა მოსმენის შემდეგ გიორგიმ განაცხადა, რომ იგი ფრიად კმაყოფილი იყო მეფის მიერ მფარველობის შემოთავაზებით; ის მთელი თავისი ოჯახით ემორჩილება რუსეთის მეფეს და ბოდიშს იხდის, რომ ამ საკითხზე აქამდე ელჩების გამოგზავნა ვერ შეძლო. მან განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა მეფისადმი მისგან შემოთავაზებული მეგობრობისა და მისი ძის, უფლისწულ **თეოდორე ბორისის ძისთვის** გიორგის ასულის, **ელენეს** ხელის თხოვნის გამო.

5 მაისს, რუს ელჩებს მთავარი გიორგის რწმუნებულმა პირებმა, მთავარეპისკოპოსმა **თეოდოსიმ** და თავადებმა, თხოვეს, რომ ელჩებს მეფის ჯარის გარკვეული ნაწილი საქართველოშიც დაეტოვებინათ, რადგან ჩერქეზეთსა და ქართლს შორის მთაში მცხოვრები ოსები ძლიერ ვნებდნენ ქართველებს; მათი რიცხვი 200 კაცს არ აღემატებოდა, მაგრამ ოსთა თარეშის აღკვეთის გარეშე ქართლისკენ მიმავალ გზაზე საფრთხე ყოველთვის იარსებებდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ რუსი ელჩები 150 მსროლელის დატოვებაზე დათანხმდნენ, ოღონდ იმ პირობით, რომ მეფის თანხმობის გარეშე ქართველები სულთანს ომს არ გამოუცხადებდნენ.

10 მაისს გაიმართა ფიცის დადების ცერემონია, რომელზეც ფიცს მეფისადმი ერთგულებისა და მთელი ქართლის საუკუნოდ მფარველობის შესახებ მთავარმა **გიორგიმ** და ელჩებმა მოაწერეს ხელი. მთავარმა ასევე დასძინა, რომ იგი თანახმაა უფლისწულზე მისი ასულის დაქორწინებისა, მაგრამ მას რუსეთში გაამგზავრებს სრულწლოვანების შესრულების შემდეგ, რადგან წმიდა მამებმა ქალის დასაქორწინებელ ასაკად 12 წელიწადი განსაზღვრეს, ხოლო ელენე ჯერ მხოლოდ 9 წლისა იყო.

11 მაისს ქართლიდან გამგზავრებულმა ელჩებმა, გზაში ბევრი უსიამოვნების შემთხვევის შემდეგ, მოსკოვში 18 ნოემბერს ჩააღწიეს და მეფე **ბორის თეოდორის ძეს** მთავარი **გიორგისგან** გამოგზავნილი ბერძნული წერილი ჩააბარეს, რომელშიც აღნიშნული იყო პირობა მეფის მფარველობის მუდმივად მიღებისა და თავისი ასულის უფლისწულზე დაქორწინების შესახებ.

1619 წლის აპრილის თვეში, საქართველოს (კახეთის) მთავრის **თეიმურაზის** მიერ ელჩად წარგზავნილი იღუმენი **ხარიტონი** ერთი წლის მგზავრობის შემდეგ მოსკოვში ჩავიდა და მეფე **მიხეილ თეოდორეს ძეს**(რომანოვი) წერილი ჩაუტანა; ამასთან, სიტყვიერადაც მოახსენა, რომ ხელმწიფე თეიმურაზს თავისი ბაბუის, **ალექსანდრესა** და მამის, **დავითის** მსგავსად სურს, რუსეთის მეფის მფარველობა თვითონაც მიიღოს და მხოლოდ მას ემსახუროს. თეიმურაზი მეფეს წერდა, რომ ორპირი **შაჰ-აბასი** მისი ორი ძის, **ალექსანდრესა** და **ლევანის**, და მისი დედის, **ქეთევან** დედოფლის

სპარსეთში ჩაყვანითაც არ დაკმაყოფილდა და დიდი ჯარით მოულოდნელად საქართველოში შეიჭრა. თეიმურაზმა მხოლოდ მცირე წინააღმდეგობის გაწევა შეძლო და იძულებული გახდა, თავი იმერეთისთვის შეეფარებინა. შაჰმა მისი ქვეყანა ეკლესია-მონასტრებთან ერთად სასტიკად მოაოხრა.

თეიმურაზი ევედრებოდა მეფეს, რომ შაჰისთვის წერილი მიეწერა, რათა მას საქართველოს მტრობა შეეწყვიტა და მისი დედა და შვილები უკან დაებრუნებინა, ან მეფისთვის გადაეცა. მთავარი დასძენდა, რომ იმერეთის მთავარი **გიორგი**, ერისთავი **მამია** (Мануило) გურიელი და ერისთავი **ლევან** დადიანიც თხოვენ მეფეს, რომ ისინიც თავის მფარველობაში მიიღოს და საუკუნოდ ქვეშევრდომებად აღიაროს.

1621 წლის 5 მაისს, მეფემ ივერიელი მთავრებისთვის განკუთვნილი სამი წერილი იღუმენ **ხარიტონს** ჩააბარა. იგი წერდა, რომ ითვალისწინებს მათს თხოვნას და საუკუნო მფარველობის პირობას აძლევს. მოსკოვში ივერიელთა ელჩობის დროს იმყოფებოდა სპარსელი ელჩი **ბულატ-ბეგიც**, ამიტომ მეფემ წერილობითაც და სიტყვიერადაც **აბასს** შეუთვალა, რომ ივერიის ყველა ერისთავი მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და მათი სამფლობელოების მიმართ მტრობა სპარსეთსაც უნდა შეეწყვიტა; ხოლო რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში შაჰი მეფეს უნდა დაკავშირებოდა. იმავდროულად, ყოველი შემთხვევისთვის, მეფემ სპარსეთში თავისი ელჩებიც, **ვასილი კორობინი** და **ევსტათი კუვშინიკოვი**, გაგზავნა.

სპარსეთიდან დაბრუნებულმა ელჩებმა **შაჰ-აბასის** პასუხი ჩამოიტანეს. შაჰის სიტყვით, **თეიმურაზმა** დედა და ორი ვაჟიშვილი მას იმ პირობით დაუტოვა, რომ აბასის მტერ სულთანთან თეიმურაზი კავშირს არ დაამყარებდა; მაგრამ მან სიტყვა გატეხა და თურქეთის სულთანს დაემორჩილა. თუმცა აბასი, როგორც თვითონ თქვა, მეფისადმი სიყვარულის გამო (из любви к Царю), თეიმურაზს დედას, შვილებსა და ყველა მის სამფლობელოს მაინც დაუბრუნებს.

1624 წლის 16 მარტს, მოსკოვში მთავარი **თეიმურაზის** ელჩები, იერუსალიმის წმიდა გოლგოთის მთის მონასტრის მთავა-

რეპისკოპოსი **თეოდოსი** და არქიმანდრიტი **არსენი**, ჩავიდნენ და ბერძნულად ნაწერი წერილები მეფე **მიხეილ თეოდორეს ძისა** და პატრიარქ **ფილარეტ ნიკიტას ძისთვის** ჩაიტანეს. ქართველი მთავარი აცნობებდა მეფეს თავის ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ და სპარსელთა წინააღმდეგ ჯარითა და თანხით დახმარებას თხოვდა. სამწუხაროდ, ამჯერად რუსეთმა ქართველთათვის ხელის გამართვა ვერ შეძლო, რადგან **პოლონელთა** და **ლიტველთა** მიერ მიყენებული ზიანის გამო ბევრი დანგრეული ქალაქი ჯერ კიდევ აღსადგენი იყო, ხოლო ხაზინა – შესავსები, ვინაიდან მტრებმა რუსეთიდან მაშინ მნიშვნელოვანი თანხა გაიტაცეს. თუმცა, მეფე იმედოვნებდა, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე დახმარების საშუალებას გამონახავდა.

1636 წელს, მთავარი **თეიმურაზის** მიერ ახლად დანიშნული ელჩი, ბერძენი არქიმ. **ნიკიფორე** მოსკოვში მეფეს წარუდგა და თავისი ხელმწიფისგან გამოგზავნილი (17.09.1635) წერილი ჩააბარა, რომელიც ბერძნულ ენაზე იყო შედგენილი. საერთოდ, როგორც თვით წერილის ავტორი აღნიშნავდა, ბერძნულს სიფრთხილის გამო იყენებდნენ, რომ გზაზე საძარცვავად გამოსულ ლეკებს, ჩერქეზებს ან ნოღაიდებს[20] უფრო ადვილად სათარგმნელი ქართული ტექსტი არ ჩავარდნოდათ ხელში. ამჯერად, თეიმურაზის მთავარი სათხოვარი დაუნდობელ ლეკთა წინააღმდეგ მეფის ჯარის გამოგზავნა იყო, რომელნიც მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ, რომ ივერიას დაუფლებოდნენ. ქართველი მთავარი მზად იყო, რომ მთელი ივერია, ყველა მისი ტაძრითა და წმიდა საგნებით, დღედმდე საშინელისა სამსჯავროჲსა რუსეთის მეფისთვის მფარველობაში გადაეცა.

1637 წლის 25 აპრილს, **თეიმურაზის** ელჩს მიტროპოლიტ (!) **ნიკიფორეს** მეფესთან გამოსამშვიდობებელი აუდიენცია ჰქონდა. მეფემ მას თავისი ელჩი, თავადი **თეოდორე ვოლკონსკი** და სხვა თანმხლები პირებიც გააყოლა. მათ შორის იყვნენ: მდივანი, მთარგმნელები, აღმწერები, მეჩიტბადენი; არქიმ. **იოსები**, ორი მღვდელი და ერთი დიაკონი; აგრეთვე, მიტრ. ნიკიფორეს თხოვნით, ამალაში

[20] ჩრდილოკავკასიელი ნოღაის ველის თათრები.

ჩაირიცხნენ ხატმწერები, რომელნიც მათთვის საჭირო ოქრო-ვერცხლით, საღებავებითა და იარაღებით იყვნენ მომარაგებული, და მემინენი, თავიანთი მასალითა და ხელსაწყოებით, ეკლესიების სარკმელთა შესაკეთებლად და შუშების ჩასასმელად. რუს ელჩებს დავალებული ჰქონდათ, რომ საქართველოში შექმნილი სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული მდგომარეობა გულდასმით შეესწავლათ.

ოთხი თვის მგზავრობის შემდეგ ელჩები საქართველოში ჩავიდნენ. მთავარ **თეიმურაზთან** აუდიენცია 6 სექტემბერს გაიმართა. მთავარი ელჩებს ხშირად ხვდებოდა და ქვეყნის გასაჭირზე ესაუბრებოდა. იგი განსაკუთრებული გულისტკივილით იხსენებდა თავისი დედის, **ქეთევან** დედოფლის სასტიკ წამებასა და ორი ვაჟიშვილის დასახიჩრებასა და დასაჭურისებას სპარსეთის შაჰის მიერ, რომელმაც ბოლოს უკანასკნელ ნუგეშად დარჩენილი ასულიც გამოგლიჯა და სამივე შვილი თავის კარზე ჰყავდა დატყვევებული. მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყნის გადარჩენისთვის მას სურდა ამ უბედურებათა დავიწყება და თავის ხალხთან ერთად გაზიარება იმ სიხარულისა, რომელიც მეფის წერილებმა მათ განაცდევინა: რუსეთის მეფის პირობა მფარველობისა და მტერთაგან დაცვის შესახებ სპარსთა და ოსმალთაგან გატანჯულ ქართველთა დიდი ხნის ოცნება იყო. თეიმურაზმა მეფის დიდი მოწყალების მოხსენიებისას ქედი მოიდრიკა და სიტყვა განაგრძო: «მე წყვდიადში ვიმყოფებოდი, მაგრამ, მეფის წყალობით, ნათელი ჩემთვის ისევ გამობრწყინდა; მე, ძე ჩემი და მთელი ივერია ვხარობთ, რომ ვიქნებით ქვეშევრდომნი რუსეთის მეფისა».

ორი კვირის შემდეგ, 21-24 აპრილს, მთავარმა **თეიმურაზმა** და ბატონიშვილმა **დავითმა**, მრჩევლებთან და ქვეყნის ყველა დიდგვაროვან გვამთან ერთად, რუსი ელჩების თანდასწრებით ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ქვეშევრდომობის თაობაზე. შემდეგ თეიმურაზი აქტზე დადებულ ჯვარს ემთხვია და, როგორც თვითონ თქვა, ამ მოქმედებით მან ფიცი დადო მეფე **მიხეილ თეოდორეს ძისა** და უფლისწულ **ალექსი მიხეილის ძის** მიმართ, რომ იგი თავის ოჯახთან და მთელ ივერიასთან ერთად საუკუნოდ

იქნება ხელქვეითი მეფისა, რომელმაც, თავის მხრივ, ისინი თავისი მაღალი მფარველობით მტერთაგან უნდა დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის დახმარება აღმოუჩინოს.

1639 წლის 28 აპრილს, რუსი ელჩები გამცილებლებთან ერთად საქართველოდან გაემგზავრნენ და თან წაიღეს მადლიერებით სავსე წერილები, რომელსაც ქართლის მეფე (!) რუსეთის ხელმწიფისადმი გამოხატავდა. თეიმურაზს ასევე ჰქონდა თხოვნა ჯარისკაცთა ჯამაგირისთვის თანხის გამოსაყოფად, რომელიც მეფე **მიხეილმა**, 1641 წელს, მიტრ. **ნიკიფორეს** რუსეთში მეორედ ჩასვლის დროს დააკმაყოფილა და 20.000 ტალერი (ефимок[21]) გაუგზავნა. გარდა ამისა, საჩუქრად თეიმურაზის ოჯახის წევრებისა და დიდებულებისთვის ელჩს 2.200 რუბლის ღირებულების სიასამურის ბეწვეული გაატანეს.

1642 წლის აგვისტოს დამდეგს, რუსი ელჩები, თავადი **მიშეცკი** და მდივანი **ივანე კლიუჩარევი**, ბევრი ხიფათის შემთხვევის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდნენ. ელჩებმა მეფე **თეიმურაზისგან** მოისმინეს, რომ საქართველოს საზღვრებში ლეკებისა და ყუმუხების უეცარ შემოჭრებს საშინელი შედეგები მოსდევს. მეფე ფიქრობდა, რომ მისადმი რუსი ხელმწიფის კეთილგანწყობამ ბევრ მეზობელს შური აღუძრა და მისი ქვეყნის ძირფესვიანად განადგურება გადააწყვეტინა; ხოლო თუ კავკასიელი მთიელებისა და სპარსეთის შაჰის მხარეზე დარჩებოდა გამარჯვება, მაშინ იგი თავის სამშობლოში თავშესაფარს ვერ ჰპოვებდა და იძულებული შეიქნებოდა, მოსკოვში დიდ ხელმწიფესთან წასულიყო.

ელჩებმა თავიანთი თვალით იხილეს შაჰისა და მთიელთა თარეშის კვალი: დარბეული და გაძარცული წმიდა ტაძრები, გავერანებული და ნანგრევებად ქცეული უზარმაზარი სეფედარბაზები. საქართველოში ქალაქები აღარ არსებობდა, მათ ადგილებზე დაქცეულ შენობათაგან წარმოქმნილი ზვინებიღა იყო დარჩენილი. დაწვრილებით ამ სავალალო მდგომარეობის შესახებ თავადი **მიშეცკის** ელჩობის დროინდელ ოქმებში არის აღწერილი.

[21] მსხვილი ვერცხლის ფული. ამჟამად ერთი ასეთი მონეტის ნომინალური ღირებულება 2000 დოლარზე მეტია.

1638 წელს, ერისთავმა **ლევან** (Леонтий) დადიანმა, პირველად ისტორიაში, რუსეთში თავისი ელჩი მღვდელი **გაბრიელი** გააგზავნა. მოსკოვში საელჩოს მდივნებს გაბრიელი უყვებოდა, რომ მისი ქვეყანა საქართველოში გამეფებული მართლმადიდებლობის აღმსარებელია, ეკლესია-მონასტრები ბევრი აქვთ, უმაღლეს სასულიერო იერარქად აღიარებენ პატრიარქ **მალაქიას**, რომელსაც რეზიდენცია ბიჭვინთის მიძინების მონასტერში აქვს. ლევანის მამის ერისთავობის დროს, მისი ქვეყანა თურქეთის ოლქს წარმოადგენდა და სულთანს ხარკს უხდიდა, ლევანი კი უკვე 20 წელიწადია თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართავს და ხარკსაც არავის უხდის. ერთი სიტყვით, სამეგრელოს ელჩმა თავისი ქვეყნის სამხედრო, სამეურნეო და სავაჭრო მდგომარეობა, რამდენადაც შეეძლო, სრულყოფილად აღწერა.

მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი გაბრიელის ნაამბობში ქვეყნის წინაშე არსებული რაიმე საფრთხის შესახებ მინიშნებაც არ არის, ლევან დადიანი მეფისადმი მიწერილი ეპისტოლით თხოულობდა, რომ იგი რუსეთის მეფეს მისი მტკიცე ხელის მფარველობის ქვეშ მიეღო და პირობას დებდა, რომ სარწმუნოებითა და სიმართლით ემსახურებოდა მას.

1639 წლის მაისის თვეში, მღვდელ **გაბრიელს** უკან დაბრუნებისას თან გამოჰყვნენ მოენე **თეოდოტე ელჩინი** და მღვდელი **პავლე**, რომელთაც განკარგულება ჰქონდათ მიცემული, ყურადღებით გაცნობოდნენ სამეგრელოს საეკლესიო საქმეს და შეეკრიბათ ცნობები სადადიანოს მმართველობის, ძალისა და სამფლობელოს შესახებ.

1640 წლის 4 დეკემბერს, რუსი ელჩები მოსკოვში დაბრუნდნენ.

1649-ში, რომანოვთა დინასტიიდან მეორე მეფის **ალექსი მიხეილის ძის** ტახტზე ასვლის მეორე წელს, მოსკოვში მეფე **თეიმურაზისგან** წარგზავნილმა ელჩმა რუსეთის მეფესთან ჩაიტანა ეპისტოლე, რომელიც შეიცავდა თეიმურაზის ფიცს რუსეთისადმი ქვეშევრდომობაზე, როგორც მაშინდელი, ისე წინანდელი მეფის მიმართ; სასოებას, რომ იგი დიდი მფარველის მიერ ურჯულოთაგან იქნებოდა დაცული; დაპირებას, რომ მოსკოვში სამეფო

სამსახურისთვის თავის შვილიშვილს, ბატონიშვილ **გიორგის** გააგზავნიდა; თხოვნას, რომ მისი მეორე შვილიშვილი **იოსები** ღირსი გამხდარიყო რუსეთის ხელმწიფის დის ხელისა; და შეხსენებას, რომ საქართველოს სიწმიდეთა ხელახლა განხილვისთვის სასულიერო პირთაგან ვინმეს გამოგზავნა იყო აუცილებელი. ქართველი ელჩის სიტყვით, თეიმურაზს ოთხი მცირეწლოვანი შვილიშვილი ჰყავდა: ლუარსაბი, გიორგი, იოსები და ნიკოლოზი. ქართველი მეფე ასევე ითხოვდა, რომ მისი ეჩლი სპარსეთის შაჰის მსტოვრებისგან დაეცვათ, რისთვისაც რუსეთის სამეფო კარმა ზომები მიიღო და შაჰთან შიკრიკი გაგზავნა.

1652 წლის 12 ნოემბერს, რუსეთის მეფესთან იმერეთის მეფე **ალექსანდრეს** ელჩთა აუდიენცია შედგა, რომელზეც მას ეპისტოლე გადასცეს; ხოლო უკვე მომდევნო წლის მაისში ალექსანდრემ მიიღო პასუხი, რომლითაც მეფე **ალექსი** მას მტერთაგან დაცვას ჰპირდებოდა; იმერეთის მეფეს კი რუსეთისადმი ერთგულება წმინდად უნდა დაეცვა; ხოლო ფიცის ეპისტოლეს, ალექსანდრესა და მისი სახელმწიფოს მიერ რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე, ალექსის წყალობის სიგელი ჰქონდა დართული.

1653 წლის 27 დეკემბერს, მოსკოვში **თეიმურაზის** შვილიშვილი, ბატონიშვილი **ნიკოლოზი** ჩავიდა თავის დედასთან, ლევანის ასულ **ელენესთან** ერთად; მათი თანმხლები პირები, თავადი **ქაიხოსრო აბრამოვი** და არქიმ. **გერმანე** მეორე წელსვე საქართველოში დაბრუნდნენ რუს ელჩებთან, **დიმიტრი გორიხვასტოვსა** და **გლებ პატრიკიევთან** ერთად, რომელნიც ქართლისა და კახეთის მეფეებთან იყვნენ წარმოგზავნილნი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი გზაზე დაიღუპნენ. ამიტომ მომდევნო წელსვე, 1655-ში ახალი ელჩობა შედგა; **ვასილი ჟიდოვინოვმა** და მდივანმა **თეოდორე პოროშინმა** მეფე **თეიმურაზს** 6000 ეფიმოკი და ბევრი სიასამურის ბეწვი ჩაუტანეს; ხოლო ჯარისა და საზარბაზნე ყუმბარების გამოგზავნის თაობაზე, რუსი ხელმწიფე ქართველ მეფეს სწერდა, რომ პოლონეთთან ომის გამო ამ თხოვნის დაკმაყოფილებას ჯერჯერობით ვერ შეძლებდა, მაგრამ ლაშქრობიდან ჯარის დაბრუნების შემდეგ **თეიმურაზს** დახმარების გარეშე არ დატოვებდა.

მალე ელჩები ქართლიდან იმერეთში გადავიდნენ და მეფე **ალექსანდრეს** წარუდგნენ. მეფემ სტუმრები თბილად მიიღო და მათ საპატივცემულოდ იმ დღესვე სადილი გამართა, რომელზეც რუსეთის ხელმწიფის სადღეგრძელო საყვირებისა და დაფდაფების ხმათა თანხლებით შეისვა.

მოენე **ილია სტოიანოვი**, რომელიც ელჩებზე ადრე დაბრუნდა მოსკოვში, ყვებოდა, რომ ერისთავმა **ლევან** დადიანმა **თეიმურაზს** შერიგებისა და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების თაობაზე დესპანები არაერთხელ გაუგზავნა, მაგრამ ქართლის მეფე მასთან ზუგდიდში შეხვედრას მხოლოდ კათოლიკოსის შუამდგომლობის შემდეგ დათანხმდა. თუმცა, ლევანის უსაზღვრო მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა და ვიზიტს არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. პირიქით, მოენის აზრით, ერისთავი ურჯულოთა მფარველობისა და მართლმადიდებელთა აკლების გამო სასჯელს იმსახურებდა; იგი არა მარტო თეიმურაზს, არამედ საერთოდ ქრისტიანებს, შაჰის დახმარებით იკლებს, თორემ მასთან გასწორებას იმერეთის მეფე **ალექსანდრე** და ქართლის მეფე **თეიმურაზი** გაერთიანებული ძალებით შეძლებდნენო.

რუსი ელჩების დაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე, მოსკოვში **თეიმურაზის** შიკრიკი **ივანე ჩაშნიკი** ჩავიდა. ქართველი მეფე ჰმადლობდა რუს ხელმწიფეს შაჰის წინაშე შუამდგომლობისთვის, რათა მას კახეთი პირვანდელი მფლობელისთვის დაებრუნებინა; ასევე იგი აცნობებდა მეფე **ალექსი მიხეილის ძეს**, რომ შაჰისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა მისი სამი შვილის მიტაცება და ახლა შვილიშვილის, ბატონიშვილ **დავითის** ასულის გაგზავნასაც ითხოვს; ხოლო ბატონიშვილ **ნიკოლოზისა** და მისი დედის მგზავრობის დროს, მათი გამცილებელი ქართველი ელჩი, თავადი **ივანე** ყუმიხებმა მოკლეს, მისი დატყვევებული ცოლ-შვილი კი, ნაძარცვ ნივთებთან ერთად, შაჰს გაუგზავნეს; დაბოლოს, თეიმურაზი რუს მეფეს არწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო დაპყრობა მთიელი ხალხისა, რომელნიც სპარსელებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ.

1656 წელს, ქართველი ელჩის მიერ რუსი ხელმწიფისთვის მირთმეულ სიგელში ეწერა, რომ მეფე **თეიმურაზი** ფრიად კმაყ-

ოფილი იყო იმ ცნობით, რომ რუსეთის ხელმწიფემ ბატონიშ-ვილი **დავითის** ვაჟიშვილი პოლონეთის წინააღმდეგ წარმოებულ ლაშქრობაში წაიყვანა; ხოლო თვით წუხდა იმაზე, რომ უკვე რვა წელიწადია, რაც განდევნილია თავისი სახელმწიფოდან, ახლა კი შაჰი იმერეთის მეფის სამფლობელოდან განდევნასაც უპირებს, ამიტომ თეიმურაზი ითხოვდა დახმარებას, რომ დროებით რუ-სეთში გადასულიყო და ხელსაყრელ ვითარებას იქ დალოდებოდა.

1657 წელს, რუსეთში თუშეთიდან ელჩები ჩავიდნენ, მაგრამ მათს თხოვნას ქვეშევრდომობის მიღებაზე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია; ხოლო მომდევნო, 1658 წელს, მოსკოვში მეფე **თეიმუ-რაზთან** ერთად ჩასულმა თუშებმა ქვეშევრდომობა მიიღეს და დასაჩუქრებულნიც გამოემგზავრნენ.

იმავე 1657 წელს, იმერეთის მეფე **ალექსანდრე** თავისი ელჩის **ლუკინის** ხელით გაგზავნილი წერილით რუსეთის მეფეს განცდილ სიხარულს უზიარებდა, რომელიც რუსული იარაღით მოპოვებული გამარჯვებების გამო რუსეთის მტერთა შორის აღძრული დიდი შიშით იყო გამოწვეული. ალექსანდრე შუამდგომლობდა დედო-ფალ **ელენესა** და მისი ძისთვის, და იმედოვნებდა, რომ ისინი ხელმწიფის კეთილგანწყობას დაიმსახურებდნენ. ქართველი მეფე ასევე აღნიშნავდა, რომ მისი და **თეიმურაზის** ურჯულო მტერთა რიცხვი ერისთავი დადიანის სახით კიდევ უფრო გაიზარდა; იგი ურჯულოთა სარწმუნოებით იყო მოხიბლული და ქრისტიანისთვის შეუფერებელ სიცოფეს ავლენდა.

როგორც აღვნიშნეთ, 1658 წელს, ხელმწიფესთან მეფე **თეიმუ-რაზის** აუდიენცია შედგა. იგი ამბობდა, რომ რუსეთის ქვეშევრდო-მობის მიღების შემდეგ **შაჰ-აბასმა** მთლად აიკლო საქართველო. ქვეყნის გადასარჩენად მან სპარსეთში დედა და ორი ვაჟი გაგ-ზავნა, მაგრამ შაჰმა მათ ტანჯვა და წამება შეამთხვია. **ქეთევან** დედოფლის წმიდა ნაწილები თეიმურაზს საიდუმლოდ ჩამოუ-ტანეს. მტრებისა და მოღალატეებისგან ქვეყნის გასაწმენდად იგი 30.000-კაციან ჯარს ითხოვდა, მაგრამ ისევ პოლონეთთან ომის გამო ქართველი მეფე უარით გამოისტუმრეს, სექტემბერში 1659 წლისა. მას მხოლოდ 6000 რუბლი და სიასამურის 3000 რუბლის

ღირებულების ბეწვეული გამოუყვეს.

იმავე 1659 წელს, იმერეთის მეფე **ალექსანდრემ** ხელმწიფეს შეატყობინა ერისთავი **ლევან** დადიანის გარდაცვალებისა და მისი ვაჟიშვილის დატყვევების შესახებ; აგრეთვე, თხოვნა დადიანთა საერისთავოსთვის რუსეთის ქვეშევრდომობის მინიჭების თაობაზე.

აღნიშნულ 1659 წელსვე, მეფე **თეიმურაზმა** რუსეთის ხელმწიფეს აცნობა სამწუხარო ამბავი თავისი შვილიშვილის გარდაცვალების შესახებ, რომელიც ივერიის სამეფო ტახტის მემკვიდრედ ეგულებოდა, და მისი და დედოფლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მონაზვნად აღკვეცის თაობაზე, რათა თავიანთი სიცოცხლის ბოლო დღეები მონასტრულ სიმყუდროვეში და საკუთარ ცოდვათა დატირებაში გაეტარებინათ. ამიტომ ქართველი მეფე თხოვდა ხელმწიფეს, რომ რუსეთის სამეფო კარზე მყოფი ბატონიშვილი **ნიკოლოზი** საქართველოში გამოეგზავნა და მისთვის ტახტზე ასვლის ნება დაერთო, რადგან თავისი გვარიდან სხვა მემკვიდრე აღარავინ ჰყავდა. ამის თაობაზე რუსეთის ხელმწიფეს საშუამდგომლო წერილით მიმართა მეფე **ალექსანდრემაც** და თან აცნობა, რომ **თეიმურაზის** რუსეთში ვიზიტის დროს, ხუთი ფაშის წინამძღოლობით იმერეთს მოადგა თურქ-სპარსელთა მრავალრიცხოვანი ჯარი, მაგრამ ყველა ნაწილი განადგურებულია, ფაშები და მტრის ბევრი მებრძოლი დატყვევებულია და იმერეთის მიწა ურჯულოთაგან სრულიად გაწმენდილიაო.

ხელმწიფემ ქართველ მეფეთა სამართლიანი თხოვნა დააკმაყოფილა და 1660 წლის 3 ივნისს, უსაფრთხოების ყველა ზომის მიღების შემდეგ, ბატონიშვილი და მისი დედა **ელენე** სამშობლოში გამოამგზავრა. ამალაში ქართველ და რუს ელჩებთან ერთად შედიოდა ბოქაული **დიმიტრი დოლინსკი**, რომელსაც მგზავრების მიცილება ევალებოდა თვით საქართველოს საზღვრამდე. ხელმწიფე განსაკუთრებულ კეთილგანწყობას გამოხატავდა იმერეთის მეფის მიმართ, რომელმაც, თეიმურაზის არყოფნის მიუხედავად, იმერეთში შეჭრილ თურქებსა და სპარსელებს მუსრი გაავლო.

ბატონიშვილ **ნიკოლოზთან** ერთად მყოფი რუსი ელჩები ხელმ-

წიფეს ასტრახანიდან წერილით მოახსენებდნენ, რომ იმერეთის მეფე **ალექსანდრე** მოულოდნელად გარდაიცვალა; რომ ქვრივი დედოფლის ბრძანებით მის გერს, ბატონიშვილ **ბაგრატს** თვალები ამოშანთეს, თვითონ კი სხვაზე გათხოვდა; რომ ეს დედაკაცი თავის ქმართან ერთად, ისევე როგორც ბედკრული ბაგრატი, დადიანთა ქვეყანაში გადაასახლეს; რომ შაჰმა **თეიმურაზი** სპარსეთში წაიყვანა და ქართლი, კახეთი და იმერეთის მესამედი დაიპყრო, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი ერისთავ **ლიპარიტ** დადიანის ხელში გადავიდა; რომ მთელ იმერეთში საშინელი შინაბრძოლები წარმოიქმნა; ამიტომ ისინი ხელმწიფის შემდგომ ბრძანებას ასტრახანში დაელოდებოდნენ.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ელჩებმა ბრძანება მიიღეს, რომ ბატონიშვილთან და დედოფალთან ერთად მოსკოვში დაბრუნებულიყვნენ. მათ გზაში თუშებიც შეუერთდნენ, რომელთაც მიტროპოლიტი **ეპიფანე** წინამძღოლობდა. თუშებს რუსეთის ქვეშევრდომობაზე უკვე ფიცი ჰქონდათ დადებული და ახლა შაჰისაგან თავის დასაცავად და დახმარების მისაღებად ხელმწიფესთან მიემართებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ექვსწლიანი მგზავრობის შემდეგ, 1666 წელს ბატონიშვილი და დედოფალი ამალასთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ.

1669 წელს, იმერეთის მეფე **ბაგრატმა** მოსკოვში ელჩებად მიტროპოლიტები, **გედეონი** (ან **ევდემოზი**) და **დიმიტრი** გაგზავნა. იგი ხელმწიფეს წერდა მისი დედინაცვლის სიცოფეთა და სამეფო ხაზინის გაძარცვის შესახებ, რომელიც ახლა სულთნის მფარველობით ქუთაისსა და ლიხთიმერეთში მბრძანებლობდა. თვით ბაგრატი კი გამოხატავდა სურვილს რუსეთის ხელმწიფისადმი სამსახურისა და თხოვდა მას, რომ, აწ განსვენებული მამის, მეფე **ალექსანდრესთვის** მინიჭებული უფლების მსგავსად, ბეჭედი რუსეთის გერბით მისთვისაც დაემზადებინათ.

ბაგრატისგან განსხვავებულ პოზიციაზე იდგა ბატონიშვილი **ნიკოლოზი**, რომელიც თავისი დეიდის გამართლებას ცდილობდა და ბაგრატის წინააღმდეგ ჩადენილ ყველა ბოროტებას, მათ შორის დაბრმავებას, ფეოდალებს აბრალებდა. საქმე იქამდე მივიდა,

რომ ხელმწიფის დავალებით ჭეშმარიტება გამოიძიეს და მეფე **ალექსანდრეს** ქვრივის ბრალეულობა ძალაში დატოვეს. მთავარი მიზეზი ამისა გამოდგა მიტრ. **გედეონის** ჩვენება, რომელზეც იმდენად განრისხდა ბატონიშვილი, რომ გედეონი წმ. კირილეს მონასტერში თითქმის სამი წლით გამოაკეტვინა. იგი დედოფალ **ელენეს** თხოვნით გაათავისუფლეს 1675 წლის სექტემბერში და სამშობლოში გაამგზავრეს.

1676 წელს აღესრულა მეფე **ალექსი მიხეილის ძე**, ტახტზე მისი მემკვიდრე **თეოდორე ალექსის ძე** ავიდა.

1680 წელს, მოსკოვში ჩავიდა მეფე **არჩილის**, შაჰ-ნავაზის (ვახტანგ V) ძის მიერ წარგზავნილი არქიმ. **მაკარი** იმ მიზნით, რომ რუსეთის მეფის წინაშე დახმარების მისაღებად ეშუამდგომლა და არჩილის მოსკოვში ჩასასვლელად უფლება მოეპოვებინა, რათა მას რუსეთისთვის ქვეშევრდომობა ეთხოვა და ამით თავიდან აეცილებინა შაჰის მრისხანება, რომელიც მთელ მის ოჯახს გამაჰმადიანებით ემუქრებოდა. არქიმანდრიტისთვის გამოტანებული წერილით ხელმწიფე ქართველ მეფეს ჰპირდებოდა, რომ ქრისტიანული რწმენის დაცვისთვის მისი ძლიერი ხელის ქვეშ მფარველობას მიიღებდა.

1681 წლის სექტემბრის თვეში, ისპაანიდან დედოფალ **ელენესა** და ბატონიშვილ **ნიკოლოზისგან** წარგზავნილმა მაცნემ **მათე ივანოვმა** მოსკოვში ჩაიტანა ცნობა, რომ დედა და შვილი **თეოდორე ალექსის ძის** მაღალ მფარველობას სასოებენ, რათა შაჰმა ურჯულოთა ქვეყნიდან საქართველოში მათი დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღოს. სხვათა შორის, მაცნემ ისიც თქვა, რომ **ნიკოლოზს** მაჰმადიანობის მიღება აიძულეს; თუმცა მას სინამდვილეში ქრისტიანობა არ დაუგდია და ღამღამობით საიდუმლოდ ლოცულობსო. სამწუხაროდ, როგორც განგებამ ინება, რუსეთში მაცნეს ჩასვლის დროს 21 წლის ხელმწიფე **თეოდორე** უკვე მარადისობის მკვიდრი გამხდარიყო (27.04.1681), ხოლო ახალაღსაყდრებული მეფენი **იოანე** და **პეტრე ალექსის ძენი**, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯების გადასადგმელად ჯერ-ჯერობით მზად არ აღმოჩნდნენ.

1682 წლის 1 თებერვალს, იმერეთის მეფე **არჩილის** ელჩები, არქიმ. **გაბრიელი** და მესაწოლე თავადი **დიმიტრი ქვარიანი** მოსკოვში ჩავიდნენ, რათა ხელმწიფისთვის გადაეცათ ქართველი მეფის თხოვნა ოსების წინააღმდეგ ჯარის გამოგზავნის თაობაზე. მალე, ისარგებლა რა ნებართვით რუსეთში ჩასვლისა, თვით არჩილი ცოლ-შვილთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა. მას სხვადასხვა მიზეზთა გამო გზადაგზა შეყოვნება მოუხდა, მაგრამ 1685 წელს სამეფო ქალაქში ჩავიდა და რუსეთის ხელმწიფეთა აუდიენციის ღირსი გახდა.

1687 წლის 19 დეკემბერს, რუსეთის საელჩომ თბილისიდან ქართლის მეფე **გიორგის**, **არჩილის** ძმის, უწყება მიიღო, რომელიც წმ. დიდმოწამე გიორგის მონასტრის არქიმ. **ლავრენტიმ** წარადგინა. ამ უკანასკნელის სიტყვით, შაჰის იძულებით გიორგი თუმცა მუსლიმი გახდა, მაგრამ ქრისტიანულ სარწმუნოებას მაინც იცავდა. გიორგი თავის მხრივ მეფეებს სწერდა, რომ არჩილის წასვლით ურჯულოებმა ისარგებლეს და ქვეყანა ძლიერ ააოხრეს; მან კარგად იცის ეს მხარე და ზომების მიღებასაც უკეთ შეძლებს, თუ როგორ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი სამფლობელო და რუსეთის სახელმწიფოს როგორ შევუერთოთ. ამიტომ არჩილის საქართველოში დაბრუნება აუცილებელიაო.

იმერეთის მეფე ძმის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა და თავის ვაჟიშვილებთან, **ალექსანდრესა** და **მათესთან** ერთად საქართველოში გამოემგზავრა, ხოლო მისი მეუღლე დედოფალი **ეკატერინე დავითის ასული** მოსკოვში დარჩა, რომელსაც ამალასთან ერთად ყოფითი საჭიროებისთვის წარსაგებელი დაენიშნა, ყოველწლიურად 2000 რუბლის ოდენობით.

1689 წლის 26 ივლისს, მოსკოვში ბატონიშვილების, **ალექსანდრესა** და **მათეს** წარგზავნილი დიაკონი **გაბრიელი** ჩავიდა. საელჩო ოქმში გაბრიელის მიერ ჩაწერილია, რომ მეფე **არჩილმა** საქართველოში ჩასვლის შემდეგ თავისი ძმის, მეფე **გიორგისგან** შეიტყო მათი მხარდამჭერი თავადების მზადების შესახებ. თვით გიორგი კი, რომელიც ქართლიდან განდევნილი იყო ბატონიშვილ **ნიკოლოზ დავითის ძის** მიერ სპარსელთა ჯარის დახმარებით, მხოლოდ იმ

იმედით ცხოვრობს, რომ ძმა თავშესაფარს მისცემს, თუკი მან იმერეთის დაბრუნება შეძლო.

მომდევნო, 1690 წელს, მეფე **არჩილისგან** მოსკოვში გაგზავნილი იმერელი მაცნე **მაკარი** ყვებოდა, რომ არჩილმა 7000-კაციანი ლაშქარი შეკრიბა; აქედან, რაჭის ერისთავის მიერ გამოყვანილი იყო 2000 კაცი, ხოლო დადიანის მიერ – 3000, დანარჩენი იმერლები იყვნენ. არჩილი რაჭაში შეება იმერეთის მეფე **ალექსანდრეს**, რომელიც იმერლებისა და თურქებისგან შემდგარ 15.000-იან ჯარს მეთაურობდა. მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობის გამო, ერისთავმა **გიორგი** დადიანმა ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი თქვა. ბრძოლა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ ორივე მხარემ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. არჩილი, ძმასთან და დადიანთან ერთად, ოდიშში გადავიდა, სადაც ელოდება სულთანის გადაწყვეტილებას იმერეთის ტახტის დაბრუნების თაობაზე.

თვით **არჩილი** რუსეთის ხელმწიფეთ[22] წერდა, რომ მისმა ძმამ, **გიორგიმ** შაჰის სურვილი შეასრულა და მასთან ძმა **ლევანი** და ძე **ბაგრატი** გაგზავნა; იგი იმედოვნებს, რომ თავის სამფლობელოს დაიბრუნებს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, რუსეთში გამგზავრებას აპირებს. თვითონ არჩილი კი თავის თავზე ყვებოდა, რომ იმერეთში ლაშქრობა მოვაწყვე, მაგრამ ღალატის გამო მარცხი განვიცადეო.

1693 წელს ბატონიშვილი **მათე** გარდაიცვალა.

1694 წელს, თურქული ჯარი სამი ფაშის მეთაურობით იმერეთის საზღვრებს მიუახლოვდა და მეფე **არჩილი** იძულებული შეიქნა, ქუთაისიდან ქართლში თავის ძმასთან, **გიორგისთან** წასულიყო. იმავე წლის ოქტომბერში, არჩილი ხელმწიფეებს აცნობებდა, რომ მას იმერეთი იმ შემთხვევაში დაუბრუნდებოდა, თუ რუსეთი ყირიმის ხანთან ომს შეწყვეტდა.

1695 წელს, **არჩილმა** რუს ხელმწიფეთ სამადლობელი წერილი გაუგზავნა იმის გამო, რომ აწ განსვენებულ მის ძეს **მათეს** დასა-

[22] 1682 წლიდან 1696 წ. 29 იანვრამდე რუსეთს ჰყავდა ორი ნომინალური ხელმწიფე – მცირეწლოვანი პეტრე და ჭკუასუსტი ივანე V. მათ რეგენტად პრინცესა სოფია იდგა(რედ.).

ფლავებაზე მათი დასწრებით პატივი მიაგეს. ამასთან, იგი იმეორებდა თხოვნას ყირიმის ხანთან ომის შეწყვეტის თაობაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი სურვილიღა ჰქონდა, რომ თვითონაც რუსეთში მომკვდარიყო და თავის შვილებთან ერთად განესვენა.

1700 წელს, მოსკოვში იმერეთის მეფე **არჩილის** ჩასვლის შემდეგ, მას და მის ძეს **ალექსანდრეს**, ფულადი წარსაგებელის ნაცვლად, სასახლის საბატონო სამი ქალაქი გადასცეს, ყველა სოფელთან და სარგოსთან ერთად.

1703 წელს, თავადი **გოლოვინის** თხოვნით მეფე **არჩილი** საქართველოს იმჟამიმდელ მდგომარეობას ამგვარად აღწერდა: საქართველოს ერთ ნაწილს შაჰი დაეუფლა, მეორეს – სულთანი. ამ უკანასკნელის ხელშია: სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო (ანუ ოდიში, ან კოლხეთი), გურია, აფხაზეთი და ჯიქეთი. ხალხი ყველგან აღიარებს ქრისტიანულ სარწმუნოებას, გარდა მცირე რაოდენობის სომხებისა და ებრაელებისა. დანარჩენ საქართველოს, ქართლსა და კახეთს, შაჰი ფლობს; მოსახლეობა აქაც ქრისტიანულია. თუ ხელმწიფე მათ დახმარებას გაუწევს, ქუდზე კაცი გამოვა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებსო.

არჩილი მეორე წერილით **გოლოვინს** თხოვდა, რომ ხელმწიფესთან ეშუამდგომლა რამდენიმე ქართულენოვანი საეკლესიო წიგნის დაბეჭდვის თაობაზე, რომელთაც საერთო მოხმარებისთვის სამშობლოში გააგზავნიდა.

1722 წლის 2 ივნისს, თავადი **ბორის თურქისტანოვის** ხელით გაგზავნილ წერილში რუსეთის იმპერატორი **პეტრე I** პრინცს **ვახტანგს** (მეფე ვახტანგ VI) სწერდა, რომ სპარსეთის წინააღმდეგ აუცილებელი იყო სამხედრო ძალების გაერთიანება და ასევე, რაც შეიძლება სწრაფად, ლეკებზე თავდასხმა, რომლებიც საქართველოსაც და რუსეთსაც ზიანს აყენებენ.

იმპერატორისადმი გაგზავნილი საპასუხო ეპისტოლეთი **ვახტანგი** სიხარულს გამოხატავდა წერილის მიღების გამო და არწმუნებდა მას რუსეთის გვირგვინოსანთა მიმართ თავის მორჩილებაში.

1725 წელს, მოსკოვში პრინცს **ვახტანგთან** ერთად მისი ძე **ბაქა-**

რი და ძმა **სიმონი** ჩავიდნენ[23]. მმართველი სენატის ბრძანებით, პრინცის ოჯახს წარსაგებელი დაენიშნა, ყოველწლიურად 24.000 რუბლის ოდენობით; რათა პრინცი ურჯულოთაგან სამშობლოს გასანთავისუფლებლად ხელსაყრელ დროს რუსეთში დალოდებოდა.

1726 წელს, რუსეთის მინისტრთა საბჭომ ქართველ პრინცს გააცნო საიდუმლო სახელმწიფო გეგმა, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ სპარსეთის მიმხრობას ისახავდა მიზნად. დიპლომატიური მისიის შესასრულებლად საუკეთესო კანდიდატად სწორედ **ვახტანგი** შეირჩა, რომლის თანაშემწედ და თანამოაზრედ გენერალ-ანშეფი, თავადი **ვასილი დოლგორუკი** დაინიშნა.

1727 წელს, სპარსეთში ვახტანგის ვიზიტი დაიწყო. ბოლოს, სპარსელ და რუს მინისტრთა შორის მრავალი კონფერენციის გამართვის შემდეგ, რომელთაც პრინცი ვახტანგი შუამავლობდა, ორივე მხარემ აღიარა ტრაქტატი, რომლის ძალითაც დერბენდი, ასტრაბადი და ტრაქტატში მოხსენიებული სხვა ოლქები რუსეთს მუდმივ სამფლობელოდ გადაეცა.

1728 წლის მარტის თვეში, ბრძანების საფუძველზე ვახტანგი სანქტ-პეტერბურგში დაბრუნდა.

1730 წელს, საქართველოდან ერისთავის მიერ წარგზავნილმა არქიმ. **არსენმა** ვახტანგს მოახსენა, რომ თურქები ითხოვენ ქართველთა თანხმობას რუსეთთან სასაზღვრო ტერიტორიებზე ციხესიმაგრეების ასაგებად; ისინი მოსახლეობასა და ბერ-მონაზვნებს თავიანთი სამკვიდროდან აძევებენ, სოფლებსა და დაბებს აპარტახებენ, ატყვევებენ და კლავენ ხალხს, მაგრამ განსაკუთრებულ უბედურებად ქართველებს მაინც ის მიაჩნიათ, რომ მმართველი და წინამძღოლი აღარ ჰყავთ.

1734 წლის 1 მაისს, სახელობითი ბრძანების მიღების შემდეგ, **ვახტანგი** და მისი ძე, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი **ბაქარი** საქართველოში ჩამოვიდნენ, მაგრამ, მიუხედავად მათთვის სახელმძღვანელოდ განკუთვნილი ვრცელი ინსტრუქციისა, არახელ-

[23] ამ დროს, პეტრე I უკვე გარდაცვლილი იყო და საიმპერატორო ტახტი მის მეუღლეს, ეკატერინე I-ს ეკავა(რედ.).

საყრელი პოლიტიკური სიტუაციის წარმოქმნის გამო მამა-შვილმა მისიის გაგრძელება ვერ შეძლო და ისინი მომდევნო 1735 წელს მოსკოვში დაბრუნდნენ.

1740 წელს, იმერეთის მეფე **ალექსანდრემ** რუსეთის მეფის კარზე გაგზავნილი ეპისტოლეს პასუხი მიიღო, რომ თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალით დახმარება, ცოტა ხნით ადრე ოტომანთა პორტასთან დადებული ზავის გამო, რუსეთს იმჟამად არ შეეძლო.

1752 წელს, ქართლისა და კახეთის მეფეებმა, **თეიმურაზ II**-მ და **ერეკლე II**-მ პირველი ერთობლივი ნაბიჯი გადადგეს დიპლომატიურ სარბიელზე და რუსეთში საგანგებო ელჩობა გაგზავნეს თბილელი მიტროპოლიტის **ათანასე ამილახვრისა** და თავად **სიმონ მაყაშვილის** ხელმძღვანელობით. მათ საიმპერატორო კარზე უნდა წარედგინათ ოფიციალური თხოვნა საქართველოსთვის მფარველობის გაწევის შესახებ, მაჰმადიანთაგან თავის დასაცავად. ამასთან, ხელახალი დადასტურებისთვის ელჩებს მიჰქონდათ ქვეშევრდომობის ამსახველი სიგელები, რომელნიც ქართველ მეფეთა წინაპრებისთვის რუსეთის იმპერატორებს ადრე ჰქონდათ ნაბოძები.

რუსეთში მყოფი ქართლის ბაგრატიონების ინტრიგებისა და ელჩებს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნების გამო აღნიშნული ელჩობა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ 1760 წელს მეფე **ერეკლეს** ინიციატივით რუსეთში კვლავ გაემგზავრა ელჩობა, რომელსაც მეფე **თეიმურაზი** თაოსნობდა. ქართველ მეფეთა სათხოვარს შეადგენდა ჯარი ან ფულადი სესხი, რათა მოძალებული ლეკები აელაგმათ და შემდეგ ირანის შიდა პოლიტიკაზეც ზეგავლენა მოეხდინათ, მაგრამ პეტრე I-ის უმცროსი ქალიშვილის, იმპ. ელისაბედის რუსეთი იმხანად პრუსიასთან შვიდწლიან ომში (1756-1763 წწ.) იყო ჩაბმული და თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. ამ არასახარბიელო პოლიტიკურ სიტუაციას დაერთო **თეიმურაზ II**-ის მოულოდნელად გარდაცვალებაც პეტერბურგში, საიდანაც იგი ასტრახანში გადაასვენეს და მეფე **ვახტანგ VI**-ის გვერდით დაკრძალეს.

1768 წლის ნოემბერში რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. იმპერ-

ატრიცა **ეკატერინე II**-ის მოწოდებას ქრისტიანი ხალხებისადმი, საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მარტოოდენ ქართველი მეფენი და ხალხი გამოეხმაურნენ; რაც მათ შემდეგ, მთელი ხუთწლიანი ომის განმავლობაში, საქმით დაამტკიცეს.[24]

ჯერ კიდევ 1768 წლის ივნისის თვეში, იმერეთის მეფე **სოლომონ ალექსანდრეს ძემ** პეტერბურგში ელჩები გაგზავნა: ქუთათელი მიტროპოლიტი **მაქსიმე** ერთ არქიმანდრიტთან და ორ ბერთან ერთად. სოლომონი იმპ. **ეკატერინესა** და გრაფ **ნ. პანინს** ატყობინებდა, რომ იგი უკვე თორმეტი წელია უმკლავდებოდა თურქებს, მაგრამ წინააღმდეგობის გასაგრძელებლად რუსეთის იმპერიასთან შეერთებას ან საბრძოლო მასალებით მომარაგებას ითხოვდა; ხოლო ბოლოს და ბოლოს თუ თურქებს ვერ წინააღუდგებოდა, ნება დაერთოთ, რომ სხვა ქართველ მეფეთა მსგავსად საცხოვრებლად რუსეთში ჩასულიყო.

1768 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული წერილით, **ნ. პანინი** იმპერატრიცას სახელით მეფე **სოლომონს** სთავაზობდა, რომ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლესთან** ერთად თურქების წინააღმდეგ იარაღი აეღო, რისთვისაც თურქეთთან სამშვიდობო ზავის დადების შემდეგ სპეციალური პარაგრაფებით („არტიკულებით“) მათი სამეფოების ინტერესებიც გათვალისწინებული იქნებოდა. შემოთავაზებულ წინადადებას ორივე ქართველი მეფე უყოყმანოდ დათანხმდა, ოღონდ შეტევის განსახორციელებლად სოლომონმაც და ერეკლემაც რუსეთის დამხმარე ჯარის გამოგზავნა მოითხოვა. იმავდროულად, თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის მზადყოფნა გამოხატა სამეგრელოს ერისთავმა **კაცია დადიანმაც.**

1769 წლის 29 აგვისტოს, რუსეთის თითქმის 4000-კაციანი დამხმარე კორპუსი საქართველოში ჩამოვიდა, რომელსაც მეთაურობდა, როგორც შემდეგ გაირკვა, ავანტიურისტი გრაფი **ტოტლე-**

[24] სწორედ ამ პერიოდს, 1768-1774 წწ., მოიცავს ისტორიული დოკუმენტების შინაარსი, რომელიც ალ. ცაგარლის Грамоты-ს პირველ ტომში არის შეტანილი; ხოლო ვ. მაჭარაძის მიერ აღნიშნული პერიოდი განხილულია „მასალების“ III ნაწილის I და II ნაკვეთებში.

ბენი. იგი 1771 წლის 13 იანვარს გენერალ-მაიორმა **ალექსი სუხ-ოტინმა** შეცვალა, თუმცა, რომ არა მისი შეცდომები, ერთობლივ მოქმედებათა შედეგი უფრო წარმატებული იქნებოდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთ-თურქეთის ომმა სისხლისგან დაცლილი იმერეთი კატასტროფას და გამაჰმადიანებას გადაარ-ჩინა, ხოლო სოფ. ქუჩუკ-კაინარჯში (10.07.1774) გამარჯვებულ რუსეთსა და დამარცხებულ თურქეთს შორის დადებული ზავით, ამ უკანასკნელმა „საზეიმოდ და სამუდამოდ“ იმერეთის ყოველ-გვარ ხარკზე ხელი აიღო. იმერეთის ციხე-სიმაგრეები მტრებისგან გათავისუფლდა, ტყვეთა სყიდვა სავსებით მოისპო, თავადების აღვირ-ახსნილობა აილაგმა, «ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა» (ნ. ბერძენიშვილი).

1772 წლის იანვრის თვეში **ერეკლე II**-ის განკარგულებით რუ-სეთის საიმპერატორო კარზე **ანტონ** კათალიკოსისა და **ლევან** ბატონიშვილის ხელმძღვანელობით ელჩობა გაიგზავნა. ელჩებს იმპერატორისთვის უნდა წარედგინათ ხელშეკრულების პროექტი, რომლის ძალითაც რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა იურიდიულად უნდა გაფორმებულიყო.

ელჩების პეტერბურგში ჩასვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდე-საც რუსეთი თურქეთთან ზავის დასადებად ემზადებოდა. 1773 წლის 31 დეკემბერს, ელჩებმა მიიღეს ოფიციალური პასუხი, რომ რუსეთის იმპერია საქართველოსთვის თურქეთის მხრიდან უშიშროების გარანტირებას მომავალი საზავო ხელშეკრულების დადების დროს შეძლებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუჩუკ-კაინარჯში დადებული ზავით საქართველომ მართლაც მნიშ-ვნელოვანი სამშვიდობო გარანტიები მიიღო და, გარდა ამისა, რუსეთის სამეფო კარზე ქართველი ელჩების მიერ წარდგენილი ერეკლეს „სათხოვარი პუნქტები“ შემდგომ გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში დადებულ ტრაქტატს საფუძვლად დაედო.

1783 წლის 24 ივლისს რატიფიცირებული გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველო-ბაში ნებაყოფლობით შევიდა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე,

წინამდებარე კრებულში შევიტანეთ როგორც ტრაქტატის დოკუმენტები, ასევე პროფ. **ვ. მაჭარაძის** ისტორიულ-ტექსტობრივი გამოკვლევა გეორგიევსკის ხელშეკრულების თაობაზე. ამიტომ მასზე სიტყვას აღარ განვავრცობთ.

1790 წელს,[25] **ერეკლე II**-ის მეთაურობით **სოლომონ II**-მ, **გრიგოლ დადიანმა** და **სიმონ გურიელმა** საერთო მტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირი ხელშეკრულებით გააფორმეს და 1793 წელს საერთო მფარველობისთვის რუსეთის იმპერატორს თხოვნით მიმართეს, რადგან ამ დროისთვის ერეკლემ უკვე იცოდა, რომ **აღა-მაჰმად-ხანს** საქართველოში ლაშქრობა გადაწყვეტილი ჰქონდა.

1795 წლის 10 სექტემბერს, სპარსეთის მძვინვარე ყაენი **აღა-მაჰმად-ხანი** 35 ათას კაციანი ჯარით თბილისს მოადგა და მოღალატეთა დახმარებით ქალაქი მეორე დღესვე აიღო. ყაენის გამარჯვებამ ოსმალეთის, ინგლისისა და საფრანგეთის თანაგრძნობა გამოიწვია, რადგან მათ თბილისის აკლება მათი საერთო მეტოქის, რუსეთის დამარცხებად შეაფასეს, მაგრამ...

1795 წლის დეკემბრის თვეში, საქართველოში ორი ათასი კაცისგან შემდგარი რუსის ჯარი შემოვიდა, ხოლო უკვე მომდევნო წლის გაზაფხულზე რუსთა 30-ათასიანი ჯარი დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში გადმოვიდა. მართალია, ამ დროისთვის აღა-მაჰმად-ხანი საქართველოდან გადახვეწილი იყო, მაგრამ რუსთა ჯარმა გენ. **ვალერიან ზუბოვის** სარდლობით აიღო დარუბანდი, ყუბა, ბაქო, შამახია და შიდა ირანში სალაშქროდ თადარიგს შეუდგა. თუმცა ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან იმპ. **ეკატერინე დიდის** (გარდ. 1796 წ. ნოემბერში) მემკვიდრე **პავლემ** ირანის ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკან გაიწვია.

1799 წლის აპრილში, იმპ. **პავლემ** განაახლა სამფარველო ხელშეკრულება ქართლ-კახეთის მეფე **გიორგი XII**-თან, რომელიც დიდი სახელმწიფო მოღვაწის, **ერეკლე II**-ის გარდაცვალების (11.01.1798) შემდეგ ავიდა ტახტზე. ამავე წლის 26 ნოემ-

[25] ამ თარიღიდან მოყოლებული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანებამდე (1830 წ., აჭარა-ქობულეთი – 1878 წ.), რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ქრონიკა ძირითადად გადმოცემულია «საქართველოს ისტორიის» სახელმძღვანელოების მიხედვით.

ბერს, თბილისში რუსის ჯარის შემოსვლამ საყოველთაო ზეიმი გამოიწვია. თვით გიორგი მეფე დედაქალაქიდან 3 კმ-ის მანძილზე შეეგება მომავალ ჯარს.

1800 წლის 23 სექტემბერს, თბილისში ახალი რუსული პოლკი შემოვიდა. მათ ქართველთა ჯართან ერთად, იმავე წლის 7 ნოემბერს, იორის ნაპირზე სოფ. კაკაბეთთან, გენ. **ივანე ლაზარევის** და გენ. **ვასილი გულიაკოვის** გმირულად წარმართული ბრძოლით სასტიკად დაამარცხეს ავარიის ხანის, ომარის, ბრძოლებში გამოწრთობილ აბრაგთა რაზმები, რომელსაც თან ახლდა რეაქციონერ ქართველ ფეოდალთა თავკაცი – **ალექსანდრე ერეკლეს ძე.** ამ ბრძოლაში 2000 ლეკი მოისრა, მათ შორის, **ომარ-ხანიც,** რომელიც დიდი ხნის მანძილზე სიცოცხლეს უმწარებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობას.

1801 წლის 18 იანვარს, პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა იმპ. **პავლე I**-ის მანიფესტი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა. ეს მანიფესტი თბილისში ერთი თვის შემდეგ, 16-17 თებერვალს გამოქვეყნდა. მალევე გარდაიცვალა იმპ. პავლე და ახალაღსაყდრებულმა **ალექსანდრე I**-მა, 1801 წლის 12 სექტემბერს, ქართლ-კახეთის შეერთების შესახებ ახალი მანიფესტი დაამტკიცა. ეს მანიფესტი თბილისში მომდევნო წლის აპრილში გამოცხადდა.

1803 წლის დეკემბერში, რუსეთის იმპერიამ მფარველობის ხელშეკრულება გაუფორმა სამეგრელოს მთავარს **გრიგოლ დადიანს,** ხოლო 1804 წელს – იმერეთის მეფე **სოლომონ II**-ს; 1810 წელს სამფარველო ხელშეკრულება გურიისა და აფხაზეთის მთავრებსაც გაუფორმეს, უფრო მოგვიანებით კი, 1833 წელს, სვანეთის მთავარი **დადეშქელიანიც** რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომად აღიარეს.

რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში უკვე ქართველებმაც მიიღეს მონაწილეობა, როცა საფრანგეთის იმპ. **ნაპოლეონ ბონოპარტე** 600.000-იანი არმიით რუსეთს თავს დაესხა. ქართველებს ბრძოლის ჟინს ისიც მატებდა, რომ ნაპოლეონს ირანისთვის პირობა ჰქონდა მიცემული, თუ იგი რუსეთის დამარცხებას შესძლებდა,

მაშინ საქართველოს ირანს გადასცემდა. საბედნიეროდ, რუსეთმა გაიმარჯვა და ოსმალთა ხელიდან გამოგლეჯილი აფხაზეთის შენარჩუნებაც შეძლო.

1826 წლის ზაფხულში რუსეთ-ირანის ახალი ომი დაიწყო. ქართველობა ამ შემთხვევაშიც რუსთა ჯარს ამოუდგა მხარში; სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში 6.000 მოხალისე შეიკრიბა. 1828 წლის 10 თებერვალს დადებული ზავის საფუძველზე რუსეთმა სომხეთი შემოიერთა, შედეგად საქართველოს სამხრეთი საზღვრის ეს ნაწილიც უვნებელყოფილ იქნა.

1828 წელს დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომსაც მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. რუსთა ჯარების მიერ ყარსის აღების შემდეგ, 1828 წლის 15 ივლისს განთავისუფლებულ იქნა ფოთი; 24 ივლისს კი აღებულ იქნა ახალქალაქი, ხოლო 16 აგვისტოს, ქართველთა რაზმების ენერგიული მონაწილეობით – ქ. ახალციხეც. ახალციხე-ახალქალაქის დაბრუნებამ საქართველოში საყოველთაო ზეიმი გამოიწვია. ამის შემდეგ რუსებმა ქართველ მებრძოლთა თანადგომით ქობულეთ-ბათუმის მიმართულებითაც შეუტიეს მტერს, მაგრამ, მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, იმხანად ქობულეთ-აჭარის განთავისუფლება ვერ მოხერხდა. ეს ნანატრი დღე, სამი საუკუნის განმავლობაში ნატანჯ ქართველობას, ისევ რუსთა ჯარის მიერ თურქებზე მოპოვებული დიდებული გამარჯვებით, მხოლოდ 1878 წელს გაუთენდა.

1829 წელს სექტემბერში, ოსმალეთთან დადებული ზავის ძალით რუსეთმა, ზემოთ დასახელებული სამი ძველი ქართული ქალაქის გარდა, შემოიერთა ძველი სამცხე-საათაბაგოს კიდევ რვა რაიონი – ასპინძისა, აწყურისა, ხერთვისისა, ქვაბლიანისა, აბასთუმნისა, ჭაჭარაქისა, ფოცხოვისა და ჩილდირისა.

ომის დასრულების შემდეგ, 1830 წელს, რუსთა ჯარებმა საბოლოოდ შემოიერთეს საქართველოსგან XVIII ს-ის 20-იან წლებში ჩამოცილებული ჭარ-ბელაქანი; ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 4.500-მა ქართველმა მეომარმა.

ფაქტობრივად, თითქმის მესამედი ს-ის განმავლობაში საქართველოს მიწა-წყალი და ქართველი ერი რუსეთის იმპერიის მფლობ-

ელობაში ძირითადად გაერთიანდა. ჩვენი ქვეყნის მტრული გარემოცვა გაირღვა და საქართველო თანდათანობით მშვიდობიანი განვითარების გზაზე გამოვიდა.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი ქრონოლოგიური მასალა საკმარისია ქართული პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულებისა და კურსის გასარკვევად, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი, როგორც ბიზანტიური პერიოდის განმავლობაში (IV-XV სს.), ისე რუსეთთან დამყარებული კავშირის შემდეგ (XV ს-დან), უცვლელად ადგნენ. ისტორიული სურათი რუსეთთან ინტენსიური ურთიერთობისა ცხადყოფს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და საქართველოს რუსეთთან შეერთება არა **ერეკლე II**-ისა და **გიორგი XII**-ის პირადი შეხედულებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს წარმოადგენდა, არამედ ეს იყო ქართული დიპლომატიის დამაგვირგვინებელი პოლიტიკური აქტები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ.

ეგზარქოსთა დროს დაბეჭდილი საეკლესიო ლიტერატურა

ეჭვს გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უკეთუ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს საეგზარქოსოსთვის მიცემული დირექტივა ქართული ენის განდევნასა და სასულიერო განათლების დაკნინებას მოითხოვდა, მაშინ ვერც ქვემოთ ჩამოთვლილი ქართული წიგნები ეღირსებოდნენ დღის სინათლეს:[26]

:Շ: **სამოციქულო**, 1815. 224+82 გვ., A3 (თავბოლონაკლული). საპტ. ბიბლ. №218. დაიბეჭდა მეუფე Ꭲარლამის ეგზარქოსობის დროს.

:Կ: **Շնալი აღთქმა**, Ꭲოსკოვი, 1816. 400 გვ. დაიბეჭდა «წარსაგებელითა Ꭲოსკოვის Կიბლიის საზოგადოებისაგან», მეუფე Ꭲარლა-

[26] ადრე ამ ფაქტს, რუსეთის იმპერიაში ქართული წიგნების გამოცემის შესახებ, ყურადღება მიაქციეს პროფ. ვალერიან მაჭარაძემ და ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ(გამრეკელი) // საქართველოს გზა, ჟ. „სამი საუნჯე“ 2, 2014. გვ. 35 (იხ. საიტზე: sinergia.ge).

მის ეგზარქოსობის დროს.

:Ղ: **Ზოცვანი**, Ѳოსკოვი, 1820. 354 გვ. «Կურთხევითა Ա.წმინდ-ესისა და უმმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ռეოფილაქტეს ეგზარქოსობის დროს.

:Ճ: **Կამნი**, Ѳოსკოვი, 1822. 828 გვ. «Կურთხევითა Ա.წმინდესისა და უმმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղონას ეგზარქოსობის დროს.

:Ղ: **Սალმრთო სახარება,** Ѳოსკოვი, 1823. 618 გვ. (A3). «Կურთხ-ევითა Ա.წმინდესისა და უმმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղონას ეგზარქოსობის დროს.

:Դ: **Կონდაკი**, Ѳოსკოვი, 1824. 430 გვ. «Կურთხევითა Ա.წმინდ-ესისა და უმმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղონას ეგზარქოსობის დროს.

:Ե: **Ճავითნი**, Ѳოსკოვი, 1824. 360 გვ. ტიტულზე მიწერილია ხელით: «დაბეჭდილია მოსკოვს, წმ. სინოდის სტამბაში» (საპტ. ბიბლ., №16085), მეუფე Ղონას ეგზარქოსობის დროს.

:Զ: **Սալმრთო სამოციქულო**, Ѳოსკოვი, 1825. 486 გვ. (A3). «Կურთხევითა Ա.წმინდესისა და უმმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղონას ეგზარქოსობის დროს.

:Է: **Կურთხევანი**, Ѳოსკოვი, 1826. 734 გვ(A3). «Կურთხევითა Ա.წმინდესისა და უმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղონას ეგზარქოსობის დროს.

:Ղ: **Քրիոდիոնი** (სამსაგალობელი), Ѳოსკოვი, 1849. 648+24 გვ.(A3). «Կურთხევითა Ա.წმინდესისა და Ամմართებელესისა, სრულიად Յոსსის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղსიდორეს ეგზარქოსობის დროს.

:ՂՇ: **Ասեղის ջամნი** (შედეგი პასექისა), Ѳოსკოვი, 1849. 224 გვ. «Կურთხევითა Ա.წმინდესისა და Ամმართებელესისა, სრულიად Յոსსის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղსიდორეს ეგ-ზარქოსობის დროს.

:ՂԿ: **Քրիոდիոնი** (ზატიკი), Ѳოსკოვი, 1850. 504 გვ.(A3). «Կურთხ-ევითა Ա.წმინდესისა და Ամმართებელესისა, სრულიად Յոსსის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ղსიდორეს ეგზარქო-

სობის დროს.

:ᲘᲚ: **Შიმოსვლა, ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა,** თფილისი, 1852. 178 გვ. დაიბეჭდა «ბრძანებითა კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაილ სჳმონის-ძის ვორონცოვისა», მეუფე Ისიდორეს ეგზარქოსობის დროს.

:ᲘᲨ: **ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა,** აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა, Ჩფილისი, 1853. 186 გვ. დაბეჭდილი «ბრძანებითა მათისა, უგანათლებულესობისა, ჴელმწიფე იმპერატორისა კავკასიისა მხარეთა შინა მოადგილისა, კნიაზისა მიხაილ სჳმეონის-ძის ვორონცოვისა», მეუფე Ისიდორეს ეგზარქოსობის დროს.

:ᲘᲩ: **Შავითნი**, Შოსკოვი, 1855. 446 გვ. «Ყურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ისიდორეს ეგზარქოსობის დროს.

:ᲘᲪ: **Ყამნი**, Შოსკოვი, 1856. 616 გვ. «Ყურთხევითა Აწმინდესისა და Ამმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ისიდორეს ეგზარქოსობის დროს.

:ᲘᲫ: **Უარაკლიტონი**, Შოსკოვი, 1861. 700 გვ. (A3). «Ყურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ივსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲘᲬ: **Ყამნი**, Შოსკოვი, 1862. 632 გვ. (ბოლონაკლული). «Კურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ივსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲘᲭ: **Შავითნი**, Შოსკოვი, 1862. 446 გვ. «Ყურთხევითა Აწმინდესისა და Ამმართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე დავითნი, მეოთხედ», მეუფე Ივსევის ეგზარქოსობის დროს.

:Ყ: **Ერიოდიონი** (სამსაგალობელი), Შოსკოვი, 1863. 648+24 გვ.(A3). «Კურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა, სრულიად Ჯოსსის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Უავლეს ეგზარქოსობის დროს.

:ᲧᲨ: **სავედრებელნი გალობანი,** Შოსკოვი, 1863. 232 გვ. (ბოლონაკლულია). «Კურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა, სრულიად Ჯოსიის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ივსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲙᲚ: **Შრცელი ქრისტიანობრივი კატეხისმო,** Გფილისი, 1865. 220+94 გვ. Издание общества возстановления Христианства на Кавказе. დაიბეჭდა მეუფე Ნვსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲙᲜ: **Სადღესასწაულო,** I-II ნაწ., Შოსკოვი, 1865. 1348 გვ. (A3). «კურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ნვსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲙᲨ: **Ყამნი,** Ჩფილისი, 1866. 634 გვ. «კურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ნვსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲙᲝ: **Ძოცვანი,** Ჩფილისი, 1866. 580+240 გვ. «კურთხევითა Აწმინდესისა და Ამართებელესისა, სრულიად Ჯოსიის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ნვსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲙᲞ: **Ჩავითნი,** Тифлис, 1867. 448 გვ. Издание общества возстановления Христианства на Кавказе. დაიბეჭდა მეუფე Ნვსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲙᲠ: **Საღმრთო სახარება,** Ჩბილისი, 1870. 602 გვ. (A3). «Კურთხევითა Აწმიდესისა და Ამართებელესისა, სრულიად Ჯოსსიის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ნვსევის ეგზარქოსობის დროს.

:ᲙᲡ: **Გესი ეკლესიის კურთხევისა,** Ჩბილისი, 1879. 40 გვ. «კურთხევითა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის Იოანნიკე არხიეპისკოპოსისა, საქართველოს ექსარხოსისა დაიბეჭდა წიგნი ესე».

:ᲙᲢ: **Კურთხევანი,** Გფილისი, 1879. 598 გვ. «კურთხევითა Აწმიდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Იოანიკეს ეგზარქოსობის დროს.

:Უ: **Ძოცვანი,** Გფილისი, 1879. 360 გვ. «კურთხევითა Აწმიდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Იოანიკეს ეგზარქოსობის დროს.

:ᲣᲩ: **Შსახურება და Ჩკათისტო,** დაუჯდომელი ყოვლად წმიდისა Იმრთის-მშობელისა, Ჩფილისი, 1880. 62 გვ. Дозволено цензурою. დაიბეჭდა მეუფე Იოანიკეს ეგზარქოსობის დროს.

:ᲣᲚ: **Ჩავითნი,** Გფილისი, 1880. 440 გვ. «კურთხევითა Აწმიდესისა და Ამართებელესისა სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე»,

მეუფე Ioანიკეს ეგზარქოსობის დროს.

:ხQ: **Ყედეგი პასექისა და ბრწყინვალისა კვირიაკისა,** Cფილისი, 1882. 224 გვ. «კურთხევითა Aწმინდესისა და Aმართებელესისა სრულიად Jოსიის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ioანიკეს ეგზარქოსობის დროს.

:ხC: **Uასექის ჟამნი** (შედეგი პასექისა), Cფილისი, 1882. 224 გვ. «კურთხევითა Aწმინდესისა და Aმართებელესისა სრულიად Jოსიის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Ioანიკეს ეგზარქოსობის დროს.

:ხQ: **Kონდაკი**, Cბილისი, 1884. 408 გვ. «კურთხევითა Aწმინდესისა და Aმართებელესისა, სრულიად Jუსეთის სინოდისათა და ყ˜დ უსამღვდელოესის Uავლე Cრხიეპისკოპოსისა Tართლისა, Kახეთისა და სრულიად საქართველოს ექსარხოსისა, დაიბეჭდა წიგნი ესე».

:ხT: **Ზოცვანი**, Cბილისი, 1884. 246 გვ. «კურთხევითა Aწმინდესისა და Aმართებელესისა, სრულიად Jოსიის სინოდისათა და ყ˜დ Aსამღვდელოესისა Uავლე Cრხიეპისკოპოსისა Tართლისა, Kახეთისა და ს˜დ საქართველოს ექსარხოსისა, დაიბეჭდა წიგნი ესე».

:ხX: **Uავედრებელი გალობანი,** Bფილისი, 1889. 212 გვ. «კურთხევითა Aწმიდესისა და Aმართებელესისა, სრულიად Jუსეთის სინოდისათა დაიბეჭდა წიგნი ესე», მეუფე Uალადის ეგზარქოსობის დროს.

:ხY: **Bლიური კატავასიები**, Кутаис, 1892. 16 გვ. «Дозволено к напечатанию Имеретинским Епископом Гавриилом». მეუფე Uავლეს ეგზარქოსობის დროს.

:ხA: **Uასწავლო ჟამნი** სოფლის დასაწყისს სასწავლებელთათვის, Tუთაისი, 1893. 416 გვ. დაიბეჭდა «Kურთხევითა და ნებართვითა Iმერეთის ეპისკოპოსის Iაბრიელისა», მეუფე Dლადიმერის ეგზარქოსობის დროს.

:Z: **Bესი ლიტურღიისა** წმიდა Ioანე Aქროპირისა, Tუთაისი, 1895. 224 გვ. «Zაიბეჭდა Kონდაკი ესე კურთხევითა და ნებადართვითა მის ყოვლად უსამღვდელოესის Iმერეთის ეპისკოპოსის Iაბრიელისათა», მეუფე Dლადიმერის ეგზარქოსობის დროს.

:ᲫᲨ: **Ალმრთო სახარება,** Ტფილისი, 1898. 328 გვ. «ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗᲐ Ა.ᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა.ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲯᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲦᲐᲚ-ᲧᲝᲕᲚᲐᲓ Ა.ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘᲡ ᲨᲠᲮᲘᲔᲠᲘᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲤᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔᲡᲘᲗᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲔᲡᲔ».

:ᲫᲧ: **Ყამნი,** Ტბილისი, 1899. 630 გვ. «ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗᲐ Ა.ᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა.ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲯᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲦᲐᲚ-ᲧᲝᲕᲚᲐᲓ Ა.ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘᲡ ᲨᲠᲮᲘᲔᲠᲘᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲤᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔᲡᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲔᲡᲔ».

:ᲫᲩ: **ᲙᲝᲜᲓᲐᲙᲘ,** Ტბილისი, 1899. 412 გვ. «ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗᲐ Ა.ᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა.ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲯᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲦᲐᲚ-ᲧᲝᲕᲚᲐᲓ Ა.ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘᲡ ᲨᲠᲮᲘᲔᲠᲘᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲤᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔᲡᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲔᲡᲔ».

:ᲫᲪ: **Ალმრთო სამოციქულო,** Ტბილისი, 1899. 462 გვ. «ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗᲐ Ა.ᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა.ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲯᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲦᲐᲚ-ᲧᲝᲕᲚᲐᲓ Ა.ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘᲡ ᲨᲠᲮᲘᲔᲠᲘᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲤᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔᲡᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲔᲡᲔ».

:ᲫᲬ: **ᲒᲠᲘᲝᲓᲘᲝᲜᲘ** (სამსაგალობელი), ᲒᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 1901. 648+26 გვ. (A3). «ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗᲐ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲯᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲦᲐᲚ-ᲧᲝᲕᲚᲐᲓ Ა.ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘᲡ ᲨᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡᲐ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲤᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔᲡᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲔᲡᲔ».

:ᲫᲭ: **Ფსალმუნი დავითისი,** ᲒᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 1901. 242 გვ. «ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ-ᲓᲐᲠᲗᲕᲘᲗ», ᲛᲔᲣᲤᲔ ᲤᲚᲐᲑᲘᲐᲜᲔᲡ ᲐᲜ ᲨᲚᲔᲥᲡᲘ I-ᲘᲡ ᲔᲒᲖᲐᲠᲥᲝᲡᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

:ᲫᲮ: **ᲚᲐᲛᲝᲙᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲚᲝᲪᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐ�გᲐᲚᲝᲑᲔᲚᲜᲘ,** ᲒᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 1904. 220 გვ. «ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗᲐ Ა.ᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა.ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲔᲡᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲯᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ-ᲧᲝᲕᲚᲐᲓ Ა.ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲡᲘᲡ ᲨᲠᲮᲘᲔᲠᲘᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲨᲚᲔᲥᲡᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲔᲡᲔ».

:ᲨᲘ: **სამლუდელთ-შთავრო Კონდაკი,** Ეფილისი, 1908. 242 გვ.(A3). «Указом Святейщаго Правительствующаго Синода, от 19 сентября 1909 года за №12413, разрешен к выпуску для церковнаго употребления», მეუფე Ꭵნოკენტის ეგზარქოსობის დროს.

ალბათ, ჩვეულებრივ სიტუაციაში ამდენი წიგნის ჩამოთვლა არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ჩვენ ხომ ისეთი იდეოლოგიური მანქანის შენელებაზე ვზრუნავთ, რომელიც ცრუ ინფორმაციათა გამუდმებული ზომბირებისთვის ვიზუალურ სივრცესაც აქტიურად იყენებს. ამიტომ, დაე, თვალისთვისაც დამაჯერებელი იყოს ეს არასრული სია, რომელიც პოლიგრაფიული ხარჯისა და სარედაქციო საქმის სიდიდეზე თავად მეტყველებს. მკითხველის გასარკვევად დავძენთ, რომ უმრავლესობა აქ ჩამოთვლილი ძველი ლიტურგიული ლიტერატურისა დღესაც პირვანდელი სახით, ანუ კოპირებული პირების მეშვეობით იბეჭდება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიგრაფიული საქმიანობის არცთუ ცოტა გამოცდილება მაქვს, გადაჭრით მაინც გამიჭირდება თქმა: ჩვენი ახლანდელი ტექნიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობებით მოვახერხებდით თუ არა, მაგალითად, იმგვარი ფოლიანტის ხელახლა აწყობასა და დაბეჭდვას, როგორიცაა სიაში შეტანილი 1348 გვერდიანი «სადღესასწაულო». ვიმეორებ: ხელახლა აწყობას! თორემ ახალი რედაქციის მომზადებაზე საუბარი, ვფიქრობ, არარეალურია.

ახლა მოვდგეთ და, ჩვენი საამაყო თვისების შეუპოვრად დაცვისთვის, ვლანძღოთ რუსი ეგზარქოსები და ჩინოვნიკები, რომ ივერიის ეკლესიის გამართული ღმრთისმსახურებისთვის ასეთი კოლოსალური საქმის შესრულება უზრუნველყვეს და შეუფასებელი განძი დაუტოვეს ერთმორწმუნე შთამომავლობას! სხვათა შორის, სულხან-საბამ მორიელის გვარზე იმიტომ კი არ მოგვითხრო, რომ მისი ჩვეულება შეგვეთვისებინა, არამედ იმისთვის, რომ უმადურობის თვისება საკუთარი სულიდან აღმოგვეფხვრა და მარადჟამს «კეთილი კუს» მმადლობელნი ვყოფილიყავით. თითქოს არაკის ზნეობრივი ქარგა მარტივია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ცოდვას ისე ღრმად აქვს ფესვი გადგმული, რომ ათი კეთროვანის განკურნების შემდეგ, მადლობის სათქმელად მარტო ერთი მათ-

განის დაბრუნებამ, თვით მაცხოვარიც კი გააკვირვა: «არა ათნივე განიკურნნესა? და ცხრანი იგი სადა არიან?»(ლკ.17,17).

ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ მარტოოდენ ეგზარქოსობის პერიოდში დაბეჭდილი საეკლესიო ლიტერატურის სია, მაგრამ, ვფიქრობთ, მცირე ისტორიული ექსკურსი რუსეთში არსებულ ქართულ სტამბებზე ჩვენს თემას კიდევ რამდენი სასარგებლო შტრიხს შემატებს. ცნობილია, რომ რუსეთთან შეერთებამდე საუკუნით ადრე, 1705 წელს მოსკოვის სამეფო სტამბაში მეფე **არჩილმა** დაბეჭდა ქართული „ფსალმუნი“ ნუსხური შრიფტით,[27] «XVIII ს. 30-იანი წლების დამლევიდან სხვადასხვა დროს მოსკოვსა და პეტერბურგში, აგრეთვე სხვა ქალაქებში, ქართული წიგნების გამოცემის საქმეს მესვეურობდნენ **ქრისტეფორე გურამიშვილი, იოსებ სამებელი, ათანასე ამილახვარი, გაიოზ რექტორი, რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი** და სხვ.».[28]

მაგალითად, მოსკოვში, **ბაქარ ბატონიშვილის** ნებართვით, მთავარეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა საკუთარი სახსრებით გამართა ქართული სტამბა, რომელმაც 1737-დან 1745 წლამდე იმუშავა.[29] აქ დაიბეჭდა ბიბლია, მარხვანი, თვენი და სხვ. ბაქარის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის ქართული სტამბა შეუძენია თბილელ მიტროპოლიტს ათანასე ამილახვარს, რომელსაც რუსეთის ქვეშევრდომობა ჰქონდა მიღებული და მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტერში მკვიდრობდა. 1762-1768 წლებში მიტრ. ათანასეს ამ სტამბიდან გამოუშვია დაუჯდომელი, დავითნი, სამოციქულო, გამოკრებილი სახარება, პარაკლისი, ლოცვანი, ჟამნი, ანბანი, საადღესასწაულო და სხვ.[30]

აქედან მხოლოდ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ რუსეთის იმპერია საქართველოს შემოერთებამდეც ქართულ ენასა და სიტყვიერებას არ ავიწროებდა; პირიქით, გამოცემული წიგნების სიმრავლე ბეჭდვისთვის ხელშემწყობი პირობების არსებობაზე მიუთითებს. «XVIII ს. და XVIII-XIX სს. მიჯნაზე რუსეთში მოქმედი

[27] გიორგი პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981. გვ. 55.
[28] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს სსრ, თბ., 1981. გვ. 178.
[29] კ. კეკელიძე, ეტიუდები..., III, 1955. გვ. 108.
[30] იქვე, გვ. 113.

ქართული სტამბების (საბეჭდი დაზგების) გამართვაში რუსი ხალხის შვილნიც მონაწილეობდნენ და ეწეოდნენ მეტად საინტერესო მოღვაწეობას, რაც ხელს უწყობდა ერთმორწმუნე ხალხების დამეგობრებას».[31] მხოლოდ 15 წლის განმავლობაში(1821-1836 წწ.), მოსკოვში სხვადასხვა დასახელების 9200 ც. ქართული სასულიერო წიგნი დაბეჭდილა.[32]

ამავე ტიპის თემებს განეკუთვნება რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და ქართული ეკლესია-მონასტრების ფრესკების განადგურების ბრალდებანი. სანამ წიგნის მეორე ნაწილში ეგზარქოსთა ისტორიას წარმოვადგენდეთ, ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხებზე მოკლე ცნობების მოხმობა ზედმეტი არ უნდა იყოს, რადგან პოპულისტური დივიდენდებითვის ფაქტების დამახინჯება გაუთავებლად გრძელდება.

«ავტოკეფალიის გაუქმება»

რუსეთის მფლობელობაში საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანებასთან ერთად საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიაც რუსეთის ეკლესიას შეუერთდა. მას *სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი და უმართებელესი*[33] სინოდის საქართველოს საეგზარქოსო ეწოდა და მისი დაარსების დღედ 1811 წლის 30 ივნისი გამოცხადდა.[34] ამ დროს პატრიარქი **ანტონ II**, ძე ერეკლე მეფისა, უკვე საქართველოს ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი იყო, რადგან 1795 წელს დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსის **მაქსიმე II**-ის გარდაცვალების შემდეგ ამ საყდრის გაუქმება ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა.

[31] იოსელიანი ავთანდილ, ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები(უძვ. დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე), თბ., 1990. გვ. 239.
[32] იქვე, გვ.335.
[33] ეს ტერმინი XIX ს-ში მიღებული ორთოგრაფიის გათვალისწინებით შევინარჩუნეთ.
[34] სხვა ცნობით: 11 ივნისი.

როგორც ცნობილია, «საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფას ორი კათალიკოსის გაჩენაც მოჰყვა,[35] რომელთაგან ერთს ეწოდებოდა ქართლისა, კახეთისა და თბილისისა, და ცხოვრობდა დედაქალაქ მცხეთაში; ხოლო მეორე – ჯერ ბიჭვინთაში (Pytius), შემდეგ კი იმერეთის ქალაქ ქუთაისში, და ჰქონდა წოდება აფხაზეთისა და იმერეთისა».[36] მხოლოდ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ორი საკათალიკოსოს გაჩენის თარიღი ახალმა გამოკვლევებმა ნაცვლად XIV ს-სა XI ს-ში გადაიტანა.[37]

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსები XIII-XV სს-ის ქართულ ისტორიულ საბუთებში არის მოხსენიებული. მაგ., 1271/1272 წლების სიგელი მეფე დავით ნარინისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი; 1287/1288 წლების სიგელი მეფეთა დავით ნარინისა და ვახტანგ II-ისა ვახტანგ თულაისძისადმი; 1207/1208 წლების სიგელი მეფე ლაშა-გიორგისა გელათისადმი.[38] 1387 წლის სიგელი მეფე გიორგი ბაგრატ დიდის ძისა გუგუნი მაყაშვილისადმი; 1401 წლის სიგელი მეფე გიორგისა ფალავანდიშვილებისადმი; 1419 წლის სიგელი მეფე ალექსანდრესი სვეტიცხოველისადმი.[39]

ასე რომ, საეგზარქოსოს დაარსებამდე თხუთმეტიოდე წლით ადრე, 1796 წლის 30 მაისს, შვიდი საუკუნის განმავლობაში ორ საკათალიკოსოდ გაყოფილი საქართველოს ეკლესია გაერთიანდა. აღნიშნული გაერთიანების აქტი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებამდე ხუთი წლით ადრე განხორციელდა, რაც, ცხადია, რუსეთის კეთილისმყოფელ როლზე მიუთითებს. თუ ბიზანტიის დასუსტებას საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფა მოჰყვა, რუსეთის საერთაშორისო გავლენების გაძლიერებით საქართველო პოლიტიკურადაც და ეკლესიურადაც გაერთიანდა. საჭიროა შეხსენება, რომ შეკავშირებას ხელს უწყობს მეგობარი

[35] პ. იოსელიანის მიხედვით – 1390 წ., ხოლო პ. კარბელაშვილის – 1389 წ.

[36] **Иоселиани Пл., Краткая история...** გვ. 151.

[37] **Виноградов А., Гугушвили Ш., Очерк... 2015.** გვ. 80.

[38] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ.I (IX-XIII სს), გამც. თ. ენუქიძე, ვ.სილოგავა და ნ. შოშიაშვილი, თბ. 1984. გვ. 176, 182, 106.

[39] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ.II (XIV-XV სს), გამც. თინათინ ენუქიძე, ნინო თარხნიშვილი და ბაბილინა ლომინაძე, თბ. 2013. გვ. 57, 83,126.

ქვეყანა, ხოლო დამპყრობელი «დაყავი და იბატონე»-ს პრინციპით მოქმედებს.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით რუსეთის მაშინდელი ეკლესიის სინოდური მმართველობის ფორმას, რომლის გაუთვალისწინებლობას ქართველი მეცნიერ-პუბლიცისტების დასკვნები ერთადერთ პოპულისტურ დებულებამდე დაჰყავს: «რუსეთმა ავტოკეფალია გაგვიუქმა». რუსოფობთა მიერ ეს დემაგოგიურად ფორმულირებული სამი სიტყვა დიდი ხანია საფრთხობელად გამოიყენება და პაექრობის მოსურნესაც კი ფარ-ხმალს აყრევინებს. მაშინ, როცა აღნიშნული მოვლენის ობიექტურად შეფასებისთვის მხოლოდ ფაქტების სწორად აღნიშვნა არის საკმარისი.

საქმე ისაა, რომ 1721 წლის 25 იანვარს იმპერატორმა **პეტრე დიდმა** გამოსცა მანიფესტი «სასულიერო კოლეგიის, ანუ სასულიერო კრების მთავრობის» დაარსების შესახებ,[40] რომელმაც **პატრიარქის იერარქიული ხარისხი გააუქმა და სასულიერო მთავრობა სენატს დაუქვემდებარა**. შემდგომ კოლეგიას ეწოდა უწმიდესი და უმართებელესი სინოდი, რომლის მთავარ ზედამხედველად არასასულიერო პირი, **ობერ-პროკურორი** დაინიშნა. ასეთ სიტუაციაში გასაკვირი არ არის, რომ «1783 წელს, როცა საქართველომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი ქვეშევრდომობა აღიარა, საქართველოს მეფე **ერეკლემ**, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულება იკისრა საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმებისა და უწმიდესი სინოდისადმი საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარების შესახებ».[41]

გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე არტიკულში სწერია, რომ იმპერატორი საქართველოს კათოლიკოსს ანუ უმთავრეს მთავარეპისკოპოსს რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრად ამტკიცებს *«რიცხვთა შორის რუსეთისა მღვდელთმთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა».* ე. ი. მაშინდელ საჭეთმპყრობელს, **ანტონ I**-ს მცხეთისა და სრულიად საქართველოს

[40] **Цыпин Вл., прот., История... с. 22.**
[41] **Церковныя ведомости, №2, 1901. С. 46.**

კათოლიკოსის ტიტული ფორმალურად შენარჩუნებული ჰქონდა, მაგრამ იერარქიულად მიტროპოლიტებიც კი, ტობოლსკელის ჩათვლით, მასზე მაღლა იდგნენ. ამიტომ სპეკულაციები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და პატრიარქის წოდების იძულებით გაუქმების თაობაზე მხოლოდ და მხოლოდ ორ ერთმორწმუნე ერს შორის დასაპირისპირებელ ინსტრუმენტად გამოიყენება და მას ისტორიულ სამართლიანობასთან არაფერი აკავშირებს.

ისტორიულ მოვლენათა გამოძიებისა და შესწავლის საჭიროებაზე არავინ დავობს, მაგრამ თანამედროვე მკვლევარს, თუ იგი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მასში გაერთიანებული ერთმორწმუნე ერების გულშემატკივარია, მართებს გათვალისწინება ოფიციალურად გამოცხადებული დადგენილებისა. კერძოდ, რა ობიექტურობითაც არ უნდა დავასაბუთოთ წარსულში მომხდარ ამბავთა თუ კონკრეტულ პირთა ქმედების მორალური მიზანშეწონილობა, დღეს მისი გამოყენება მდგომარეობის გამწვავებისთვის არაკეთილსინდისიერ ქცევად ჩაითვლება, მით უმეტეს, თუ ადრინდელი პრობლემა დაპირისპირებულმა მხარეებმა ურთიერთმიტევებისა და ურთიერთსიყვარულის ძალით უკვე დიდი ხანია გადაწყვიტეს.

სწორედ ამ რიგის საკითხებს განეკუთვნება რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობათა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის კანონიკური კავშირი გაწყდა, 1943 წელს ორივე ავტოკეფალურმა ეკლესიამ წარსულს ჩააბარა ყოველგვარი საკანონმდებლო დავა და ანგარიშსწორება, და ლოცვითი და კანონიკური კავშირი აღადგინა.[42] ამ სასიხარულო მოვლენის ინიციატორები იყვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა **კალისტრატე** (ცინცაძე) და სრულიად რუსეთის პატრიარქი **სერგი** (სტრაგოროდსკი)[43]. ასევე

[42] ჟ. სამი საუნჯე, №1, 2011. რუსეთის წმიდა სინოდის განჩინება, გვ. 90-106// ЖМП, №3, 1944.

[43] აქვე მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ სახელი იოსებ ბესარიონის ძე სტალინისა, რადგან არ შეიძლება სადაო იყოს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღება, მით უმეტეს დიდი სამამულო ომის დროს, საერო ხელისუფლების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.

აღსანიშნავია, რომ კავშირის გაწყვეტის დროინდელი ორივე ტახტის მპყრობელი ან უკვე კანონიზებული წმინდანია – წმიდა პატრიარქი **ტიხონი** (ბელავინი) და წმიდა კათოლიკოს-პატრიარქი **კირიონი** (საძაგლიშვილი). ეს კიდევ ერთი დამატებითი პირობაა იმისა, რომ საეკლესიო საკითხების მკვლევარმა ტაქტის გრძნობა არ დაკარგოს და პიროვნებათა შეფასებისას ზნეობრივ საზღვრებს არ გასცდეს.

ამ მხრივ, თავიანთი კრიტიკული «ქარ-ცეცხლით» განსაკუთრებით გამოირჩევიან დასავლური სერტიფიკატებისა და დიპლომების მქონე ე. წ. თეოლოგები, რომელნიც, მაგალითად, პატრიარქი ტიხონის მიმართ ურცხვ ცილისწამებასაც არ თაკილობენ. მათი მსჯელობის უსაფუძვლობა ძნელი დასანახი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ კორექტული დისკუსიისთვის აუცილებელ პირობას: ეროვნულ ან პოლიტიკურ სიბრტყეზე საეკლესიო კანონთა პროექცირება, ანუ ერთმანეთში მათი აღრევა, დაუშვებელია.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეკლესიებს შორის უთანხმოების მიზეზი გახდა არა რაიმე საერობო საკითხი, არამედ საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის გამოცხადება რუსეთის წმიდა სინოდის კურთხევის გარეშე. როგორც სინოდის განჩინებაში (19.11.1943) არის აღნიშნული: «საეკლესიო თვალსაზრისით, იმპერიის მთელ ტერიტორიას, საქართველოს ჩათვლით, სათავეში ედგა წმიდა სინოდი და წარმოადგენდა ერთიან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას. იმპერიის ფარგლებში სხვა, სინოდისაგან დამოუკიდებელ მართლმადიდებელ ეკლესიას, იურიდიულად არ ჰქონდა არსებობის უფლება. სწორედ ამან განაპირობა რუსი საეკლესიო სამართალმცოდნეების მკაცრი პოზიცია». მაგრამ ეს პრობლემა, როგორც აღვნიშნეთ, მალე 80 წელი გახდება, რაც აღმოფხვრილია და ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ეკლესიათა შორის რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. დაპირისპირებას ცდილობენ მხოლოდ რუსოფობები, რომელთაც სინამდვილეში არც თავიანთი ეროვნული ეკლესია უყვართ.

დღეს, როცა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე სოციალური ქსელებისა და მედიის მიერ ხელოვნურად გამოყვანილი ცრუ

მეცნიერები ძალადობენ, ზერელე ცოდნაც სერიოზულად საღდებ-ბა. ამიტომ მავანს ჰგონია, რომ საქართველო რუსეთს რომელიმე კონკრეტული მმართველის გადაწყვეტილებით შეუერთდა და პასუხისმგებლობაც მხოლოდ მას ეკისრება.

ბუნებრივია, ყველა საკითხს დაწვრილებით ვერ განვიხილავთ, მაგრამ ზემოთ ნათქვამი ისევ უნდა გავიმეოროთ: ბიზანტიის დაცემის შემდეგ, XV ს-დან მოკიდებული,ისტორიული სურათი საქართველოს რუსეთთან ინტენსიური ურთიერთობისა ცხადყოფს, რომ 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთება არა **ერეკლე II**-ისა და **გიორგი XII**-ის პირადი შეხედულებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს წარმოადგენდა, არამედ ეს იყო ქართული დიპლომატიის დამაგვირგვინებელი პოლიტიკური აქტები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი მაჰმადიანური გარემოცვის გასარღვევად საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ.

აქედან გამომდინარე, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის მოწინააღდეგე, ფაქტობრივად, ქართული პოლიტიკის იმ მაგისტრალური მიმართულების უარმყოფელად გამოდის, რომელსაც ჩვენი მოღვაწენი ხუთი საუკუნის განმავლობაში ადგნენ. ეს მიმართულება კი, თავის მხრივ, გაგრძელება იყო იმ პოლიტიკისა, რომელსაც საქართველო გაქრისტიანების დღიდან, ანუ IV ს-დან აწარმოებდა.

თხრობის თანმიმდევრულობა რომ დავიცვათ, ისევ საეგზარქოსოს შექმნისა და მაშინდელი იერარქიის თემას დავუბრუნდეთ. საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ «საეკლესიო უწყებანის» სტატიაში, რომელსაც ჩვენთვის უცნობი ავტორი ხელს აწერს ინიციალებით (Н. Л.), ვკითხულობთ: «1801 წელს, როცა საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, საქართველოს კათოლიკოსი იყო **ანტონ II**, ძე მეფე ირაკლისა. ამ აქტს, რუსეთთან საქართველოს შეერთებისა, გარკვეულ დრომდე, საეკლესიო მმართველობაში ცვლილებები არ მოუხდენია: კათოლიკოსს თავისი ადგილიცა და თავისი წოდებაც შეუნარჩუნდა. იმპერატორმა **პავლემ**, იმით კმაყოფილმა, რომ

საქართველომ რუსეთის ქვეშევრდომობაზე ფიცი ნებაყოფლობით დადო, **ანტონ II**-ს სერაფიმებიანი და ბრილიანტისჯვრიანი ბარტყულა უბოძა; ხოლო იმავე წლის ბოლოს (15 სექტემბერს) ახალმა იმპერატორმა **ალექსანდრე I**-მა კათოლიკოსი წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა».[44]

შემდეგ ავტორი კათოლიკოსის საქართველოდან რუსეთში გაწვევის მიზეზებს ასახელებს. როგორც ჩანს, ანტონისადმი ხელისუფლების უნდობლობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ «იგი ყოველთვის იმ პირთა მხარეზე იდგა, რომელნიც რუსეთისგან საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ; სამღვდელოებას ნებას რთავდა, ბატონიშვილ **იულონისთვის**, როგორც თავისი მეფისთვის, ეკლესიებში საჯაროდ ელოცა; მონაწილე იყო ბატონიშვილთა მიერ ქართლში მოწყობილი ბუნტისა; წევრი იყო რუსეთის მთავრობის მიმართ მტრულად განწყობილი საბჭოსი, რომელიც **დარეჯან** დედოფალთან იკრიბებოდა, და ა. შ.».

ცნობილია, რომ ერეკლე მეფის მესამე ცოლი და დედა ანტონ II-ისა, **დარეჯან** დედოფალი და მისი ძენი, მათ შორის იულონიც, განსაკუთრებით მეფე **ერეკლე II**-ის გარდაცვალების შემდეგ, **გიორგი XII**-ის წინააღმდეგ და ტახტის ხელში ჩასაგდებად გარეშე ძალებთან (კერძოდ, სპარსეთთან) აქტიურად თანამშრომლობდნენ. ამიტომ ანტონი «1810 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოიძახეს უწმიდეს სინოდზე პირადად დასწრებისთვის, რომლის საბაბი გახდა თვით კათოლიკოსის მიერ აღძრული საქმე საქართველოში დიკასტერიის დაარსების თაობაზე... მისი გამგზავრების შემდეგ საქართველოში კათოლიკოსობა შეწყდა, თუმცა **ანტონ II** კათოლიკოსის ტიტულს სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა. იგი გარდაიცვალა 1827 წლის 21 დეკემბერს ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც 1812 წლიდან ცხოვრობდა».[45] ამ დროს ანტონი 65 წლისა იყო.

---

[44] **Церковныя ведомости, №2, 1901. С. 46.**

[45] იქვე, გვ. 46-47.

«ფრესკების განადგურება»

ეკლესიის ისტორიაში ხატთმბრძოლთა სახელწოდებით ცნობილია წმიდა გამოსახულებათა მგმობი მწვალებლობა, რომელიც მკრეხელური თეოლოგიური შეხედულებების საფუძველზე ქრისტიანულ ხატებს, ფრესკებსა თუ მინიატიურებს მთელი სისასტიკით ებრძოდა. ეს ერესი ბიზანტიაში, განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, VIII-IX სს-ში იყო გავრცელებული; XVI ს-დან, პროტესტანტულმა მიმდინარეობებმა ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს რელიგიური ავტონომიების განვითარებას, რომელთაგან მრავალი დასავლური სექტა ხატთმბრძოლთა იდეების მატარებელი გახდა, მაგრამ მათ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არაფერი აკავშირებთ.

ამიტომ, თუ ვინმე ანადგურებს ხატს, ჯვარს, ფრესკას ან ტაძარს, იგი მართლმადიდებელი არ შეიძლება იყოს. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა, საკულტო ქმნილება რომელი ეროვნული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს; აფრიკული და ამერიკული მართლმადიდებლური ხატი ისეთივე წმიდა საგანია, როგორც ქართული და რუსული, ჩინური და იაპონური. მსოფლიოს ყველა ადგილობრივი ეროვნული ეკლესია იმიტომ იწოდება ერთ ეკლესიად, რომ ჩვენ ერთი და იგივე სარწმუნოებრივი მოძღვრება და საეკლესიო საიდუმლოები გვაერთიანებს.

ნუთუ საზოგადოებაში აღარ დაგროვდა იმდენი ცოდნა, რომ რუსებზე, როგორც ქართული ფრესკების შემთეთრებლებზე, გავრცელებულ ცილისწამებას ბოლო მოეღოს? როგორ გგონიათ, რუსზე გაბრაზებულმა ქართველმა რუსული ფრესკები რომ ჩამოფხიკოს, მას ქრისტიანი შეიძლება ვუწოდოთ? ან იქნებ ის ბორგნეული ქართველები მოვიხსენიოთ მართლმადიდებლებად, გასული ს-ის 90-იან წლებში, ყალბი პატრიოტული შემართებით, საგურამოში სტაროსელსკების საგვარეული სასაფლაო რომ დაარბიეს და ჯვრები დალეწეს?

ვფიქრობთ, ნამდვილი ისტორიის აღსადგენად აუცილებელია გახსენება რუსი ხელოვანებისა, რომელნიც სწორედ რუსეთთან

შეერთებულ საქართველოში, ეგზარქოსობის პერიოდში მოღვაწეობდნენ.[46]

გრიგოლ ადამოვი 1891 წელს თბილისის ანჩისხატის ტაძრის რესტავრაციაში იღებდა მონაწილეობას; **პეტრე ამფილოვმა** XIX ს-ის შუა წლებში ალავერდის ტაძრისთვის შექმნა ოთხი ხატი, ხოლო თბილისის ფერისცვალების მონასტრის ძველი კედლის მხატვრობა განაახლა; **ნ. ანდრეევმა** 1901 წელს დაასრულა შიომღვიმის მონასტრის იოვანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ეკლესიის კანკელისა და საკურთხევლის მრავალი ხატის წერა, ასევე მან მოხატა შიომღვიმის სიონიც, რომელიც თავად გივი ამილახვრის სახსრებით განახლდა; **პოლიდორ ბაბაევს** (+1870 წ.), რომელიც ცნობილი მხატვრის კ. ბრიულოვის მოწაფე იყო, თბილისის ტაძრებისთვის ხატები აქვს დაწერილი; **ალექსანდრე ჟიდკოვსკიმ**, იმპერატორ ალექსანდრე III-ის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, 1888 წელს თბილისის ფერისცვალების მონასტრის ფრესკები და ხატები განაახლა; **ანდრიანე მალახოვმა** XIX ს-ის შუა წლებში თბილისის სემინარიის ეკლესიის სამეუფო კარი მოხატა და სიონის ტაძრისთვის ორი ხატი დაწერა, ასევე შუამთისა და ქვაბთახევის მონასტერთა კანკელის ხატებიც მისი შექმნილია. საეგზარქოსოსთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე მასვე უნდა განეახლებინა ბიჭვინთის ტაძრის ძველი მოხატულობა, მაგრამ საქართველოსკენ მომავალი გზაში გარდაიცვალა; **მაკარ მინინმა** 1855 წელს სამთავროს ტაძრისთვის მრავალი ხატი შექმნა; **პეტრე ნასენკინმა** XIX ს-ის შუა წლებში ალავერდის ტაძრის კანკელი მოხატა და განაახლა; მანვე სოფ. გუდანისა და ახიელის ეკლესიებისთვის ხატები დაწერა; **პეტრე ნორევს** დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის საქმეში, იგი 1856 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიასთან არსებულ თბილისის ხატწერის კლასს ხელმძღვანელობდა; მასვე ეკუთვნის აკვარელით შესრულებული «დედოფალი თამარი», რომელიც გ.

[46] მასალები ძირითადად მოყვენილია გამოკვლევიდან: **Дзуцова Ирина, Народное направление грузинской станковой живописи второй половины XVIII-XIX веков, Тбилиси, 2014.** – ეს არის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც წიგნად აკად. ვახტანგ ბერიძის რეკომენდაციით დაიბეჭდა.

შარაძეს 1970 წელს წელს აღმოუჩენია; **თეოდორე რუბცოვმა** გუდანისა და ახიელის ეკლესიათა კანკელი მოხატა და მოავარაყა, ხოლო 1861 წელს თბილისის ფერისცვალების მონასტერში კანკელი დადგა. საინტერესოა, რომ დავით გარეჯელის სარკოფაგის მოწყობა მას ჰქონია მინდობილი; **ვასილი სოლოხოვი** XIX ს-ის მეორე ნახევარში ალავერდის ტაძრის კანკელის ხატწერაში მონაწილეობდა; **მიხეილ ტროშჩინსკიმ** 1855-1856 წლებში თბილისი სიონში მნიშვნელოვანი ფერწერული სამუშაოები შეასრულა, მარტყოფის მონასტრის გუმბათიანი ტაძარიც მისი მოხატულია; **თეოდორე ხლამოვმა** 1859-1861 წლებში დაწერა და განაახლა ხატები და კანკელი ალავერდის ტაძრისა. იგი ამავე წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში ხატწერას ასწავლიდა. მანვე გუდანისა და ახიელის ეკლესიების კანკელის ხატები დაწერა; **თეოდორე ჩერნოვმა** 1856 წელს სიონის ძველი კანკელი სვეტიცხოველში გადაიტანა და სამეუფო კარისთვის ხატები დაწერა; მან 1854 წელს ქვათახევის განახლებულ მონასტერში ახალი კანკელი დადგა. სამეუფო კარიც მისი დამზადებულია (1855 წ.).

დაბოლოს, გავიხსენოთ ცნობილი მოღვაწენი: თავადი **გრიგოლ გაგარინი**, რომელმაც ანჩისხატისა და სვეტიცხოვლის ფრესკები აღადგინა და თავისი ხარჯით თბილისის სიონის ტაძარი ცვილის საღებავებით მოხატა(1850 წ.), და სახელგანთქმული **მიხეილ ნესტეროვი**, მომხატველი აბასთუმნის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრისა(ფრესკებისა და კანკელის კომპოზიციათა რაოდენობა 50-ს სჭარბობს), რომელიც 1898 წელს საქართველოში სამუშაოდ იმპ. ნიკოლოზ II-ის უმცროსმა ძმამ, უფლისწულმა გიორგიმ მოიწვია.

რუს მოღვაწეთა წარმოდგენილი არასრული სია ნუთუ არ გვარწმუნებს იმაში, რომ რუსეთის იმპერიის პოლიტიკა არა ხატთმბრძოლობის, არამედ ხატთმწერლობისკენ იყო მიმართული? – თუ თქვენ სააზროვნო სფეროდან ლოგიკა არ გამოდევნეთ და რუსთმოძულეობით გონება არ დააბნელეთ, მაშინ დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემაც არ გაგიჭირდებათ.

სხვათა შორის, ტაძრების შეთეთრების მოარულ ამბებზე ორ

შემთხვევასაც გავიხსენებთ, რომელიც მკითხველისთვის, ალბათ, საგულისყურო იქნება.

1892 წელს, საქართველოში სტუმრად მყოფი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული 1 მაისს სვეტიცხოველში უნდა მიბრძანებულიყო. საქართველოს ეგზარქოსმა, მეუფე პალადიმ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მცხეთის ტაძარი შესაფერისად მოემზადებინა. «კედლები და თაღები ტაძრისა ადგილ-ადგილ, სადაც მხოლოდ შიშველი ქვები ჩანდა, შეაბათქაშეს(ე.ი. გაჯით ან კირით შელესეს); აქა-იქ შემორჩენილი ადრინდელი ფერწერა განბანეს და განაახლეს, იატაკი შეძლებისდაგვარად მოაშანდაკეს და ტაძრის შიგნით თითქმის მთლიანად თეთრად შეღებეს».[47]

აჰა, ბატონო, ეგზარქოსის მთელი დანაშაული: იატაკისა და შიშველი ქვების შეთეთრება! არც ეს გამოგვრჩეს: იმპერატრიცას ტაძარში შებრძანების შემდეგ საეგზარქოსო გუნდს სლავურად და ქართულად(!) შეუსრულებია „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“ და „ქრისტე აღდგა“. ჟურნალში ასევე აღნიშნულია, რომ მეუფე პალადის სვეტიცხოვლის მოხატვაზეც უზრუნვია, ამისთვის საჭირო სახსრებიც გამოუნახავს და ამ საგანზე არქეოლოგიურ საზოგადოებასთან მიწერ-მოწერასაც შედგომია.

ჩვენთვის საინტერესო მეორე ფაქტი ნეკრესის ეკლესიის 1762 წლის გუჯარმა, ანუ იმ დროის საბუთმა შემოგვინახა, როცა საქართველო რუსეთთან ჯერ არ იყო შეერთებული. კათოლიკოსი იოსები საზოგადო ეპისტოლეთი ნეკრესის ეპისკოპოს დოსითეს, სხვა საკითხებთან ერთად, ატყობინებდა: «თუკი ეკლესიის კედლები გაშავდა, მაშინ ისინი უნდა მოვაბათქაშოთ და შევათეთროთო».[48] იმედი ვიქონიოთ, რომ ქართველ კათალიკოსს რუსთა წინამორბედ ხატთმბრძოლად არ გამოაცხადებენ.

ჩვენ კი, ღმრთის შეწევნით, დემაგოგებთან ბრძოლაზე უარს არასდროს ვიტყვით და მშვიდობას ბოროტებასთან შეგუების საწინდრად არ გადავაქცევთ.

---

[47] **Прибавления к Церковным ведомостям, №23, 06.06.1892. С. 841.**

[48] **Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари, Тифлис, 1881. С.41.**

ვალერიან მაჭარაძე

გეორგიევსკის ტრაქტატი[1]

გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის მფარველობაში. ეს იყო პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში. ამ აქტით ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე II** „სახელითა თჳსითა, მემკჳდრეთა და მენაცჳლეთა თჳსთა დღესასწაულობით“ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა, ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მეთაურის უზენაესი ხელისუფლება, გარდა რუსეთისა, ხოლო რუსეთი ვალდებულებას იღებდა, დაეცვა ქართლ-კახეთი გარეშე მტრებისაგან და ეზრუნა მისთვის მტრის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებისათვის, რომელიც ქართველი მეფის მფლობელობაში უნდა დარჩენილიყო.

გეორგიევსკის ტრაქტატი მკვეთრი მობრუნება იყო არა მარტო რუსეთ-საქართველოს, არამედ, აგრეთვე, საქართველო-სპარსეთისა და საქართველო-თურქეთის ურთიერთობაშიც.

გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ახალი ეტაპის დასაწყისი იყო საქართველოსა და ამ-

[1] წყარო: გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გამც. „ხელოვნება“, 1983. გამოკვლევა იბეჭდება უმნიშვნელო შემოკლებით.

იერკავკასიის საკითხში რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ურთიერთობაში, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ურთიერთობისაგან. უფრო მეტიც, ეს აქტი მოასწავებდა საერთოდ კავკასიის პრობლემის ახლებურად დაყენებას.

წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

გეორგიევსკის ტრაქტატი თავისი მნიშვნელობით, ბუნებრივია, მკვლევართა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ტრაქტატს მიეძღვნა არა ერთი გამოკვლევა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე არ არის სათანადოდ გაშუქებული. ეს განპირობებულია იმით, რომ მკვლევართათვის ძირითად წყაროდ დღემდე რჩება **ა. ცაგარლის** პუბლიკაციები[2] და **პ. ბუტკოვის** „მასალები“.[3]

პ. ბუტკოვს დიდი დამსახურება მიუძღვის კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი შრომები შეიცავენ საყურადღებო ცნობებს, ამოკრებილს საარქივო დოკუმენტებიდან, ზეპირი გადმოცემებიდან და სხვა მასალებიდან, აგრეთვე საყურადღებო მოსაზრებებსაც, მაგრამ ავტორს ნაშრომი დაუმთავრებელი, „შავი“ ხელნაწერის სახით დარჩა, რომელსაც, გამომცემლების აღიარებით „სერიოზული ხარვეზები გააჩნდა“ და მეტწილად „წყაროზე მითითებაც არ ახლდა“,[4] ამიტომ მათი შემოწმება ძნელი იყო, რამაც დაღი დაასვა მომდევნო ხანის გამოკვლევებს.

დიდია **ა. ცაგარლის** დამსახურება მეცნიერების წინაშე. მისი პუბლიკაციები დიდი ხანია ქართველი ისტორიკოსებისათვის სამაგიდო წიგნებად ითვლება, მაგრამ, ამასთან, ხსენებულ პუბლიკაციებს სერიოზული ნაკლიც გააჩნიათ: ჯერ ერთი, მკვლევარს საარქივო „საქმეების“ უმრავლესობა არ გაუსინჯავს, ხოლო გასინჯულიდან გამორჩენია (კრებულში არაა შეტანილი) საყურადღებო დოკუმენტე-

[2] **Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПБ., 1891 (ქვემოთ: Грамоты, 1); т. II, вып. 1, СПБ., 1898 (ქვემოთ: Грамоты, II, вып.1); т. II, вып. II, СПБ., 1901 г. (ქვემოთ: Грамоты, II, вып. II).**

[3] **П. Г. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, ч. I-III, СПБ., 1869.**

[4] **П. Б у т к о в, Материалы, ч. I, გვ. VIII (შესავალი).**

ბი; მეორეც, გამოქვეყნებული დოკუმენტები ცუდად დაუბეჭდავს;[5] გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებულ დოკუმენტებშიც, უმნიშვნელო ხარვეზებსა და კორექტურაზე რომ არაფერი ვთქვათ, გამოტოვებულია საყურადღებო ადგილები. მაგალითად, ჯერჯერობით მხოლოდ ა. ცაგარლის პუბლიკაციითაა ცნობილი **ერეკლე II** 1771 წ. 30 დეკემბრის წერილი, სადაც წამოყენებულია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობები, რომელიც შემდეგ ტრაქტატის შემუშავების საფუძველი გახდა. დოკუმენტის პუბლიკაციაში დამახინჯებულია 3 ძირითადი მუხლი: 1) მუხლს ახალციხის შესახებ ბოლო აქვს მოკვეთილი; 2) მუხლს ჭარის (აღმოსავლეთი კახეთი) შესახებ მოკვეთილი აქვს თავი და ეს ორი მუხლი მექანიკურადაა ერთმანეთთან გაერთიანებული, რაც ტექსტს გაუგებარს ხდის; 3) დამახინჯებულია მუხლი საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის ჯარის მეთაურის უფლებების შესახებ. აქვე მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „როდესაც ძალითა და შეწევნითა თ. დ. კორპუსისათა რაც ოსმალთაგან წართმეულს ადგილებს დავიჭერთ ბედნიერებითა თ. დ. ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში, და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრაშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნებიდამ, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დ. თ.“[6]

დედანში კი მოცემულია: „როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული *მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი.*

თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები დავიჭირეთ ბედნიერობითა თქვენის დიდებულებისათა, ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთ-

[5] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 164.

[6] **Грамоты, II, вып. I, с. 84.**

სა და იმ ქვეყნებიდამ, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსას“.[7]

როგორც ვხედავთ, აქ მექანიკურად გაერთიანებულია ორი პუნქტი და საერთოდ ამოვარდნილია კახეთის ხსენება. ამასთან, ჩანს, რომ **ერეკლე** აბრეშუმით გადასახადს ახალციხის შემოერთების შემთხვევაში კი არ კისრულობდა, არამედ – „კახეთის წართმეული ადგილების“ (ქარის), ხოლო გადასახადს 14 შაურს კომლზე ახალციხის მხრიდან კი არ კისრულობდა, არამედ იმის ნახევარს, რაც „რუსეთის იმპერიაში თავადის ყმას“ ედო (ე. ი. 35 კაპიკს).

პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „და გვებოძოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი... ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის“.[8]

დედანში სხვაგვარადაა მოცემული: „...გვებოძოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი... ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის შეძლებით, *როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს*, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის“.[9]

ასე რომ, **ერეკლე II** იმას კი არ ითხოვდა, რუსეთის ჯარის სარდლები მე უნდა დამემორჩილოსო, არამედ მე რუსეთის ჯარის მეთაურს შეძლებისდაგვარად („ჩვენის შეძლებით“) მოვუსმენ და იმანაც უნდა მომისმინოსო.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ერეკლე II 1771 წლის 30 დეკემბრის წერილის **ა. ცაგარლისეულმა** გამოცემამ მკვლევარები შეცდომაში შეიყვანა: **ი. ცინცაძემ** შეამჩნია დოკუმენტის ხარვეზები, რაც წერილის სტილს დააბრალა და მის ნაცვლად ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ წამოყენებული პირობების გადმოსაცემად მიმართა **ანტონ კათალიკოსისა** და **ლევან ბატონიშვილის** გვიანდელ (1773 წლის) წერილს, როგორც „უფრო ვრცელსა“ და „უკეთ

[7] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, л. 463** (დახრილად აწყობილი ადგილები გამოტოვებულია ა. ცაგარლის პუბლიკაციაში).

[8] **Грамоты, II, вып. I, с. 83.**

[9] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, л. 462** (დახრილად აწყობილი სიტყვები ა. ცაგარლის პუბლიკაციაში გამოტოვებული იყო).

გამართულს";[10] ხოლო გ. პაიჭაძემ[11] ვერ მოახერხა ერეკლეს მიერ წამოყენებული პირობების სრულად და სწორად გადმოცემა.

ასეთი მაგალითები შეიძლებოდა სხვაც მრავალი მოგვეტანა.

ა. ცაგარელს გამორჩენია და მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი რჩებოდა მეორე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა,[12] რომელიც **ერეკლეს** მიერ გაგზავნილი ხელშეკრულების პროექტს ახლდა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მნიშვნელოვნად ავსებდა მას.[13]

რაც შეეხება ხელშეკრულების ტექსტს, იგი რამდენჯერმე დაიბეჭდა, მაგრამ სრული და იმ სახით, რა სახითაც რეალურად არსებობს, ჯერ მკითხველებსა და მკვლევარებს არ უხილავთ.

ტრაქტატის ნაწილი, სახელდობრ: პრეამბულა, 13 ძირითადი მუხლი და ქართლ-კახეთის მეფის რუსეთისადმი ერთგულების ფიცის ნიმუში („სახე") პირველად რუსულ ენაზე სტამბური წესით დაბეჭდეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უმალვე,[14] იმპერიაში გასაცხადებლად და საზღვარგარეთ რუსეთის ელჩებისათვის გასაგზავნად.[15]

---

[10] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960, გვ. 59.

[11] გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბილისი, 1980, გვ. 29.

[12] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, л. 459.**

[13] ერეკლეს მიერ რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე 1771-73 წლების დოკუმენტები და ქართლ-კახეთის ელჩობის რუსეთის მთავრობასთან 1772-1774 წლებში მოლაპარაკების მასალები სრულად იბეჭდება ჩვენი „მასალების" III წიგნში.

[14] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 80-82.**

[15] 1783 წლის 21 აგვისტოს ა. ბეზბოროდკო ცარსკოე სელოდან საგარეო საქმეთა კოლეგიას (სავარაუდებელია გრაფ ოსტერმანს) წერდა: «**Препровождая сим Трактат, заключенный с карталинским и кахетским царем Ираклием Теймуразовичем о признании им верховной власти Всероссийских императоров над царями и царствами Карталинским и Кахетским, имею честь сообщить вашему сиятельству о высочайшем ея императорскаго величества соизволении, чтоб, во-первых, на сей Трактат заготовлена была императорская ратификация, в которой царю Ираклию Теймуразовичу дать все те титулы, коим он себя именует в своей Полной мочи. Второе, сей Трактат для сведения в Империи всероссийской напечатать, а хотя и должно оный во известие сообщить министрам российским в чужих краях пребывающим, но притом наставить их, что в случае каковых либо безпокойств от каких бы то ни было держав имеют они отвествовать, что у нас все вобще дела азиатския почитаются посторонными и отнюдь не принадлежащими к европейским державам, так что и сами союзники наши имеют о том с нами точное условие, что и**

ხელშეკრულება მეორედ სტამბურად დაიბეჭდა 1783 წლის ბოლოს და 1784 წლის დასაწყისში ქართულ და რუსულ ენებზე (პარალელური ტექსტი). გვერდის მარცხენა ნახევარზე რუსული ტექსტი იყო მოთავსებული, მარჯვენაზე – ქართული (ნუსხახუცური შრიფტით).[16] ამას ადასტურებს **ა. ბეზბოროდკოს** 1783 წლის 15 დეკემბრის წერილი.[17] შინაარსიდან ჩანს, რომ ტრაქტატის ორენოვანი ტექსტი მეცნიერებათა აკადემიაში გაიგზავნა დასაბეჭდად და მეთვალყურეობა (რედაქტორობა) თავად **მოურავოვისათვის** (თარხან-მოურავი) დაუვალებიათ.[18] მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაბეჭდილი ტექსტი შეიცავდა არა მარტო ხელშეკრულების ძირითად ტექსტსა (პრეამბულასა და 13 მუხლს) და ფიცის ნიმუშს („სახეს“), არამედ ადრე დაბეჭდილი ტექსტისაგან განსხვავებით, მას დართული ჰქონდა აგრეთვე ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურთა სიაც, რომელსაც ხელი მოაწერა **ერეკლე II** ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე (1783 წლის 28 ივნისს). სიაც ორენოვანი იყო. მთარგმნელის შეცდომით, რუსულ ტექსტში სიის ხელმოწერის თარიღად 18 ივნისია აღნიშნული.[19]

1830 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დაიბეჭდა რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში, სეპარატული (ცალკე) მუხ-

---

здесь наблюдать. Третье, что же касается до сепаратных артикулов, оные в печать не отдавать и никуда не разсылать» (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 18).

[16] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47.**

[17] ა. ბეზბოროდკოს წერილი 1783 წლის 15 დეკემბრისაა და არა 18 დეკემბრის, როგორც ეს რ. მიმინოშვილსა და გ. პაიჭაძეს მიაჩნიათ (იხ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ნაწ. I, თბილისი, 1970, გვ. 184, 188).

[18] **«Милостивый государь мой! Ея императорскому величеству угодно, чтобы ваше сиятельство (ალბათ იგულისხმება გრაფი ოსტერმანი – ვ. მ.) благоволили приказать препроводить к ее сиятельству княгине Катерине Дашковой с г-м канцелярии советником князем Моуравовым верную копию трактата, постановленнаго с карталинским и кахетинским царем Ираклием для напечатания в Академии на грузинском и российском языках. Имея честь сообщить о сем вашему сиятельству пребываю в совершенным почитанием» (АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 19).**

[19] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47** (ქართველ თავად-აზნაურთა სიის დართვას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ტრაქტატის მე-9 მუხლით ისინი უთანაბრდებოდნენ რუს თავად-აზნაურობას და რუს მოხელეებს ეს უნდა სცოდნოდათ, რომ შესაბამისი პატივი მიეგოთ).

ლების გარეშე.[20]

1898 წელს **ა. ცაგარელმა** გამოაქვეყნა გეორგიევსკის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ქართულ ენაზე), სადაც, ძირითად ტექსტთან ერთად, პირველად გამოქვეყნდა სეპარატული მუხლები.[21] მაგრამ ა. ცაგარელმა დაარღვია დოკუმენტის სტრუქტურა. სარატიფიკაციო სიგელში შეიტანა ელჩების რწმუნების სიგელი, ხოლო სარატიფიკაციო სიგელის პირველი დოკუმენტის (სიგელი ორი დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით არსებობს) დასკვნითი ნაწილი გადაიტანა მეორე დოკუმენტის ბოლოში. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მკვლევარმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხელშეკრულების დედანი და სარატიფიკაციო სიგელი ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა; ზედმეტად მიუჩნევია სარატიფიკაციო სიგელის პირველი დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი, რაკი იგი ხელშეკრულების დედანში არ იყო. მართალია, არ გამოუტოვებია, მაგრამ პირველი დოკუმენტის დასკვნითი (ბოლო) ნაწილი მეორე დოკუმენტის ბოლოში გადაუტანია, რაც დაუშვებელია.

1902 წელს ა. ცაგარელმა დაბეჭდა აგრეთვე ხელშეკრულების პროექტის რუსული ტექსტი, რომელიც **ა. ბეზბოროდკოს** ავტოგრაფითაა შემონახული.[22]

1949 წელს **დ. ენუქიძემ** გამოაქვეყნა ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ერეკლეს მიერ რატიფიცირებული ტექსტი) ქართულ ენაზე. საქართველოს მუზეუმში დაცული (ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია) დედნის მიხედვით, ოღონდ მასში შეტანილია ქართველი ელჩების რწმუნების სიგელი, რომელიც **ა. ცაგარლის** პუბლიკაციიდან გადაბეჭდა.[23]

1960 წელს **ი. ცინცაძემ** დაბეჭდა ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელი საქართველოს მხრივ (ერეკლეს მიერ რატიფიცირებული ტექსტი) ქართულ ენაზე (საქართველოს მუზეუმში დაცული

[20] **ПСЗ, т. XXI, СПб., 1830, док. №15835, с. 1013-1017.**

[21] **Грамоты, II, вып. I, гз. 99-110.**

[22] **Грамоты, II, вып. I, гз. 32-41.**

[23] საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბილისი, 1949, გვ. 31-44.

დედნის მიხედვით). გამომცემელს სარატიფიკაციო სიგელისათვის დასაწყისი (პირველი გვერდი) მოუკვეთია. აქვეა დაბეჭდილი ხელშეკრულების პროექტის, ხელშეკრულების ძირითადი ნაწილისა და დამატებითი მუხლის რუსული ტექსტებიც, რომლებიც გადმობეჭდილია ადრინდელი გამოცემებიდან.[24]

1965 წელს **ი. დოლიძემ** გამოსცა ტრაქტატის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე, რომელსაც დაურთო ქართველ თავად-აზნაურთა სია.[25] პუბლიკაცია რამდენიმე შენიშვნას იმსახურებს. ჯერ ერთი, დაბეჭდილია არა ხელშეკრულების დედანი, არამედ სარატიფიკაციო სიგელის ქართული ტექსტი, რომელიც გამომცემელს შეუვსია, ან როგორც თვითონ წერს, ადგილი „აღუდგენია“ საარქივო საქმით. ე. ი. სარატიფიკაციო სიგელში ადგილი შეუტანია ხელშეკრულების დედნიდან და იგი კვადრატულ ფრჩხილებში მოუთავსებია,[26] რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია. რადგან ტრაქტატის დედანი და სარატიფიკაციო სიგელის დედანი დამოუკიდებელი დოკუმენტებია, ამიტომ ისინი ცალ-ცალკე უნდა დაბეჭდილიყო. ამგვარად, ვერც ერთი ვერ მივიღეთ მისი ნამდვილი სახით; მეორე, სარატიფიკაციო სიგელის პარალელურ რუსულ ნაწილად დაუბეჭდავს არა მისი „თარგმანი“,[27] რომელიც მოსკოვის არქივშია დაცული, არამედ ტრაქტატის დედნის „თარგმანი“. ამიტომ ქართულ ტექსტს რუსული თარგმანი თავიდანვე კი არ მისდევს, არამედ მეორე გვერდიდან იწყება და ბოლომდე არ მიჰყვება – ქართული ტექსტის ბოლო ნაწილიც „თარგმანის“ გარეშეა დაბეჭდილი;[28] მესამე, ქართულ ტექსტში გამომცემელს ენობრივი (ორთოგრაფიული) ფორმები გაუსწორებია, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. რუსული ტექსტი კი ძველი ორთოგრაფიით დაუბეჭდავს,[29] რაც რუსული საარქივო დოკუმენტების პუბლიკაციის

[24] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი, 1960, გვ. 198-233.

[25] ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1965, გვ. 457-492.

[26] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 473.

[27] აქ სიტყვა „თარგმანს“ პირობითად ვხმარობთ, რის თაობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

[28] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 457-482.

[29] იქვე, 458-482.

თანამედროვე წესებს ეწინააღმდეგება; მეოთხე, შეცდომებია დაშვებული კომენტარებშიც, სადაც საარქივო საქმის ძველი სათაური, რომელსაც მთელი ფურცელი უჭირავს, „მინაწერადაა“ გამოცხადებული.[30] დასასრულ, გამომცემელს რატომღაც გამოუტოვებია ხელშეკრულების დამატებითი მუხლი (ე. წ. „შესასრულებელი არტიკული“).

ტრაქტატის ტექსტი 1970 წელს **რ. მიმინოშვილმა** და **გ. პაიჭაძემ** გამოსცეს,[31] მაგრამ არც ეს გამოცემა აღმოჩნდა სრული. მართალია, ხელშეკრულების ქართული ტექსტი სრულადაა დაბეჭდილი,[32] მაგრამ ქართული სარატიფიკაციო სიგელის მხოლოდ დასაწყისი და ბოლოა დაბეჭდილი,[33] რაც საკმარისი არ არის, რადგან ქართული სარატიფიკაციო სიგელი დამოუკიდებელი დოკუმენტია, ამიტომ იგი სრულად უნდა დაბეჭდილიყო; რაც შეეხება რუსულ ტექსტს – ხელშეკრულების დედნის მხოლოდ „თარგმანია“ დაბეჭდილი,[34] სარატიფიკაციო სიგელის „თარგმანი“ კი საერთოდ გამოუტოვებიათ; მეორე, გამომცემლებს ქართულ ტექსტის დასადგენად საჭიროდ ჩაუთვლიათ სხვა გამოცემების პარალელური ფორმების სქოლიოში გამოტანა,[35] რაც ზედმეტად მიგვაჩნია, რაკი ტრაქტატის დედანი გვაქვს (გვიანდელი ასლებით რომ ვსარგებლობდეთ, ან დაზიანებული იყოს, მაშინ ეს აუცილებელი იქნებოდა); მესამე, გამომცემლებს ქართულ დედანში ორთოგრაფიული ფორმები გაუსწორებიათ, რაც მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია; რუსულ ტექსტებში გამომცემლებს ყველა არსებითი სახელი, სამხედრო და სამოქალაქო წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები, თითქმის ყველა ნაცვალსახელი მთავრულით დაუწერიათ,[36] რასაც არც რუსული საისტორიო დოკუმენტების გამოცემის თანამედროვე „წესები“ ითვალისწინებს და არც საბჭოთა ისტორიოგრაფიის პრაქტიკა; მეო-

[30] იქვე, 638-639.
[31] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, გვ. 182-245.
[32] იქვე, გვ. 193-207.
[33] იქვე, გვ. 208-211.
[34] იქვე, გვ. 223-233.
[35] იქვე, გვ. 193-211.
[36] იქვე, გვ. 221-237.

თხე, გამომცემლებს 82 ფურცლიანი საქმის საერთო, ძველი სათაური (ყდაზე წარწერა),[37] რომელიც ახალი პაგინაციით 1 ფურცლადაა დანომრილი, გადაუტანიათ მეცხრე ფურცელზე დაწყებული რუსული ტექსტის სათაურად,[38] რაც „წესებს“ ეწინააღმდეგება; მეხუთე, შეცდომაა დაშვებული წყაროზე მითითებისას – წინასიტყვაობაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს გეორგიევსკის ტრაქტატი ერთ საარქივო საქმეში (საქმე № 178) იყოს წარმოდგენილი.[39] სინამდვილეში იგი სამ საქმეშია დაცული (ელჩების რწმუნებანი – საქმე №177,[40] ტრაქტატის დედანი და მასთან დაკავშირებული მასალები – საქმე №178[41] და სარატიფიკაციო სიგელი და მასთან დაკავშირებული მასალები – საქმე №179)[42], ყოველ მათგანს შესაბამისი სათაური აქვს, ხოლო გამომცემლების მიერ მოტანილი მასალა ორ საქმეშია (საქმე №177 და საქმე №178) დაცული და არა ერთ საქმეში (საქმე №178-ში), როგორც აღნიშნულია.[43] მეექვსე, პუბლიკაციის წინასიტყვაობასა და კომენტარებში გვხვდება უზუსტობანი. მაგალითად, საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ქართველ თავად-აზნაურთა სია **ერეკლემ** პოლკოვნიკ **ტამარას** 1784 წლის იანვარში გადასცა,[44] მაშინ როცა ამ სიას ერეკლემ 1783 წლის 28 ივნისს მოაწერა ხელი და გაატანა **ი. ბაგრატიონსა** და **გ. ქავქავაძეს**, რომლებმაც იგი გეორგიევსკში გადასცეს **პ. პოტიომკინს**, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს სია 1783 წლის 24 ივლისს გაგზავნა პეტერბურგში, 1783 წლის 15 დეკემბერს კი აკადემიის სტამბაში გაატანეს დასაბეჭდად თავად მოურავოვს (თარხან-მოურავს).

[37] საგარეო საქმეთა კოლეგიის საქმეების ძველი აქტების არქივიდან საგარეო პოლიტიკის არქივში გადატანი-სას მას ახალი ყდა გაუკეთეს და შესაბამისად დაასათაურეს, ხოლო ძველი ყდა და სათაური საქმეში დარჩა და 1 ფურცლად დაინომრა(**АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 1**), რასაც მოჰყვა მთელი საქმის გადანომრვა, რაც აქვე დაბეჭდილ ფოტოპირებზე კარგად ჩანს.

[38] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, გვ. 223.

[39] იქვე, გვ. 182-190.

[40] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 177, лл. 1-4.**

[41] იქვე, **д. 178, лл. 1-82.**

[42] იქვე, **д. 179, лл. 1-34.**

[43] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, გვ. 182-190.

[44] იქვე, გვ. 183-187.

დასასრულ, დაბეჭდილ ტექსტებში შეინიშნება სხვა ხარვეზებიც (არასწორად ამოკითხული ადგილები, კორექტურული შეცდომები და სხვა), რომლებსაც აქ არ შევეხებით. შევეხეთ მხოლოდ საერთო ნაკლს, რომელიც ცხადყოფს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მისი სრული სახით არც ქართულ და არც რუსულ ენაზე (ჩვენს არქივებში დაცული მასალების მიხედვით) დღემდე არ დაბეჭდილა და არც მისი მეცნიერული გამოცემა არსებობს.

* * *

რაც შეეხება საკითხის ისტორიოგრაფიას, სურათი არც აქაა სახარბიელო. რევოლუციამდელმა მკვლევარებმა საკითხის მეცნიერული გაშუქება ვერ შეძლეს. რომ არაფერი ვთქვათ რევოლუციამდელი მკვლევარების მეთოდოლოგიასა და ტენდენციურობაზე (ეს ეხება როგორც ქართველ, ისე რუს მკვლევარებს), მათ ვერ შეძლეს ტრაქტატის დადების უმთავრესი მიზეზების განსაზღვრაც კი, რადგან მათი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეზღუდული იყო. ტრაქტატის დადების უმთავრეს მიზეზებს ისინი ეძებდნენ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე, განსაკუთრებით 80-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის მდგომარეობის განსაკუთრებულ გაუარესებაში (თითქოს ჯამაგირი რომ დაუგვიანდებოდათ, ლეკები თბილისში ჩამოდიოდნენ და ქალაქს აწიოკებდნენ, თითქოსდა **ალექსანდრე ბაქარის ძის** დაღესტანში გამოჩენით **ერეკლემ** არ იცოდა სად წასულიყო). ამ მუქ სურათს ზოგიერთი ისტორიკოსი უმატებდა **ეკატერინეს** „გულჩვილობასაც“, რომელსაც „შეცოდებია“ გაჭირვებაში ჩავარდნილი ერეკლე. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის მიერ ტრაქტატის დადების მიზეზებს XVIII ს. 80-იანი წლების დასაწყისის კონიუნქტურით ხსნიდნენ, ხოლო რუსეთის მხრივ – ირანული პოლიტიკის „გამოცოცხლებით“.[45]

რევოლუციის შემდეგ, 30-40-იან წლებში, იყო საკითხის ახლებურად გაშუქების ცდა, მაგრამ მას რაკი წყაროების სპეციალური

[45] თითქოს, რაკი ვოინოვიჩის საზღვაო ექსპედიციამ მარცხი განიცადა, ერეკლესთან დადეს ხელშეკრულება, რომ ხმელეთით შეჭრილიყვნენ ირანში.

ძიება არ ახლდა, არსებითი შედეგები არ მოჰყოლია.

საკითხის სპეციალურად შესწავლა ამ ოცდაათიოდე წლის წინ დავიწყეთ და 1959 წელს, ძირითადად, დავამთავრეთ მონოგრაფია „გეორგიევსკის ტრაქტატი". ვაჩვენეთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატს საფუძვლად დაედო **ერეკლეს** მიერ 1771 წელს წამოყენებული პირობები, ხოლო მისი შეპირისპირებით **ეკატერინეს** ინსტრუქციასთან და ტრაქტატის ტექსტთან ცხადი გავხადეთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი საქართველოსათვის უფრო შეღავათიან პირობებში დაიდო, ვიდრე ერეკლეს პროექტი ითვალისწინებდა, რასაც ადრე ყურადღება არ ექცეოდა. ამასთან, უარვყავით მოსაზრება საქართველოს ვითარების განსაკუთრებით გაუარესების თაობაზე XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე და აქცენტი გადავიტანეთ რუსეთის ვითარების გაუმჯობესებაზე 80-იან წლებში, რამაც გადაწყვიტა ტრაქტატის დადება. გარდა ამისა, სპარსეთის ნაცვლად წინა პლანზე წამოვწიეთ თურქეთის როლი და ადგილი, რომელსაც აგრეთვე ადრე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.[46] ამრიგად, უარვყავით რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის ძირითადი დებულებები, ვაჩვენეთ მათი უსაფუძვლობა.

მართალია, 1960 წლიდან გეორგიევსკის ტრაქტატს რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოთ წამოყენებულმა მოსაზრებებმა შემდგომი განვითარება ვერ პოვეს. გეორგიევსკის ტრაქტატზე დაწერილი ნაშრომებიდან **ი. ცინცაძის** გამოკვლევა გამოირჩევა, სადაც მოცემულია როგორც ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ წარდგენილი პროექტის, ისე ხელშეკრულების მუხლების ვრცელი ანალიზი. როგორც ჩანს, ავტორს ყურადღება მიუქცევია ჩვენი მოხსენების თეზისებისათვის და ნაშრომის შესავალში აღნიშნავს, რომ „რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა... ყოველმხრივ გაშუქებული არ გამოიყურებოდა" და „1783 წლის შემდეგ მომხდარი ზოგი მოვლენის მართებული ახსნა არ მოგვეპოვებაო". მაგრამ მკვლევარს ძიება არასწორი გზით წარუმარ-

[46] ძირითადი დებულებები დაბეჭდილია (იხ. თსუ ისტორიის ფაკულტეტი, III სამეცნიერო სესია, 1959 წლის 4 -8 მაისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1959, გვ. 14-15).

თავს – წინა პლანზე ე. წ. „საბერძნეთის პროექტი“ – თურქეთის „წაქცევის“ გეგმა წამოუწევია, რომლის ნაწილადაც გეორგიევსკის ტრაქტატი გამოუცხადებია. რასაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ამასთან, ავტორს რუსეთის მთავრობის ამიერკავკასიის გეგმა დიპლომატთა ცალკეულ განცხადებებზე აუგია, რასაც, აგრეთვე, ვერ გავიზიარებთ.[47]

არასპეციალურ ნაშრომებში, ნარკვევებსა და სტატიებში, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, საკმაო რაოდენობით გვხვდება ფაქტობრივი და სხვა ხასიათის შეცდომები, მაგრამ ჩვენ მათზე ვერ შევჩერდებით. აქ მხოლოდ სპეციალურ ნაშრომს შე–ვეხებით.

გ. პაიჭაძის წიგნში „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ არ არის სათანადოდ გაშუქებული საქართველოს ვითარება XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, არც **ერეკლეს** მიერ წამოყენებული პირობებია სწორად და სრულად გადმოცემული; გვერდი აქვს ავლილი **ეკატერინეს** ინსტრუქციას **პოტიომკინისადმი**. არც ერეკლეს პროექტია ხელშეკრულების ტექსტთან შეპირისპირებული და სხვა.[48]

* * *

ცხადია, წინამდებარე პუბლიკაციაში ვერ იქნება წარმოდგენილი მთელი მასალა, აქ ვბეჭდავთ მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტს (ფოტოპირებითურთ). კერძოდ, ტრაქტატის ტექსტთან და სარატიფიკაციო სიგელებთან ერთად **ერეკლეს** მიერ 1771 წელს 30 დეკემბერს რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე წამოყენებულ პირობებს, ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობას 1772 წლის 6 იანვრისა და **ეკატერინე II** ინსტრუქციას **გ. პოტიომკინისადმი**, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.[49] ხსენებული დოკუმენტების ფართო მკითხველისათვის მიწოდება ხელს შეუწყობს ტრაქტატის შინაარსისა და მნიშვნელობის უკეთ გაგების

[47] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბილისი, 1960.

[48] გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბილისი, 1980.

[49] გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებული დოკუმენტები სრულად დაიბეჭდება ჩვენი „მასალების“ IV წიგნში.

საქმეს. ტრაქტატის ტექსტის სრული და დედნისეული სახით გამოცემა, რომელსაც ფოტოპირებიც ახლავს, ხელმისაწვდომი გახდება აგრეთვე ისტორიკოსებისა და ლიტერატურისმცოდნეებისათვის, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებით არიან დაინტერესებულნი, აგრეთვე ენათმეცნიერებისათვის, რომლებიც ქართული ენის ისტორიას იკვლევენ.

ხელშეკრულების მომზადება და დადება

გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შემუშავებას საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი: **ერეკლე** მეფის თხოვნის წიგნი (1771 წლის 30 დეკემბრისა), ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა (1772 წლის 6 იანვრისა) და **ეკატერინე II** მითითება **გრ. პოტიომკინისადმი** (1782 წლის ბოლო – 1783 წლის დასაწყისი).

ერეკლეს თხოვნის წიგნში წამოყენებული იყო შემდეგი პირობები: 1) რუსეთს ქართლ-კახეთში უნდა გამოეგზავნა ოთხიათასიანი ჯარი, ხოლო „ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის (ერეკლეს – ვ. მ.) შეძლებით, როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის“;[50] 2) მიეღოთ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაში სამუდამოდ, ოღონდ იმ პირობით, რომ ერეკლეს „ჩამომავლობის მეფობა... საუკუნოდ უცვალებელად“ დარჩენილიყო; 3) რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“; 4) ყირიმში გათავისუფლებულ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართოდათ; 5) ქართლ-კახეთს მისცემოდა სესხი.[51]

თუ **ერეკლეს** თხოვნა დაკმაყოფილდებოდა, მეფე რუსეთის მთავრობის წინაშე ვალდებულებას იღებდა: 1) „დღეს ჩვენს ქვეყა-

[50] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463** (ა. ცაგარლის გამოქვეყნებული ტექსტი ნაკლოვანია; **Грамоты, II, вып. I, с. 83-84**).
[51] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463.**

ნაში, რომლისაც ნივთის მადანი არის და ან გამოჩნდება, იქიდამ სარგებელი მოიპოება, ნახევარი თქვენის დიდებულების ხაზინას მიერთმეოდეს“; 2) „...რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველ წლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური საჴელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ“; 3) „...ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშოება, ყიზლარს ჩვენის ხარჯით მივიტანთ საჴელმწიფოთა“; 4) „რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშოება, თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად დიდებულებასა თქვენსა მიერთმეოდეს“; 5) „როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულების კორპუსისათა, რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს, იმისი ნახევარი ხარჯი“; 6) „თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები (ჭარი – ვ. მ.) დავიჭირეთ... ამასაც, როგორც ზემორე დაგვიწერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში და იმავ ადგილებიდამ წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნიდამ, და, თუ მეტი შევიძელით მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა“; 7) როდესაც ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ჯარზე დახარჯული ფული დაუბრუნდება რუსეთის ხაზინას; 8) როდესაც ქვეყანა დამშვიდდება, „რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძეს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თქვენს დიდებულებასა“; 9) თუ ზემოაღნიშნული თხოვნა შესრულდება „...მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად დიდებულსა ჴელმწიფესა და აზნუართაცა შეძლებისაებრ ჩვენის“.[52]

დასასრულ, **ერეკლე** ისევ თავის ძირითად თხოვნას უსვამდა ხაზს: „კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, რათა ამავე ზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს... მაშინაც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში,

[52] იქვე.

და სხუანიცა ახალი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ“.[53]

ამასთან, **ერეკლე** პრეტენზიას არ აცხადებდა უცხო ქვეყნების ტერიტორიების მითვისებაზე: „უკეთუ ღ~თითა და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქვენის დიდებულის კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქუენის დიდებულებისა არის“.[54] ერეკლე მეფე არც 1782 წლის 21 დეკემბერს წარდგენილ პროექტში აცხადებდა პრეტენზიებს არაქართულ მიწებზე,[55] რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.[56]

ასეთია ერეკლეს მიერ წაყენებული პირობები.

ზემოხსენებული თხოვნის წიგნის გასამაგრებლად ქართლ-კახეთის სამეფო კარს საჭიროდ ჩაუთვლია 1772 წლის 6 იანვარს მცხეთაში გადასულიყო და იქ, ძველ სატახტოში შეედგინა მეორე დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს **ერეკლე II, დარეჯან** დედოფალმა, **ანტონ** კათალიკოსმა, **გიორგი, ლევან, ვახტანგ** და **იულონ** ბატონიშვილებმა. დოკუმენტზე ხელმომწერნი აცხადებენ, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით თურქეთთან და ირანთან ბრძოლაში როგორ წარმატებასაც არ უნდა მიაღწიონ, რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელს არ აიღებენ.

---

[53] იქვე.

[54] იქვე.

[55] ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 195-197.

[56] ერეკლე II არც რუსეთის მთავრობისათვის წარდგენილ ხსენებულ დოკუმენტებში და არც სხვაგან წამოუყენებია არაქართული მიწების უშუალოდ საქართველოსთვის შემოერთების გეგმა. ერეკლეს სომეხთა გამათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არაერთგზის შესთავაზეს სომხეთის მეფის გვირგვინიც, მაგრამ მეფე ამაზე არ დათანხმდა (შდრ. ა. იოანესიანის შრომები). მართალია, ერეკლეს ვასალურ დამოკიდებულებაში ჰყავდა ერევნისა და განჯის სახანოები, მაგრამ ეს უფლება თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, ირანის ტახტის მაძიებლებისაგან დაცვით მოიპოვა და მტკიცედ იცავდა ამ ხაზს, რადგან ამით საქართველოზე მოსასვლელ სტრატეგიულ პუნქტებს ინარჩუნებდა. ამიტომაც ირანისა და თურქეთის წაქეზებით, ხსენებულ სახანოთა მმართველების განდგომას ზოგჯერ არ უშვებდა. რაც შეეხება ელჩების რწმუნების სიგელში ერეკლეს ტიტულში არაქართული მიწების მფლობელად მოხსენიებას (შდრ. **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 177, лл. 3-4**) და ა. ბეზბოროდკოს მითითებას სარატიფიკაციო სიგელში, ერეკლე იმავე ტიტულით მოიხსენიეთო (შდრ. **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 18**), იგი ერეკლეს ინიციატივით კი არა, მხარეთა წინასწარი შეთანხმებით გამიზნულ ნაბიჯად გვესახება, რომელსაც გზა უნდა გადაეღობა ირანის შემდგომი აგრესიისათვის ამიერკავკასიაში.

„ყოვლად დიდებულის ჭელმწიფის მოწყალებით და ძალით ამ მჭარის ქვეყნებში თურქისა თუ სპ[ა]რსეთისა ადგილები რომ დავ[ი]ჭირო, რასაც პატივსა და სიმაღლეში შევიდეთ, მაშინც მონებრ დამორჩილებულნი ვ[ი]ყვნ[ე]თ ყოვლად დიდებულობისა ჭელმწიფობისა თქვენისასა და როგორადაც სხვას მეორეს ჩვენგნით თქვენის იმპერატორების დიდებულების სამსახურისა და აღთქმისდა კვალად ჩვენგანვე თქვენის ყოვლად მოწყალების სათხოველის არზაში მოგვიხსენებია, რომელზედაც თვით ჩემი ჭელი აწერია,[57] იმ სახით ყოვლითურთ ჩემის ჩამომავლობით დამორჩილებულნი და ყმანი ვიყვნეთ საუკუნოდ“.[58]

ამრიგად, **ერეკლე II** უარს აცხადებდა თავისი სუვერენული უფლებების ნაწილზე, კისრულობდა ხარკსაც, მაგრამ მეფე ამ ნაბიჯს დგამდა დიდი მნიშვნელობის საკითხების მოსაგვარებლად – ქართლ-კახეთის უშიშროების უზრუნველსაყოფად და მტრის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დასაბრუნებლად. ქართული მიწების დაბრუნების მნიშვნელობაზე, რომ არაფერი ვთქვათ, ამ ოლქებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ქართლისა და კახეთის თავდაცვისათვის. ჯერ ერთი, თურქებმა, მიიტაცეს რა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ძალით გაავრცელეს ისლამი, მოსახლეობის ნაწილი გაათურქეს, მოშალეს ეკონომიკა, გაანადგურეს მატერიალური კულტურის ძეგლები, ხოლო ახალციხის საფაშო აქციეს თავიანთ პლაცდარმად, საიდანაც თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთსა და კავშირს ამყარებდნენ ლეკებთან;[59] მეორე, ლეკებმა დაიკავეს აღმოსავლეთ კახეთი და გადააქციეს თავიანთ ბაზად, საიდანაც თავს ესხმოდნენ კახეთსა და ქართლს, იტაცებდნენ ადამიანებს, მიერეკებოდნენ საქონელს და ა. შ. ახალციხისა და ჭარის ტერიტორიული სიახლოვე აიოლებდა ლეკების კავშირს თურქებთან. პირველი (ახალციხის) საკითხის გადაწყვეტა

[57] ლაპარაკია ერეკლე მეფის 1771 წლის 30 დეკემბრის წერილზე, რომელსაც ზემოთ გავეცანით.

[58] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, л. 459.**

[59] ლეკთა საკითხის გადახლართვა საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხთან საკმაოდ ნათლად აქვს ნაჩვენები ნ. ბერძენიშვილს (აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. იხ. „მიმომხილველი“, III, 1953, გვ. 85-86).

საქართველოს გარეშე ძალის დაუხმარებლად არ შეეძლო და ეს საკითხი არც დასმულა დღის წესრიგში, სანამ არ დაინახეს რუსეთის დაინტერესება ამიერკავკასიით; მეორე საკითხი (ჭარის) ერეკლემ და თეიმურაზმა დასვეს 50-იან წლებში, მაგრამ ვერ გადაწყვიტეს, რადგან ჭარელებს ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელები წამოეშველნენ და საიდუმლოდ არც თურქებს დაუკლიათ ხელი. მტრის ამ ორი პლაცდარმის მოშლის გარეშე ქართლ-კახეთის დაცვა შეუძლებელი იყო.

აი, რატომ გადადგა **ერეკლე II** ასეთი ნაბიჯი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რუსეთის მხრივ ყოველგვარი ჩაგონების გარეშე. რუსეთის წარმომადგენლები გენერალი **ა. სუხოტინი** და კაპიტანი **ი. ლვოვი,** რომლებიც მაშინ ქუთაისში იყვნენ, აღშფოთებულიც კი იყვნენ, მათთვის შეუტყობინებლად ელჩების რუსეთში გამგზავრების გამო (როგორც ჩანს, ეჭვობდნენ ერეკლემ ჩვენზე საჩივარი ხომ არ მისწერაო) და მთავრობას აცნობებდნენ, ჩვენ ელჩობის მიზანი არ ვიცითო.[60]

1772 წლის იანვარში რუსეთში გაემგზავრა ელჩობა **ანტონ** კათალიკოსისა და **ლევან** ბატონიშვილის მეთაურობით, რომელთაც მიჰქონდათ **ერეკლე II** თხოვნის წიგნი და სამეფო კარის პირობა.

რა თქმა უნდა, რუსეთს, თურქეთთან ომის დროს[61] – როცა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი რუსეთის შავი ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლების საკითხები, ევროპის ქვეყნების მტრული პოზიციის ვითარებაში, – არ შეეძლო მიეღო ქართლ-კახეთი მფარველობაში, რადგან იგი გამოიწვევდა თურქეთთან ომის გაჭიანურებას და ირანელ ხანებსაც (ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით) მოთმინებიდან გამოიყვანდა, რომლებთანაც დამაიმედებელი წერილები ჰქონდათ გაგზავნილი (რომ რუსეთს ირანის წინააღმდეგ მტრული განზრახვა არ ჰქონდა და ჯარი საქართველოში მხოლოდ თურქე-

[60] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-75 гг., оп. 110/2, д. 11, лл. 45-50; 1769-70 гг., оп. 110/2, д. 13, л. 172; 1771-75 гг., оп. 110/2, д. 16, л. 7; Грамоты, I, 334.**

[61] 1768-74 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი.

თის წინააღმდეგ საომრად შემოიყვანა). ამიტომ 1773 წლის 31 დეკემბრის წერილით **ეკატერინე II** თუმცა უწონებდა **ერეკლეს** გადაწყვეტილებას, მაგრამ მეფეს ატყობინებდა, რომ თქვენი წინადადების მიღება ამჯერად არ შეგვიძლია და ეს ამბავი უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდოთო. ამასთან, იმპერატორი მეფეს ჰპირდებოდა – თურქეთთან ზავის დადებისას სულთანს ქართველი ხალხის უშიშროების უზრუნველყოფის პირობას ჩამოვართმევთ, რომლის შესრულებაზე მე თვითონ დავაწესებ კონტროლსო.[62] 1774 წელს ელჩები ხელცარიელი დაბრუნდნენ საქართველოში.[63]

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ რუსეთის ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა: ჯერ ერთი, დნეპრსა და ბუგს შორის ტერიტორიისა და კინბურნის სიმაგრის მიღებით, რუსეთი შავ ზღვაზე გავიდა; მეორე, ქერჩისა და ენიკალეს მიღებით, რუსეთს გზა გაეხსნა აზოვიდან შავი ზღვისაკენ; მესამე, თურქეთმა სცნო რუსეთის უფლება – შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობისა. ამრიგად, რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა შავ ზღვაზე. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით თურქეთის ვასალი ყირიმის სახანო დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამ აქტით თურქეთმა დაკარგა პლაცდარმი და საიმედო რეზერვი შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა. გარდა ამისა, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით გაუქმდა 1739 წლის ბელგრადის ტრაქტატი, რომლითაც ყაბარდო ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული და რუსეთს (თურქეთსაც) ეკრძალებოდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის საქმეში ჩარევა; თუმცა ქუჩუკ-კაინარჯის ზავს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია ყაბარდოს საკითხი, მაგრამ რამდენადაც თურქეთმა რუსეთსა და ყირიმს დაუთმო მისი გადაწყვეტა, რუსეთს თავისუფალი მოქმედებისათვის ხელები ეხსნებოდა. ყირიმელ დიდებულთა წინდაუხედავი პოლიტიკის (თურქეთიდან ჩამოცილება არ შეგვიძლიაო) წყალობით ომის შემდეგ თურქეთი (70-80-იანი წლების მი-

[62] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1770-74 гг., оп. 110/2, д. 14, лл. 45-47; Грамоты, I, с. 394-397.**

[63] ხსენებული ელჩობის ისტორია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორც ზემოთ ითქვა, ცალკე იბეჭდება.

ჯნაზე) აქტიურად ჩაერია ყირიმის საქმეებში[64] (ტამანიდან ყირიმში შეჭრითა და იქ თავისი ბატონობის აღდგენით თურქეთი ქერჩისა და ენიკალეს ციხეებს ემუქრებოდა და ქერჩის სრუტის ხელახლა ჩაკეტვის საფრთხეს ქმნიდა; გარდა ამისა, თურქეთი ტამანიდანვე საფრთხეს უქმნიდა აგრეთვე რუსეთის პოზიციებს ჩრდ. კავკასიაში, ხოლო ოჩაკოვიდან – კინბურნის ციხესა და დნეპრიდან შავ ზღვაზე გასასვლელს). ამ მდგომარეობამ აიძულა რუსეთი ავსტრიასთან დაახლოების გზას დადგომოდა და დაეჩქარებინა ყირიმის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. რუსეთის მთავრობამ რეალურად დასვა ყირიმის საკითხი, ხოლო მისი გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოდ მიიჩნიეს საქართველოს საკითხის წამოჭრაც.[65] ასეთ პირობებში რუსეთის მთავრობამ ქართველ მეფეებს **ი. რაინეგსის** პირით აცნობა დიპლომატიური მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობაზე და ხელშეკრულების პროექტის შემუშავებას შეუდგა.

ეკატერინე II ინსტრუქციაში, რომელიც გრაფმა **ა. ბეზბოროდ-**

---

[64] ყირიმში შესაჭრელად თურქეთის დიდი მზადების თაობაზე ქართველმა დიპლომატებმა რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ 1778 წელს აცნობეს (იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბილისი, 1968, გვ. 218).

[65] მართალია, ირანის სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, რომ საქართველოს საკითხი დაესვათ, მაგრამ XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთს ირანში შეჭრის საკითხი არ წამოუყენებია და არც „ირანის საკითხის გამოცოცხლებას“ ჰქონდა ადგილი, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენებოდა. მაშინ საქმე ეხებოდა მხოლოდ რუსი ვაჭრების ინტერესებისა და რუსეთის პრესტიჟის დაცვას. ისტორიოგრაფიაში გაზვიადებულია აგრეთვე თურქეთის მიმართ რუსეთის გეგმებიც (ე. წ. საბერძნეთის პროექტი). 80-იანი წლების დასაწყისში საქმე ეხებოდა არა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას, არა კონსტანტინოპოლს, არამედ ყირიმის საკითხს და ყაბარდოში დამკვიდრებას, რადგან ტამანში გამაგრებული თურქეთი, რუსეთთან ომში მარცხის მიუხედავად, თავის პრეტენზიებზე ხელს არ იღებდა.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის დიპლომატია მართლმადიდებლების ხსნის დიდი ლოზუნგით არ გამოსულა, რადგან 1768-74 წლების ომის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ბალკანეთის მოსახლეობა ამ ბრძოლისათვის ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მომზადებული, ხოლო დუნაის სამთავროებისა (ვალახია, მოლდავია) და ქართული სამეფოების ბრძოლისა და რუსეთის იარაღის წარმატების შედეგებიც, ევროპის ქვეყნებმა (პირველ რიგში ავსტრიამ) მინიმუმამდე შეკვეცეს. რუსეთის მთავრობამ გამოცდილებით იცოდა, რომ ამ დიდ საქმეში ავსტრია პარტნიორად არ გამოდგებოდა (ამიტომაც არ დართო რუსეთმა იმერეთს ნება 1787-91 წლების ომში ჩაბმულიყო, რადგან იცოდნენ შედეგს ვერ მიიღებდნენ). მაგრამ თუ ახლა ავსტრია მაინც „მეგობრად“ აირჩიეს, რუსეთს მხოლოდ იმის იმედიღა შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ ავსტრია, ბუკოვინის მიტაცების (1774) შემდეგ, თურქეთის „მეგობარი“ აღარ იყო და შავი ზღვის ჩრდილო ნაწილში სადაო საკითხებზე რუსეთს განზე ვერ განუდგებოდა.

კომ 1782 წლის ბოლოსა, თუ 1783 წლის დასაწყისში აცნობა **გრ. პოტიომკინს,**[66] ნათქვამია:

«Мнение ея величества было, чтоб: 1-е, чрез вашу светлость заключить с грузинскими царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от Империи всероссийской покровительствуемыми.

2. Поборов денежных не принять никаких, ниже половины с металлов и минералов, а оставить все то в пользу царей грузинских, а принять только ежегодную присылку шелку, вин и лошадей».[67]

გარდა ამ ორი უმთავრესი პუნქტისა, **ეკატერინე II** ინსტრუქცია შეიცავდა კიდევ ოთხ პუნქტს, რომლებზედაც იმპერატორს აინტერესებდა თავად **პოტიომკინის** მოსაზრებები:

3. ომის შემთხვევაში საქართველოში გამოსაგზავნი ჯარისა და სუბსიდიის რაოდენობა განესაზღვრა თავად გრ. პოტიომკინს;

4. **ერეკლეს** კავშირი ავსტრიის იმპერატორთან სასურველად არ იყო მიჩნეული და ერეკლესაც მიმოწერაზე ხელი უნდა აეღო (რუსეთ-ავსტრიის დაახლოება ერეკლემ რუსეთიდან ცნობის მიღებამდე შეიტყო, ამიტომ მიმართა მეფემ ავსტრიის იმპერატორს, მაგრამ რუსეთის სამეფო კარმა 1768-74 წლების გამოცდილებით იცოდა, რომ „მეგობრობის“ მიუხედავად, ავსტრიის მთავრობას შეეძლო ხელი შეეშალა);

5. ჯარისა და სხვა საკითხებზე იმპერატორი თავად პოტიომკინის მოსაზრებებს ელოდებოდა;

6. ხომ არ თვლიდა თავადი **პოტიომკინი** საჭიროდ **ერეკლესა** და **სოლომონს** შორის ნათელი და ზუსტი ზავის დადებას მისივე (თავად პოტიომკინის) თავდებობით.[68]

ეკატერინეს მითითებებს გარდა, **ა. ბეზბოროდკოც** თავის მოსაზრებებსაც სთავაზობდა თავად გრ. პოტიომკინს, სადაც სხვა

---

[66] წერილს თარიღი არ უზის. ა. ცაგარელი მას 1782 წლის დეკემბრით ათარიღებდა (**Грамоты, II, вып. I, с. 30-31**), ი. ცინცაძემ 1783 წლის თებერვალ-მარტში შედგენილად მიიჩნია (ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 99).

[67] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 66-67; Грамоты, II, вып. II, с. 30-31.**

[68] იქვე.

საკითხებთან ერთად[69] ისიც იყო აღნიშნული, რომ საქართველოდან ღვინო ფასით უნდა წაეღოთ, რადგან იგი «касается простого народа».[70]

ამრიგად, **ეკატერინე II** ინსტრუქცია ითხოვდა, ტრაქტატი დადებულიყო უფრო შეღავათიან პირობებში ქართლ-კახეთისათვის, ვიდრე ერეკლეს პროექტით იყო ნავარაუდევი.[71] აქედან ძნელი როდია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ტრაქტატი შეიძლებოდა დადებულიყო 1772 წელს, ხოლო მისი 11 წლით დაგვიანების მიზეზი უნდა ვეძიოთ არა საქართველოს, არამედ რუსეთის საგარეო ვითარებაში. კიდევ მეტი, რაკი ქართლ-კახეთი 1771 წელს მზად იყო, დაედო ხელშეკრულება უფრო მძიმე პირობებით, მაშასადამე, ხელშეკრულებების დადება 1783 წელს განუპირობებია არა საქართველოს მდგომარეობას 80-იანი წლების დასაწყისში (მისი გაუარესება ან გაუმჯობესება აქ მთავარი არ იყო), არამედ რუსეთის საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

რა თქმა უნდა, **ეკატერინე II** დათმობის მიზეზი დედოფლის კეთილშობილებაში კი არ უნდა ვეძიოთ, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობდა, არამედ მაშინდელი რუსეთის საერთაშორისო ვითარებასა და იმაში, თუ რა როლი უნდა ეთამაშა საქართველოს, როგორც რუსეთის ერთგულ და საიმედო მოკავშირეს კავკასიის პრობლემის გადაწყვეტაში. საქმე ისაა, რომ თურქეთმა სამი საუკუნის მანძილზე, რიგი მიზეზების გამო, მოახერხა მთის კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვითა და ისლამის, მისი სუნიტური სექტის დამკვიდრებით, საიმედო საყრდენი გაეჩინა კავკასიის მთის ტომების დიდკაცებში, რაც კავკასიის პრობლემის გადაჭრას აჭიანურებდა და ართულებდა. ფეხზე წამომდგარ საქართველოს, ცხადია, რუსეთის გეგმების გადაჭრაში საპატიო როლი

[69] ეს მოსაზრებები ეხებოდა საქართველოში გამოგზავნილი ჯარის რაოდენობას, ინვესტიტურას, ქართული ეკლესიისა და რუსეთის სინოდის დამოკიდებულებასა და სხვ.

[70] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, л. 67; Грамоты, II, вып. II, с. 31.**

[71] ცხადია, ცდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც ლაპარაკობდნენ რუსეთის დიპლომატიის მიერ „ერეკლესთან მომგებიანი ხელშეკრულების“ დასადებად ალექსანდრე ბატონიშვილის გამოყენების შესახებ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 688).

უნდა ეთამაშა (ეს გაკვრით **ა. ბეზბოროდკოს** წერილშიც ჩანს.[72] შემდგომში, XIX საუკუნეში, საქართველომ მართლაც ითამაშა ეს როლი, რასაც, სამწუხაროდ, ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ექცევა).

* * *

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ვითარებას, იგი ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველოს მდგომარეობის შესწავლამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ **ერეკლე II** მეფობაში, ვიდრე 1783 წლამდე (ე. ი. 1744-1783 წლებში), ყველაზე უკეთესი 1775-1783 წლებია. ეს არაა შემთხვევითი: ჯერ ერთი, 1768-1774 წლების ომში დამარცხების შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტებულ თურქეთს (ქუჩუკ-კაინარჯის ზავით) აკრძალული ჰქონდა საქართველოში ახალი მიწების ხელში ჩაგდება (ზავით თურქეთმა ვალდებულება იკისრა: «не почитать между ими (ქართველთა შორის – ვ. მ.) никого за своих подданных, кроме тех, кой издревле ей принадлежали»);[73] ამ საკითხში რუსეთის პოზიცია თურქეთის მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი 50-60-იან წლებში;[74] მეორე, თურქეთი, თავისი სისუსტის მიუხედავად, ყირიმელი დიდკაცების უგუნური პოლიტიკის გამო, არ ეშვებოდა ყირიმსა და ყაბარდოს, რის გამოც რუსეთთან უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ცხადია, ასეთ პირობებში თურქეთს აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევის თავი კი არა, დასავლეთ საქართველოშიც კარგავდა თავის პოზიციებს (ვითარებით კარგად ისარგებლა **სოლომონ I**); მესამე, სპარსეთი წინანდებურადვე დაშლილი და დასუსტებული იყო, ხოლო 1779 წლიდან, **ქერიმ** ხანის სიკვდილის შემდეგ, ისევ შინა ბრძოლებმა მოიცვა.

---

[72] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1772-1804 гг., оп. 110/2, д. 18, л. 67; Грамоты, II, вып. II, с. 31.**

[73] Е. И. Дружинина, **Кючук-Кайнарджийский мир, М., 1955, с. 356.**

[74] რუსეთის დიპლომატიამ არაერთხელ ააღებინა ხელი თურქეთის სულთანს „სპარსეთის საქმეში“ ჩარევაზე – ქართლში შეჭრაზე.

ზემოაღნიშნულ პირობებში ერეკლემ აღადგინა თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში, ხელი მოკიდა სამთო საწარმოების გახსნას, რასაც ადრე გარეშე მტრების მომრავლების შიშით ვერ ბედავდა, ხოლო ქვემო ქართლის სპილენძისა და ვერცხლის საწარმოები მეფეს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა; მორიგე ჯარის შექმნით მეფემ მნიშვნელოვნად ალაგმა ლეკთა თარეში. საფუძველს მოკლებულია **პ. ბუტკოვის** შეუმოწმებელი ცნობა, თითქოს ლეკებს ჯამაგირი რომ დაუგვიანდებოდათ, თბილისში ჩამოდიოდნენ და ქალაქს იკლებდნენ.[75]

რაც შეეხება **ალექსანდრე** ბატონიშვილის გამოჩენას, იგი 60-იან წლებშიც იყო დაღესტანში, მაგრამ ვერაფერი გააწყო და თავი **ქერიმ** ხანს შეაფარა, ხოლო ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ, რაკი ირანში არეულობა დაიწყო, თავს უშველა და საქართველოში გამოიქცა. ქართლშიც მოვიდა, მაგრამ მარცხი განიცადა და მეორედ გაიქცა დაღესტანში; ამ ფაქტს კი არ უგულვებელვყოფთ, მაგრამ არ შეიძლება მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს, რადგან **ალექსანდრე** ავანტიურისტი იყო და მისი მომხრეებიც **ერეკლეს** საკმაოდ წელში გატეხილი ჰყავდა. რაც შეეხება რუსეთის მთავრობის დამოკიდებულებას ალექსანდრე ბატონიშვილისადმი, იგი შერისხული და რუსეთიდან გაძევებული იყო და არც ამჯერად უცდიათ მისი გამოყენება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) შინაპოლიტიკური ბრძოლების ჩაქრობისათვის იბრძოდა, რომ თურქეთსა და ირანს ჩარევის საბაბი არ მისცემოდათ.[76]

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე არ ნიშნავდა საქართველოს საერთო მდგომარეობის რადიკალურად

[75] სამწუხაროდ, ამ შეუმოწმებელ ცნობას, რომელიც პ. ბუტკოვიდან მოდის (**И. Бутков, Материалы, ч. II, с. 119**), იზიარებდნენ არა მარტო რევოლუციამდელი, არამედ ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარიც კი (გ. ქ ი ქ ო ძ ე, ერეკლე მეორე, თბილისი, 1958, გვ. 166).

[76] ამ საკითხზე აქ ვერ შევჩერდებით. ალექსანდრე ბატონიშვილისა და საქართველოში შინაპოლიტიკური ბრძოლებისადმი რუსეთის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ დაწვრილებით სპეციალურ მონოგრაფიაში გვექნება საუბარი.

შეცვლას, რადგან მტრის ძალები ბევრად ჭარბობდა ქართველთა ძალებს. საქართველოს მოსახლეობა XVI-XVIII საუკუნეებში თურქთა, სპარსელთა და ლეკების შემოსევის წყალობით, კატასტროფულად შემცირდა. მაგალითად, 1254 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 810 ათას კომლს ანუ 4-5 მილიონ კაცს, ხოლო 1770 წელს 87-90 ათას კომლს ანუ 400-500 ათას კაცს (ე. ი. ათჯერ შემცირდა); რაც შეეხება საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს, მისი მოსახლეობა 56 ათას კომლს ანუ 280-300 ათას კაცს შეადგენდა. ამასთან, გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საქართველოს მოსახლეობის გაერთიანება გარეშე ფაქტორის გამო შეუძლებელი იყო.[77] თურქეთი დასავლეთ საქართველოს თავის ვასალად თვლიდა, ამიტომ იმერეთისადმი დახმარებას მტრულ აქციად მიიჩნევდა და საპასუხო ზომებს იღებდა. მაგალითად, 60-იან წლებში სულთანმა უბრძანა ახალციხის ფაშას, თუ შეიტყობ, რომ ქართლიდან იმერლებს ეხმარებიან, ნება გეძლევა ჩემს უკითხავად შეიჭრა ჯარით ქართლშიო. მაგრამ თურქეთის მთავრობამ, რუსი დიპლომატების პროტესტის გამო, თავი შეიკავა.[78] ამიტომ იყო, რომ ქართველ მეფეთა 1758 წლის ურთიერთდახმარების შეთანხმება რეალურად და აშკარად ვერ ხორციელდებოდა.

რაც შეეხება მოწინააღმდეგის ძალებს, ლეკებსა და ირანზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო თურქეთი ახერხებდა იმ დროს ნახევარმილიონიანი არმიის გამოყვანას (ე. ი. იმაზე მეტს, ვიდრე მთელი საქართველოს მოსახლეობა იყო).[79] ისიც უნდა გავითვალისწინოთ,

[77] ეს ასე იყო არა მარტო 1783 წლამდე, არამედ შემდეგაც, ამიტომ უმართებულოა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისის კრიტიკა, რომელიც „საქართველოს ისტორიის ნარკვევებშია“ მოცემული საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობის თაობაზე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 728). ამ ახალმა სადაო თვალსაზრისმა თავისი ასახვა ჰპოვა შემდგომი დროის ლიტერატურაში (შდრ.: კოხისა და სპენსერის ცნობები, თბილისი, 1981, გვ. 272-279); ეს დიდი საკითხია, რომელსაც მრავალი ასპექტი აქვს და მასზე ცალკე გვექნება საუბარი.

[78] **АВПР, ф. Сн. России с Турцией, 1765 г., оп. 89/8, д. 375, лл. 27-30.**

[79] თურქეთი არც ისე „ღონემიხდილი“ იყო XVIII საუკუნის 70-იან წლებში, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენება და არც ისაა სიმართლე, თითქოს 1787 წელს თურქეთს „ძლივს შეეგროვებიოს 2 ათასი მხედარი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 679, 722, 723); მართალია, თურქეთი XVIII ს-ის მეორე

რომ თურქეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად ამკვიდრებდა ისლამს და სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს (ახალციხის მხარის, აჭარის, იმერეთის) მოსახლეობის გათურქების პოლიტიკას ატარებდა. იმერეთი **სოლომონ I** თავგანწირულმა ბრძოლამ და 1768 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ გადაარჩინა.

რა თქმა უნდა, **ერეკლე II** კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა თურქეთი (შემთხვევით არ იყო მეფე რუსეთის მთავრობას რომ სწერდა: ახალციხეში ბევრია ახალგადასული მაჰმადიანურ რჯულზე და თუ დროზე არ ვუშველეთ, ბევრსაც გადააქცევენო).[80] მას, როგორც ქვეყნის მეთაურსა და მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეს, მორალური უფლება არ ჰქონდა, არ გაეთვალისწინებინა ეს მდგომარეობა. ამიტომ მეფეს, ქვეყნის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების მიუხედავად, ოდნავადაც არ უყოყმანია და დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რუსეთის დაგვიანებულ პასუხს.

ერეკლეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ საქართველოს მაგალითმა განაპირობა. მეფეს რუსი დიპლომატების „ჩაგონება“ და „ზემოქმედება“ არ ჭირდებოდა, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია.

ერეკლე მეორისა და ქართლ-კახეთის სამეფო კარის ერთსულოვან გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი აზრიც აპირობებდა: ჯერ ერთი, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ

ნახევარში, განსაკუთრებით ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, დაქვეითების გზას დაადგა, მაგრამ ეს „ღონემიხდილი“ ევროპის ქვეყნების ხელშეწყობით, კიდევ 100 წელიწადს აგრძელებდა ბრძოლას თავისი პოზიციების შენარჩუნებისათვის ბალკანეთსა და კავკასიაში და ცნობილია, სულთანის თურქეთმა რა უბედურება მოუტანა რუმინელებს, სერბებს, ხორვატებს, ბერძნებს, განსაკუთრებით ბულგარელებს, ქართველებს, სომხებს. მითი თურქეთის „ღონემიხდილობის“ შესახებ ევროპელმა დიპლომატებმა შეთხზეს, რომ „status quo“ შეენარჩუნებინათ, რათა ოსმანთა იმპერიას ტერიტორია არ ჩამოჭროდა, თურქეთის ბაზარი არ შემცირებულიყო. ამიტომ ეღობებოდნენ წინ რუსეთს, აზვიადებდნენ მის გეგმებსა (ე. წ. „საბერძნეთის პროექტიც“ მათი ნახელავია) და შესაძლებლობებს, ეხმარებოდნენ სულთანს ქრისტიანი ხალხების მონობაში შენარჩუნების საქმეში. ამიტომ იყო, რომ ბალკანეთისა და კავკასიის ხალხები რუსეთში თავის „მხსნელსა და გამათავისუფლებელს“ ხედავდნენ (ფრ. ენგელსი), ევროპელი დიპლომატების მიერ XVIII-XIX საუკუნეებში შექმნილი მითი, სამწუხაროდ, დღესაც ვერაა დაძლეული ისტორიოგრაფიაში.

[80] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-76 гг., оп. 110/2, д. 12, лл. 462-463;** იქვე, **1771-75 гг., оп. 110/2, д. 16, л. 112.**

და მოსკოვის ქართული კოლონიის საქმიანობამ საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ზედაფენებში რუსეთისადმი ნდობა განამტკიცა. საქმე ისაა, რომ უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ სამასწლოვანი უთანასწორო ბრძოლის დროს რუსეთი ქართველებისათვის იმედი იყო, ხოლო მარცხის შემთხვევაში – თავშესაფარი. ამასთან, თურქები და სპარსელები მოსახლეობის გაჟლეტისა და ძალით გამაჰმადიანების გარდა, კულტურის ძეგლებსაც (ეკლესია-მონასტრებს) ანგრევდნენ. რუსეთიდან კი ოსტატებს გზავნიდნენ ამ ძეგლების აღსადგენად (საყოველთაოდ ცნობილია რუსი მხატვრების მოღვაწეობა საქართველოში XVII საუკუნეში). თურქებმა და სპარსელებმა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო აიკლეს, სტამბა დაანგრიეს და კულტურული საქმიანობა ჩაკლეს. რუსეთში კი გადასახლებულ ქართველებს ადამიანური ცხოვრებისა და კულტურული მოღვაწეობისათვის პირობები შეუქმნეს. XVIII საუკუნეში მოსკოვის ქართული კოლონია, სხვა მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად, ქართულ ენაზე წიგნებსაც ბეჭდავდა, რომლითაც საქართველოსაც ამარაგებდა.

მეორე, საქართველოს საზოგადოების ქვედა ფენებში – გლეხობაში დიდი იყო რუსეთისადმი ნდობა და პატივისცემა. რუსეთში თავშესაფარსა და ადამიანურ მოპყრობას პოულობდნენ დაღესტნიდან, ყირიმიდან და თურქეთიდან გამოქცეული ქართველი ტყვეები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. 1758 წელს იმპერატორის ბრძანებულებით რუსეთის გუბერნიების მესვეურებს დაევალათ, ტყვეობიდან გაქცეული ქართველებისადმი – „ტყვეობაში გადატანილი გაჭირვებისათვის“ («за полонное терпение» როგორც ეს დოკუმენტებშია ნათქვამი), მიეცათ სამგზავრო პასპორტი, უზრუნველეყოთ გზაში სურსათით, ღამის გასათევითა (სასტუმრო) და მეგზურით, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.[81] რუსეთის არქივებში ათასობით დოკუმენტია

[81] ქართველი ტყვეების შესახებ რამდენიმე ტიპური დოკუმენტი ადრე გამოვაქვეყნეთ (იხ. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, თბილისი, 1968, გვ. 140-142, 523-525, 542-546); „მასალების“ III წიგნში იბეჭდება 60-70-იანი წლების რამდენიმე ტიპური დოკუმენტი.

შემონახული, გაცემული კიევის, ხარკოვის, ბელგოროდის, ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიებისა და საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის კონტორის მიერ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ქართლ-კახეთში ყოველწლიურად ათობით, ზოგჯერ ასობით გლეხი, სასულიერო პირი, აზნაური და თავადი ბრუნდებოდა რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით.

მრავალი ამგვარი საბუთის მოტანა შეიძლება, მაგრამ აქ მხოლოდ ორ ფაქტს გავიხსენებ: 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ხმელთაშუა ზღვაში იმყოფებოდა რუსეთის ესკადრა. მათ მიმართეს თურქეთიდან გაქცეულმა სამმა ქართველმა ტყვემ. ისინი **ა. ორლოვის** ბრძანებით 1772 წლის ივნისში რუსმა მეზღვაურებმა პეტერბურგში წამოიყვანეს, ხოლო ოქტომბერში საგარეო საქმეთა კოლეგიის თანხმობით, მისცეს სამგზავრო პასპორტები, გამცილებელი ჯარისკაცი ასტრახანამდე, დაუქირავეს ოთხი „ფურგონი“, რომელშიც 154 მანეთი გადაიხადეს და მისცეს სახარჯო ფული 20-20 მანეთი; ასტრახანიდან, ასეთივე წესით გამოაცილეს ყიზლარსა და მოზდოკამდე.[82] 1772 წლის ზაფხულში საქართველოში დაბრუნდა 200-ზე მეტი ტყვედნამყოფი ქართველი,

---

აღსანიშნავია, რომ პასპორტების გაცემისას ტყვეს ვინაობას გამოჰკითხავდნენ. ეს ჩანაწერები ძვირფას მასალას იძლევა ტყვეების საცხოვრებელი ადგილისა და სოციალური კუთვნილების შესახებ. მასალა ცხადყოფს, რომ ტყვეების უმრავლესობა გლეხები იყვნენ.

ზოგჯერპასპორტს ერთად აძლევდნენ რამდენიმე კაცს. მაგ., 1763 წლის 27 სექტემბერს კიევის გუბერნატორმა გლებოვმა ერთად მისცა პასპორტი ერეკლე მეფის ყმებს, თელაველ გლეხებს ივანე „ხუცის“ (ხუციშვილის?), იური „ჩელაშულას“ (ჭილაშვილს?) და „ატოსის“ წმ. გიორგის მონასტრის მჭედელს იური „იარაკს“(?) (**АВПР, ф. Московская контора КИД, 1764 г., оп. 7/3, д. 121, лл. 2-3**), მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ჯგუფს რაიმე მიზეზით ჩამორჩებოდა, მის შესახებ ცალკე იცემოდა ბრძანება. მაგ., 1764 წლის 14 მაისს საგარეო საქმეთა კოლეგიამ ბრძანება გაუგზავნა ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას – სამშობლოში გაეგზავნა ყირიმელ თათართა ტყვეობიდან გამოქცეული ოთარ „დათუნოვი“ (დათუნაშვილი?), რომელიც თავის ბიძასთან ელისე „ლალაძესთან“ (ლოლაძე?) ერთად პოლტავიდან ჩასულა მოსკოვში, ელისე მაშინვე საქართველოში წამოსულა, ხოლო ოთარი, ავადმყოფობის გამო, დარჩენილა მოსკოვში და გამოჯანმრთელებულს ნება მიეცა გამგზავრებულიყო სამშობლოში (**АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1762-76 гг., оп. 110/2, д. 4, л. 14**).

[82] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1769-73 гг., д. 9, лл. 242-259; იქვე, 1770-74 гг., д. 14, лл. 329, 330.**

რომლებიც რუსეთის ჯარმა ყირიმის დაკავების დროს გაათავისუფლა[83] (**ერეკლე II** 1782 წლის 18 ოქტომბერს ავსტრიის იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ ყირიმში რუსეთის ჯარმა რამდენიმე ათასი ქართველი გაათავისუფლაო).[84] გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როცა რუსეთის მოხელეები გამოისყიდიდნენ ქართველ ტყვეებს (ყიზლარის კომენდანტი გენერალი **სტუპიშინი,**[85] პოლტავის კომენდანტი **თურქისტანოვი**[86] და სხვა), ათავისუფლებდნენ და სამშობლოში წასვლის ნებას რთავდნენ. რუსეთის მთავრობა ხელს უწყობდა ქართველებს ტყვეობაში მყოფი ნათესავების მოძებნისა და გამოსყიდვის საქმეში. მაგალითად, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის შუამდგომლობით 1773 წლის 31 დეკემბერს **ეკატერინე** მეორემ განკარგულება გასცა, ასპინძის ბრძოლის მონაწილე თავად **პავლე ანდრონიკაშვილისათვის** მიეცათ 500 მანეთი ლეკების მიერ 1770 წელს გატაცებული დედის, ცოლისა და ორი დის გამოსასყიდად.[87] 1763 წლის 10 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ ნება დართო აზნაურ **რევაზ ჯომარჯიძეს** გამგზავრებულიყო პოლონეთში თავისი ძმის **პეტრეს** მოსაძებნად, რომელიც 40 წლის წინ ლეკებმა გაიტაცეს და გაყიდეს თურქეთში, საიდანაც პოლონეთში გაქცეულიყო.[88]

შემთხვევითი არაა, რომ **ერეკლე II** 1770 წელს **ქერიმ** ხანთან წერილში საგანგებოდ უსვამდა ხაზს რუსეთის დამსახურებას ქართველი ტყვეების დახსნის საქმეში, რითაც თავის კავშირს რუსეთთან ასაბუთებდა.[89] ალბათ, ზედმეტი არ იქნება თუ აქვე

---

[83] იქვე, 1769-70 гг., оп. 110/2, д. 13, л. 18.

[84] იქვე, 1782 г., оп. 110/3, д. 458, лл. 21-22; Грамоты, II, вып. II, с. 15-16.

[85] АВПР, ф. Московская контора КИД, 1765 г., оп. 7/3, д. 105, л. 5.

[86] იქვე, оп. 7/3, д. 103, л. 1-10.

[87] АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1771-76 гг., оп. 110/2, д. 16, лл. 147-150.

[88] იქვე, 1762-74 гг., оп. 110/2, д. 4, лл. 4-8.

[89] 1770 წლის ზაფხულში ქერიმ ხანი „ურჩევდა“ ერეკლეს გაეწყვიტა რუსეთთან კავშირი, რუსეთის ჯარი გაეძევებია საქართველოდან და მორიგებოდა ოსმალეთს (АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1768-75 гг., оп. 110/2, д. 20, лл. 75-78). საპასუხო წერილში ერეკლე მეფეს ჩამოთვლილი აქვს ყველა ის უბედურება, რასაც ახალციხის ფაშა და მასთან კავშირში მყოფი ლეკები აყენებდნენ საქართველოს და აღნიშნავს, რომ სულთანი მის თხოვნას ყურად არ იღებს და ქვეყანა იღუპებაო. ერეკლე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ: «ни с турецкой стороны обороны мне не было, ни Персия к ранам

იმასაც შევნიშნავთ, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წ.) შემდეგ, ქართველი ტყვეების დაცვა რუსეთის მხრივ საერთაშორისო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი, რასაც მოწმობს რუსეთის ელჩების მოხსენებები კონსტანტინოპოლიდან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთში (სადგერიდან-გავაზამდე), ალბათ, არც იყო სოფელი, სადაც რუსეთის მთავრობის დახმარების წყალობით ტყვეობიდან თავდახსნილი გლეხი არ ცხოვრობდა.[90] სწორედ ამიტომ რუსეთისადმი ნდობამ და რუსულმა

моим пластыря не приложила, равномерно ж и от протчих соседей, ближних и дальных, никакого вспоможения против эхшекинцев (ახალციხელების – ვ. მ.), **лезгинцев, нападающих на Грузию, ожидать мне осталось»** (იქვე, 82-86). ქვემოთ მეფე „მეგობრულად“ უხსნის ქერიმ ხანს რუსეთთან კავშირის მიზეზებს, რომელთაგან გამოყოფს ორს: **«первое, все попадающияся по случаям здешние жители в плен к лезгинцам и туркам высвобождаются помощию российской монархини, коим не токмо дается воля в возвращении им в свое отечество, но бедные, изнуренные из них и лишенные дневнаго пропитания приемлются милостиво и снабдеваются во всем щедно. И второе, живущие в соседстве с Грузиею... горские народы, ежали бы не опасались российской монархини, не преминули б Грузии причинять крайние разорения»** (იქვე).

[90] აკად. ნ. ბერძენიშვილის მსჯელობა, თითქოს ჩრდ. კავკასიაში ახალი დაბა-სოფლების გაჩენასთან დაკავშირებით „...ქართველი... ტყვეები ყირიმიდან, საჩაჩნოდაღესტნიდან“, იქ „სხდებიან და სამშობლოში კი აღარ“ მოდიანო, რადგან იქ უკეთესი პირობები ჰქონიათ და „რუსული ხელისუფლებაც არ შეელევა მათ ადვილად“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 167), სიზუსტეს მოკლებულია. როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნამდე „ყიზლარისა და მოზდოკის საქმეს“ (სულ ერთი საქმეა ასეთი) და მოზდოკის მოსახლე ქართველთა გრძელ სიას მიუყვანია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მოზდოკში ქართველთა მომრავლება, ძირითადად, თერგისპირა ქართული კოლონიების ხარჯზე მოხდა. მართალია, მოზდოკში მოახალშენეთა მიწვევაზე ივ. ფიცხელაურმა დიდად იღვაწა, მაგრამ ყურადღების ცენტრში მთიელთა მიწვევა და გაქრისტიანება იდგა, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულ ორიენტაციას ფართო ასპარეზი მოეპოვებინა. რაც შეეხება ტყვეობიდან გაქცეულ ქართველებს, რუსეთის მთავრობა 60-70-იან წლებში სამშობლოში დაბრუნების საქმეში, როგორც ზემოთ მოტანილი საბუთები მოწმობდა, არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდა. კიდევ მეტი, თუ ტყვეობიდან გათავისუფლებულ ქართველთაგან ერთეულები მაინც რჩებოდნენ რუსეთში (ქართულ კოლონიებში ქართველ ქალზე დაქორწინების და სხვა მოტივებით), მათ საგანგებოდ, დასაბუთებას თხოვდნენ და საგუბერნიო კანცელარიის მიერ გაცემულ პასპორტს ჩამოართმევდნენ (ასეთი ჩამორთმეული პასპორტები ერთეულებიღაა), ახალ პასპორტს აძლევდნენ და საგანგებო აღრიცხვაზეც აჰყავდათ. ასე რომ, რუსეთში დარჩენა აკრძალული არ იყო, მაგრამ იგი დამატებით სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე სამშობლოში დაბრუნება. არც ქართველ თავადაზნაურობას ეპატიჟებოდნენ საგანგებოდ, მხოლოდ თავშესაფარს აძლევდნენ, თუ ისინი ითხოვდნენ – ამის დასტურად ივანე ბაგრატიონის (პეტრეს მამის) მაგალითიც იკმარებდა (იხ. **АВПР, ф. Кизлярские и Моздокские дела, 1762-72 гг., д. 1, лл. 312-314, 319-320** და ა. შ.).

ორიენტაციამ საქართველოში საყოველთაო საერთო სახალხო ხასიათი მიიღო, მას პროპაგანდა არ სჭირდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლა – გეორგიევსკის ტრაქტატის დადება XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შექმნილი კონიუნქტურით კი არ ყოფილა ნაკარნახევი, არამედ საქართველოს საერთო ვითარების სერიოზული განსჯისა და საფუძვლიანი გაანალიზების, რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გათვალისწინებით მოხდა.

* * *

გეორგიევსკის ტრაქტატის პროექტის შემუშავებას, როგორც ზემოთ ითქვა, საფუძვლად დაედო სამი დოკუმენტი: **ერეკლეს II** პროექტი, ქართლ-კახეთის სამეფო კარის პირობა და **ეკატერინე II** მითითებანი **გრ. პოტიომკინისადმი.**

ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთი ვარიანტი,[91] რომელიც **ა. ბეზბოროდკოს** ავტოგრაფითაა შემონახული, გულისხმობდა ორივე ქართულ სამეფოსთან (ქართლ-კახეთთან და იმერეთთან) *სამოკავშირეო-მფარველობით ხელშეკრულების* დადებას,[92] მაგრამ თურქეთის აშკარა გამოწვევას (იმერეთი თურქეთის სავასალო ქვეყანა იყო) თავი აარიდეს. დამოუკიდებელი ყირიმის შეერთება (თუმცა იგი არღვევდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებს) და ასევე დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება (თუმცა ისიც არღვევდა რუსეთ-თურქეთის ტრადიციულ დამოკიდებულებას „ირანის საკითხისადმი“, – ორივე დიდი სახელმწიფო XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში მტკიცედ სთხოვდნენ ერთმანეთს ქართლ-კახეთის, როგორც ირანის სავასალო ქვეყნის საქმეებში აშკარა ჩარევისაგან თავი შეეკავებინათ – და აგრეთვე ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებსაც), ეს ორი აქტი, მაინც არ ნიშნავდა თურქეთის კუთვნილი ტერიტორიის ხელყოფას, თურქე-

[91] არ გამოვრიცხავთ პროექტის სხვა ვარიანტის არსებობას.

[92] **АВПР, ф. Сн. Росии с Грузией, 1774-1804 гг., оп. 110/2, д. 18, лл. 46-56; Грамоты, II, вып. II, с. 32-41.**

თის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას.[93]

1783 წლის 7 მაისს გენერალმა **პ. პოტიომკინმა** პოდპოლკოვნიკ **ტამარას** ხელით თავად **გრ. პოტიომკინისაგან** მიიღო ქართლ-კახეთის სამეფოსთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც 9 მაისს პოდპოლკოვნიკი ტამარა თბილისისაკენ გამოისტუმრა.[94] გენერალი პ. პოტიომკინი **სოლომონ** მეფეს სწერდა, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის მფარველობაშია მიღებული და გულწრფელად მსურს, ვითარებამ შესაძლებელი გახადოს თქვენი მიღებაცო, ახლა კი იმპერატორის სურვილია, თქვენ და **ერეკლე** მეფე მეგობრულ ურთიერთობაში იყოთო.[95] ერეკლესადმი წერილში გენერალი მეფეს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას ულოცავდა და აცნობებდა, რომ ტრაქტატის მუხლების თაობაზე განმარტებას პოდპოლკოვნიკი ტამარა მოგცემთ, ელჩები შეარჩიეთ გეორგიევსკში გამოსაგზავნადო, ხოლო ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე დამხმარე ჯარი საქართველოში შემოვა და მაჰმადიან ხანებსაც გაფრთხილება გაეგზავნებათო.[96] მალე (1783 წლის მაისში) საქართველოში გამოიგზავნა აგრეთვე პოლკოვნიკი **ს. ბურნაშევი**, რომელსაც საქართველოს თავდაცვის მდგომარეობა უნდა შეესწავლა.[97]

1783 წლის მაისის მეორე ნახევარში პოდპოლკოვნიკი **ტამარა** თბილისში ჩამოვიდა და **ერეკლე II** გადასცა ხელშეკრულების პროექტი (რუსულ და ქართულ ენებზე), ქართლ-კახეთის სამეფო კარი თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იხილავდა პროექტს. პოდპოლკოვნიკ ტამარას ცნობით, ერეკლეს რუსულიდან „თარგმანის“ მიმართ შენიშვნები გაუკეთებია და შესწორებებიც შეუტანია, რაზედაც პოდპოლკოვნიკი ტამარა დაჰპირებია, თუ რუსეთში

[93] თურქეთი იოლად როდი შეხვდა ამ ორ აქტს, რასაც შედეგად მოჰყვა ჯერ ამიერკავკასიელი მაჰმადიანი მფლობელების ამხედრება, ხოლო შემდეგ რუსეთ-თურქეთის 1787-91 წლების ომი.

[94] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 66. об.**

[95] იქვე, 67.

[96] იქვე, 68-69.

[97] ს. ბურნაშევის მოხსენებები, როგორც ძვირფასი საისტორიო წყარო, ჩვენი „მასალების“ IV წიგნში დაიბეჭდება.

მთარგმნელები მისაღებად მიიჩნევენ, გავასწორებთო.[98]

1783 წლის ივნისის ბოლოს საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს წარმომადგენლების შემადგენლობა: პირველ ელჩად დაინიშნა თავადი **ივანე ბაგრატიონი**, მეორე ელჩად – თავადი **გარსევან ჭავჭავაძე**, ასისტენტად – თელავის სემინარიის რექტორი **გაიოზ არქიმანდრიტი**. შეარჩიეს საელჩოს მდივანი და ელჩების ამალა 20 კაცის (სულ 24) შემადგენლობით. ამასთან, თუ ელჩებს შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ერთ-ერთი ელჩის ხელმოწერა საკმარისი იყო.[99] 1783 წლის ივნისში ქართლ-კახეთის სამეფო კარმა პროექტი ძირითადად მოიწონა, 28 ივნისს **ერეკლემ** ხელი მოაწერა სამეფოს თავად-აზნაურთა სიას, რომელიც ტრაქტატის დანართს წარმოადგენდა[100] და მალე ელჩობა რუსეთს გაემგზავრა.

რუსეთის მთავრობამ თავის წარმომადგენლად თავადი **გრ. პოტიომკინი** დანიშნა, ამასთან, თუ იგი მოლაპარაკებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ნება ეძლეოდა თვითონვე დაენიშნა სხვა წარმომადგენელი. ასეც მოხდა – გრ. პოტიომკინმა თავის წარმომადგენლად დანიშნა თავისი ნათესავი „კავკასიის ხაზის“ სარდალი გენერალი **პავლე პოტიომკინი**.[101]

1783 წლის 15 ივლისს ქართლ-კახეთის წარმომადგენლები მოზდოკში ჩავიდნენ. პ. პოტიომკინი, ცნობის მიღებისთანავე, ყუბანიდან გეორგიევსკში დაბრუნდა, 16 ივლისს ელჩებს პორუჩიკი თავადი **ჩოლოყაევი** (ჩოლოყაშვილი) გაუგზავნა მისასალმებლად და 50 ცხენი მიართვა, ხოლო 17 ივლისს პოდპოლკოვნიკი **ტამარა** მოზდოკში გაგზავნა ეკიპაჟით, რომ ქართველი ელჩები მიეცილებინა გეორგიევსკამდე; 18 ივლისს გეორგიევსკიდან მაიორი **კომარსკი** გაიგზავნა, რათა იგი ელჩებს პავლოვსკის ციხე-სიმაგრეში შეხვედროდა, მთავარსარდლის სახელით ბედნიერად ჩასვლა მიელოცა და გეორგიევსკამდე მიეცილებინა. ელჩობის მარშლად დაინიშნა სეკუნდ-მაიორი გრაფი **აპრაქსინი**, რომელიც გეორგიევსკის მახლობლად უნდა შეხვედროდა ელ-

[98] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 117-118.**

[99] იქვე.

[100] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 35-47.**

[101] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3, 9.**

ჩებს და რეზიდენციამდე გასძღოლოდა, ხოლო ქართველ ელჩებს ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან უნდა შეხვედროდა მაიორი **გილი;** პოლკოვნიკ **მოლოჟენნიკოვს**, როგორც ციხე-სიმაგრის უფროსს დაევალა, რეზიდენციაში მიეყვანა ელჩები და გამასპინძლებოდა. 18 ივლისს საღამოს 8 საათზე, ზემოაღნიშნული ცერემონიალის დაცვით, ელჩები გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში შევიდნენ.[102]

1783 წლის 19 ივლისს დღის 9 საათზე ქართველ ელჩებთან გამოცხადდა ელჩობის მარშალი გრაფი **აპრაქსინი** და აცნობა, რომ 11 საათზე სხდომა იყო დანიშნული. მთავარსარდლის მისაღებთან ელჩებს პატივით მიეგებნენ. დაიწყო პირველი სხდომა, რომელიც საზეიმო ხასიათს ატარებდა. სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს **გარსევან ჭავჭავაძემ** და **პავლე პოტიომკინმა**. დღის 5 საათზე დაიწყო მეორე სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: **პ. პოტიომკინი, ი. ბაგრატიონი, გ. ჭავჭავაძე, გაიოზ არქიმანდრიტი,** ქართული საელჩოს მდივანი, პოდპოლკოვნიკი **ტამარა** და მთარგმნელები – პორუჩიკი თავადი **ჩოლოყაევი** (ჩოლოყაშვილი) და პორუჩიკი **სევარსამიძე**. პ. პოტიომკინმა სხდომა გახსნა შესავალი სიტყვით, რომელშიც ხაზი გაუსვა იმ დათმობებს, რომელიც რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთის სასარგებლოდ გააკეთა (იგულისხმება ერეკლეს პროექტის შერბილება), ხოლო შემდეგ ი. ბაგრატიონს გადასცა იმპერატორის მიერ **გრ. პოტიომკინისათვის** მიცემული რწმუნების სიგელი და გრ. პოტიომკინის მიერ მისთვის მიცემული რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი. შემდეგ ქართველმა ელჩებმა პ. პოტიომკინს გადასცეს მათი რწმუნების სიგელი.[103] რწმუნების სიგელების გაცვლის შემდეგ დაიწყეს ხელშეკრულების ტექსტის კითხვა (ჯერ წაიკითხეს რუსული ტექსტი, შემდეგ – ქართული). მოლაპარაკებისას წამოიჭრა საკითხები, რომლებზედაც მხარეებმა წერილობითაც კი მიმართეს ერთმანეთს. 21 ივლისს კამათი ეხებოდა მეფის კურთხევას, ტიტულს, გერბს, კათალიკოსის ადგილს რუსეთის სინოდში და სხვა. 23 ივლისის სხდომაზე დაიწყეს ტექსტის ხელმეორედ კითხვა (რუსული წაიკითხა ტამა-

[102] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 164-165.**
[103] **იქვე, лл. 166-168.**

რამ, ქართული – გაიოზმა). ყოველი მუხლი ერთმანეთს შეადარეს მთარგმნელებმა (ჩოლოყაშვილმა და სევარსამიძემ). 1783 წლის 24 ივლისს დილით წარმომადგენლები შეიკრიბნენ და 1 საათზე საზეიმოდ ხელი მოაწერეს სამ დოკუმენტს: ტრაქტატის ძირითად ნაწილს, სეპარატულ მუხლებს და „ფიცის სახეს“ (რუსულ და ქართულ ტექსტებს), ჯერ პ. პოტიომკინმა, ხოლო შემდეგ ქართველმა ელჩებმა.[104] წინასწარ შეთანხმდნენ მეოთხე დოკუმენტზეც (დამატებით მუხლზე). ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტები გაცვალეს. სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა **გარსევან ჭავჭავაძემ**, სადაც საგანგებოდ აღნიშნა ამ საქმეში **გრ. პოტიომკინის** დამსახურება. 24 ივლისს საღამოს მთელი ქალაქი გეორგიევსკი გაჩირაღდნებული იყო. იმავე დღეს **პ. პოტიომკინმა** ხელშეკრულების დედანი, ქართველ თავად-აზნაურთა სია და მოლაპარაკების ოქმი გაუგზავნა გრ. პოტიომკინს და აცნობა: 25 ივლისს ქართველი ელჩები მთავარსარდლის ბანაკს მოინახულებენ, ხოლო 27 ივლისს სამშობლოში გაემგზავრებიან.[105]

გეორგიევსკის ტრაქტატი ოთხი დამოუკიდებელი დოკუმენტისაგან შედგება: ცამეტი ძირითადი, ოთხი სეპარატული (ცალკე), ერთი დამატებითი მუხლისაგან და ერეკლეს ფიცის ნიმუშისაგან („სახე“). ყოველ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ დოკუმენტს, წარმომადგენლებმა ცალკე მოაწერეს ხელი და თავიანთი ბეჭდები დაუსვეს. ხელშეკრულება რუსულ და ქართულ ენებზე შედგა, ორივე ტექსტი სრული ძალისა იყო, არც ერთ მათგანს მეორე ენაზე არსებულ ტექსტზე მითითება არ აქვს, ამიტომაც ყოველ მათგანს მეორე ენაზე „თარგმანი“ ახლდა, ეს ფაქტი მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემას გამოხატავდა.[106] ეს გეორგიევსკის ტრაქტატის, როგორც ხელშეკრულების, თავისებურება იყო. დღეს მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართული დედანი (რუსული „თარგმანითურთ“),[107] რომელიც რუსეთის

[104] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 169-175.**

[105] იქვე, 162, 176.

[106] **В. Мачарадзе, С. Повальников, Подлинник русско-грузинского договора 1783 года, см. журн. «Литературная Грузия», 1982 г., № 2, с. 201-210.**

[107] მართალია, „თარგმანს“ ბეჭედი არ აქვს დასმული, მაგრამ, ცხადია, იგი დედანს

მხარეს გადაეცა (იგი რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივშია დაცული),[108] ხოლო რუსული დედანი (ქართული „თარგმანი-თურთ“), რომელიც საქართველოს მხარეს გადაეცა, ჯერ მიკვლეული არ არის.[109]

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს, მის 13 მუხლს (არტიკულს), წინ უძღვის პრეამბულა, სადაც მოკლედ ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების ან „მეგობრობითი პირობის“ (რუსული ტექსტით „მეგობრობის ხელშეკრულების“ – «дружественный договор») დადების მოტივები. აღნიშნულია, რომ საქართველოს ოდითგანვე აწუხებდა მეზობელი ქვეყნები და რუსეთმა არაერთგზის აღმოუჩინა მას დახმარება, ხოლო ახლა შევთანხმდით, რომ ქართლ-კახეთის მეფე სცნობს რუსეთის ხელმწიფის უზენაეს ხელისუფლებას, ხოლო რუსეთი დაიცავს ქართლ-კახეთს გარეშე მტრებისაგანო. შემდეგ დახასიათებულია მხარეთა მიერ დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენლები და ქვემოთ **13 მუხლად (არტიკულად) ჩამოყალიბებული შეთანხმების პირობები**, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქართლ-კახეთის მეფე „სახელითა თჳსითა მემკვიდრეთა და მენაცჳლეთა თჳსთა“ საზეიმოდ („დღესასწაულობით“) და საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობს სცნოს ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა, აღუთქვამს მათ ერთგულებას;

2) რუსეთის იმპერატორი თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს ერეკლე მეფეს, რომ იგი სამუდამოდ გაუწევს მფარველობას ქართლ-კახეთის სამეფოს და დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან, იმ სამფლობელოების ჩათვლით, რომელთაც **ერეკლე თეიმურაზის ძე**, ვითარების წყალობით, მომავალში შემოიერთებს, რომლებიც მასვე დაუმკვიდრდება (მუხლი 2);

3) როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები გახდებიან მეფეები, უმალ

ზუსტად იმეორებდა.

[108] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8, 9-12.**

[109] რუსული დედანი, ალბათ, აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აკლებისას ქართლ-კახეთის სამეფოს მთელ არქივთან ერთად დაიღუპა.

აუწყებენ რუსეთის მთავრობას და რუსეთის მთავრობა უგზავნის მათ სამეფო ნიშნებს[110] და იღებენ ერთგულების ფიცს; ამ წესს აღასრულებს **ერეკლე** მეფეც (მუხლი 3);

4) **ერეკლემ** (შემდეგ მისმა მემკვიდრეებმაც) უცხო ქვეყნებთან მიმოწერა რუსეთის მინისტრთან (წარმომადგენელთან) და „კავკასიის ხაზის“ სარდალთან უნდა შეათანხმოს (მუხლი 4);

5) **ერეკლე II** რუსეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი, ან რეზიდენტი, რომელიც მეფის საჭიროებაზე მოახსენებს რუსეთის მთავრობას, იგი უფლებებით გათანაბრებული იქნება სხვა მფლობელ მთავართა მინისტრებთან, ხოლო რუსეთის მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ეყოლება თავისი მინისტრი (წარმომადგენელი, მუხლი 5);

6) რუსეთის იმპერატორი, რომლის უზენაესობა აღიარა ქართლ-კახეთმა და მიიღო ეს უფლება, თავისი და მემკვიდრეების სახელით აღუთქვა მას, ქართლ-კახეთს: ა) ქართული სამეფოების მოსახლეობას თვლის იმპერიასთან მჭიდრო კავშირში მყოფად, ამიტომ დაიცავს მას გარეშე მტრებისაგან და მათ მტრებს თავის მტრად ჩათვლის, ხოლო თურქეთთან, სპარსეთთან და სხვა ქვეყნებთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები მათზეც ვრცელდება; ბ) **ერეკლესა** და მის შთამომავლებს „დაიცავს უცუალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა“; გ) ქვეყნის საშინაო საქმეები – მმართველობა, სასამართლო და მსჯავრი, გადასახადების აკრეფა, ქართლ-კახეთის მეფის სრული ნებაა და სარგებელიც მისია; რუსეთის მთავრობა აუკრძალავს თავის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარევას (მუხლი 6);

7) **ერეკლე**, რუსეთის იმპერატორის აღთქმის პასუხად, თავისი და მემკვიდრეების სახელით ვალდებულებას კისრულობს: ა) ყოველთვის მზად იყოს თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურზე; ბ) რუსეთის მოხელე დიდკაცებთან მუდმივი მიმოწერა ჰქონდეს და

[110] როდესაც ერეკლეს მემკვიდრეები სამეფო ტახტზე ავლენ, აცნობებენ რუსეთის მთავრობას, ხოლო იმპერატორისაგან მიიღებდნენ წერილობით დამტკიცებას და სამეფო ნიშნებს: დროშას რუსეთის გერბით (მათ ჰქონდათ საკუთარი სამეფო გერბიც), ხმალს, კვერთხს და ყარყუმის მანტიას (წამოსასხამს).

ასრულებდეს მათ მოთხოვნას და დაიცვას რუსეთის ქვეშევრდომები შევიწროებისა და შეურაცხყოფისაგან; გ) თანამდებობაზე პირთა დანიშვნის, თუ მათი დაწინაურებისას, გაითვალისწინებს რუსეთის იმპერიის წინაშე მათს დამსახურებასაც (მუხლი 7);

8) ქართლ-კახეთის კათალიკოსი უწმინდესი სინოდის წევრი ხდება და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებს მერვე ადგილს (ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ); თუმცა ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მოხდეს (მუხლი 8);

9) ქართველი თავადაზნაურობა უფლებებით უთანაბრდება რუსეთისას, სათანადო პატივი რომ მიაგონ რუსეთში ჩასვლისას – **ერეკლესაგან** ითხოვენ სიას (მუხლი 9);

10) ქართლ-კახეთის მცხოვრებთ უფლება აქვთ გადასახლდნენ რუსეთში და სურვილისამებრ დაბრუნდნენ სამშობლოში, ხოლო ქართველ ტყვეებს, რომლებიც გამოხსნილი იქნებიან სპარსეთის ან თურქეთის ტყვეობიდან, სურვილებისამებრ უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ სამშობლოში, ოღონდ გამოსასყიდი და გზის ხარჯები უნდა დაფარონ, ასეთივე წესი ვრცელდება საქართველოს მეზობელთაგან ტყვეობიდან გამოხსნილ რუსებზეც (მუხლი 10);

11) ქართლ-კახეთის ვაჭრებს უფლება ეძლევათ ივაჭრონ რუსეთში და იქ ისარგებლებენ იმავე უფლებებით, რომლებითაც რუსი ვაჭრები სარგებლობენ, ხოლო რუს ვაჭრებს ეძლევა ისეთივე უფლება საქართველოში, აგრეთვე საქართველოს გზით მეზობელ ქვეყნებში სავაჭროდ გამგზავრებისა (მუხლი 11);

12) ხელშეკრულება იდება საუკუნოდ (სამუდამოდ – «на вечные времена»), მაგრამ თუ საჭირო აღმოჩნდება რომელიმე მუხლის შეცვლა, ან დამატება მხარეთა სასარგებლოდ, საჭიროა ორივე მხარის თანხმობა (მუხლი 12);

13) ტრაქტატის რატიფიკაციისა და გაცვლის ვადად წესდება 6 თვე, თუ შესაძლებელი იქნება ადრეც (მუხლი 13);[111]

ტრაქტატის პირველ დოკუმენტს (ძირითად მუხლებს), რო-

[111] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-5.** (იხ. რუსული ტექსტი, იქვე, ფურცლები 9-12).

მელიც დაიდო გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს ხელს აწერენ: გენერალი **პ. პოტიომკინი**, თავადი **იოანე ბაგრატიონი** და თავადი **გარსევან ჭავჭავაძე**, დასმულია მათი ბეჭდები.[112]

დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გაფორმდა **4 სეპარატული (ცალკე) მუხლი (არტიკული)**, რომელთა შინაარსი ასეთია:

1) ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, **ერეკლეს** ევალება მეგობრულ ურთიერთობაში დარჩეს **სოლომონ** იმერთა მეფესთან, ხოლო უთანხმოების ჩამოვარდნის შემთხვევაში, უნდა დაემორჩილოს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას (მუხლი 1);

2) ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთმა საქართველოში უნდა გამოგზავნოს თავისი ხარჯით ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით (მუხლი 2);

3) რუსეთის „მესაზღვრე უფროსი" (კავკასიის ხაზის სარდალი) უფლებამოსილია იმპერატორისაგან, ომის შემთხვევაში შეუთანხმდეს **ერეკლეს** და ისეთი ზომები მიიღოს ქართლ-კახეთის დასაცავად და მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ, როგორიც საჭიროა საერთო მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ; ხოლო თუ ქართლ-კახეთის ჯარი იმპერატორის სამსახურში იქნება გამოყენებული, ხარჯი რუსეთმა უნდა გაიღოს (მუხლი 3);

4) რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს **ერეკლე** მეფეს, რომ ომის დროს ეცდება იარაღით, ხოლო დაზავებისას მოლაპარაკების გზით დაუბრუნოს ქართლ-კახეთს მტრისაგან მიტაცებული მიწები, რომელიც ადგილობრივი (ქართლ-კახეთის) მეფის გამგებლობაში დარჩება (მუხლი 4).[113]

სეპარატული მუხლები გაფორმდა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, მას ხელი მოაწერეს ზემოთ ხსენებულმა წარმომადგენლებმა და დაუსვეს თავიანთი ბეჭდები.[114]

ცალკე დოკუმენტის სახით გაფორმდა ფიცის ნიმუში („სახე"), რომელიც **ერეკლეს** უნდა მიეღო ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ. იგი შეთანხმებული იქნა გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს, ხელი

[112] იქვე, 5.

[113] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, л. 6** (შდრ.: რუსული ტექსტი, იქვე, ფურცლები 13-14).

[114] იქვე, 6.

მოაწერეს და ბეჭდები დაუსვეს **პავლე პოტიომკინმა, იოანე ბაგრატიონმა** და **გარსევან ჭავჭავაძემ**. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამდა რუსეთის იმპერატორს, მის ძეს **პავლეს** და ყოველ კანონიერ მემკვიდრეს რუსეთის ტახტისას, რომ იქნება ერთგული რუსეთის იმპერატორისა და აღიარებს მის უზენაეს ხელისუფლებასა და მფარველობას, უარყოფს სხვა ხელმწიფეთა უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, რუსეთის მტერს თავის მტრად შერაცხს.[115]

დასასრულ, მეოთხე დოკუმენტი, ე. წ. **„შესასრულებელი არტიკული“** ანუ დამატებითი მუხლი ეხება ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესს. აქ აღნიშნულია, რომ რაკი ქართლ-კახეთის მეფეები ძველთაგან სამეფო ტახტზე გვირგვინით იმკობოდნენ და მირონცხებას იღებდნენ, რუსეთის იმპერატორი ნებას რთავს ასეთივე წესით ეკურთხონ, მაგრამ, ამას გარდა, რუსეთის იმპერატორი გამოუგზავნის მას ინვენსტიტურას და ჩვეულებრივ სამეფო გვირგვინს, როგორც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, მეფე მიიღებს მას და ატარებს. **ერეკლე** თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით აღუთქვამს, რომ ამ წესს აღასრულებენ ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ. საინტერესოა, რომ ეს მუხლიც ხელმოწერილია ხსენებულ წარმომადგენელთა მიერ, დასმული აქვს მათივე ბეჭდები, ოღონდ ხელმოწერის თარიღია 1784 წლის 24 იანვარი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებულია ქ. თბილისი.[116] თუმცა, როგორც ცნობილია, **პ. პოტიომკინი** 1784 წლის იანვარში თბილისში არ ყოფილა, ამასთან, საქმეში იქვე დაცული დამატებითი მუხლის რუსულ „თარგმანს“ თვე, რიცხვი და ხელმოწერის ადგილი მინიშნებული არა აქვს.[117] როგორც ირკვევა, ეს მუხლი, გეორგიევსკში იქნა შეთანხმებული, მაგრამ წარმომადგენლებმა ხელმოწერისაგან თავი შეიკავეს, სანამ მათი სუვერენები არ გადაწყვეტდნენ საკითხს. ჯერ **ეკატერინემ** დაამტკიცა იგი

[115] იქვე, 8 (იხ. რუსული ტექსტი, იქვე, ფურცელი 16).
[116] იქვე, 7.
[117] იქვე, 15.

და პოლკოვნიკმა **ტამარამ** 1783 წლის დეკემბერში ჩამოუტანა პ. პოტიომკინს, რომელმაც რუსული დედანი შეადგინა, ხელი მოაწერა და საქართველოში გამოგზავნა, თან პოლკოვნიკ ტამარას დაავალა, რომ ეთხოვა **ერეკლე** მეფისათვის «чтоб он приказал сей артикул бывшим полномочным подписать, а такой же написать (იგულისხმება ქართულ ენაზე – ვ. მ.) за их печатми и подписью комне доставить».[118] ასე რომ, ქართული ტექსტი, რუსული ტექსტის ადეკვატური, დაიწერა თბილისში 1784 წლის 24 იანვარს და საქართველოს წარმომადგენლებმა, ერეკლეს მიერ ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელის ხელმოწერის დღეს, მოაწერეს ხელი (ასევე რუსულ ეგზემპლარსაც), 25 იანვარს ქართველმა ელჩებმა და პოლკოვნიკმა ტამარამ ტექსტები გაცვალეს[119] (ქართული პოლკოვნიკმა **ტამარამ** ჩაიბარა, ხოლო რუსული – **ი. ბაგრატიონმა** და **გ. ქავქავაძემ**), ხოლო **პ. პოტიომკინს**, ტამარას თბილისიდან დაბრუნების შემდეგ, მოუწერია ხელი (თარიღი ძველი, თბილისში ხელმოწერის დრო დაუტოვებია). ამიტომაა, რომ დამატებითი მუხლის ქართული ტექსტი გაფორმებითაც და ხელითაც განსხვავდება ტრაქტატის დედნის დანარჩენი დოკუმენტებისაგან, იგი იმავე ხელითაა ნაწერი, რომლითაც სარატიფიკაციო სიგელი.[120]

1783 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ელჩები საქართველოში დაბრუნდნენ, რასაც სიხარულით შეხვდნენ. პოლკოვნიკი **ბურნაშოვი** თავად **გრ. პოტიომკინს** სწერდა: **ერეკლე** ტრაქტატით ძალზე კმაყოფილია, დიდებულები მასში საკუთარ სარგებლობას ხედავენ, ხალხი ადიდებს მარჯვენას, რომელიც მას ლეკებისაგან დაიცავსო.[121] 1783 წლის 20 აგვისტოს ერეკლემ ტრაქტატზე ხელმოწერის აღსანიშნავად საზეიმო ცერემონიალი დანიშნა. ზეიმზე პოლკოვნიკი ბურნაშოვი მიიწვია. 9 საათზე ხალხი სიონის ტაძართან შეიკრიბა, ხოლო 11 საათზე მეფე უფლისწულებითა და დიდებულებით მოვიდა. წირვა გადაიხადეს. შემდეგ მეფემ წვეულება გამართა,

[118] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 344; იქვე, ч. II, лл. 29-30.**

[119] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, л. 344.**

[120] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 3-8;** ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე №2073-ა, №2073-ბ.

[121] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 251-252.**

სალუტი მისცეს, ხოლო საღამოს მეფის სასახლე და მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. მხიარული ხალხი მთელი ღამე ქუჩაში დადიოდა.[122] ზეიმზე **გაიოზ** არქიმანდრიტმა წარმოთქვა სიტყვა, რომლის ტექსტი რუსეთში გაგზავნეს.[123]

1783 წლის აგვისტოში ტრაქტატის დედანი პეტერბურგში ჩაიტანეს. იგი მოიწონეს და განკარგულება გასცეს მისი დაბეჭდვის თაობაზე. ტრაქტატის ძირითადი ტექსტი – 13 მუხლი მალე სტამბური წესით დაიბეჭდა რუსულად „ქვეყანაში გასაცხადებლად“, რუსეთის საელჩოებსაც გაუგზავნეს უცხოეთში,[124] 1783 წლის 21 სექტემბერს **ეკატერინე II** მოახდინა ტრაქტატის ანუ როგორც იგი წერდა, „მეგობრობის ხელშეკრულების“ რატიფიკაცია და საქართველოში გამოგზავნეს.[125]

1783 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს ტრაქტატით იყო განსაზღვრული, საქართველოში შემოვიდა. 3 ნოემბერს ისინი თბილისის გარეთ ვაკე მინდორზე, ქალაქიდან 3 ვერსზე (ალბათ, საბურთალოზე, დღევანდელ სპორტის სასახლის ახლოს) პოლკოვნიკმა **ბურნაშოვმა** საპარადოდ მოაწყო და **ერეკლეს** წარუდგინა, ხოლო 4 ნოემბერს პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა ერეკლეს წარუდგინა რუსის ჯარის ობერ და შტაბ ოფიცრები.[126]

1783 წლის დეკემბერში პოლკოვნიკი **ტამარა** პეტერბურგიდან გეორგიევსკში ჩავიდა, საიდანაც 26 დეკემბერს გენერალმა **პ. პოტიომკინმა** იგი ტრაქტატის რატიფიცირებული რუსული ტექსტით, სამეფო ნიშნებითა და საჩუქრებით თბილისისაკენ გამოისტუმრა.[127]

1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკი ტამარა თბილისში ჩამოვიდა და 22 იანვარს **ერეკლეს** წარუდგა. 24 იანვარს ერეკლე მეორემ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა (სარატიფიკაციო სიგელს ხელი

[122] იქვე, 253-254.
[123] იქვე, 256-259.
[124] ერთი ეგზემპლარი ინახება რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში (იხ. **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 80-82**).
[125] ეკატერინე II მიერ რატიფიცირებული რუსული ტექსტი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, მაგრამ შენახულია მისი „შავი“ პირი (იხ.: **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 71-79**).
[126] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 284-290.**
[127] იქვე, 343-349.

მოაწერა), 25 იანვარს რუსი მოხელეების (ბურნაშოვისა და ტამარას) თანდასწრებით რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო, რის შემდეგ **ვახტანგ ბატონიშვილმა** და პოლკოვნიკმა **ტამარამ** სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს,[128] ხოლო **ი. ბაგრატიონმა** და **გ. ჭავჭავაძემ** დამატებითი მუხლი გაუცვალეს პოლკოვნიკ ტამარას.[129]

გეორგიევსკის ტრაქტატი ძალაში შევიდა.

საქართველოში ადრე გამოგზავნილი პოლკოვნიკი **ს. დ. ბურნაშოვი**, რომელმაც 1783 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის 2 ბატალიონიც ჩაიბარა, 1784 წლის 25 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგა საქართველოში რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის (რეზიდენტის, მინისტრის) ფუნქციის შესრულებას, ხოლო 1784 წლის 29 იანვარს **ერეკლე II** ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლად (რეზიდენტად, მინისტრად) რუსეთის სამეფო კარზე თავადი **გარსევან ჭავჭავაძე** დანიშნა.[130]

გეორგიევსკის ტრაქტატი პირველი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში,[131] *რომლითაც რუსეთი პირველად აცხადებდა საჯაროდ დიდი მაჰმადიანური იმპერიების – ოსმალე-*

---

[128] ქართული სარატიფიკაციო სიგელი რუსეთის მხარეს გაიგზავნა, მაგრამ 1922 წელს იგი საქართველოს დაუბრუნდა (იურიდიულად იგი რუსეთის მხარის კუთვნილება იყო) სხვა უნიკალურ ქართულ მასალებთან ერთად და ამჟერად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ფონდი H, საქმე №2073-ა და საქმე №2073-ბ).

[129] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. II, лл. 29-30.**

[130] იქვე, 30.

[131] 1944 წელს ნ. ბერძენიშვილმა 1587 წლის კახეთის მეფის „ფიცის წიგნსა“ და 1589 წლის რუსეთის ხელმწიფის „წყალობის სიგელს“ ერთგანუწოდა „ხელშეკრულება“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IVგვ.23). თუმცა ნ.ბერძენიშვილი იმავე ნაშრომში უმთავრესად, სხვა ტერმინებს ხმარობს „ფიცის წიგნი“, „წყალობის სიგელი“, ორივეს ერთად „მფარველობა ხელდებულების აქტს“ უწოდებს. ეს თვალსაზრისი, ხსენებული ცალმხრივი აქტების მიმართ, ზოგმა უბრალოდ გაიმეორა, ზოგმაც „ფიცის წიგნს“ ხელშეკრულება უწოდა, ხოლო „წყალობის სიგელს“ – მისი რატიფიკაცია. შემდეგ ტერმინი „ხელშეკრულება“ გაავრცელეს XVII საუკუნის ანალოგიურ დოკუმენტებზეც და ბოლოს „ხელშეკრულებებით“ გატაცებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ამ ბოლო დროს ზოგი მკვლევარი პეტრე I და ვახტანგ VI შორის დადებულ ხელშეკრულებაზეც კი ლაპარაკობს, თუმცა თვითონვე აღიარებს, რომ „იურიდიულად ეს ხელშეკრულება არსად იყო გაფორმებულიო“. ამ თვალსაზრისს ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

თისა და სპარსეთის – გასაგონად, რომ იგი ამიერიდან სამუდამოდ დაიცავდა ქრისტიანულ საქართველოს, ხოლო ქართლ-კახეთიც ასევე პირველად აცხადებდა საჯაროდ, რომ იგი სამუდამოდ ემიჯნებოდა მაჰმადიანურ სამყაროს და მხოლოდ რუსეთის მფარველობას სცნობდა.

გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება ორი სამყაროს, ფეოდალური ეპოქის ორი უმთავრესი იდეოლოგიის დაპირისპირებაც იყო, მაგრამ იგი საკუთრივ თურქეთისა და ირანის ტერიტორიის ხელყოფას არ გულისხმობდა, არც ამ ქვეყნების რელიგიისა და სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, იგი არც ე. წ. „საბერძნეთის პროექტის“, თურქეთის „წაქცევის“ გეგმის ნაწილი ყოფილა, იგი მხოლოდ ოსმალეთის იმპერიისა და შაჰის ირანის მტაცებლურ გეგმებს ზღვარს უდებდა კავკასიის რეგიონში.

გეორგიევსკის ტრაქტატით, ან თვით ხელშეკრულების გამოთქმა რომ ვიხმაროთ „მეგობრობის პირობით“, ან *„მეგობრობის ხელშეკრულებით“*, ამ *ორმხრივი* სამოკავშირეო-მფარველობითი ხელშეკრულებით, *ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით სამუდამოდ შევიდა რუსეთის მფარველობაში.* გეორგიევსკის ტრაქტატით ორ ქვეყანას შორის გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომლითაც *ქართლ-კახეთის მეფე ქვეყნის საშინაო მმართველობაში სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ხოლო საგარეო პოლიტიკის საკითხები უნდა შეეთანხმებინა მფარველ-მოკავშირესთან – რუსეთთან, რომელმაც იკისრა ქართლ-კახეთის დაცვა საგარეო მტრებისაგან.* მართალია, ეს იყო ქართლ-კახეთის მეფის მიერ თავისი სუვერენიტეტის ნაწილზე უარის თქმა, მაგრამ **ერეკლე II** ეს ნაბიჯი გადადგა *აღმოსავლეთ საქართველოს უშიშროებისა და მისი ისტორიულ საზღვრებში აღდგენისათვის,* რაზედაც მეორე მხარისაგან ოფიციალური ხელშეკრულებით დაპირება მიიღო.

გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა დიდი იყო, როგორც რუსეთის, ასევე კავკასიის ხალხებისათვის. ჯერ ერთი, ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე ჩრდილოეთ ოსეთში შეიქმნა რამდენიმე გამაგრებული პუნქტი, რათა საქართველოსთან უზრუნველეყოთ

უშიშარი კომუნიკაციები. ამით ჩრდილოეთ ოსეთის ნაწილი გათავისუფლდა ყაბარდოელ მთავართა ბატონობისაგან და რეალურად აღმოჩნდა რუსეთის მფარველობაში, ოსებს გზა გაეხსნათ მოზდოკისაკენ. მეორე, ჩრდილოეთ ოსეთში ფეხის მოკიდებით რუსეთმა გათიშა ყაბარდოელი მთავრები და იქ მოქმედი თურქეთის აგენტები ჩეჩენ-დაღესტნელებისაგან. ეს კი გზას უხსნიდა რუსეთს ხსენებულ რაიონებში დამკვიდრებისაკენ. მესამე, გეორგიევსკის ტრაქტატი ახალი ეტაპის დასაწყისი იყო ამიერკავკასიის ხალხებისათვის. ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე იმერეთის სამეფომ ხელახლა დასვა საკითხი რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე, გეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიური პირობებით, ხოლო სომხებმა ბრძოლა გააჩაღეს რუსეთის მფარველობაში შესვლისათვის. ზოგიერთი აზერბაიჯანელი ხანიც მზად იყო შესულიყო რუსეთის მფარველობაში.

ერეკლე II ფართო გეგმებს სახავდა ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების განხორციელებისათვის, მაგრამ მტრებსაც არ ეძინათ. ოსმალეთის იმპერია, რომელსაც მხარში ამოუდგნენ ევროპის ქვეყნები, მალე აშკარად გამოვიდა. სულთანის ფულმა და აგენტურამ მოახერხა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ კავკასიელი მფლობელების ამოქმედება და საქმეში ლეკების აქტიურად ჩაბმა. თურქეთის აგენტურამ ჩრდილო კავკასიაში გააჩაღა მთიელთა მოძრაობა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა რუსეთის სამხრეთ საზღვარზე (კავკასიის ხაზზე) მდებარე ციხე-ქალაქებს. კავკასიაში შეიქმნა განსაკუთრებით რთული ვითარება. მიუხედავად ამისა, ერეკლე II ურყევად დარჩა გეორგიევსკის ტრაქტატის ერთგული და ბრძოლას აგრძელებდა.[132] ხოლო იმერეთის დიპლომატები თანმიმდევრულად იბრძოდნენ რუსეთთან ანალოგიური ხელშეკრულების დასადებად,[133] რადგანაც რუსეთთან კავშირში ხედავდ-

[132] ქართველმა დიპლომატებმა ისიც კი სცადეს, რომ თურქეთისათვის დაეპირისპირებინათ მისივე ქვეშევრდომები აზიასა და აფრიკაში და დაეკავშირებინა ისინი რუსეთთან (**В. Мачарадзе, Грузинские документы по истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х гг. XVIII века, Тбилиси, 1967**).

[133] იმერეთის დიპლომატების ბრძოლა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების დასადებად. იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატურ სარბიელზე,

ნენ ქართველი ხალხის, მისი ენის, სარწმუნოებისა და კულტურის ხსნის ერთადერთ გზას და ამაში ისინი მართალნი იყვნენ.[134] მათი ნაბიჯის სისწორის უტყუარი მოწმობა იყო ქართველი ხალხის სამასწლოვანი უთანასწორო ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის მძიმე შედეგები: კატასტროფულად შემცირებული საქართველოს მოსახლეობა, ქვემო ქართლის (და არა მარტო ქვემო ქართლის) დაცარიელებული სოფლები, დიდებული კულტურის ძეგლების ნანგრევები და სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებულ-გათურქებული მოსახლეობა.

გეორგიევსკის ტრაქტატი იყო კავკასიის პრობლემის გადაწყვეტისა და საქართველოს აღდგენა-გამოხსნის დიდი გეგმა, რომლის განხორციელებას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ და ბევრი ბრძოლაც დასჭირდა, მაგრამ ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი გამარჯვებული გამოვიდა, ქართველობა გადარჩა.

ტექსტისათვის

ტრაქტატის ქართული პროექტი, რომელიც 1783 წლის მაისში საქართველოში პოდპოლკოვნიკმა **ტამარამ** ჩამოიტანა, ჩვენი ვარაუდით, პეტერბურგში შესრულებული რუსული პროექტის თარგმანი იყო. ჩვენივე ვარაუდით, მთარგმნელი უნდა ყოფილიყო მოსკოვის ქართულ კოლონიაში აღზრდილი, ქართული და რუსული ენების შესანიშნავი მცოდნე და 60-80-იან წლებში დოკუმენტების ცნობილი მთარგმნელი, აკადემიის სტამბაში 1783 წლის ბოლოსა და 1784 წლის დასაწყისში დაბეჭდილი ქართული ტექსტის რედაქტორი თავადი **ანტონ მოურავოვი** (თარხან-მოურავი).[135] მოსკოვის ქართული კოლონიის სკოლის სათავეებთან იდგნენ **სულხან-საბა**

თბილისი, 1968.

[134] არ იყვნენ მართალნი რევოლუციამდელი ქართველი მკვლევარები (ზ. ავალოვი და სხვ.), რომლებიც XVIII საუკუნის ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს გულუბრყვილობას სწამებდნენ და რუსულ ორიენტაციას შეცდომად უთვლიდნენ. თურქეთისა და ირანის დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ევროპის ქვეყნებმა ვერასოდეს „მოიცალეს“ საქართველოს დასახმარებლად.

[135] **АВПР, ф. Трактаты, оп. 2, д. 178, лл. 18, 35-47.**

ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი და სხვ.

ხელშეკრულების პროექტის ქართულ ტექსტს თბილისში 1783 წლის მაის-ივნისში რედაქცია გაუკეთეს **ერეკლე II, ანტონ** კათალიკოსმა და მისმა მოწაფემ თელავის სემინარიის რექტორმა **გაიოზ** არქიმანდრიტმა. მათვე გაუკეთებიათ შენიშვნები რუსულ ტექსტზეც.[136] გეორგიევსკში 1783 წლის 19-23 ივლისს ხელშეკრულების დედნის ქართულ ტექსტს საბოლოო რედაქცია გაუკეთეს **გაიოზ** არქიმანდრიტმა და მოსკოვის ქართული კოლონიის სკოლის აღმზრდელებმა პორუჩიკებმა **ჩოლოყაშვილმა** და **სევარსამიძემ**,[137] ხოლო საქართველოს მხრივ, სარატიფიკაციო სიგელის საბოლოო რედაქცია (1783 წლის აგვისტო – 1784 წლის იანვარი) ეკუთვნის **ერეკლე II, ანტონ** კათალიკოსსა და **გაიოზ** არქიმანდრიტს.[138] საბუთებიდან სხვა „მოქმედი“ არ ჩანს, თუმცა **ს. ლეონიძეს** უთქვამს, მე ვიყავი „მოქმედიო“.[139]

ამრიგად, ხელშეკრულების ქართულ ტექსტთან ერთდროულად დაკავშირებული აღმოჩნდა სამი სკოლა: მოსკოვის ქართული კოლონიის, თბილისისა და ანტონ კათალიკოსისა, რომელმაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სამწერლო ენაზე დიდი გავლენა მოახდინა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამივე სკოლამ განიცადა რუსულის გავლენა, როგორც ეს აქვე დაბეჭდილი დოკუმენტებიდანაც კარგად ჩანს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატიური დოკუმენტების ენა არა მარტო საშუალი ქართულის ნიმუშია, არამედ მასში რუსული ენის გავლენაც საგრძნობია. ამიტომ, ქართული ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ცალკე გამოკვეთილი პერიოდია, რომელიც საგანგებო შესწავლას იმსახურებს.[140]

---

[136] **ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 286, ч. I, лл. 117-118.**

[137] იქვე, 164-176.

[138] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H, საქმე №2073-ა, №2073-ბ.

[139] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 27 სექტემბერი.

[140] ჩვენ განზრახული გვაქვს გამოვაქვეყნოთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსული დოკუმენტების ქართული თარგმანების ფოტოპირები, რომლებიც სპეციალ-

ცნობილია, რომ ანტონ კათალიკოსმა ქართული სამწერლო ენის ბუნებრივი განვითარება დაარღვია. ამასთან, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტების ენას ისევე ეტყობა რუსულის გავლენა, როგორც აღორძინების ხანის ქართველი მწერლების (**თეიმურაზ I, არჩილის, ბესიკის**) თხზულებათა ენას – სპარსულის გავლენა.

ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც: რუსული ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციის წესები რამდენჯერმე გამოიცა და არსებობს სავალდებულო კანონის სახით. ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოცემის წესები საერთოდ არ არის დამუშავებული და არც მისი გამოცემის წესები (სავალდებულო კანონი) არსებობს. რაც შეეხება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დიპლომატიური დოკუმენტების პუბლიკაციის ტრადიციას, იგი **ა. ცაგარლის** სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ **ნ. ბერძენიშვილმა** სავსებით სამართლიანად დაიწუნა საბუთებისადმი ა. ცაგარლისეული მიდგომა. რაკი ა. ცაგარლის შემდეგ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დიპლომატიურ დოკუმენტებზე საგანგებოდ არავის უმუშავია, ცხადია, არც დიდი ტრადიცია შექმნილა, რომ „წესები“ (კანონი) დამუშავებულიყო. ამიტომაა, რომ ყველა გამომცემელი, რომელმაც კი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თითო-ოროლა საბუთი დაბეჭდა, ტექსტს თავისებურად ექცევა და ენობრივ (ორთოგრაფიულ) ფორმებს „ასწორებს“, რაც მართებულად არ მიგვაჩნია. დოკუმენტების პუბლიკაციისას ჩვენ შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ნ. ბერძენიშვილის შენიშვნები და გამოცდილება. ჯერჯერობით აუცილებელია, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დიპლომატიური დოკუმენტები დაიბეჭდოს დედნისეული ფორმით როგორც ისტორიული და სამწერლო ენის ძეგლები, შემდეგ, როცა მასალა დაგროვდება დიდი რაოდენობით, ალბათ, შესაძლებელი გახდება მისი გაანალიზება და წესების საბოლოო დადგენაც.

დაბეჭდილი დოკუმენტების ენა მძიმეა, მაგრამ მათ შორისაც

ისტებს დაეხმარება არა მარტო ქართული დიპლომატიის ენის შესწავლას, არამედ რუსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შესწავლის საქმეშიც.

გამოირჩევა ტრაქტატის დედანი და განსაკუთრებით კი სარატიფიკაციო სიგელი, რომელიც ხელოვნურად დაუმძიმებია ანტონ კათალიკოსს და მის სკოლას. მათი გასწორება ამჯერად მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ჩვენს გამოცემაში ქართული დოკუმენტების ტექსტები იბეჭდება დედნისეული ორთოგრაფიის დაცვით. მხოლოდ ზოგიერთი ფორმა, რომელიც შინაარსის გაგებას აძნელებდა, ასევე რამდენიმე სიტყვა, რომლებიც გადამწერის უნებლიე (მექანიკური) შეცდომის გამო არასწორად იყო დაწერილი, ხოლო მისი შესატყვისი სწორი ფორმები ტექსტშივე აღმოჩნდა, გასწორდა. ამასთან, ყოველი ასეთი შემთხვევა აღნიშნულია შენიშვნაში, სადაც გამოტანილია დედნისეული დაწერილობა. ტექსტის გაგების გასაადვილებლად სასვენი ნიშნები დავუსვით. რაკი წიგნი ფართო მკითხველისთვისაც არის განკუთვნილი, საჭიროდ ჩავთვალეთ აქვე დაგვერთო ძველი ქართული ანბანიც, ტექსტში სადაც მთელი სიტყვა, ან წინადადება იყო ასომთავრულით ნაწერი, მკითხველისათვის ზედმეტი შრომის თავიდან ასაცილებლად, ჩამოვიტანეთ სქოლიოში მხედრულით.

რუსული დოკუმენტები, რომლებიც აქ „თარგმანად“ იწოდება,[141] იბეჭდება ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციის თანამედროვე წესებისა და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით. დოკუმენტების ენა და სტილი დაცულია: მაგარი (ъ) და რბილი (ь) ნიშნები და მთავრული და ნუსხური ასოები დაწერილია თანამედროვე წესების გათვალისწინებით. გარდა ამისა, არასწორად გაყოფილი ტექსტი გაერთიანდა სიტყვად, ხოლო შეერთებულად დაწერილი ტექსტი გაიყო სიტყვებად; სტრიქონს ზემოთ დაწერილი ასოები ჩატანილია სტრიქონში; სასვენი ნიშნები დასმულია თანამედროვე წესით.

ვითვალისწინებთ რა ხსენებული დოკუმენტების დიდ მნიშვნელობას, აგრეთვე სპეციალისტებისა და ფართო მკითხველის

[141] რუსული დედნების ასლებია, მაგრამ რაკი გეორგიევსკის ტრაქტატის დედნები ორივე მხარეთა ენაზე დაიწერა და ორივე ტექსტი თანაბარი ძალისა იყო, ამიტომ მათ ახლდა „თარგმანი“ მეორე ენაზე (ქართულ დედანს – რუსული „თარგმანი“, ხოლო რუსულს – ქართული); რაც მხარეთა ეროვნული ღირსების პატივისცემის გამოხატულება იყო.

ინტერესს, აქვე ვბეჭდავთ დოკუმენტების ფოტოპირებსაც. მადლობას მოვახსენებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, რომლებმაც ხელი შემიწყეს მასალებზე მუშაობის დროს და ფოტოპირებიც დამიმზადეს, აგრეთვე ვ. ე. სავინს, რომელმაც ფოტოპირები დასაბეჭდად მოამზადა.

ადოლფ ბერჟე

საქართველოს შეერთება რუსეთთან[1]

1799-1831

რუსეთის გუბერნიებიდან კავკასია ჩვენთვის ყველაზე უცნობი მხარეა. სწორედ ამიტომ ამ მხარის შესაცნობად ხარჯავდა და ხარჯავს მთავრობა მნიშვნელოვან თანხებს. 1864 წლის აპრილში უმაღლესი ბრძანებულებით დაფუძნებულმა კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ, ჩემი თავმჯდომარეობით, გამოსცა შვიდი სქელტანიანი ტომი (in folio), სადაც თავმოყრილი იყო მის მიერ კავკასიაში ჩვენი ბატონობის პერიოდში(1799-1831 წწ.) შეგროვებული აქტები. ამიერკავკასიის ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის ასახსნელად, სამთავრობო და ადმინისტრაციული საქმიანობის ამსახველი ცალკეული დოკუმენტიდან ზოგადი დასკვნები რომ გაკეთდეს, აქტების შესწავლა მხოლოდ სპეციალისტ-მკვლევრების გულმოდგინე და თავდადებული შრომის შედეგად უნდა განხორციელდეს. ასეთი სახის ამოცანა, ცხადია, მარტივი არ არის და არც შეიძლება პირველივე მცდელობით ამომწურავად და საბოლოოდ გადაწყდეს; მაგრამ ამან, რა თქმა უნდა, ხელი არ უნდა შეუშალოს დასახული ამოცანის გადაჭრას იმ მონაცემთა საფუძველზე, რითაც ამჟამად ჩვენ შეგვიძლია

[1] თავი წიგნიდან: **Берже Ад. П., Кавказская старина, Пятигорск, 2011.** გვ. 16-96: **Присоединение Грузии к России.** თარგმანი თამარ ფანცულაიასი.

ვიხელმძღვანელოთ. რაც შეგვიძლია, გავაკეთებთ და სხვებსაც მივცემთ შესაძლებლობას, შეასწორონ ჩვენი ნაშრომი და უკეთეს შედეგებს მიაღწიონ.

ვიხელმძღვანელებთ რა ზემოაღნიშნული მოსაზრებით, შევეცდებით წინამდებარე კვლევაში, შეძლებისდაგვარად, გავარკვიოთ შემდეგი საკითხები:

1. იყო თუ არა საქართველოს შეერთება რუსეთის დამპყრობლური გეგმების შედეგი?

2. გიორგი XII-ის ეგოისტური მისწრაფებების, საკუთარი უფლებების დაცვის სურვილით ხომ არ მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება? და

3. სურდა თუ არა ქართველ ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობა?

თითოეული ამ კითხვის გაანალიზებას განსაკუთრებულ თავს მივუძღვნით და დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე საბოლოო დასკვნას გავაკეთებთ.

I. იყო თუ არა საქართველოს შეერთება რუსეთის დამპყრობლური გეგმების შედეგი?

ევროპელ პუბლიცისტებსა და მოაზროვნეებს არ სურთ აღიარონ რუსეთის შინაგანი ძალებისა და საგარეო სიძლიერის თანდათანობითი ზრდა, როგორც ისტორიული, რუსეთის მთავრობის სათავეში მდგომი ადამიანების ნების გარეშე მიმდინარე მოვლენა. ამ პროცესს ისინი მიიჩნევენ როგორც შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგს, ანუ რუსი დიპლომატების მხრიდან გამოყენებულ სხვადასხვა ხრიკებად თვლიან, რომლებიც მათი წინამორბედების მიერ ჩაფიქრებულ გეგმებს ასრულებდნენ. მიუხედავად ავტორიტეტებისა, რომლებიც ამ მოსაზრებას ქადაგებენ, მისი უსაფუძვლობა ყოველთვის თავს იჩენს, როდესაც მიუკერძოებელი ისტორიული კვლევა ჩვენი სამშობლოს წარსულის რომელიმე საკითხს ეხება. თურმე, რუსეთში, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, დიპლომატებსა და სახელმწიფოებრივი მართვის სათავეში მდგომ პირებს საკუთარი მისწრაფებები, საკუთარი გეგმები, საკუთარი

პიროვნული სიმპათიები ჰქონდათ, მაგრამ მათი განხორციელება შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი განაპირობებდნენ მოვლენათა ისტორიულ მსვლელობას.

ჩვენთან ყველა გენიოსი არ იყო, არც ყველა იყო პატიოსანი ადამიანი, სხვა ქვეყნებსა და ხალხებთან ურთიერთობებში ყოველთვის არ გვქონდა წარმატებები და მიუხედავად ხელმძღვანელების იმედგაცრუებისა, ფაქტები ადასტურებენ, რომ ჩვენ უფრო მეტ სასარგებლო შედეგებს ზოგჯერ შეცდომას, გატაცებას, მარცხს უნდა ვუმადლოდეთ, ვიდრე საუკეთესოდ მოფიქრებულ, ბრწყინვალე გეგმებს, რომელთა სისტემატურ, ზუსტ შესრულებას მხოლოდ ბოროტება მოჰქონდა. იგივე ხდებოდა სხვა ხალხებთან მიმართებაშიც, რომლებსაც ისტორიულ ასპარეზზე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ.

კავკასიისა და ამიერკავკასიის დაპყრობას ბევრი **პეტრე I**-ის გეგმების უცილობელ გაგრძელებად მიიჩნევს, რომელიც კასპიის სანაპიროს კამპანიაში თავად მეთაურობდა არმიას და რუსეთისთვის სპარსეთის საუკეთესო პროვინციები დაიპყრო. მისმა მემკვიდრეებმა კი, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ გენიალური ადამიანის მიზნებს, ეს პროვინციები ისევ სპარსეთს დაუბრუნეს. მაგრამ ეს მოსაზრება ისტორიული დოკუმენტებით არ საბუთდება. როგორც ჩანს, პეტრე I-ის გეგმები დავიწყებას მიეცა ან, უფრო ზუსტად, შემდეგ პერიოდში მნიშვნელობა დაკარგეს. რუსეთის მმართველი წრეების ყურადღება სხვა საკითხებზე იყო მიმართული და დიდი რეფორმატორის მიერ ჩაფიქრებული რუსეთიდან ინდოეთში სავაჭრო გზის გაკვალვა, უტოპიად იქნა მიჩნეული.

სპარსეთისათვის მისი პროვინციების დაბრუნების შემდეგ, ჩვენი ყურადღება კავკასიის სასაზღვრო ზოლზე და მის შესაძლო უსაფრთხოებაზე იყო გამახვილებული. ნებისმიერი წინ წაწევა, სამხრეთისკენ, კავკასიის მთებისკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი სრულებითაც არ იყო ზემოდან მიწოდებული პოლიტიკური პროგრამის შესრულება. ეს გამოწვეული იყო გარკვეულ ქვეყნებში მომხდარი შემთხვევითი მოვლენებით, ხოლო დიპლომატია, ჩამორჩებოდა რა მოვლენათა განვითარების რეალურ სუ-

რათს, სანქციებს უკვე მომხდარ ფაქტებზე აწესებდა. კავკასიისა და ამიერკავკასიის საბოლოო დაპყრობა საქართველოს შეერთებით დაიწყო და ეს, ჩვენი აზრით, თანამედროვე მოღვაწეების მიერ სრულიად გაუთვალისწინებული ფაქტი, მათი ნება-სურვილის გარეშე მოხდა. ამ შეერთების შედეგებიც აღმოჩნდა არა ისეთი, როგორსაც ელოდნენ, არამედ სწორედ ისეთი, როგორიც აუცილებელი იყო მის წინაშე დაყენებული ამოცანის შესაბამისად, რუსეთის ძლევამოსილების გაზრდისათვის და რომელიც მას უნდა შეესრულებინა მოვლენათა მსოფლიო, ისტორიულ მსვლელობაში.

განსხვავებით ზოგიერთის მოსაზრებისგან, საქართველო შეგნებულად არ დაუპყრიათ და ვერც დაიპყრობდნენ იმ დროს, როცა მისი შეერთება შედგა. ნებისმიერი დაპყრობა, რა თქმა უნდა, გულისხმობს დამპყრობელს, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელის ან ნაპოლეონ I-ის მსგავსად მსოფლიო დიდების მოხვეჭა სურდა, დაპყრობას, მოწინააღმდეგეზე გამარჯვებას უმაღლეს სიკეთედ ჩათვლიდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა მოწინააღმდეგე, ოღონდ შესაძლებელი ყოფილიყო მისი მოძებნა და იძულება, რომ წინააღმდეგობა გაეწია. საქართველოს შეერთების პერიოდში რუსეთის ტახტზე ასეთი დამპყრობელი არ იჯდა.

სიმართლეა, რომ საქართველოს შეერთებაზე სერიოზული საუბარი პირველად **ეკატერინე II**-ის მეფობის პერიოდში დაიწყო, როდესაც რუსეთის განვითარების გეგმების წყალობით, შორეული კომბინაციების გათვლის საფუძველზე, თავად იმპერატრიცასა და მის გარემოცვაში მყოფ გენიალურ ადამიანებზე შეიძლება ეჭვი მივიტანოთ, მაგრამ, როგორც ცნობილია, იმპერატრიცას გარდაცვალების შემდეგ ყველა ეს გეგმა 1796 წელს რუსული ჯარების ამიერკავკასიიდან უკანდახევით დასრულდა, რამაც ძალიან შეარყია რუსეთის მთავრობისადმი რწმენა. ინსტრუქციაში, რომელიც იმპერატორ **პავლე I**-ის ბრძანებით **კოვალენსკის** 1799 წლის 16 აპრილს გადასცეს, ფაქტობრივად დამტკიცდა 1783 წლის 24 ივნისს **ეკატერინე II**-სა და **ერეკლე II**-ს შორის დადებული შეთანხმება. ამ ინსტრუქციაში არ ჩანს ფარული პოლიტიკური გეგმები და რეკომენდებული არ არის რაიმე სახის დიპლომატიური

ქმედებები, რომელთა მიზანიც ქართული სამეფოს დაპყრობისათვის შესაბამისი საშუალებების წინასწარი მომზადება იქნებოდა. პირიქით, ყველაფერი მიუთითებს რუსეთის გულწრფელ სურვილზე, მისი მფარველობის ქვეშ შეუნარჩუნოს ქართულ სამეფოს დამოუკიდებლობა. ასე, მაგალითად, ამ ინსტრუქციის მე-11 პუნქტში **კოვალენსკის** ევალება «მეფეს საკადრისად შთააგონოს რჩევები, რათა თავისი ქცევითა და სხვადასხვა დაწესებულებების მეშვეობით გაანათლოს ხალხი ჩვენს მართლმადიდებლურ რწმენაში, რომელსაც იქ უცოდინარობით, უმეტესად გარეგნულად აღიარებენ და, საერთოდ, ნებისმიერი განათლების საჭიროებაში, რათა იქაური ბარბაროსი ხალხებისაგან გამოირჩეოდნენ». და შემდეგ: თუ მეფე გარკვეული მოწესრიგებულობისა ან რიგიანი არტილერიის საშუალებით თავის სამხედრო ლაშქარს შექმნის, მაშინ **კოვალენსკის** ეძლევა შემდეგი რეკომენდაცია: «ხელმძღვანელობისთვის გამოიყენოს მათი მეთაური და ეგერების პოლკის ოფიცრები, რათა მეფემ გაჭირვების ჟამს მცირე ძალებითაც შეძლოს წინ აღუდგეს სპარსელთა თავხედ და მრავალრიცხოვან ურდოს».

დავუშვათ, საქართველოს დაპყრობა განზრახული იყო, მაშინ ბრძანებით აიძულო ქვეშევრდომი მეფე, დააარსოს ეროვნული სკოლები და შექმნას ეროვნული არმია, ცხადია, საღ აზრს საფუძველშივე ეწინააღმდეგება. ეს ადასტურებს იმას, რომ რუსეთს კავკასიის, იმ დროისათვის გაუვალი მთების მიღმა არსებული ქრისტიანული სახელმწიფოს შენარჩუნების მიზნით, უბრალოდ, მისი დაცვა სურდა და კიდევ, კმაყოფილდებოდა რა მხოლოდ და მხოლოდ სიუზერენის როლით, რუსეთი პროგრესულად განვითარებული ქვეყნების განმტკიცებას ვარაუდობდა.

ინსტრუქციის მე-11 პუნქტი დიპლომატიურ ხრიკებს რომ არ შეიცავდა და რეალური, ზუსტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვრწმუნდებით გენერალ **ლაზარევის** 1800 წლის 25 სექტემბერს **კნორინგისადმი** გაგზავნილი პატაკით, ასევე მისდამი **კოვალენსკის** 1800 წლის 23 დეკემბრით დათარიღებული წერილებითა და **კნორინგის** წერილებით **გიორგი** მეფისადმი, რომლებშიც გადმოცემულია ამ პირების მიერ მეფისადმი შეთავაზებული წინადადებები ქართული ჯარის

შექმნის თაობაზე. მაგრამ მეფეს, როგორც ეტყობა, გამოყოფილი თანხებით არ შეეძლო დამოუკიდებელი სამეფოს შექმნა. მან რუსული ჯარის 6 000 ადამიანამდე გაზრდა ითხოვა, რასაც, რატომღაც საკმარისად თვლიდა საქართველოს შიდა და გარე მტრებისაგან დასაცავად. თუმცა, როგორც **ლაზარევი** ადასტურებს, **გიორგი** მეფის ერთ-ერთმა შვილმა, **მიხეილმა** «მცირეწლოვნებისგან შექმნა ასეული და ჩვენ მსგავსად შეაიარაღა და წრთვნის მათ». მაგრამ, სავარაუდოა, რომ ამ გასართობიდან არაფერი გამოვიდა, რადგან მას შემდეგ ეს ასეული არსად მოიხსენიება.

1800 წლის 8 სექტემბერს, **გულიაკოვის** პოლკის გამოგზავნის შემდეგ, **კნორინგმა ლაზარევს** უბრძანა «აცნობოს მეფეს, რომ, მართალია, უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი ჯარი მივლენილ იქნა საქართველოში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სამუდამოდ და გარნიზონების შესანახად დარჩება, არამედ მხოლოდ დროებით, საქართველოსთვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ამიტომ მეფის ძალისხმევა, შექმნას საკუთარი სამხედრო შეიარაღებული ძალები, არ უნდა შესუსტდეს». შემდეგ, «მხოლოდ **ლაზარევის** საყურადღებოდ», **კნორინგი**, მისი მიმოწერიდან **გიორგი** მეფესთან, აცნობებს ლაზარევს მეფის მოსაზრებას, რომლის თანახმად, ჯარი სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო საქართველოში და მათი სანოვაგით მოსამარაგებლად საქართველო უზრუნველყოფილი იქნებოდა ფულით, მეფე კი ჯარის შენახვაზე ხარჯს არ გაიღებდა და ამიტომ ავალებს კნორინგი ლაზარევს «დაჟინებით მოითხოვოს, რომ საქართველოს მთავრობამ არ შეაჩეროს საკუთარი უსაფრთხოებისთვის ზრუნვა». პატიოსან **ლაზარევს** არ შეეძლო დაეშვა, რომ მეფე რაღაც სპეკულაციებში გახვეულიყო, რაც მართლაც ასე მოხდა, მაგრამ მეფის მოთხოვნას სამხედრო ძალით დახმარების თაობაზე იმით ამართლებდა, რომ «მეფეს, როგორც შიშით დათრგუნულ ადამიანს, არ შესწევდა ძალა თავის თავში გადაელახა მოსალოდნელ საშიშროებაზე ფიქრი, სასოწარკვეთილებას მიეცა და ამიტომ მიმართავდა ყველა გზას, რაც კი გადარჩენისთვის გამოადგებოდა».

თუმცა, მეფე **გიორგის** დადანაშაულება, რომ მან ადგილობრივი

მოსახლეობისგან ჯარი არ შექმნა, ბოლომდე სიმართლეს არ შეესაბამებოდა. შიდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების სრული დარღვევა, არსებული და მოსალოდნელი შინაომი და გარე მტრების თავდასხმის საშიშროება — სამეფო ყოველივე ამას თავისი ძალებით ვერ აიცილებდა, რამაც აიძულა მეფე, რუსული ჯარის გამოგზავნის სანაცვლოდ, რუსეთის იმპერატორისთვის ქვეშევრდომობა ეთხოვა, რომელიც შეინარჩუნებდა ქართულ სამეფოს ჩამქრალ, სავალალო ცხოვრებას.

რუსული ჯარების პირველი რაზმი, გენერალ-მაიორ **ლაზარევის** მე-17 ეგერების პოლკი, თბილისში 1799 წლის 27 ნოემბერს შევიდა. როგორც **კოვალენსკი** აღწერს, «წელში გამართული შევედი, საუცხოოდ შემხვდნენ სამი ვერსის დაშორებით. მეფე, ყველა დიდგვაროვანთა, საერო და სასულიერო დიდკაცობასთან ერთად, ათი ათასზე მეტი ადამიანის თანხლებით, ჩემ შესახვედრად გამოემართა. ქალაქში კი, რომელსაც ამფითეატრის ფორმა ჰქონდა, ყველა სახლის სახურავზე ხამი ტილოს თეთრი ფერის ერთნაირ სამოსში გამოწყობილი ქალები იდგნენ და ქალაქში განფენილი ბანაკის მშვენიერ ხედს ქმნიდნენ. ქვემეხების სროლა და ყველა ეკლესიიდან ზარების რეკვა, ამაღლებულს ხდიდა ამ დღესასწაულს, ხოლო ხალხის სასიხარულო წამოძახილები, მოძრაობები და ცრემლები, განსაკუთრებით ქალებისა, სრულყოფდა ძმური შეხვედრისა და ხალხის ჩვენდამი გულწრფელი ერთგულების ამაღელვებელ სურათს».

მაგრამ ამ ამაღელვებელი დღესასწაულის შემდეგ სპარსეთის შაჰის ელჩობა მოვიდა. ისინი მორჩილებას მოითხოვენ, საქართველოს განადგურებით იმუქრებიან, ხოლო მეფის ძმა, **ალექსანდრე**, სპარსეთში გაიქცა და შინაგანი მყუდროება დაარღვია. ჯარის გაწრთვნისათვის დრო აღარ იყო და უკვე 1800 წელს **კოვალენსკიმ**, **აბას-მირზას** მეთაურობით სპარსელების მოსალოდნელი შემოჭრის მოგერიების მიზნით, საქართველოში მყოფი რუსული ჯარების გაძლიერება ითხოვა. 10 ივლისს გენერალ **კნორინგს** იმპერატორ **პავლესგან** გადაეცა რესკრიპტი, რომელის თანახმად, კავკასიის ხაზზე განლაგებული რუსული არმიის შემადგენლო-

ბიდან საქართველოსკენ სალაშქროდ მოემზადებინათ პუშკინისა და ობრესკოვის დრაგუნთა პოლკების ხუთ-ხუთი ესკადრონი, შუა ხაზზე განლაგებული ორი ქვეითი პოლკი, გრენადერების ორი ნაკრები პოლკი და ლიხაჩოვის ეგერების I პოლკიდან ერთი ბატალიონი, რათა, ლაზარევის პოლკის ჩათვლით, საქართველოში თავმოყრილი ყოფილიყო კავალერიის 10 ესკადრონი და ინფანტერიის 9 ბატალიონი. ამგვარად, ცხადია, რომ შექმნილი ვითარება ქართული რეგულარული ჯარის შექმნის შესაძლებლობას არ იძლეოდა. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეფოს ფული არ გააჩნდა და ლაზარევის დასახმარებლად არსებულ საბრძოლო ძალებს «18 კაცზე ერთი თოფი თუ ჰქონდათ, დანარჩენები კი გამომწვარი შინდის ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულები».

პირველი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც რუსეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ, იყვნენ სახელმწიფო მრჩეველი **კოვალენსკი** და გენერალ-მაიორი **ლაზარევი**. **გიორგი** მეფის სრულუფლებიან რწმუნებულ მინისტრად დანიშნულმა კოვალენსკიმ მიზნად დაისახა სამეფო კარზე წამყვანი როლი შეესრულებინა და კონტროლის გარეშე ემართა საქართველო. არც ერთ მის მოხსენებაში, წერილებში, პროექტებსა და მოსაზრებებში სახელმწიფოებრივი იდეები ჩამოყალიბებული არ არის, არავითარი გაგება რაიმე ზოგადი პრინციპის მსახურებისა არ შეიმჩნევა: როგორც კი ამ შარიანი და ვერცხლის მოყვარე ჩინოვნიკის წვრილმანი თავმოყვარეობა შეილახებოდა, რუსეთისა და საქართველოს ინტერესები მისთვის უკანა პლანზე გადადიოდა.

რწმუნებულმა მინისტრმა, თბილისში ჩამოსვლისთანავე, თავისი ქცევით ყველა გააოცა. მეფეს **კოვალენსკის** ნახვა ეწადა, მაგრამ ამაოდ გზავნიდა შიკრიკებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაგებად. კოვალენსკი უყურადღებოდ ტოვებდა მეფის მოკითხვებს და შიკრიკებს უკან აგზავნიდა პასუხით — ჯანმრთელად ვარო. ბოლოს და ბოლოს, როდესაც მეფესთან წასვლა გადაწყვიტა, წინასწარ გააგზავნა მაცნე მოთხოვნით, რომ მისთვის სავარძელი დაემზადებინათ. კოვალენსკი მეფის წინაშე განსაკუთრებულ სამოსელში წარსდგა: ქურქით, დათბილული ჩე-

ქმებითა და სამგზავრო ქუდით გამოწყობილი და დაუყონებლივ მისთვის დამზადებულ სავარძელში ისე ჩაჯდა, რომ მისი ფეხები მეფის ფეხებს ეხებოდა. შემდეგ იგივე სამოსით დედოფალს ეწვია, ხოლო თავისი აუდიენციის დასასრულს კი განაცხადა — საადმირალო საათიაო – და არაყი მოითხოვა. შეუსაბამო სამოსსა და ქცევასთან ერთად, მინისტრის საუბარიც სითავხედითა და უპატივცემულობით გამოირჩეოდა.

ამასობაში, რუსეთის იმპერატორის ეს მოუხელთებელი მინისტრი ქრთამის სახით დედოფალს 3 000 რუბლს, მეფის ადიუტანტს, თავად **ალექსანდრე მაკაევს** — 2 000 რუბლს და კნეინა **ჭავჭავაძეს** 7 000 რუბლს დაპირდა, თუ ისინი დაარწმუნებდნენ მეფე **გიორგის**, ეშუამდგომლა იმპერატორთან თბილისში მინისტრის პოსტზე **კოვალენსკის** დასატოვებლად, იმ მოტივით, რომ მეფეს ამ ადგილზე სხვა კანდიდატურა არ სურდა. შესაძლებელია, სწორედ ამ ხრიკების წყალობით, რასაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის სიკეთე არ მოუტანია, 1800 წლის 3 აგვისტოს უმაღლესი რესკრიპტი კოვალენსკის გაწვევის თაობაზე არ შესრულებულა. **გიორგი XII**-ის გარდაცვალების შემდეგ კოვალენსკის წილად ხვდა საქართველოს მმართველობის ორგანიზება, ეგრეთ წოდებული საქართველოს უმაღლესი მთავრობის დაფუძნება, რომლის სათავეში, საქართველოს მმართველის ტიტულით, თავად დადგა.

განიხილავდა რა **კოვალენსკის** მიერ დაპროექტებულ და დაფუძნებულ საქართველოს უმაღლესი მთავრობის ორგანიზების პროცესს, სამეფო კარის მოხელე **სოკოლოვი** ასკვნის: «თამამად და დასაბუთებულად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მმართველის მხრიდან ბოროტმოქმედებას თავიდანვე, საქართველოს დღევანდელი მთავრობის შერჩევისთანავე, ჰქონდა ადგილი». მოიყვანა რა სისრულეში თავისი საგულდაგულოდ მოფიქრებული პროექტი, კოვალენსკიმ «ყველა ადგილი, უმეტესწილად, თავისი ნათესავებით ან იმ ადამიანებით დააკომპლექტა, რომლებსაც მასთან ან მის ნათესავებთან რაიმე კავშირი ჰქონდათ». ამის შემდეგ, სრულიად ბუნებრივად «კოვალენსკის სახლი უმნიშვნელოვანესი ადგილი გახდა, საიდანაც იგზავნებოდა ბრძანებები, სისხლის სამართლის

სამძებრო საქმეები, დაპატიმრებებისა და კონფისკაციების განკარგულებები». სავარაუდოდ, მთავრობის ყველა წევრი რუსეთს კი არა, კოვალენსკის ემსახურებოდა. «ეს ადამიანები, უსახელო არქიტექტორების, საკანცელარიო ჩინოვნიკების» და სხვათა სახით, მხოლოდ სიაში ირიცხებოდნენ და თუ რომელიმე რეალურად არსებობდა, «ხელფასის ნაცვლად კოვალენსკისგან ნაჭრების, კერძოდ, მაუდის თოფებს იღებდა, რომლებსაც შემდგომ ფულის ასაღებად ბევრად იაფად ყიდდა».

სოკოლოვი საიდუმლო ჩანაწერში მმართველის მიერ თათრებთან დანიშნულ აღმასრულებლებზე აღნიშნავს: «ისინი არც სამსახურში, არც საზოგადოებაში ღირსეული ადამიანები არ იყვნენ. მაგალითად, მერაბოვი და მახვილაძე, რომელთა ღირსებაზე ლაპარაკის უფლებას ზრდილობა არ მაძლევს». მაგრამ, მიუხედავად ჩინოვნიკების ასეთი განურჩეველი არჩევნისა, მათ თავად არ მოსწონდათ სახელმწიფო სამსახური. პოლკოვნიკი **ჩერნოვი** თავად **ციციანოვს** ატყობინებდა, რომ «პოლიციის მოხელეები ნახევარი წელია, რაც ხელფასს არ იღებენ და რამდენადაც სხვა საარსებო საშუალება არ გააჩნიათ, ხშირად უარს ამბობენ თანამდებობაზე და პოლიციის მუშაობას აფერხებენ».

საქართველოს უმაღლესი მთავრობის სისხლის სამართლის ექსპედიციის წარდგინებაში აღნიშნულია: «საქმის მწარმოებლები გულიაევი და ძიუბენკო, ასევე რეგისტრატორი სვეტლაშნი სამსახურში არ ცხადდებიან. აცხადებენ, რომ მთავრის მიერ დანიშნულ ისედაც მწირ ხელფასს არ უხდიან, არც კრედიტი აქვთ. უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ — არც საკვები, არც ტანსაცმელი არ გააჩნიათ. ექსპედიციაში არ ჰყავთ არც ზემდეგი, არც დარაჯი, დღიდან გუბერნიის დაარსებისა ოთახები არ ლაგდება და არ თბება. ამის თაობაზე და სახელფასო ხარჯების შესახებ ეცნობა მთავარსარდალს (**კნორინგს**), მაგრამ პასუხი არ მიუღიათ».

საქართველოს უკანასკნელი მეფეების მმართველობის პერიოდში, სახელმწიფოებრივი ცხოვრების სრული დარღვევის შემდეგ, ქვეყნის მსგავსი პრინციპებითა და მეთოდებით მართვა

ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და სხვა შედეგის ძიება კავკასიის გაღმა უხუცესი რუსი მოღვაწის მმართველობაში, საეჭვოა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო. «ჩემ მიერ ხელმწიფისთვის გაგზავნილი მოხსენებებიდან, წერს თავადი **ციციანოვი** გრაფ **კოჩუბეის**, გაეცნობით საქართველოს სავალალო მდგომარეობას და მისი ყოფილი მმართველის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღმაშფოთებელ ფაქტებს... რამაც ათი თვის მანძილზე ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და ჩვენი მმართველობისადმი აშკარად არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება დაამკვიდრა».

კავკასიის ხაზის უფროსის, არმიის მთავარსარდლის, გენერალ-ლეიტენანტ **კნორინგის** სახით, **კოვალენსკიზე** უმაღლესი კონტროლი დააწესეს. კნორინგი მუდმივად ყიზლარში და მოზდოკში ცხოვრობდა და, კოვალენსკის სიტყვებით, სწორედ იქიდან წყვეტდა ისეთ სერიოზულ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოდან მატყლის გატანის აკრძალვა, რათა კოვალენსკის ეგრეთ წოდებული სახაზინო მაუდის ფაბრიკისთვის იაფად ეყიდა და შემდეგ იაფფასიანი მატყლით ხელფასი გადაეხადა იმ რეალურად არსებული ჩინოვნიკებისთვის, რომლებიც რუსეთის საკეთილდღეოდ მუშაობდნენ, არ იყვნენ კოვალენსკის ნათესავები და არ ეხმარებოდნენ მას ახლად შეერთებული ქვეყნის ექსპლუატაციაში. სხვათა შორის, **სოკოლოვის** გასაიდუმლოებულ გამოძიებაში ასეთი ჩანაწერი არსებობს: «მაუდის ფაბრიკის საჭიროებისთვის მთელ საქართველოში იაფად შეისყიდეს მატყლი, მაგრამ, აქაური ხალხის აზრით, ეს მატყლი სპეკულაციის საგანი გახდა. მმართველს განზრახული აქვს 1 500 ფუთი მატყლის რუსეთში გაგზავნა და ხელსაყრელ ფასად გაყიდვა».

რაოდენ დიდი მანძილითაც არ უნდა ყოფილიყო საქართველო დაშორებული რუსეთისგან, ხმამ მმართველის არაკეთილსინდისიერ მეთოდებზე როგორც იქნა პეტერბურგამდეც მიაღწია. 1802 წლის 8 სექტემბრის რესკრიპტით იმპერატორმა **ალექსანდრემ** «საქართველოს მმართველ გენერალ-ლეიტენენტ **კნორინგსა** და სახელმწიფო მრჩეველ **კოვალენსკიზე** მიღებული საჩივრებისა

და უკმაყოფილების» საფუძველზე საჭიროდ სცნო, «პირველი განაწესოს არმიაში, მეორე კი უკან გამოიწვიოს სხვა სფეროში დასასაქმებლად», ხოლო სამოქალაქო და სამხედრო ნაწილების მმართველობა დაეკისროს თავად **ციციანოვს**, რომელიც თავად გადაწყვეტს კოვალენსკის ბედს.

მიუხედავად ხელმწიფის მიერ ციციანოვისთვის, როგორც საქართველოს მმართველისთვის, ასეთი ფართო უფლებამოსილების მინიჭებისა, **კოვალენსკიმ** ახალ მხედართმთავართან შებრძოლება გადაწყვიტა. სხვათა შორის, თბილისისკენ მიმავალ ციციანოვს უკვე ხელთ ჰქონდა უამრავი საჩივარი კოვალენსკისა და K^0-ის ბოროტმოქმედებებზე. თბილისში ჩასვლისას და საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახელმწიფო დაწესებულებების რევიზიის ჩატარების დროს, თავადმა **ციციანოვმა** ისეთი ქაოსი აღმოაჩინა, რომ მაშინვე გამოუწერა **კოვალენსკის** ორდერი და თანამდებობიდან გაათავისუფლა. კოვალენსკიმ სცადა ორდერის მოქმედების შეჩერება და წარადგინა პატაკი ავადმყოფობის შესახებ, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ვერ შეასრულებს სამსახურეობრივ მოვალეობებს «ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რაც გამოწვეულია სულიერი მდგომარეობის მოულოდნელი აშლილობით და, როგორც ეტყობა, დაუმსახურებელი მიღებით, რომელიც თავადმა ციციანოვმა სხვა თავადების თანდასწრებით **კოვალენსკის** დასამცირებლად მოუწყო», მაგრამ თავადი **ციციანოვი**, როგორც უპატიოსნესი და მტკიცე ხასიათის ადამიანი, არ ააღელვა ისეთი გამოუსწორებელი საქმოსნის დელიკატურობამ, როგორიც კოვალენსკი იყო და უპასუხა, რომ ავადმყოფობის შესახებ პატაკის ჩაბარება საჭირო არ იყო, რადგან ის თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებულია და დაუმატა – თუ მისი სულიერი მდგომარეობის აშლილობა სიმართლეს შეესაბამება, მაშინ მან ეს დაიმსახურა; «ყოველ შემთხვევაში, ეს არის იმ უგრძნობლობის შედეგი, რომელსაც ის იჩენდა აქაური თავადების მიმართ, როდესაც მათ თავისი ქცევით შეურაცხყოფდა და ამ დამოკიდებულებით ისე შეაძულა ხელისუფლება, რომ თავადმა ციციანოვმა აშკარად დაინახა რუსეთის ხელისუფლებისადმი არაკეთილმოსურნე განწყობა».

ასეთი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, **კოვალენსკის** დიპლომატიური მიდგომა არ გამოადგებოდა და მან ღია დაპირისპირებას მიმართა და საკანცელარიო საქმის ოსტატების მსგავსად, აბსოლუტურად ინერტული გახდა. თავად **ციციანოვის** არც ერთ მითითებას არ ასრულებდა; ყველა მის მოთხოვნას უგულებელყოფდა; მიიჩნევდა, რომ იგი თავად უნდა გარკვეულიყო საქართველოს უმაღლესი მთავრობის უმოქმედობისა და ბოროტმოქმედებათა ქაოსში, ან ესარგებლა მთავრობის იმ წევრების დახმარებით, რომლებიც ყოფილ მმართველთან ერთად თაღლითობაში იყვნენ შემჩნეული. კოვალენსკი ყველა ხერხს მიმართავდა, რომ უმაღლესი ხელმძღვანელობის წინაშე უსამართლო დევნის უდანაშაულო მსხვერპლად წარმოეჩინა თავი.

თავადმა ციციანოვმა დიდი შრომა გასწია იმ უკანონობების გამოვლინების აღმოსაფხვრელად, რომელსაც კოვალენსკი სჩადიოდა. თუმცა, საღი აზრიდან გამომდინარე, ეს შეიძლება არც კი მომხდარიყო. კოვალენსკის მავნებლური საქმიანობის შესახებ იმპერატორმაც შეიტყო. თავად ციციანოვს უფლება მისცეს, თავის შეხედულებისამებრ ემოქმედა. კოვალენსკიმ ეს არაფრად მიიჩნია. თავიდან მას არ უნდოდა ანგარიშის წარდგენა და ქალაქ გეორგიევსკში გაემგზავრა. თუმცა, განსაკუთრებული უმაღლესი ბრძანებულებით, იძულებული გახდა, ანგარიშის წარსადგენად თბილისში დაბრუნებულიყო, მაგრამ თბილისიდან წასვლა არ სურდა და მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის მიზნით, მშვიდად ხელმძღვანელობდა თავის თანამზრახველებს. თუმცა, თავადმა **ციციანოვმა** მისი წინააღმდეგობა მაინც გადალახა: მმართველი სენატის 1803 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების თანახმად:

1) საქართველოს მთავარსარდლის ხელთ არსებული გამოძიების ყველა მასალის შესწავლის საფუძველზე, საქართველოს ყოფილი მმართველი, რწმუნებული მინისტრი **კოვალენსკი** დაისაჯოს კანონით და

2) ამ საქმის პოლიტიკურ ვითარებასთან და საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობასთან კავშირის გამო, – სასამართლო

გაიმართოს მმართველი სენატის I დეპარტამენტში.

საქართველოს პირველი რუსი მმართველის საქმეების არასრული ჩამონათვალი სრულიად საკმარისია შემდეგი დასკვნის გასაკეთებლად: ეს მაღალი ხარისხის მოხელე მხოლოდ საკუთარი მიზნების მისაღწევად იღვწოდა, რუსეთის ამოცანებს კი მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ვარაუდის სახითაც ვერ დავუშვებთ, რომ **კოვალენსკის** საქართველოს დაპყრობისა და მისი რუსეთთან შეერთების სურვილი ჰქონდა. გასაკვირი ისაა, როგორ ვერ მიაღწია კოვალენსკიმ უკუ შედეგს: საქართველო და მის დასაცავად გამოგზავნილი ჯარის ყველა შენაერთი საბოლოოდ არ დაღუპა. ყოველ შემთხვევაში, მან ყველაფერი გააკეთა ამისთვის და თუ წარმატებას ვერ მიაღწია, ეს უკვე იმ წინააღმდეგობის შედეგია, რომელიც მას რუსეთის პატიოსანმა და უეშმაკო მსახურმა, ეგერების მე-17 პოლკის გენერალ-მაიორმა **ივანე პეტრეს ძე ლაზარევმა** გაუწია.

1799 წლის 16 იანვრის ინსტრუქციის საფუძველზე, **კოვალენსკის** განკარგულებაში გადაეცა დიპლომატიური კორპუსი, რუსეთის წარმომადგენლობა და შემდეგ სამოქალაქო ნაწილი. რაც შეეხება საქართველოში გამოგზავნილ ჯარის ნაწილებს, ისინი მას არ ემორჩილებოდნენ. სწორედ ამ გონივრულ გადაწყვეტილებას, სამოქალაქო ხელისუფლების გამიჯვნას სამხედრო ხელისუფლებისაგან, უნდა უმადლოდეს საქართველო თავის არსებობას.

«კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში» გამოქვეყნებული **კოვალენსკის** მოხსენებებისა და **ლაზარევის** პატაკების თანმიმდევრული წაკითხვა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ამ დოკუმენტებში კარგად სჩანს საქართველოში მოღვაწე რუსული ადმინისტრაციის ამ ორი წარმომადგენლის პრინციპებსა და საქმიანობას შორის განსხვავება. გენერალ **კნორინგისადმი** გაგზავნილ პირველსავე მოხსენებაში (1799 წლის 2 დეკემბერი) **კოვალენსკი** აღფრთოვანებულია **გიორგი** მეფის დახვედრით, საუბრობს მის რუსეთისადმი ერთგულებაზე და საკუთარ თავზე არაორაზროვან კომპლიმენტს ამბობს, აცხადებს რა, რომ «მეფეს ის მეგობარივით და შვილივით შეუყვარდა და ყველა მის წინადადებას უსიტყვოდ

შეასრულებს. ასეთი დამოკიდებულება მას კიდევ უფრო მეტად იმიტომ ამხნევებს, რომ მეფის პიროვნებაში მან დაინახა მტკიცე პრინციპები, საღი აზროვნება, უწყინარობა და ღმრთისმოშიშება».

თუმცა, ამან კოვალენსკის ხელი არ შეუშალა, 1800 წლის 6 აგვისტოს, კნორინგისათვის მიეწერა: «ყველაზე ძალიან ჩემი რჩევების დუნედ შესრულება მაღელვებს, რისი მიზეზიც გაუბედაობა და სიზარმაცეა». 1799 წლის 14 დეკემბრიდან **კოვალენსკი** ივანე პეტრეს ძე **ლაზარევზე** საჩივრების წერას იწყებს, უფრო სწორად, ცილს სწამებს მას. ლაზარევი, თურმე, მეფის წინაშე თავისი უხეშობით თავს ირცხვენს და ავიწროვებს ყველა იმ ქვეშევრდომს, ვინც კოვალენსკისთან მეგობრობს, შემდეგ კი ვრცლად საუბრობს თავის გონივრულ განკარგულებებზე ჯარის პროვიანტით მომარაგების თაობაზე.

ლაზარევი ასე ახასიათებს მეფეს: «ის ძალიან კეთილია, მაგრამ სუსტია როგორც გონებით, ასევე სამეფოს მართვის საქმეში; ძირითადად, სულ ჯარისკაცების საკეთილდღეოდ ზრუნავს, მაგრამ ქალაქში, რომელსაც ორი სომეხი, **მელიქოვი** და **თუმანოვი**, მართავს, არც ერთი ბრძანება არ სრულდება, მეფეს კი ცრუ ინფორმაციას აწვდიან, რომ ყველაფერი შესრულებულია». პოლკის სანოვაგით მომარაგებაზე ლაზარევი წერს: «13 დეკემბრიდან ორცხობილა არსად გვინახავს, ხოლო იმ ხარისხის, როგორსაც კნორინგს აწვდიან დასაგემოვნებლად, საერთოდ არ გვქონია». კორონაციის დღეს მეფემ ჯარისკაცებისთვის 300 თუნგი მაჭარი და 200 ზურგიელი გასცა, «ხოლო ადამიანები 6 დღე შეშის გარეშე იყვნენ; ბურღულეული როდის ჰქონდათ, ლაზარევს არც ახსოვს, რადგან 4 დღის მარაგად ბურღულეულის ნაცვლად, ცერცვის მარცვალი და კაკალი გაიცა. ადამიანები უკვე 8 დღეა მისი პროვიანტით ეკონომიურად იკვებებიან». ხალხი რუბლის გადაცვლაზე 26 კაპიკს კარგავს და სრულად ვერ ღებულობს საკვების საკმარის მარაგს.

ერთი სიტყვით, ასკვნის **ლაზარევი**: «უკეთესი იქნებოდა, რომელიმე სანგარში ვიდგე, ვიდრე აქ ამ არეულობას ვუყურო». ყოველივე ამის თაობაზე ლაზარევი მეფის ადიუტანტს, თავად **ჭავჭავაძეს** ესაუბრა და დაპირდა, რომ ყველაფერს **კნორინგს** აც-

ნობებდა. მუქარამ გაჭრა. ვითარებაში გასარკვევად, მეფე **გიორგიმ აფხაზოვი** გამოაგზავნა, რომელმაც ლაზარევს მეფის დანაბარები გადასცა: მეფე სთხოვს, დაივიწყოს წყენა და მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაფერს იღონებს, შვილსაც კი გაწირავს, რათა დააკმაყოფილოს ლაზარევის მოთხოვნები. «მისი სიტყვები შეურაცხმყოფელი მომეჩვენა, აღნიშნავს **ლაზარევი,** მე ხომ საკუთარ თავზე არაფერი მითქვამს, გარდა იმისა, რომ პოლკში დანაკლისის გამო ჩემი ხელმწიფის ნდობას დავკარგავ».

ლაზარევმა აფხაზოვს სთხოვა მეფისათვის გადაეცა, რომ «იგი ხელმწიფისაგან ხელფასს იღებს, აქვს თავისი სოფლები და არაფერი სჭირდება. მისი ერთადერთი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ მისთვის ხელმწიფისგან ჩაბარებულ პოლკს ჰქონდეს ყველაფერი, რაც საჭიროა; ეს, მისი, როგორც ადამიანისა და ფიცდადებული სამხედრო პირის ვალია და ვიდრე ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, უკან არ დაიხევს და მთავარსარდალთან იჩივლებს». ამის შემდეგ ლაზარევთან ტახტის მემკვიდრე მივიდა და სთხოვა, მეფისათვის ანგარიში გაეწია და ცოტა ხანი დაეცადა, «რადგან მან იცის, აღნიშნავს ლაზარევი, თუ მე ვიჩივლებ, პოლკს ჩამოართმევენ». მიუხედავად ამისა, არაფერი შეცვლილა, რამეთუ «მეფის ბრძანებები ცუდად სრულდება, უფრო სწორედ, მას არავინ უსმენს» და ლაზარევმა, უკვე 30 დეკემბერს, თხოვნით მიმართა კნორინგს: «თქვენო უმაღლესობავ, მოსეს მისია იკისრეთ და თქვენი ხალხი მტრის გარემოცვიდან გამოიყვანეთ».

კოვალენსკის საქართველოში განლაგებული ჯარების მდგომარეობა ასეთად არ ეჩვენებოდა. 1799 წლის 14 დეკემბერს **კნორინგისადმი** მიწერილ წერილში ის აღნიშნავს: «მუყაითად განვაგებ რა ყველაფერს, რაც სასიკეთოა ჯარისთვის, მათ შორის სურსათს, არა ერთხელ ვიყავი მოწმე, საქართველოში ჯარის ჩამოსვლის პირველივე დღიდან, როგორ დაუღალავად და გულმოდგინედ ზრუნავდა მეფე **გიორგი** მათ სიმშვიდეზე, მომარაგებაზე». როგორც **ლაზარევი** აღწერს, ყოველივე ეს ეხება ჯარის მომარაგებას და მთავრდება კოვალენსკის განცხადებით — «მხედველობაში მაქვს 1799 წლის 8 აგვისტოს ბრძანება: «საქართველოში განლა-

გებული ლაზარევის პოლკის სანოვაგე ჩვენს განკარგულებაში რჩება». მეფეს პროვიანტისა და ალაფის დამზადების შესახებ განკარგულება არ გაუცია. მან დაამზადებინა მხოლოდ ერთი თვის მარაგი, ისიც იმ შემთხვევისთვის, თუ დედაქალაქში ჩასვლა დასჭირდებოდათ». შემდეგ კოვალენსკი დასძენს, რომ «სანოვაგესა და ალაფზე დაწესებული საშტატო ფასი ნამდვილ ღირებულებაზე ბევრად დაბალია და იშვიათად თუ შეხვდებით», მაგრამ «თუ მეფეს უბრძანებენ, ყველაფერს დაამზადებს; კოვალენსკის მოსაზრებით, მეფემ უკვე უბრძანა თავის საკუთარ ანგარიშზე კიდევ ორი თვის მარაგი დაემზადებინათ». კოვალენსკი იმიტომ ტრაბახობს, რომ იცის, მეფემ უკვე შეუკვეთა და ამდენად ამ შეკვეთის სხვისთვის გადაცემა არ შეიძლება, სამაგიეროდ საშტატო ფასს გაზრდის და ძვირად გაყიდის. საოცარი მოხერხებულობაა, რომელიც ნებისმიერ სახაზინო მომმარაგებელს შეშურდება. სხვათა შორის, საქართველოს მეფის სახელით ეს დაწერა რუსეთის მთავრობის რწმუნებულმა მინისტრმა!

როდესაც საქართველოში **გულიაკოვის** პოლკი გამოაგზავნეს, საჭირო გახდა სანოვაგის მარაგის შევსება. მეფემ, რა თქმა უნდა, ბრძანება გასცა, **კოვალენსკიმ** კი, «საქმის დაჩქარების» მიზნით, «ქართველ თავადებს საკმაოდ დაბეჯითებით მოსთხოვა ამ საქმის მოგვარება».

«მთავრობის მხრიდან სანოვაგის მომწოდებელი პირი მეტად არასანდოა, – წერს **ლაზარევი**, – ესაულები 30000 ფუთი პროვიანტის ჩამოსატანად ჯერ კიდევ 31 ივლისს გააგზავნეს კახეთსა და ქართლში, მაგრამ სურსათის ძალიან ცოტა რაოდენობა ჩამოიტანეს; მიუხედავად იმისა, რომ **კოვალენსკიმ** აქაური თავადები მკაცრად გააფრთხილა, შედეგი ჯერ არ ჩანს». ამიტომ ლაზარევი სთავაზობს შემდეგს: «სანოვაგის დასამზადებლად ყველაზე მისაღები ხერხი უნდა ვიხმაროთ, სოფლებში ვიყიდოთ ბაზარში ჩამოტანილი საქონელი და გლეხებს ფული გადავუხადოთ, რასაც მთავრობა არ აკეთებს». როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ქართველი მეფე რუს რწმუნებულ მინისტრთან ერთად მოქმედებდა, როგორც ებრაელი მომმარაგებლები: ხაზინისაგან

ფულს იღებდნენ, თავად კი საფასურს არავის უხდიდნენ. სხვათა შორის, პირველს რუსული ჯარის დახმარებით საკუთარი სამეფოს გადარჩენა სურდა, მეორე კი იმპერატორ **პავლეს** ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

1800 წელს, ივლისში **ბაბა-ხანმა** (ალი შაჰი) **გიორგი XII**-ს ელჩების პირით მისი შვილის **დავითის** მძევლად გამოგზავნა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს განადგურებით ემუქრებოდა. «ელჩობის ჩამოსვლამ ყველა შეაშინა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო», — აღნიშნავს კოვალენსკი. დაბნეულმა მეფემ არ იცოდა, როგორ მიეღო დესპანი და კოვალენსკის სთხოვა მოლაპარაკებისთვის მისი სახლი დაეთმო, «რათა უფრო გაბედული ყოფილიყო» და დესპანისთვის რუსეთისადმი მისი სრული ერთგულება დაემტკიცებინა. უარი უთხრეს რა შაჰს ყველა მოთხოვნაზე, მეფემ და კოვალენსკიმ რუსეთს სთხოვეს დახმარება და 1800 წლის 10 ივლისს გამოიცა უმაღლესი რესკრიპტი საქართველოში ჯარების გაძლიერების თაობაზე.

ამასობაში, ალყაში მყოფი ციხე-სიმაგრე მაკუ სპარსელებს წინააღმდეგობას უწევდა. პროვიანტისა და ნავროტის (საქონლის საკვების) უკმარისობისა და, აგრეთვე, ბანაკში გავრცელებული სხვადასხვა ავადმყოფობის გამო, სპარსელებმა ალყა მოხსნეს და იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. **კოვალენსკიმ** დაუყონებლივ აცნობა **კნორინგს**, რომ «მის მიერ თავის დასაცავად მიღებულმა ზომებმა მდგომარეობა გამოასწორა». დედაქალაქი თავდაცვისთვის ემზადება, ჰყავთ 3000, აქაური გაგებით, კარგი მეომარი და, რომ საკუთარი დიპლომატიის წყალობით სასაზღვრო ხაზზე მუსლიმთა წინააღმდეგობა შეაჩერეს. შემდეგ უარს აცხადებს მაშველი ჯარის დახმარებაზე. მისი აზრით, ჯარის შემოყვანამ, შესაძლებელია, «როგორც ადრე, გონება დაუბინდოს მათ», რადგან «ქართველი ხალხი იმდენად უდარდელია, რომ ოდნავი უსაფრთხოების შეგრძნებისას, უშიშროების ზომების მიღება ავიწყდებათ». ეს 3 აგვისტოს დაიწერა, 6 აგვისტოს კი, იგივე კოვალენსკი კნორინგს მიმართავს: «თქვენი დახმარების გარეშე ჩვენ სიმშვიდესა და უსაფრთხოებას ვერ შევინარჩუნებთ და რაც უფრო მალე დაგვეხ-

მარებით, მით უკეთესია», და იმავე რიცხვში, განსაკუთრებულ წერილში, თხოვს: «ღმრთის გულისთვის, რაც შეიძლება სწრაფად გადმოისროლეთ მთებზე განლაგებული ჯარიდან გრენადერებისა და მუშკეტერების ბატალიონი; ჩვენ იქ როგორმე დავხვდებით და ცხენებით ჩამოვიყვანთ».

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს უიმედობა და ფუსფუსი საერთოდ არ იყო საჭირო: 13 აგვისტოს **კოვალენსკი კნორინგს** აცნობებს, რომ მას ხელში ჩაუვარდა «დოკუმენტები და წერილები, რომელთა შინაარსი არ შეესატყვისება მისთვის ადრე გაგზავნილ წერილებსა და დოკუმენტებს». მელიქ **აბოვის** მიერ სპარსელების ბანაკში შეგზავნილი ჯაშუში ამოიცნეს. მან, თავის გადარჩენის მიზნით, განაცხადა, რომ ბატონიშვილ **ალექსანდრესთან** მოსალაპარაკებლად იყო გამოგზავნილი. ალექსანდრე კეთილგანწყობილად შეხვდა, დაასაჩუქრა და თან **აბოვთან** და **თამაზ ორბელიანთან** გაატანა შაჰის ფირმანები, ასევე წერილები თავის ოჯახთან. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ეს ჯაშუში ბამბაკში შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს, დოკუმენტები ჩამოართვეს და წარადგინეს, როგორც აბოვის ღალატის დამადასტურებელი ნივთმტკიცებულება. კოვალენსკის მიერ შეგროვებული ცნობებიდან გაირკვა, რომ «სპარსეთის მხედრობაში თითქმის 12000 ადამიანი იყო, მაგრამ ყველა შეიარაღებული არ იყო, ზოგს მხოლოდ ხელკეტები ჰქონდა». მეორე დღეს (14 აგვისტოს) **კოვალენსკის** ავიწყდება, როგორი უაზრო არეულ-დარეულობა გამოიწვია თავისი მხდალი და უსაფუძვლო ცნობებით და **კნორინგს** აცნობებს, «რომ სპარსეთის სარდალმა **სულეიმან** ხანმა, როგორც კი მიიღო შეტყობინება, რომ კოვალენსკის განკარგულებით თავდაცვისთვის ზომებს ღებულობენ, თავრიზში დაბრუნება გადაწყვიტა».

იმ დროს, როცა **კოვალენსკი** მთებში დაბანაკებული ბატალიონის გადმოყვანას ითხოვდა, **ლაზარევი** 4 აგვისტოს **კნორინგისადმი** გაგზავნილ წერილში სპარსეთის ჯარზე წერდა: «ამ არამზადების არ გვეშინია, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, ხელები გვეღლება მათთან ბრძოლაში. ქართველების იმედი არ გვაქვს, ხოლო სომხები, რომლებზეც ზოგიერთი დიდ იმედს ამყარებს,

ჩემთვის საკმაოდ საეჭვონი არიან». შემდეგ ლაზარევი აცნობებს, რომ თავდაცვაზე პასუხს ბატონიშვილი **იოანე** და კოვალენსკი აგებენ, მაგრამ წარმატებას ვერ ხედავს, აღწერს დაშვებულ შეცდომებს და ასკვნის, რომ მხოლოდ ქალაქის დასაცავად სრულიად საკმარისი იქნება ეგერების ერთი პოლკი, ხოლო, თუ ლეკების წინააღმდეგ მოუწევთ ბრძოლა, კიდევ ერთი ბატალიონი დასჭირდებათ. მაგრამ, რამდენადაც კოვალენსკის შუამდგომლობა, ჯარის მაშველი რაზმებით გაძლიერების თაობაზე, უკვე დაკმაყოფილებული იყო, ჩვენი ჯარის შემადგენლობა გაიზარდა 1800 წლის 23 სექტემბერს გენერალ-მაიორ **გულიაკოვის** მეთაურობით თბილისში შემოსული დეტაშემენტით (რაზმით — *რედ.*). აგზავნიდა რა ამ დეტაშემენტს, **კნორინგი** მეფე **გიორგის** წერდა, რომ: «მხოლოდ ამ რაზმის გამოგზავნა» მეფის ყველა მტერს, უფრო მითქმა-მოთქმით, ვიდრე საქმით, საქართველოზე თავდასხმას გადააფიქრებინებს.

იმის მიზეზს, თუ რატომ იცვლებოდა სამხედრო დახმარების თაობაზე ასე ხშირად კოვალენსკის შეხედულებები, **ლაზარევი კნორინგს** 4 აგვისტოს მიწერილ წერილში უხსნის: «როგორც გავიგე, მინისტრმა თქვენ მოგახსენათ, რომ კიდევ ერთი პოლკი საკმარისი იქნება, მაგრამ სწორედ ესაა საქმის არსი: მას არ უნდა, რომ თქვენ ჩამობრძანდეთ; ძალიან არ უნდა. მე კი, პირიქით, მსურს რომ ჩამობრძანდეთ». სავარაუდოდ, ეს განმარტება ყველაზე მეტად მისაღებია. კოვალენსკის მოღვაწეობა წყვდიადით იყო მოცული: საქართველოს რეალური მდგომარეობის მიუკერძოებელი აღწერა კოვალენსკის, მისი ნათესავებისა და მასთან დაახლოვებული პირების განუკითხაობას, ინტრიგებსა და ქვეყნის სისტემატურ ექსპლოტაციას ბოლოს მოუღებდა.

1801 წლის 12 მარტს **ლაზარევი** წერს **კნორინგს**: «აქ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად მოიპაროს და ყოველივე ჩემგან მალულად კეთდება. ამის თაობაზე ბატონიშვილს მოვახსენე, მაგრამ ის უარზე დგას. საჭიროა, სასწრაფოდ ჩვენი წესები შემოვიღოთ; მეშინია, ამის გარეშე ხალხი გაგვინაწყენდება». ლაზარევს არ სურდა ხალხის განაწყენება. მისთვის ადგილზე ვითარების

გარკვევა და უმაღლესი ხელისუფლების კონტროლი ერთადერთი საშუალება იყო თავი დაეხსნა კოვალენსკის, რომელიც სამეფო ოჯახის წევრების მხარდაჭერით სარგებლობდა, გაუთავებელი დასმენისა და ცილისწამებისგან.

ლაზარევი კეთილსინდისიერად და გამჭრიახი გონებით ეკიდებოდა საქართველოში არსებულ მდგომარეობას, მის პოლიტიკურ რეალობას, ასევე უყურებდა კოვალენსკისა და ბატონიშვილების ინტრიგებს. მას ტრაბახი არ ახასიათებდა, თავისი დამსახურების წარმოჩენის სურვილი არ ჰქონდა, არც სხვისით უსარგებლია. ყველაფერს, რასაც წერდა და აკეთებდა ლაზარევი, უბრალოდ ერთადერთი მიზეზი ჰქონდა – სამსახურებრივი მოვალეობა. სხვაგვარად არ შეეძლო, რადგან ხელმწიფის სამსახურში იყო და მისი წყალობით სარგებლობდა. საჭირო იყო დედოფალ **დარეჯანის** თბილისში დატოვება? – მან ყველა ღონე იხმარა, რომ მისი გაქცევა არ დაეშვა; საჭირო იყო **ომარ ხანის**, რომელიც ლეკებთან ერთად მხარს უჭერდა ბატონიშვილ **ალექსანდრეს** შემოჭრას საქართველოში, მოგერიება? – გაემგზავრა და მოიგერია. ჯარს სრულიად მშვიდად უხელმძღვანელა და პატაკშიც არაფერი უთქვამს მდინარე იორთან გამართულ ბრძოლაში საკუთარ დამსახურებაზე, უბრალოდ ფაქტები აღწერა, შეაქო გამორჩეული მებრძოლები და თავს უფლება მისცა, უწყინრად ეხუმრა:

გენერალ-მაიორმა **გულიაკოვმა** ცეცხლითა და ხიშტებით გაათავისუფლა რა მთელი მიდამო მდინარე იორამდე, ბოლოს და ბოლოს, მიუახლოვდა მოწინააღმდეგის მიერ შევიწროებულ ქართულ ქვეით ჯარს, რომელიც, უმეტესწილად, იარაღის ნაცვლად, ჯოხებით იყო «შეიარაღებული» და ქვემეხის ერთი გასროლით «ამ უდანაშაულო ქვეითებისთვის შური იძია».

გარდაიცვალა **გიორგი XII**. სამეფო კარის ყველა წევრი რუსეთის, უფრო სწორად, საქართველოს სიმშვიდის წინააღმდეგ, ინტრიგების ხლართვას იწყებს. **ლაზარევი**, მიუხედავად **კოვალენსკის** მცდელობისა, ააცდინოს ის სწორ გზას, დაუპირისპიროს ხელმძღვანელობასა და სამეფო ოჯახს, არც ერთს არ მფარველობს, არც ერთს უპირატესობას არ ანიჭებს, არც ერთში და-

საყრდენს არ ეძებს, არამედ ინტრიგების ლაბირინთებში საოცარი გამჭრიახობით არჩეული გზით დადის. ამის დასაბუთებას მოვიძიებთ, თუ სააშკარაოზე გამოვიტანთ დედოფალ **მარიამის კნორინგისადმი** გაგზავნილ დაბეზღებას, რომ თავადი **გარსევან ჭავჭავაძე** და მისი მეუღლე ლაზარევთან მეგობრობენ, და **კოვალენსკის** პატაკებს **კნორინგისადმი**, რომლებშიც ეს უკანასკნელი **გარსევან ჭავჭავაძის**, იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი და საღად მოაზროვნე ქართველის, ქმედებების აღწერისთვის მუქ ფერებს არ იშურებს და რომელსაც კოვალენსკი განსაკუთრებულად სდევნიდა და ბოლოს დააპატიმრა კიდეც.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ კოვალენსკი, რომელსაც ლაზარევი მისი შავბნელი საქმეების შესრულებაში ხელს უშლიდა, გამუდმებით მის დაქვემდებარებას ცდილობდა. ჯარი აიკვიატა, ჩიოდა, რომ მას, სამოქალაქო ჩინოვნიკს, სამხედრო პატივს არ მიაგებდნენ და ყველა ხერხს მიმართავდა, რომ ლაზარევი არ ჩასწვდომოდა საქართველოს რეალურ მდგომარეობას; ლაზარევის აგენტებსაც კი იჭერდა და, შეძლებისდაგვარად, ყველა ინფორმაციას უმალავდა. **სოკოლოვი** საიდუმლო წერილში ასე ახასიათებს სამოქალაქო და სამხედრო მმართველების ურთიერთობებს: «მართვის ასეთი სახე სხვა არაფერია, თუ არა, ნიშნის მოგება და შურისძიების გრძნობის დაკმაყოფილება, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს».

გენერალი **ლაზარევი** ნამდვილი სამხედრო იყო: პატაკებში, რომლებსაც კნორინგს უგზავნიდა, თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს ყველაზე თავმდაბალი, მოკრძალებული ფორმით აწვდის; ყველაზე რთულ საკითხებზე ნებართვას თხოულობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეშინია ან გაუბედავია, არამედ იმიტომ, რომ ამას სამხედრო წესდება მოითხოვს. მაგალითად, როდესაც სპარსელების თავდასხმას ელოდებოდნენ, მან კნორინგს განუცხადა, რომ «მისი ნებართვის გარეშე ნაბიჯსაც კი არ გადადგამს», თუმცა იქვე დასძინა: «აქ, და საერთოდ ყველგან, დავიცვა სახელი და დიდება ძლევამოსილი რუსული იარაღისა, ჩემი მუდმივი ვალი და მსახურების უმაღლესი დანიშნულებაა».

სწორედ თავისი საქმისადმი ამ გულმოდგინე დამოკიდებულე-

ბამ დაღუპა **ლაზარევი**. თავადმა **ციციანოვმა** მას ხელმწიფის ბრძანება გადასცა: დააპატიმროს დედოფალი **მარიამი** და ოჯახთან ერთად მოზდოკამდე გააცილოს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალი ლაზარევი «ზედმიწევნით ასრულებდა მასზე დაკისრებულ უზენაეს ნებას და დედოფალ მარიამს, წოდებისა და სქესის გათვალისწინებით, გადაჭარბებული შეწყნარებით ეპყრობოდა, ის მოულოდნელი ქალური მძვინვარებისა და შურისძიების მსხვერპლი გახდა». როდესაც ლაზარევმა დედოფალს აუწყა, რომ გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო, დედოფალმა მარიამმა «დაფარა რა თავისი მძვინვარება, თანხმობა განაცხადა და ხელით ანიშნა, თითქოს გამომშვიდობება სურდა. როდესაც ლაზარევი მიუახლოვდა, ფარულად ამოაძრო ხანჯალი და იმდენად მძიმედ დაჭრა, რომ ეს ღირსეული გენერალი რამდენიმე წუთის შემდეგ ადგილზე, თავისი ოფიცრების თვალწინ გარდაიცვალა».

«ამ ბარბაროსული საქციელით გამოწვეული შიშისა და სირცხვილის გრძნობა ჯერ კიდევ არ განელებულა ქალაქში (თბილისში), – აცნობებს 27 აპრილს თავადი ციციანოვი, – რადგან ხალხი ფიქრობს, რომ დამნაშავეზე განრისხებული ხელმწიფე, აზიური წეს-ჩვეულებების მსგავსად, ქალაქის დასჯას უბრძანებს». 22 აპრილს გენერალი **ლაზარევი** «წესდების შესაბამისი პატივით» დაკრძალეს. თავადი **ციციანოვი** «პირადად გახდა მოწმე, ღირსეული გენერლის გარდაცვალებით გამოწვეული ქართველი ხალხის გულწრფელი მწუხარებისა, რომელმაც სახალხო სიყვარული და ნდობა დაიმსახურა».

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, პირველი ორი მაღალი რანგის რუსი მოხელის სამსახური მათი მოღვაწეობის შესაბამისად დასრულდა: ერთი, თავისი მოვალეობის პატიოსნად შესრულების დროს დაიღუპა და წესდების შესაბამისი პატივით დაკრძალეს; მეორე კი, სხვადასხვა ბოროტმოქმედებებისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მართლმსაჯულებას გადასცეს, მან კი თავი აარიდა სასჯელს. სიკეთე დაფასდა, მაგრამ ბიწიერებაც დაიგმო. რუსეთმა **ლაზარევის** გარდაცვალებით დაკარგა პატიოსანი და ღირსეული მსახური, **კოვალენსკის** გაძევებით კი, მისი

ზიანისმომტანი საქმიანობა არ შეჩერებულა: მის მიერ თავმოყრილი თანამზრახველთა ხროვა ადმინისტრაციაში დარჩა და კოვალენსკის მიერ საქართველოში დათესილი ბოროტების აღმოფხვრაში პატიოსან ადამიანებს ხელს უშლიდა.

თუ გავაანალიზებთ კოვალენსკისა და ლაზარევის საქმიანობას, ვერ ვნახავთ ვერც პროექტებს, ვერც რაიმე ღონისძიებებს, რომლებიც მიუთითებდნენ რუსეთის დამპყრობლურ გეგმებზე, კერძოდ, ამიერკავკასიის დაპყრობის ხელშეწყობის სურვილზე. საქართველოში სიმშვიდისა და უსაფრთხოების დასაცავად გამოგზავნილი გენერალი **ლაზარევი** ამ ამოცანას კეთილსინდისიერად ასრულებს, მაგრამ უმძიმს, ტვირთად აწევს და «მტრული სამსახურიდან» დათხოვნას ითხოვს. **კოვალენსკი** გონებრივ შესაძლებლობებსა და მინიჭებულ ძალაუფლებას პირადი მიზნების, საკუთარი თავმოყვარეობისა და ანგარების დასაკმაყოფილებლად იყენებს. მან თავისი წვრილმანი ინტრიგებითა და გამომძალველობით რუსეთის მმართველობისადმი არაკეთილმოსურნედ განაწყო ქართველი ხალხი; თანამდებობა რომ შეენარჩუნებინა, თავადაც იძლეოდა ქრთამს. ის ცნობილი **გასტინგსი** და **კლეივი** არ იყო, რომლებიც, ინდოეთის «ოსტ-ინდური კომპანიისთვის» დამორჩილების მიზნით, სისტემატურად ძარცვავდნენ ქვეყანას: ის უბრალოდ ნებისმიერი რუსული გუბერნიის სამაზრო პოლიციის უფროსი იყო, რომელიც მოსახლეობას ავიწროებს, ვიდრე ის მოთმინებას არ დაკარგავს და გუბერნატორთან არ უჩივლებს.

კოვალენსკისა და ლაზარევის მიერ შედგენილ დოკუმენტებში არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია, არავითარი ორაზროვანი მოსაზრება კავკასიის მიღმა რუსული გავლენის გაფართოვების თაობაზე. რასაც ისინი აკეთებდნენ, აკეთებდნენ მხოლოდ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე — სხვაგვარად მოქცევა რომ არ შეეძლოთ. სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა გადასახლება, გარე მტრების მოგერიება, შიდა მღელვარების ჩაქრობა — ყოველივე ეს რომელიმე პოლიტიკური გეგმის ნაწილი არ იყო და კეთდებოდა იმიტომ, რომ სხვაგვარად საქართველოში სიმშვიდისა და უსაფრთხოების მიღწევა შეუძლებელი იყო. ამასთან, წინააღ-

მდეგ შემთხვევაში, საქართველოში გაგზავნილი ჩვენი ჯარები კავკასიის მთებიდან სახელგატეხილი უნდა დაბრუნებულიყვნენ.

იმპერატორმა **პავლე I**-მა, უარყო რა **ეკატერინე II**-ის გეგმები, 1799 წლის 18 აპრილს გამოსცა მტკიცებითი სიგელი, რომლის თანახმად, 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე, **გიორგი XII**, როგორც **ერეკლე II**-ის მემკვიდრე, საქართველოს მეფედ, ხოლო **გიორგი** მეფის შვილი, ბატონიშვილი **დავითი** — საქართველოს ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. მაშასადამე, **პავლე I** საქართველოს შეერთებაზე საერთოდ არ ფიქრობდა.

მაგრამ **გიორგი XII**-ის გარდაცვალების შემდეგ (1800 წლის 28 დეკემბერი) მდგომარეობა შეიცვალა. **პავლე I**-მა 1801 წლის 18 იანვარს კნორინგს გაუგზავნა უმაღლესი რესკრიპტი მანიფესტის გამოცხადების შესახებ, რომელიც გენერალმა **ლაზარევმა** 1801 წლის 16 თებერვალს სიონის საკათედრო ტაძატში წაუკითხა საზოგადოებას. 1801 წლის 23 იანვრის დამატებით რესკრიპტში **პავლე I** ბრძანებს: «მხოლოდ საქართველოს შეერთება», სხვებზე არ იფიქროთ, ხოლო 19 თებერვალს ყველა ქვეყნისთვის წარსადგენად მოითხოვა «დასაბუთება იმისა, რომ თავად ქართლის სამეფომ ითხოვა მისი ქვეშევრდომობა და რუსეთთან შეერთება არ არის თითო-ოროლა პირის სურვილი». იმპერატორი **პავლე** გარდაიცვალა. როგორც **ლაზარევი** აღნიშნავს, ამ ცნობამ «ხალხი და დიდებულთა დიდი ნაწილი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მათ ეშინიათ, რომ რუსეთის ქვეშევრდომობას ვეღარ მიიღებენ და ჩვენ ჯარს საქართველოდან გაიყვანენ». მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ბევრი მათგანი, «ახალი იმპერატორისადმი ჯარის მიერ ფიცის დადების დროს, ითხოვდა მათთვისაც მიეცათ უფლება ერთგულების ფიცი დაედოთ ალექსანდრე I-სთვის», მაგრამ ლაზარევს, ბრძანების გარეშე, ნებართვის მიცემის უფლება არ ჰქონდა.

1801 წლის 19 აპრილს **კნორინგისადმი** გაგზავნილ რესკრიპტში, **ალექსანდრე I** აღნიშნავს, რომ იმპერიის ღირსება, ჩვენი საზღვრების უსაფრთხოება, ოტომანთა პორტას[2] ხედების ცქერა,

[2] ოსმალეთის (ოტომანთა იმპერიის) მთავრობისა და ზოგჯერ თვით იმპერიის სახელწოდება (რედ.).

მთიელი ხალხის თავდასხმების მოგერიება, გვაიძულებს ვიფიქროთ საქართველოს შეერთებაზე. მაგრამ იმპერატორს არ სურს მხოლოდ რუსეთის ინტერესების დასაცავად იმოქმედოს, რამეთუ ამქვეყნიური სამეფოებისთვის სიკეთის მოტანა მარადიული წესებით სხვა, ერთიანი, ჭეშმარიტი და უცილობელი საზომით — საერთაშორისო სამართლისადმი სამართლიანობისა და ხელშეუხებლობის პრინციპის გამოყენებით იზომება.

სწორედ ამიტომ დაავალეს კნორინგს, თავად გაარკვიოს და დარწმუნდეს, გულწრფელად სჯერათ თუ არა ქართველებს, რომ რუსეთთან შეერთება მათი გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. თუ კნორინგი დარწმუნდებოდა, რომ ქართველებს ნებყოფლობით სურთ რუსეთთან შეერთება, მაშინ მან უნდა ჩამოაყალიბოს საქართველოს მართვის დებულებები და პრინციპები; გაითვალისწინოს, რომ ეს ხალხი რუსეთის ინტერესებისთვის კი არ უერთდება იმპერიას, არამედ გარეშე მტრების თავდასხმებისგან დასაცავად; ჩვენდა სასიკეთოდ კი არა, არამედ მხოლოდ საკუთარი სიმშვიდისა და უსაფრთხოებისთვის.

გენერალი **კნორინგი**, ხელმწიფის ნების შესასრულებლად, თავად წავიდა თბილისში, რათა ადგილზე ვითარებასა და ქართველი ხალხის განწყობაში გარკვეულიყო. 1801 წლის 28 ივნისის ყოვლად უქვეშევრდომილეს პატაკში კნორინგი დაწვრილებით აღწერს საქართველოში შექმნილ სავალალო მდგომარეობას, სადაც 1783 წელს აღრიცხული 61000 კომლიდან 1801 წლისთვის დარჩა მხოლოდ 35000 კომლი;[3] სადაც სამეფო საგვარეულოს გაზრდილი მოთხოვნილებების გამო (სამეფო დინასტია 73 წევრისგან შედგებოდა) ყველა პროდუქტზე და რეწვაზე ბეგარა იზრდებოდა, მუშახელის რაოდენობა კი მცირდებოდა; სადაც გარეშე მტრები მრავლდებოდნენ და ძლიერდებოდნენ, ხოლო სამეფო ოჯახის წევრთა ქიშპობა შიდა ომების საფრთხეს ქმნიდა.

გენერალი **კნორინგის** აზრით, როდესაც **გიორგი** მეფემ რუსეთის ქვეშევრდომობის გადაწყვეტილება მიიღო და პეტერბურგში ელჩობა გააგზავნა, «კარგად იცოდა, რა იქნებოდა ქართველი

[3] Sic! (რედ.).

ხალხისთვის სიკეთის მომტანი; იმასაც ითვალისწინებდა, რომ ქვეყანა შიდა ომებისგან აოხრდებოდა და განსაჯა, რომ არ შეიძლება ქვეყნის კეთილდღეობა მისი ძმების ბატონობისმოყვარულობას შეეწიროს, რომლებმაც ბევრი უბედურება მოუტანეს სამშობლოს». ხალხი გენერალ კნორინგს საქართველოს საზღვრებიდან თბილისამდე აცილებდა და, დაჩაგრული ქართველი ერის გადარჩენის იმედით, ერთსულოვნად გამოხატავდა რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილს. ამიტომ აკეთებს გენერალი კნორინგი ასეთ დასკვნას: «თუ არაკეთილმოსურნეთა გარკვეულ ნაწილს, მხედველობაში გვყავს ზოგიერთი ბატონიშვილი და დიდებული, დავუპირისპირებთ სხვებს, ვინც პირადი სიკეთისა და საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ზრუნავს, ასევე ხალხს, რომელსაც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა სურს, მაშინ, ხელმწიფე იმპერატორის იმედად მყოფი, ამ ბედკრული ხალხის გულწრფელი სურვილი პატივისცემას იმსახურებს».

გენერალ **კნორინგის** ამ მოხსენების შედეგი იყო 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ: «არც გასაძლიერებლად, არც სარგებლისთვის, არც ქვეყანაზე ისედაც ყველაზე დიდი იმპერიის საზღვრების გაფართოებისთვის ავიღეთ ჩვენს თავზე ქართული სამეფოს მმართველობის ტვირთი; მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებს ჩვენ წმიდათაწმიდა მოვალეობას, შევისმინოთ შეჭირვებულთა ვედრება და მათი მწუხარების გასაქარვებლად დავაწესოთ საქართველოში მმართველობა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში დაამკვიდროს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება და თითოეული ადამიანისთვის უზრუნველყოს კანონის დაცვა».

ეს ჰუმანური სიტყვები დიპლომატიური მიდგომა არ იყო. ეს იყო რეალური ფაქტი, რომელიც რუსეთს ძვირად დაუჯდა. რუსეთს საქართველოს შეერთება, თავისი მიუვალი, ველური ყაჩაღური ტომებით დასახლებული კავკასიის მთებით და რომელთა დამორჩილება მას ზღვა სისხლი და დიდი ფული დაუჯდა, საერთოდ არ სჭირდებოდა. რუსეთი იმ დროს მოსახლეობისა და დამუშავებული

ნაყოფიერი მიწების ნაკლებობას განიცდიდა. რუსეთისთვის ახალი მიწების შემოერთება, რომლებზეც, ელოდნენ რა ქართლის სამეფოს საბოლოო დაკნინებას, პრეტენზიას თურქები, სპარსელები და მეზობელი მცირერიცხოვანი ტომები აცხადებდნენ, დიდი და უაღრესად ზიანის მომტანი შეცდომა იყო, რადგან პერსპექტივაში განუწყვეტელი ომების საფრთხეს ქმნიდა. ეს კოლოსალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, სარგებელი კი არ ექნებოდა, რადგან იმ პერიოდში საქართველოს სამეფო ოჯახისა და მთავრობის შესანახი თანხაც კი არ ჰქონდა, მით უმეტეს, რუსის ჯარის შენახვასა და ქვეყნის მოწყობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ყველა ხარჯი რუსეთის ბიუჯეტიდან უნდა გაცემულიყო და, რა თქმა უნდა, რეალური მოგება არ მოჰქონდა. საზღვრების დაცვა, რაზეც 1801 წლის 19 აპრილს კნორინგისადმი გაგზავნილ რესკრიპტშია საუბარი, სინამდვილეში ფიქციაა: საქართველოს შეერთებით, რომელიც გაუვალი მთებითა და მტრულად განწყობილი ხალხებით იყო გარშემორტყმული, ჩვენ კი არ ვამცირებდით, არამედ სიგრძეში საგრძნობლად ვზრდიდით იმ სასაზღვრო ხაზს, საიდანაც ყველაზე ხშირად თავს ესხმოდნენ საქართველოს. მაშასადამე, ჩვენ მდგომარეობას შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ანუ კავკასიის ხაზზე, კი არ ვამარტივებდით, არამედ ვართულებდით.

მეორე მოტივი – 19 აპრილის რესკრიპტში ნახსენები ოსმალეთის პორტას ხედებიც უბრალო დიპლომატიური ფრაზაა: კავკასიის მიღმა პორტას ხელისუფლების გავლენა, თუნდაც ნახევრად დამოუკიდებელი ყარსისა და ახალციხის საფაშოებზე, თითქმის ისეთივეა, როგორც თურქეთისა ფენცანსა[4] და ტუნისზე. მოგვიანებით, როცა რუსეთმა სამეგრელო შემოიერთა და ფოთში შესვლის საკითხი დადგა, აღმოჩნდა, რომ პორტამ თავად არ იცოდა, ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელი ქვეყნები სცნო დამოუკიდებლად და ამიტომ, თურქეთის სამფლობელოს რეალურ საზღვრებში გასარკვევად, განსაკუთრებული აგენტი, **სეიდ ახმედ ერიბ-ეფენდი** და რუსი აგენტი, სახელმწიფო

[4] ეს ფენცანი (Фенцан) უნდა იყოს ახლანდელი ლიბიის პროვინცია „ფეცანი“, რომელიც მდებარეობს ტრიპოლის ოლქში და ადრე თურქეთს ეკუთვნოდა (რედ.).

მრჩეველი **ლიტვინოვი** გააგზავნა.

რა თქმა უნდა, საზღვრები უნდა დადგენილიყო, მით უმეტეს, რომ ამიერკავკასია ყოველთვის თურქეთსა და სპარსეთს შორის შეტაკებების საბაბს წარმოადგენდა. პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა ამ შემთხვევაშიც ავალდებულებდა რუსეთს, ეზრუნა კავკასიის მიღმა მდებარე ქრისტიანული სახელმწიფოების შენარჩუნებაზე. ამიტომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, სრულიად გასაგებია საქართველოს უსაფრთხოების დასაცავად მეფე გიორგისთვის მაშველი ჯარების გაგზავნა. მაგრამ გაჩანაგებული საქართველოს დაუფლება, განსაკუთრებით რუსეთის თვითმპყრობელობის რევოლუციურ საფრანგეთთან ბრძოლის პერიოდში, ნამდვილად არ იყო აუცილებელობით განპირობებული.

რესკრიპტში აღნიშნულ მოსაზრებას, თითქოს საქართველოს შეეძლო ჩვენს მფლობელობაში არსებული მიწების მთიელების თავდასხმებისგან დაცვა, ვერ გავიზიარებთ. მთიელები არასდროს შემოჭრილან ამიერკავკასიიდან. ჩვენ გვეომებოდნენ მხოლოდ ის მთიელები, რომლებიც კავკასიის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე ცხოვრობდნენ. შესაბამისად, საქართველო ჩვენს საზღვრებს არ იცავდა, პირიქით, თავად ექმნებოდა მუსლიმი ტომებისგან თავდასხმის საფრთხე, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზიდან არასოდეს შემოჭრილან და რომლებთანაც, საქართველოს დაკავების შემდეგ, ჩვენ მოგვიწია საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების წარმოება. ამიტომ, 19 აპრილის რესკრიპტში საქართველოს შეერთების განმაპირობებლად მოყვანილი ყველა მოტივიდან, მხოლოდ ერთი შეგვიძლია მივიჩნიოთ სწორად, კერძოდ: აიღო რა თავის თავზე საქართველოს უსაფრთხოების დაცვა, რუსეთის პატივი და ღირსება მოითხოვდა თავის თავზე აღებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას.

კოვალენსკისა და **ლაზარევის** გზავნილებში აღნიშნული ყველა განკარგულება და ახსნა-განმარტება მოწმობს, რომ საქართველოს დაპყრობაზე საუბარიც კი არ არის, მხედველობაში მხოლოდ მისი მხარდაჭერა აქვთ. შეუძლებელი იყო ქართლის სამეფოსთვის მხარი არ დაეჭირათ: სახელმწიფოს ყველა მატერიალური რესურსი

და ადგილობრივი საწარმოო ძალები, ქვეყანაში არსებული ანარქიისა და გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმებისგან დასუსტებული იყო. რუსული ჯარის ჩამოსვლამ საქართველოს მიმართ სპარსეთის პრეტენზიები განაახლა: ბატონიშვილი **ალექსანდრეს** გაქცევამ, რომელიც შაჰისა და ზოგიერთი მეზობელი ხანის დახმარებით, რუსების გაყრასა და საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებაზე ოცნებობდა, ყველა გარე მოსალოდნელი საშიშროება და ქვეყნის შიგნით არსებული მღელვარება გაამძაფრა.

გიორგი XII-ს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, მან რუსეთს, 6000 ჯარისკაცის ოდენობით, მაშველი ჯარის გამოგზავნა სთხოვა. რუსეთს სპარსეთის შაჰის მუქარის გათვალისწინება და თავისი ჯარის საქართველოდან გაყვანა არ შეეძლო. ამიტომ იძულებული გახდა გენერალ-მაიორ **გულიაკოვის** მეთაურობით ახალი დეტაშემენტი გამოეგზავნა. გენერალი **ლაზარევი** მოხსენებაში აღნიშნავს: «თუკი მტერი შეეცდებოდა შემოჭრას, იმ დროს საქართველოში განლაგებული ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად ყველგან და ყოველთვის მზად იყო და ამიტომ გარეშე მტრების თავდასხმის საშიშროება არ არსებობდა. ერთადერთი რაც საჭიროა, რომ გაკეთდეს — უნდა შევაჩეროთ და არ დავუშვათ აქაურების მათთან გაერთიანება». მაგრამ, ამ შიდა მტრის, რომლის ქაოსითა და ანარქიით განპირობებული საერთო ინტერესები და ურთიერთობები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, დაძლევა მხოლოდ მმართველობისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის შეცვლით იყო შესაძლებელი. იმის იმედი, რომ ქართლის მეფე, რუსულ ჯარზე დაყრდნობით, თავის ხელისუფლებას გააძლიერებდა და არსებული უკანონობის ნაცვლად, გარკვეულ კანონიერ წესრიგს დაამყარებდა, ფუჭი აღმოჩნდა.

გიორგი მეფეს, თავისი სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობის გასაუმჯობესებლად ძალა არ შესწევდა. ის დაეყრდნო **კოვალენსკის** რჩევებს: პროვიანტის შეგროვება და მიწოდება, თავისი ხალხის შევიწროვების ხარჯზე დაავალა სწორედ იმათ, ვისაც მისი თავიდან მოშორება სურდა. ბატონიშვილთა მრავალრიცხოვან ოჯახებსა და მათ სანათესაოში არ მოიძებნა არც ერთი ადამიანი, ვინც

ხალხის ინტერესებს დაიცავდა; არც ერთი, რომელიც საკუთარი ანგარებისა და ხალხის უბედურებისადმი სრული გულგრილობის გარდა, რაღაც დადებით დამოკიდებულებას გამოამჟღავნებდა.

სარგებლობდნენ რა ხალხის დაუფიქრებლობითა და უცოდინრობით, თითოეული მათგანი, გაუბედურებული ქართველი გლეხის გასაძარცვად, თავის შემწეებისა და თაყვანისმცემლებისგან ბრბოს აგროვებდა. რუსულ ჯარს ასეთი საშინელი განუკითხაობისა და უკანონობის სანქციონირების უფლება არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარეშე, მტრის დამარცხებით მიღწეული წარმატებები უშედეგო იქნებოდა სიმშვიდისა და კანონიერების დასამკვიდრებლად. ამ ვითარებამ განაპირობა რუსი ხელმძღვანელობის ქვეყნის შიდა უწესრიგობებში ჩარევის აუცილებლობა, თუმცა, თბილისში გამოგზავნის დროს, ეგერების მე-17 პოლკისთვის ასეთი დავალება არ მიუციათ.

ყველასთვის ცნობილია **ალექსანდრე I**-ის ლიბერალური შეხედულებები, განსაკუთრებით მისი მეფობის პირველ წლებში, როდესაც ადმინისტრაციული სისტემის გაუმჯობესებისთვის ჰუმანურ საწყისებზე დაფუძნებული სხვადასხვა გეგმის შემუშავება დაიწყო. ასევე ცნობილია იმპერატორის ნებისმიერი ძალადობისადმი ზიზღი და შეუწყნარებლობა. ამიტომ, **ალექსანდრე I**-ის გენერალ **კნორინგისადმი** გაგზავნილი კრიპტი საქართველოს დაპყრობის მიუღებლობის შესახებ, არ შეიძლება არაგულწრფელად მივიჩნიოთ. ჰუმანისტებს შეუძლიათ მარად აქონ და ადიდონ რესკრიპტში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს-და რუსეთის ინტერესები საერთაშორისო სამართლის სამართლიანობასა და ხელშეუხებლობას მსხვერპლად უნდა შეეწიროს; ხოლო მაკიაველისა და ბისმარკის სკოლის პოლიტიკოსებს კი შეუძლიათ მუდმივად შეეწინააღმდეგონ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად, მთავრობას საკუთარ ხალხზე ვალდებულებები უნდა ჰქონდეს აღებული.

მიუხედავად ამისა, 19 აპრილის რესკრიპტი და შემდგომ გენერალ **კნორინგის** კავკასიაში მოგზაურობა, ფაქტობრივად, ადასტურებენ იმპერატორ **ალექსანდრე I**-ის პოზიციას — მას არ სურ-

და საქართველოს რუსეთთან შეერთება. მაგრამ საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა, რომლებმაც ქვეყანა სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა და რომელთა გამოც მისი დამოუკიდებლად არსებობა შეუძლებელი გახდა, ეს პოზიცია შეცვალა. ხელმწიფის პიროვნულმა ჰუმანურმა პოზიციამ მხოლოდ რამდენიმე თვით (19 აპრილიდან 12 სექტემბრამდე) გადადო საქართველოს გაურკვეველი მდგომარეობა, მაგრამ მოვლენათა ისტორიულმა მსვლელობამ ყველაფერი შეცვალა: 12 სექტემბრის მანიფესტი გამოქვეყნდა და ქართლის სამეფომ არსებობა შეწყვიტა!

12 სექტემბრის მანიფესტის ანალიზის დროს, რომელმაც ქართველს ხალხს ყველა შესაძლო უფლება მიანიჭა და ერთი ვალდებულება დააკისრა — იყოს ბედნიერი, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ რომელიმე ლეგენდაში გადმოცემული, ღმრთისმოშიში მოხუცის მსგავსი თავგანწირვა, შეიძლება, ჭკუის სასწავლებელი იყოს, მაგრამ პოლიტიკურ ურთიერთობებში შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ისტორია არ ცდება და თუ შეცდომა დასაშვებად მიიჩნია, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მათ გარეშე შეუძლებელი იქნება აუცილებელი, მაგრამ თანამედროვეებისთვის გაუგებარი შედეგების მიღწევა, რომლებიც, სწორედ ამიტომ, ვიდრე აუცილებელი გარემოებები არ აიძულებდნენ, არასდროს ეცდებოდნენ მათ განხორციელებას.

მიუწვდომელი მთებით დაშორებული საქართველოს შემოერთებას რუსეთისთვის, მისი კეთილდღეობისთვის გაღებული რუსული სისხლისა და დახარჯული თანხის გარდა, არაფერი მოუტანია. გამუდმებულმა პრეტენზიებმა და საჩივრებმა – რომ დაპირებული კეთილდღეობა ისე სწრაფად არ ვითარდება და ყოფილი სამეფოს მოშლილი ორგანიზმის ყველა მიმართულებას ისე ფართოდ არ მოიცავს, როგორც ახალ ქვეშევრდომებს სურთ, – ბუნებრივია, აიძულა რუსი მოღვაწეები მოეძიათ სახსრები, რათა გაღებული მსხვერპლის შედეგები შეძლებისდაგვარად შეემსუბუქებინათ, რაც რუსეთმა 12 სექტემბრის მანიფესტის საფუძველზე იტვირთა.

პირველი და ყველაზე თვალშისაცემი ნაკლი, დანარჩენ რუსეთთან კავშირის არარსებობა იყო: ამას გრძნობდა და განიც-

დიდა ყველა, ვისაც ბედმა საქართველოში ყოფნა არგუნა და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მიმოსვლის გზებზე — საზღვაო მარშრუტების დადგენისა და კასპიისა და შავ ზღვებზე გასვლის აუცილებლობაზე უნდა ეზრუნათ. 1801 წლის 17 სექტემბრის რესკრიპტით იმპერატორმა **ალექსანდრე I**-მა იმერეთის მეფეს **სოლომონ II**-ს რუსეთის ქვეშევრდომობაზე უარი უთხრა და, შესაბამისად, რუსეთისთვის შავი ზღვისკენ გასასვლელი გზა გადაკეტა.

სხვათა შორის, 12 სექტემბრის რესკრიპტში გენერალ **კნორინგს** შემდგომი მოქმედებების თაობაზე დაწვრილებითი ინსტრუქცია გადაეცა. ამ რესკრიპტის მე-10 პუნქტში აღნიშნულია: ეცადეთ, განსაკუთრებით ბაქოს ხანის მეშვეობით, რომელიც მდინარე მტკვრის შესართავსა და კასპიის ზღვის საუკეთესო პორტს ფლობს, გამოძებნოთ საშუალება, ასტრახანიდან ზღვით და არა კავკასიის მთების რთული ბილიკებით, მიაწოდოთ ტვირთი საქართველოში განლაგებულ ჩვენ ჯარებს... ყურადღება მიაქციეთ კომუნიკაციებსაც, რომლებიც შესაძლებელია იმერეთს შავ ზღვასთან მდინარე რიონით აკავშირებდეს და, საერთოდ, ეცადეთ ფრთხილად გაიკითხოთ და დაწვრილებით გაიგოთ ყველაფერი ამ მხარესა და შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სხვა მხარეებზეც.

ცხადია, რაოდენ ფარულადაც არ უნდა წარემართათ გამოკვლევები, მათი მიზანი აშკარა და გასაგებია. ყველაფერი კეთდებოდა საქართველოში ჩვენი მდგომარეობის გასამყარებლად. ამისთვის კი, საჭირო იყო შავი და კასპიის ზღვებთან მდებარე ყველა ტერიტორიის დაპყრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირდაპირი მიმოსვლის გზებს ვერ გაკვალავდნენ. ეს ყველას კარგად ესმოდა და ამიტომ რუსეთთან შეერთების პროცესი ხელოვნურად იყო გამოწვეული, სინამდვილეში კი მოხდა დაპყრობა, შეგნებული შეტევა, როგორც დიპლომატიური, ასევე სამხედრო გზით.

12 სექტემბრის რესკრიპტის მე-11 პუნქტში მითითებულია: იმერეთის მეფესთან და ოდიშის მთავარ **დადიანთან** დაამყარეთ მეგობრული ურთიერთობა, თუმცა ოსმალეთის პორტას ჩინოვნიკებს, რომლებიც იქაურ ტერიტორიას აკონტროლე-

ბენ, ეჭვის საბაბი არ უნდა მისცეთ. საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე, **სოლომონ** მეფესა და მთავარ **დადიანზე** მეთვალყურეობას აწესებენ და რუსული ხელისუფლება მათ შიდა საქმეებში ჩარევას იწყებს. საბაბი კი საკმარისზე მეტი იყო.

ამ პერიოდში სამეგრელოს მთავარი შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმერეთის მეფემ **სოლომონ II**-მ მას თითქმის ყველა სამფლობელო წაართვა. მხოლოდ დადიანის ნათესავის, სოხუმის მთავრის **ნელეშ ბეის** მხარდაჭერა, აძლევდა მთავარს მეფე სოლომონისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას. იმ დროის სამეგრელოსა და იმერეთს აყვავებულ სამეფოებს ვერ ვუწოდებთ. «ქუთაისი, – წერს **ლიტვინოვი** თავად **ციციანოვს**, – დიდი სოფელია, სადაც მეფეს ამ ზაფხულამდე არასოდეს უცხოვრია. ის მუდმივად თავის სამფლობელოში მოგზაურობს. **დადიანს** კი სოფლების გარდა არაფერი აქვს: არის საქათმეები, რომლებიც მას და მისი სახლის აზნაურებს, აქაურ მთავარ მფლობელებს ეკუთვნით, მაგრამ ყველა მიუდგომელ მაღალმთიან ადგილებში ცხოვრობს.

დადიანი, წერს ლიტვინოვი თავის ჩანაწერებში იმერეთსა და სამეგრელოზე, თევზაობის დროს მდინარე რიონთან ცხოვრობს; ხოხბებზე, ირმებზე, გარეულ თხებსა და ტახებზე ნადირობის დროს კი ოდიშში, სადაც ფრინველები იზამთრებენ. ისინი იმდენად ღარიბად ცხოვრობენ, რომ დადიანი თავის დედოფალთან (ასე უწოდებენ მის მეუღლეს) ერთად არ თაკილობს ქოხში ცხოვრებას, რომელსაც არც ჭერი აქვს და არც იატაკი; თბება შუა ცეცხლთან და თვალებს იბოლავს; ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს, სანამ თავის «დარბაზებში» სიარულისას მუხლამდე ტალახში არ ამოისვრება».

ბუნებრივია, ასეთი სახლ-კარის პატრონისთვის ნამდვილად სჯობდა თავისი, როგორც მთავრის უფლებები ალექსანდრე ნეველის ორდენზე გაეცვალა, რომელიც მისთვის კნორინგს ჯერ კიდევ 1802 წლის 29 იანვარს გამოუგზავნეს. მაგრამ უცოდველმა **კნორინგმა** ამიერკავკასიის სრული არცოდნა გამოამჟღავნა და

ვიცე-კანცლერ **კურაკინს** წერილობით მიმართა, რომ თავადი **დადიანი** იმერეთის მეფის ხელყოფისთვის თავისი სამთავროდან გამოაძევეს, რომელიც თითქოსდა იმერეთის ძირძველი მხარეა და ამიტომ დადიანს ორდენი არ გაუგზავნა. დადიანი განაწყენდა და სოკოლოვს მისწერა, რომ, თუ არ სურდათ მისთვის რუსეთის ქვეშევრდომობის მიცემა, მაშინ ნება დაერთოთ, თავისი ოჯახობით ოსმალეთის პორტასთვის შეეფარებინა თავი.

თავადმა **ციციანოვმა**, გაითვალისწინა რა ფოთის ნავსადგური, საშენი და სახომალდე ხე-ტყის დიდი რაოდენობა, სანაოსნო მდინარე რიონი, განსაკუთრებით კი შავი ზღვიდან კავკასიის ზღვამდე დაგაჭიმული ტერიტორია, უმაღლესი ნებართვა ითხოვა, მფარველობის ქვეშ მიეღოთ ეს გაჩანაგებული, მაგრამ ნაყოფიერი მხარე; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დადიანი თურქეთის ქვეშევრდომობას მიიღებდა, ეს მხარე სამუდამოდ დაიკარგებოდა.

«არქეოგრაფიული კომისიის აქტებში» ინახება **დადიანის** თავად **ციციანოვისადმი** მიწერილი წერილები, რომლებშიც დადიანი თავის თავს თავად ციციანოვის ყურ-მოჭრილ მონად და შვილად აცხადებს. როგორც ეტყობა, დაუყოვნებელი დახმარების გარეშე დადიანი მთავრის სატატუსს სულ მალე დაკარგავდა. დადიანი «გულწრფელად, ყოველგვარი პირფერობის გარეშე, საკუთარი სურვილით, თავად და თავისი ადგილ-მამულით, უერთდებოდა რუსეთის მონარქის მფარველობის ქვეშ მყოფ საქართველოს». მაგრამ მიუხედავად ამისა, პორტას უკმაყოფილება რომ არ გამოეწვიათ, სამეგრელოს რუსეთთან შეერთების შესახებ აუცილებელად მათი აზრი უნდა სცოდნოდათ. კონსტანტინეპოლში მყოფ ჩვენს ელჩს დაევალა ამის თაობაზე განეცხადებინა პორტასთვის, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, სამეგრელოს სამთავრო მნიშვნელოვნად არ მიაჩნდა და ელჩის განცხადებას მშვიდად შეხვდა. ამის შემდეგ სამეგრელოს რუსეთთან შეერთების საკითხი გადაწყდა და ოდიშის გუბერნიაში გაიგზავნა პოლკოვნიკი **მაინოვი**.

1804 წლის 4 დეკემბერს **დადიანმა** რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი დადო, «სათხოვარ პუნქტებს» ხელი მოაწერა და პოლკოვნიკმა **მაინოვმა** მისთვის გამოგზავნილი ალექსანდრე

ნეველის ორდენი მას მკერდზე ჩამოჰკიდა, მის მეუღლეს კი (2 დეკემბერს) საჩუქრად სიასამურის ქურქი და 10 არშინი ალისფერი ხავერდი მიართვა. გაღებული წყალობისთვის მთავარი და მისი მეუღლე უფალს მადლობას სწირავდნენ და მფარველი მონარქის ბედნიერებასა და კეთილდღეობას შესთხოვდნენ. 1804 წლის 27 სექტემბერს ადმირალ **დე ტრავერსს** გაეგზავნა უმაღლესი რესკრიპტი და სამეგრელოს დასაკავებლად, შავი ზღვით, **ბელევსკის** ეგერების პოლკი და ნახევარი ასეული არტილერია გადმოიყვანეს.

იმერეთის მეფეს, მიუხედავად სიღარიბისა და სამეფოს დაშლისა, ჯარი მაინც ჰყავდა, გარკვეული ძალა და დამოუკიდებლობაც ჰქონდა, ხოლო თავისი კავშირებით საქართველოსთან და მეზობელ თურქ ფაშებთან, შეეძლო ამიერკავკასიაში მღელვარება და თურქეთთან გაუგებრობა გამოეწვია. ამიტომ იმერეთის შეერთება, განსხვავებით სამეგრელოს შეერთებისაგან, სიფრთხილესა და დიდ ძალისხმევას საჭიროებდა. საქართველოში განლაგებული რუსული რაზმის სისუსტე გაბედულად მოქმედების შესაძლებლობას არ იძლეოდა და იძულებული გახდნენ დიპლომატიურად ემოქმედათ.

ალექსანდრე I-მა იმერეთის შეერთებაზე უარი თქვა, მაგრამ **სოლომონ** მეფის ელჩი, თავადი **ლიონიძე**, მიუხედავად იმისა, რომ რუსი ხელისუფალნი თითქოს-და მხოლოდ სამეგრელოს შეერთების საკითხით იყვნენ დაკავებული, მოლაპარაკებებს მაინც განაგრძობდა. სოლომონ მეფე კარგად ერკვეოდა შექმნილ ვითარებაში, ისიც ესმოდა, რომ მეფის ტიტულის შესანარჩუნებლად, რომელიც იმერეთის დაპყრობის შედეგად დაკარგა, ქვეშევრდომობა ნებაყოფლობით უნდა მიეღო. მაგრამ, აზიური ხასიათისა და პოლიტიკიდან გამომდინარე, არ შეეძლო სამწუხარო აუცილებლობას უბრალოდ, შეწინააღმდეგების გარეშე, დამორჩილებოდა. სთხოვდა რა რუსეთის ხელმწიფეს ქვეშევრდომობას, ის, იმავდროულად, ახალციხის ფაშასთან, გაქცეულ ბატონიშვილ **ალექსანდრესთან** და მის ძმებთან ერთად, რუსეთისთვის საზიანო ინტრიგებს ხლართავდა, რითაც თავისი საბედისწერო ხვედრი გა-

ნაპირობა.

ჩვენი დიპლომატიური ჩარევა იმერეთის საქმეებში, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა ახალციხის ყოფილი ფაშის **საბიდ** ფაშას მფარველობაში. მაგრამ, ეს ნაბიჯი უშედეგო აღმოჩნდა. თავისი მოწინააღმდეგის, **შერიფ** ფაშას მიერ დამარცხებულმა საბიდ ფაშამ თავი იმერეთს შეაფარა. სურდა რა მეზობელ თურქულ პროვინციებში უწესრიგობების შენარჩუნება, რუსეთის მთავრობა **სოლომონ** მეფის მხრიდან საბიდ ფაშას მფარველობას ითხოვდა. ეს, რა თქმა უნდა, ბატონიშვილ **ალექსანდრეს** გეგმებში არ შედიოდა. მან სოლომონ მეფე საბიდ ფაშას მკვლელობაზე დაითანხმა, რისთვისაც შერიფ ფაშამ სოლომონ მეფეს 10, უფლისწულ ალექსანდრეს 5, თავადებს – წერეთელს, წულუკიძესა და ნიჟარაძეს ორ-ორი ქისა ოქრო მისცა. ამ მკვლელობისთვის შერიფ ფაშამ იმერეთის დედოფალს ძვირფასი ქვებით მოჭედილი ხატი აჩუქა. სოლომონ მეფემ კი **კნორინგს** აცნობა, რომ «მოხსენიებულმა საბიდ ფაშამ, მიუხედავად ჩვენი სურვილისა, გვეზრუნა მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო».

ბატონიშვილი **კონსტანტინეს**, იმერეთის მეფე **დავითის** შვილის, რომელსაც **სოლომონმა** ტახტი წაართვა, სამწუხარო ბედმა რუსეთის ხელისუფალთა ყურადღება მიიპყრო და მისი დედის, დედოფალ **ანას** შუამდგომლობის საფუძველზე, კონსტანტინე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ბატონიშვილების **იულონისა** და **ფარნავაზის** საქართველოდან გაქცევა, რა თქმა უნდა, იმერეთზე შეტევის დასაწყებად სერიოზულ საბაბს წარმოადგენდა, ხოლო დადიანთან ომმა, რომელსაც სოლომონმა ლეჩხუმი წაართვა და დაბრუნებას არ აპირებდა, იმერეთის საქმეებში რუსების უშუალო მონაწილეობა მოითხოვა.

სოკოლოვის, **ბრონევსკისა** და **ლიტვინოვის** გზავნილები მიუთითებენ მათ დიდ სურვილზე, დაეუფლონ ფოთის ციხესიმაგრეს, მდინარე რიონს და შავი ზღვისკენ გზა გაიკვალონ. იმერეთის დაპყრობა უკვე გარდაუვალია და მიზეზებიც ცხადად და აშკარად არის წარმოდგენილი. ყველა დოკუმენტი სხვაგვარად არის შედ-

გენილი, ვიდრე ქართველ მეფეებთან ურთიერთობის დროს. გაუბედურებული ერთმორწმუნე ხალხის წინაშე საჭირო აღარ არის ძმური დახმარებისა და ჰუმანური გრძნობების გამოხატვა: საქმე მხოლოდ რუსეთის სარგებელსა და ინტერესებს ეხება, რომლისთვისაც იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს არსებობა ხელისშემშლელი ფაქტორია და რომელიც კორექტულად უნდა მოიშორონ, რათა ოსმალეთის პორტასთან მშვიდობიანი ურთიერთობები არ დაარღვიონ.

თავადი **ციციანოვი** უკვე ღიად საუბრობს «იმ გეგმაზე, რომელიც უმაღლესმა მესვეურებმა მხოლოდ მას გაანდეს — იმერეთის, დადიანის სამთავროსთან ერთად, სამეგრელოსა და გურიის შეერთებაზე», ხოლო ბრონევსკის კი გამგზავრების წინ დაავალა «გაარკვიოს, დათანხმდება თუ არა სოლომონ მეფე ზომიერ ფასად ან საკუთარი სურვილით ყოველწლიურად 5000 ცალი სახომალდე ხე-ტყის დამზადებას». თავად ციციანოვის მიერ გრაფ **ვორონცოვისადმი** იმერეთის შესახებ წარდგენილ ბარათში, ხაზგასმულია რუსეთისთვის იმერეთისა და ფოთის დაკავებიდან გამომდინარე ყველა სარგებელი — განსაკუთრებით ვაჭრობისთვის და შავი ზღვის ფლოტის გემსაშენი ხე-ტყით მომარაგებისთვის.

1803 წლის 2 აგვისტოს **ციციანოვისადმი** გაგზავნილ რესკრიპტში იმპერატორმა **ალექსანდრემ**, გათვალისწინა რა მისი შეხედულებები იმერეთისა და ფოთის დაკავებიდან გამომდინარე რუსეთისთვის მოსალოდნელ ყველა სარგებელზე, კერძოდ, სავაჭრო პირობების გაზრდისა და შავ ზღვაზე ზღვაოსნობის შესახებ, თავად ციციანოვს საჭირო ზომების მიღება და მათი შესრულება დაავალა. 1803 წლის სექტემბერში თავადი ციციანოვი ხელმწიფეს ატყობინებს: «ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ამ შემოდგომაზე იმერეთს შემოვიერთებთ და დავდგამ რა ფეხს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მომავალ გაზაფზულზე უკვე საკუთარ ნავსადგურში რუსული გემების მიღების შესაძლებლობა მექნება».

მეფე **სოლომონმა**, აზიური არაკეთილსინდისიერებითა და ეშმაკობით, ამ რეზულტატის მიღწევა დააჩქარა. თავად **ციციანოვის** მიერ **დადიანთან** გაგზავნილი **კვინიხიძის** მკვლელობამ; პეტერ-

ბურგში რუსეთის ქვეშევრდომობის თაობაზე მოსალაპარაკებლად თავადი **ლიონიძის** მივლინებამ და, იმავდროულად, ოტომანთა მთავრობასთან თურქეთის მფარველობის საკითხის გარკვევამ — ყოველივე ამან იმერეთის ბედი გადაწყვიტა. 1804 წლის 20 აპრილს ეგერების პოლკმა იმერეთის სოფელი სერებაი (Серебай) ქვემეხების გამოყენებით აიღო, რომლის მოსახლეობამ ხელმწიფისადმი «ერთგულების ფიცი დიდი სიხარულითა და უსიტყვო მორჩილებით მიიღო». ამ ფაქტმა, რაღა თქმა უნდა, სოლომონ მეფესთან მოლაპარაკებები ბევრად გააადვილა.

1804 წლის 30 აპრილს თავად **ციციანოვისადმი** გაგზავნილ წერილში **სოლომონ** მეფე აცხადებს, რომ მის მიერ წამოყენებულ პირობებზე თანხმობის შემთხვევაში, მზადაა «სისხლის ბოლო წვეთამდე ერთგულად ემსახუროს» და იქვე დასძენს, რომ თუ თავადი ციციანოვი ამ პირობებს არ დათანხმდება, «მაშინ სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა იმისა, რომ თავად ციციანოვის ნებას დაემორჩილოს». ამიტომ, 25 აპრილს თავად ციციანოვმა აცნობა ხელმწიფეს, რომ მისთვის მიცემული დავალება შესრულებულია: «იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებით, სამეგრელოს ტერიტორიიდან ტავრიდასთან კავშირის დამყარებით, ეს მხარე მეტროპოლიას მტკიცედ და განუყოფლად დაუკავშირდა».

იმერეთის შეერთებამ გარკვეული ხარჯი მოითხოვა. თავადმა **ციციანოვმა** თავად **ჩარტორიისკის** 10000 რუბლის ანგარიში წარუდგინა. ეს თანხა მან სხვადასხვა პირებს დაურიგა, რათა ზემოქმედება მოეხდინათ **სოლომონ** მეფეზე და დათმობებზე დათანხმებულიყო. ამ პირთა სიაში იყვნენ: **ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე, ოტია წულუკიძე, დავით აბაშიძე, ბეჟან ავალოვი** და **სიმონ წულუკიძე**.

1804 წლის 4 ივნისს სოლომონ მეფის სახელზე გადმოგზავნილ იქნა უმაღლესი რესკრიპტი იმერეთის რუსეთთან შეერთების შესახებ.

ცხადია, თავადმა **ციციანოვმა** ბოლომდე ვერ შეასრულა დავალება: ამიერკავკასიის მეტროპოლიასთან საზღვაო გზით მტკიცედ და განუყოფლად დაკავშირება კიდევ ერთი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდა, რომელიც დღესაც გადაწყვეტილი არ

არის. თავად ციციანოვმა კარგად იცოდა: მტკიცე და განუყოფელი კავშირისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ სამეგრელოდან შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა. საჭირო იყო ფოთის ციხესიმაგრის, ანაკლიისა და ბათუმის შეერთებაც, სადაც «ქრისტიანები ცხოვრობდნენ და ყოველთვის იმერეთს ემორჩილებოდნენ».

ფელდეგერის (შიკრიკის) კვალდაკვალ, თეოდოსიიდან გამოგზავნილი პირველი რუსული ხომალდი, შხუნა № 2, მდინარე ხოფის შესართავს 1804 წლის 26 სექტემბერს მიადგა. საქმე ისაა, რომ ყველა მცდელობა, მოულოდნელად აეღოთ ფოთის ციხესიმაგრე და კიდევ, პროვიანტით დატვირთული გემებისათვის იქ შესვლის ნებართვა მიეღოთ, წარუმატებლად დამთავრდა: როგორც ეტყობა, თურქებმა გააცნობიერეს რუსეთისთვის ამიერკავკასიის მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, საქართველოში განლაგებული რუსული ჯარის მაშველი ძალა, **ბელევსკის** პოლკი სამხედრო ხომალდებით «მიხეილი», «ისიდორე» და «ტოლგის ღმრთისმშობელი» საზღვაო გზით მივიდა დანიშნულების ადგილზე; არტილერია ჩატვირთული იყო ორანძიან ხომალდში (ბრიგი) «ალექსანდრე».

ოქტომბერში პირველმა ორმა ხომალდმა მდინარე ხოფის შესართავში ყოველგვარი გართულების გარეშე ჯარი გადმოსხა. მოსახერხებელი იყო ეს ნავსადგური თუ არა, შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი მაგალითით: ბელევსკის პოლკის ორი ასეული «ტოლგის ღმრთისმშობელით» 1 ოქტომბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით შავ ზღვაზე მიცურავდა. ნავსადგურში ჯარის გადმოსხმის დროს ჯანმრთელი მხოლოდ 40 ადამიანი აღმოჩნდა, ერთი ამდენი კი გარდაიცვალა. დაბოლოს, «ტოლგის ღმრთისმშობელმა» და ორანძიანმა ხომალდმა «ალექსანდრემ», გაძლიერებული დასავლეთის ქარისა და რხევის გამო, გადმოტვირთვა ვერ მოასწრეს და 8 დეკემბერს რეიდზე ჩაიძირნენ. ამ ტრაგედიას შეეწირა კაპიტან-ლეიტენანტი **ვლიტო**, I რანგის კაპიტანი **შოსტაკი**, კაპიტან-ლეიტენანტი **პანიოტი**, ლეიტენანტი **სტუდენცოვი** და 168 რიგითი მეზღვაური.

ხოფში სამხედრო ხომალდებისა და სამეგრელოსა და იმერეთში ჩვენი ჯარების შესვლით, ამ მხარეებს ფაქტობრივად დავ-

ეუფლეთ, თუმცა ყველა სამესაკუთრეო უფლების საბოლოოდ გაუქმება ცოტა ხნის წინ მოხდა, სახელდობრ, სამეგრელოს მთავრის ბოლო მემკვიდრის, სამეგრელოს ამჟამინდელი თავადის **ნიკოლოზ დადიანის** ნებაყოფლობითი უარის საფუძველზე. ამ სამფლობელოების დამოუკიდებლობის გაუქმება საქართველოს შემოერთების გარდაუვალი შედეგი იყო. ეს მოსახლეობის სიკეთისთვის გაკეთდა, რადგან კეთილდღეობას ვერ მიაღწევდნენ, რომ არა რუსული ფული და ჯარი.

გაწეული დიდი ხარჯი შეიძლება გამართლებული ყოფილიყო რაიმე სახელმწიფოებრივი სარგებლით, მაგრამ საქართველოს შემოერთება რუსეთს ხარჯს ვერ აუნაზღაურებდა. სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიას მიეღო არა სავარაუდო, არამედ რეალური სარგებელი და საქართველოსთვის გაღებული დანახარჯი დაებრუნებინა, საჭირო გახდა საქართველოსა და შავ ზღვას შორის მდებარე მთელი ტერიტორიის შეერთება.

თავადი **ციციანოვი** 1803 წლის 27 ივნისს ხელმწიფეს წერდა: «ამ შეერთებით მიღებული სარგებელი შესაძლოა დღეს შორეული პერსპექტივა იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი და საგრძნობია; ფოთის ნავსადგური აუცილებლად რუსეთს უნდა ეკუთვნოდეს ან ჩვენი ვაჭრობისთვის ღია იყოს. მდინარე რიონი თითქმის ქუთაისამდე სანაოსნოა და მისი ნაპირები სხვადასხვა ჯიშის გემსაშენი ხეტყით არის დაფარული. ამ უძველესი სანაოსნო გზის აღდგენა, რომელიც ჟამთა და ხალხთა მიერ ბარბაროსულად განადგურდა, რუს მრეწველებს სავაჭროდ საშენი ხე-ტყის მდიდარ დარგს მისცემს და სიუხვეს შემატებს ჩვენი შავი ზღვის პორტებს, რომლებიც ამ ახალი ნამატით უეჭველად გააძლიერებენ რუსულ ზღვაოსნობას».

ამგვარად, ყველა დოკუმენტში, რომლებიც იმერეთისა და სამეგრელოს შეერთების განმაპირობებელ ვითარებებს ეხება, აშკარადაა ჩამოყალიბებული ამოცანები, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ რუსეთის ინტერესებს, როგორც აწმყოში, ასევე მომავალშიც; დაგეგმილია ამ მხარეების დაუფლება, მთელი რიგი დიპლომატიური და სამხედრო ღონისძიებები, რომლებიც ადას-

ტურებენ რუსეთის სწრაფვას იმერეთისა და სამეგრელოს შესაერთებლად. თუ შევადარებთ იმ დოკუმენტებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ საქართველოს შეერთებას რუსეთთან, იმერეთისა და სამეგრელოს შეერთებამდე არსებულ დოკუმენტებს, ვნახავთ, რომ პირველ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანები, რომელთა საფუძველზე გამართლებული იქნებოდა საქართველოს შეერთება.

განხორციელებული შეერთება უფრო შეცდომად, ჰუმანური იდეებით გატაცებად უნდა ჩაითვალოს და არა დაპყრობად. მაგრამ თუ ეს შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს, ის განპირობებული იყო ისტორიული პირობებით: საქართველოსა და კავკასიის მიღმა არსებული დანარჩენი ქრისტიანული სამფლობელოების სახელმწიფოებრივი წყობის სრული დაშლა მოითხოვდა რუსეთის მიერ კავკასიის ქედის გადალახვას, რათა მას მუსლიმი ბარბაროსებისგან ქრისტიანული ცივილიზაცია დაეცვა. და რუსეთმა, თავისი ხელმწიფის სურვილის საწინააღმდეგოდ და თავის საზიანოდ, გადალახა კავკასიის მთები. მაგრამ, როგორც კი დასახული მიზანი შესრულდა, მაშინვე ამ არაბუნებრივი მდგომარეობიდან გამოსვლის საჭიროება იქნა გაცნობიერებული. გამოსავალი ერთი იყო: ისეთი შედეგებისთვის უნდა მიეღწიათ, რომლებიც მფარველ სახელმწიფოს, რუსეთს, მის მფარველობაში მყოფ საქართველოსთვის მუდმივი მოცემულობის სტატუსში არ ჩააყენებდა. ამან განაპირობა შავი და კასპიის ზღვებისკენ სწრაფვა. რუსეთს სარგებელი უნდა მიეღო იმ მხარეებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებით, ვისთვისაც საკუთარი სახსრების გაღება უხდებოდა.

სამეგრელოსა და იმერეთის დაპყრობა, რაც ამიერკავკასიას ტავრიდასთან და საერთოდ სამხრეთ რუსეთთან საზღვაო გზით აკავშირებდა, საქართველოს შეერთების ზარალის მომტანი შედეგის პირველ გამოსწორებას წარმოადგენდა; მეორეს — კასპიის ზღვის მხარეს არსებული წვრილი სახანოების დაპყრობა. ამ ორი გამოსწორების შემდეგ, რუსეთს, სამხედრო მოქმედებებისთვის გაღებული მსხვერპლითა და კავკასიის მიღმა ცივილიზაციის დამკვიდრებით, სრული შესაძლებლობა აქვს, ამ მხარეების მწარ-

მოებლობის განვითარებით, ხაზინის ინტერესების შესაბამისად სარგებელი მიიღოს აყვავებული რუსული მეწარმეობისა და ვაჭრობისგან. მაგრამ ეს შედეგი, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ სამომავლო საქმეა.

დაბოლოს, განვიხილავთ რა საქართველოს შეერთების საკითხს ვიწრო, სამხედრო თვალთახედვით, აუცილებელია ვაღიაროთ, რომ საქართველო კი არ შემოვიერთეთ, არამედ ქვეყანა რუსულმა ჯარმა დაიპყრო. თბილისიდან დაწყებული, ყველა ქალაქისა და თითქმის ყველა სოფლის მოსახლეობის უსაფრთხოება მიღწეულ იქნა ჩვენი ჯარის მიერ, ამბოხებული ბატონიშვილების, თავადებისა და საქართველოს მეზობელი, გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად. მაგრამ ყოველივე წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე გაკეთდა. უფრო მეტიც, ჩვენ ჩაფიქრებულიც არ გვქონდა ერთმორწმუნე, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ხალხის დაპყრობა და მათი საცხოვრებელი მიწების მითვისება, რომლებიც არ გვჭირდებოდა. ამ შეურიგებელ წინააღმდეგობაში, ერთი მხრივ, ქვეშევრდომობის ნებაყოფლობითი მიღებითა და, მეორე მხრივ, ფაქტობრივად ქვეყნის დაპყრობით, ჩვენი აზრით, ჩანს პირდაპირი და საუკეთესო მტკიცებულება იმისა, რომ საქართველოს შეერთება ისტორიულად მოხდა, ესე იგი, იმ საზოგადო მოღვაწეების ყველა გათვლისა და მოსაზრების გარეშე, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ამ ისტორიული მოვლენის აღსრულებაში.

II. გიორგი XII-ის ეგოისტური მისწრაფებების, საკუთარი უფლებების დაცვის სურვილით ხომ არ მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთება?

მმართველობის დესპოტური ფორმის დროს ხელმწიფის პირადი ნება, თითქოს-და, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე უნდა ვრცელდებოდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არასდროს ხდება და ვერც მოხდება. დესპოტისა და ხალხის ინდივიდუალობა ვერასდროს შეერწყმება ერთმანეთს: მათ შორის ყოველთვის იქნება ანტაგონისტური დამოკიდებულება, თუმცა ეს ანტაგონიზმი პასიური ინერციით წარმოჩნდება და გარეგნულად დაქვემდებარების, მონური მორჩილებისა და დესპოტიზმის ყველა ბოროტმოქმედებების წაქეზების სახეს ღებულობს.

ღმრთის ნაპერწკალი, რომელსაც გონებისა და თავისუფალი ნების სახით, ყოველი ჩვენგანი დაბადებისთანავე იძენს, გარდაცვალებისას გვამად ქცეულ ადამიანს სულთან ერთად ტოვებს. მაგრამ, ვიდრე ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია, სიმართლისა და სიცრუის შესახებ წარმოდგენებსა და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ გონივრულ სწრაფვას, პირველადი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თუნდაც ყველაზე შეზღუდული ფორმით, ადამიანში ვერ აღმოფხვრის ვერც ხელმოკლეობა, ვერც წამება და ვერც საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევა. ადამიანის ეს მახასიათებლები ყოველთვის მის ცნობიერებაშია გამჯდარი და თუ დასჯის შიში ადამიანს აიძულებს, გარეგნულად არ წარმოაჩინოს თავისი შინაგანი ბუნება, ის მაინც წარმართავს ყველა მის მისწრაფებას, აზრებსა და ქმედებებს.

ერთმანეთის მსგავსი ატომების შეერთებისაგან შემდგარმა მთლიანობამ, ანუ ხალხმა, შეუძლებელია არ იზრუნოს უკეთეს მომავალზე, მაშასადამე, გამოასწოროს, გაიუმჯობესოს აწმყო. ფორმა, რომელშიც ეს მისწრაფება ვლინდება, შეიძლება არასახარბიელო იყოს: მმართველის შეცვლას მდგომარეობის გაუარესება მოყვეს; ამბოხს — უფრო მძიმე მონობა; გარედან გაწეულ დახმარებას — დაპყრობა, ესე იგი, ხალხის პოლიტიკური და-

მოუკიდებლობის მოსპობა; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აწმყოს გაუმჯობესებისთვის გაწეული შინაგანი, მარადიული და დაუღალავი შრომა ყოველი ერის, რაოდენ დაბალიც არ უნდა იყოს მისი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების დონე, ცხოვრების განუყოფელ ნაწილად რჩება. და რადგან ეს მისწრაფება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დესპოტიზმის ინტერესებს, ის, მიუხედავად დესპოტიზმის მოჩვენებითი ძალისა, აუძლურებს ამ უკანასკნელს და ყველა დესპოტს აიძულებს, გაითვალისწინოს ხალხის ინტერესები და სურვილები, დაემორჩილოს მეტ-ნალკებად უხილავ და შეუმჩნეველ, მაგრამ უძლიერეს ძალას, კერძოდ, ხალხის მისწრაფებას – გაიუმჯობესოს არსებობის პირობები. ხალხის ინტერესებისადმი ასეთი უნებლიე დათმობა, თავად დესპოტიზმის არსებობის აუცილებელი პირობაა.

„C'tat c'est moi" („სახელმწიფო – ეს მე ვარ"), – ასე ფიქრობდა **ლუდოვიკო XIV**, მაგრამ თავისი კარიერის ბოლოს, როგორც ცნობილია, უნდა დარწმუნებულიყო, რომ მეფე და სახელმწიფო განცალკევებით არსებობენ, თითოეული თავისთვის, და შერწყმა შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტად სახალხო ინტერესების საფუძველზე. ყველა ომით, რომლითაც საფრანგეთი დაინტერებული იყო, მეფე თავის ეგოისტურ და დინასტიურ მიზნებს ახორციელებდა. მისი გარემოცვის ბრწყინვალებამ, რომელიც თავად მეფისთვის, მისი პირადი სიდიადისთვის იყო აუცილებელი, გამოიწვია დაუძლურება და გაღარიბება ხალხისა, რომელსაც თავის თავთან აიგივებდა.

სხვათა შორის, ახალგაზრდობაში **ლუდოვიკო XIV**-მ საფრანგეთისთვის ბევრი სიკეთე გააკეთა: მას **კოლბერი** ჰყავდა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ბრწყინვალე პერიოდიც ჰქონდა. ფრანგი ხალხის კეთილდღეობაზე და სიდიადეზე ზრუნვა ლუდოვიკო XIV-ის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი სტიმული იყო. მისი მემკვიდრე ლუდოვიკო XIV-ის კარისთვის დამახასიათებელ ბრწყინვალეებასა და გარყვნილებაში გაიზარდა; ხალხზე თავისი შეხედულება ჰქონდა და ფრაზის „C'tat c'est moi" ნაცვლად, ცხოვრებაში სხვა, არანაკლებ ცნობილი ფრაზით ხელმძღვანელობდა: „Apies moi le

deluge“(„ჩვენს შემდეგ, თუნდაც წარღვნა ყოფილა“), და ამით თავისი სამეფო კარი დასაღუპად შეგნებულად მოამზადა.

დესპოტურ აზიურ სახელმწიფოებში კი, ასეთი გარყვნილი ადამიანის მსგავსი ცინიკური გამოხდომა, რომელიც ვერ აცნობიერებს თავის მაღალ მდგომარეობას, დესპოტის მოღვაწეობის საფუძველი, ამოსავალი წერტილია და ამიტომ აზიურ სახელმწიფოებში მმართველისა და ხალხის ნების გაიგივება სრული უაზრობაა. ასეთი აზროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დავუშვათ, რომ ქართლ-კახეთის მეფე **გიორგი XII**-ს საკუთარი ნებით შეეძლო თავისი ხალხისთვის რუსეთის მფარველობის სურვება დაეძალებინა და, უფრო მეტიც, იძულებული გაეხადა ხალხი, რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობა მიეღო.

ამას იმიტომაც ვერ შესძლებდა, რომ სამეფოში სრული უკანონობა სუფევდა და თავად სიტყვა კანონმა, როგორც თავადი **ციციანოვი** აღნიშნავს, მნიშვნელობა დაკარგა, რადგან უმაღლეს ხელისუფლებასა და ქვეშევრდომებს შორის ურთიერთობების ერთადერთი ფორმა განუკითხაობა და ძალადობა იყო; მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს მმართველობის ფორმას დესპოტურს ვერ ვუწოდებთ, ის უფრო დესპოტური ოლიგარქია ან, უფრო სწორედ, დესპოტური ქაოსი იყო. მთავრობა და ადმინისტრაცია, რამდენადაც შეეძლო, ხალხს ავიწროებდა და ძარცვავდა; და რაც მთავარია, ზნეობრივი ქცევის მაგალითს ვერ აძლევდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამაზე არავინ ზრუნავდა და არც შეეძლო ეზრუნა.

უპირველეს ყოვლისა, თავად მეფე **გიორგი**, რომელიც თავად **ციციანოვის** აზრით, „ფრიად სათნო ადამიანი იყო, მაგრამ ჯანმრთელობა სუსტი ჰქონდა; თავისი ოთახიდან არ გამოდიოდა და, ამდენად, მხოლოდ ის იცოდა, რასაც მისი გარემოცვა საჭიროდ ჩათვლიდა, რომ სცოდნოდა“. მას არ ჰყავდა მუდმივი და ერთგული ჯარი, რომელიც შეძლებდა ურიცხვი ბატონიშვილების, თავადებისა და დიდებულების დამორჩილებას, თუმცა „ისინი განსაკუთრებული პრივილეგიებით არ სარგებლობდნენ: თავადიცა და გლეხიც ერთნაირად მსახურობს, თავადიცა და გლეხიც ერთნაი-

რად ისჯება“.

ყველა მაღალი და დაბალი ადმინისტრაციული თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა, რაც მეფეს საკუთარი არჩევნის გაკეთების საშუალებას არ აძლევდა. რა თქმა უნდა, მეფეს უფლება ჰქონდა ურჩი პიროვნება თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა და დაესაჯა, რამეთუ არავინ პრივილეგიით არ სარგებლობდა, მაგრამ, გასაგებია, რომ ამ უფლებით სარგებლობა მისთვის უაღრესად საშიში იყო. მსგავსი ქმედება მთელ მაღალ ფენას, რომელიც მემკვიდრეობით მიღებული თანამდებობების შენარჩუნებით იყო დაინტერესებული, მეფის წინააღმდეგ აამხედრებდა. მეფეს საქართველოს მართვა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ქართველი ხალხის ძარცვა, მხოლოდ მაღალ ფენაზე დაყრდნობით და მისი მეშვეობით შეეძლო; ხალხის უუფლებობისა და სისტემატური ძარცვის პირობებში, მათი ერთგულება, ან უმჯობესია ვთქვათ, ძარცვაში თანამონაწილეობა, – აი, ის, რაც მეფის ძალაუფლებას წარმოადგენდა. **გიორგი** მეფე მტკიცე ხასიათით არ გამოირჩეოდა და მაღალი ფენის დასამორჩილებლად საშუალებაც არც გააჩნდა. მას მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეეძლო: გაბატონებული ფენის ძალადობასა და ძარცვას დამორჩილებოდა და ქვეყნის საწარმოო ძალების თანდათანობით განადგურებასა და ქართლის სამეფოს გარდაუვალ აღსასრულს დალოდებოდა.

ჯერ კიდევ **გიორგის** მამამ, მეფე **ერეკლე თეიმურაზის ძემ**, რომელიც საკუთარი მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოკვებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე სამეფოს კეთილდღეობაზე, საქართველოს[5] უკანასკნელი დარტყმა მიაყენა. „სახაზინო შემოსავლებში დანაკლისის შემჩნევისას, რომელიც გათვალისწინებული იყო ბატონიშვილებისა და მეფის ასულების, მისი შვილების რჩენისთვის, – მოგვითხრობს გენერალი **კნორინგი**, – **ერეკლე** თავადებსა და აზნაურებს მათ ძირ-ძველ ადგილ-მამულებს ართმევდა და თავის შვილებს ურიგებდა. ასეთი მიდგომით ერეკლე მეფემ ნახევარზე მეტი საქართველო მათ ხელში ჩაუგდო. როდესაც ქვეყანაში მღელვარების დროს მეფეს ბატონიშვილებისგან, მათი

[5] იგულისხმება ქართლ-კახეთი (რედ.).

ადგილ-მამულებისთვის შესაბამისი სამხედრო ძალა ან ფულადი დახმარება სჭირდებოდა, ისინი ყოველთვის ურჩობდნენ. მეფე, იმყოფებოდა რა დედოფალ **დარეჯანის** ზეგავლენის ქვეშ, იძულებული ხდებოდა, მათი გადაწყვეტილებისთვის პატივი ეცა.

განსაკუთრებულ შემთხვევებში მემამულეები ვალდებული იყვნენ, მეფეს თავისი შემოსავლებიდან დახმარებოდნენ, – აგრძელებს **კნორინგი**, – მაგრამ ძალიან რომ არ დაზარალებულიყვნენ, გლეხებს ძარცვავდნენ. ამიტომ გლეხები საკმაოდ ხშირად თავშესაფარს სხვა თავადებისა ან აზნაურების მამულებში ეძებდნენ. ისინი არჩევნის წინაშე იდგნენ: რა იქნებოდა მათთვის უკეთესი – საკუთარ კუთხეში უაღრესად შევიწროებულად ეცხოვრათ, თუ სხვა ბატონის მონანი გამხდარიყვნენ?

ვინლა არ ძარცვავდა ამ საბრალო ხალხს! – ნებისმიერი ბატონიშვილი, ნებისმიერი დედოფალი თუ მეფის ასული. მეფის ნებისმიერ ნათესავს შეეძლო, ეგრეთ წოდებული ბარათით (ბრძანებულებით) ვაჭრისთვის და გლეხისთვის, რაც საუკეთესო ჰქონდა, წაეგლიჯა. საფუძველშივე შერყეული სამეფო ხელისუფლება კი, ასეთ ძალადობას თითქოს ვერც ამჩნევდა და, მით უმეტეს, მისი აღმოფხვრისთვის ზომებს არ იღებდა“.

„სოფლის მოსახლეობას, ჩამოაქვს რა ბაზარში გასაყიდად პური, ძალიან ეშინია. – წერს მოხსენებაში გენერალი **ლაზარევი**, – საკმაოდ ხშირად ხდება, რომ გასაყიდი საქონლის მეპატრონე იძულებული ხდება, საქონლით დატვირთული ურემი, ვითომდა მეფის სახელით გამოგზავნილ პირებს ნადავლის სახით დაუტოვოს და თავად კი ხელცარიელი, მხოლოდ სახედრის ამარა, დაბრუნდეს სახლში“. ამ ფაქტს **გიორგი** მეფეც ადასტურებს. ლაზარევთან გაგზავნილ წერილში ის წერს: „ავად ვარ, მაგრამ გავიგე, რომ თბილისში ხალხს ჯარისკაცები კი არა, ჩვენებურები ძარცვავენ“, და სთხოვს, ბაზარში ერთი ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი ყარაულად დააყენოს, რათა სავაჭრო ადგილებში „არ შეუშვას არც მეფის შვილებისა და ძმების, არც თავადებისა და დიდებულების ხალხი და გლეხების ძარცვა არ დაუშვას”.

„მეფის ძმები, ბატონიშვილები, – მოახსენებს გენერალი **ლაზა-**

რევი კნორინგს, – ამპარტავნები და გულდაჯერებულები არიან, თვითდამკვიდრებას ესწრაფვიან და მთავრობის უკმაყოფილო ხალხს ამბოხებისკენ, უწესრიგობისა და შფოთისკენ მოუწოდებენ“.

შფოთისა და არეულობის ჩასახშობად თუ რა ზომებს მიმართავდა მეფე, ამის შესახებ **გიორგი** მეფის **ოთარ ამილახვარისადმი** გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ. გორში ბატონიშვილ **ფარნავაზის** სასარგებლოდ აკრეფილი შემოსავლის თაობაზე გიორგი მეფე წერს: „ფარნავაზის ხალხი არ დაინდო; სრული უფლება გაქვს გამოიყენო ჯოხი, კეტი, კომბალი, ქვა, თოფი, ხმალი, პისტოლეტი. მათ წინააღმდეგ არაფერი დაიშურო და არ შემოუშვა. უნდა იცოდე, ვინც არ უნდა ჩამოვიდეს გორში, ერთი თეთრიც კი არ დაუთმო“.

„ბარათები, – აღნიშნავს **ლაზარევი**, – არსად გაფორმებული არ არის და ამიტომ დღეს ერთს აკუთვნებენ, ხვალ კი იმავე მამულს ან საცხოვრებელ ადგილს — სხვას; მართლმსაჯულება მხოლოდ სიტყვიერად აღესრულება და როგორც მე შევამჩნიე, ან მიკერძოებულად, ან ძლიერის პოზიციის მხარდასაჭერად. ღარიბ ფენას კი არავინ იცავს. არც ერთ ჩინოსანს ხელფასს არ უხდიან, ამიტომ ის იძულებულია თავისი თანამდებობით ისარგებლოს. ამით უფრო მეტად ვაჭარი, ხელოსანი და გლეხი ზარალდება, ერთი სიტყვით, ნებისმიერი უბრალო ადამიანი. ყველა თანამდებობა მემკვიდრეობით გადადის და პიროვნების ღირსებასა და პატიოსნებას მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ამიტომაც, ხშირად ჩინოვნიკები დაკავებულ თანამდებობებს არ შეესაბამებიან“.

ზემომოყვანილი ამონაწერები წარმოდგენას გვიქმნის **ერეკლე II**-სა და **გიორგი XII**-ის მმართველობის ხანაში არსებულ ენით აუწერელ ქაოსზე, რომელშიც გაუბედურებული საქართველოს მთავრობა და ადმინისტრაცია იმყოფებოდა. **ამილახვრის** მიერ გაცემული ბრძანებულება მოწმობს, რომ მეფის ნება პროვინციებზე არ ვცრელდებოდა, ეს კი მის უძლურებაზე მიუთითებს. ბრძანება „აკეთე, რაც გსურს“, სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა „მე არაფრის კეთება არ შემიძლია“. მემკვიდრეობით დადგენილი მოურავი, რომელსაც თანამდებობიდან გადაყენების არ ეშინია, მეფის ასეთი ბრძანების შემდეგ, ბუნებრივია, გადასახადის

გადამხდელებს დაჩაგრავს და იძულებულს გახდის, საქონლით დატვირთული ურემი ბაზარში დატოვოს და სახლში, მართალია, ცოცხალი, მაგრამ მხოლოდ სახედრის ამარა დაბრუნდეს.

წესრიგის დასაცავად თბილისის ბაზარში დაყენებული ერთი რუსი ოფიცერი და რამდენიმე ჯარისკაცი, რა თქმა უნდა, ვერ გამოასწორებდა იმ ბოროტებას, რომელიც მთელ ქვეყანაში ბობოქრობდა და რომელსაც გაბატონებული ფენა ახორციელებდა. მსგავსი სახელმწიფო წყობის პირობებში (თუმცა, იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოს ვერ ვუწოდებთ, რადგან სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფერო უკიდურესად მოშლილი იყო), ქვეყნის მმართველის, **გიორგი** მეფის მდგომარეობას შეიძლება მხოლოდ *გაჭირვებული* ვუწოდოთ. ის განუსაზღვრელი ძალაუფლების წარმომადგენელი იყო, მაგრამ ძალაუფლება საერთოდ არ ჰქონდა.

ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და სხვა სამსახურებისადმი მეფის მიმართვებიდან ნათლად ჩანს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მეფის ძალაუფლებას ფიქტიური მნიშვნელობა ჰქონდა: მას არავინ უსმენდა და მის ბრძანებებს არავინ ასრულებდა. თავისი ძალაუფლების, თუნდაც გარეგნულად, გამოსახატავად, მეფე **გიორგი** დაქირავებულ ჯარს მიმართავდა. მაგრამ ლეკები, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ დახმარება გაეწიათ როგორც მეფისთვის, ასევე მისი მოწინააღმდეგეებისთვის, უფრო მეტად აწიოკებდნენ ქვეყანას. „იკისრეს რა ხალხის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება, – წერს გენერალი **კნორინგი**, – ლეკები თბილისში თავის ნებაზე დათარეშობდნენ; საქართველოში მივარდნილ ადგილებს ეძებდნენ და თავისი თვისტომები ჩამოჰყავდათ, ხოლო ესენი ქართლის სამეფოს შუაგულში ძარცვავდნენ ქართველებს და სოფლებიდან ტყვედ მიჰყავდათ, რის გამოც საქართველო ყოველწლიურად, საშუალოდ, 200-300 ოჯახს კარგავდა. **გიორგი XII** 7000 ლეკს ინახავდა, მაგრამ არა გარეშე მტრების მოსაგერიებლად და ქვეყნის დასაცავად, არამედ მხოლოდ საკუთარი ძმების დასაშინებლად, რომლებიც თავიანთი თვითნებობითა და დაუმორჩილე-

ბლობით მისთვის უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ“.

ლოგინს მიჯაჭვული **გიორგი** მეფის ავადმყოფობა, რომელიც მას სასახლის დატოვების საშუალებას არ ძლევდა, ქვეყნისთვის სხვა პირობებში დიდი უბედურება იქნებოდა, მაგრამ იმ დროს ერთადერთი ხელსაყრელი და სასურველი გარემოება აღმოჩნდა, რამაც ხალხის თვალში სამეფო ხელისუფლებას ხიბლი შეუნარჩუნა. ხალხის აზრით, მეფე ავად რომ არ ყოფილიყო, ქვეყანაში ყველაფერი უკეთესად იქნებოდა. თუმცა, სინამდვილეში, **პეტრე I**-ის ენერგიის მქონე გენიოსიც კი ვერ შეძლებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის გაუმჯობესებას.

ნებისმიერ გენიოსს რაღაც საყრდენი მაინც სჭირდება — პატრიოტიზმი, საზოგადოებრივი მოწყობა, ეკონომიკური მდგომარეობა ან საგარეო პოლიტიკური პირობები. ასეთი საყრდენი წერტილი საქართველოში არ არსებობდა. მას მეზობლად ჰყავდა, ან ერთმანეთის მოქიშპე მცირერიცხოვანი მტერი, რომელიც ორი ურთიერთდაპირისპირებული მსხვილი პოლიტიკური ორგანიზმის, თურქეთისა და სპარსეთის მხარდაჭერით, ანადგურებდა საქართველოს, ან ველური ტომები, რომლებსაც ხელობად ძარცვა ჰქონდათ და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე წარმოდგენა საერთოდ არ გააჩნდათ. საქართველოს კავშირი რომელიმე ერთ მეზობელთან ან რამდენიმესთან ერთად სხვას არაფერს წარმოადგენდა, გარდა გარეშე ომის შესაძლებლობისა უცხოთა ინტერესებისთვის, ხელშეკრულების სიწმინდის დასაცავად.

ნებისმიერი ადამიანისთვის თანდაყოლილი სიყვარული სამშობლოსი ხალხის მასებში ისტორიისა და საკუთარი სიძლიერის შეგნებით ყალიბდება. ეს გრძნობა ხალხის მასაში არასდროს პლატონური არ არის და ქრება, თუ ქვეყნის ძლევამოსილების გაზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ აქტიური სწრაფვა არ არსებობს. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა სამეფო ოჯახისა და გაბატონებული ფენის პირის გემოს მოყვარულობითა და გაუმაძღრობით არის დაუძლურებული. ხალხის კეთილდღეობის მოსპობის ორივე ამ ფაქტორმა, – რომელნიც მხოლოდ დაბადების (შთამომავლობით მიღებულ) უფლებას ეფუძნებიან და

ამით ყოველი გონებრივი და ზნეობრივი უპირატესობის წინააღმდეგ ყველაზე არასამართლიანსა და შეურაცხმყოფელ უფლებას წარმოადგენენ, – თანამდებობების მემკვიდრეობითობისა და ნათესაური კავშირების მეშვეობით, საკუთარი ხალხის ექსპლოატაციის მტკიცე ქსელი შექმნა.

არც მეფეს და არც ხალხს, ორივე მხრისთვის ესოდენ მძიმე მეურვეობის მოცილების ძალა არ შესწევდა. უახლოესი მეზობლები, სხვადასხვა ავაზაკები და ყაჩაღი ტომები ყოველთვის მზად იყვნენ, დახმარება გაეწიათ ნებისმიერი განაწყენებულისთვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თუნდ ბატონიშვილი ან უბრალო ნაცვალი, რომელიც მეფემ სამსახურიდან ხალხის ძარცვისთვის გაათავისუფლა. მეფის მხრიდან თაღლითის თანამდებობიდან გადაყენების და ადმინისტრაციაში ახალი ელემენტების შეტანის მცდელობას, აუცილებლად თან სდევდა შიდა ინტრიგები და მეზობელ ავაზაკთა დიდი და მცირე ბრბოების თავდასხმები, რომლებიც ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც კი გზად შეხვდებოდათ.

საქართველოს შიდა სახელმწიფოებრივი მოწყობა – სად უნდა ვეძებოთ ის? საქართველოში მხოლოდ მტრული ელემენტები არსებობდა, რომლებიც ერთმანეთს ანადგურებდნენ. მეფე, კანონის განსახიერება, თვითმყრობელის განუსაზღვრელი უფლებამოსილებით აღჭურვილი, თავადებსა და დიდებულებს მამულებს ართმევდა და თავის შვილებსა და ნათესავებს ჩუქნიდა. თავადები და დიდებულები კი, სამეფო კარის ინტრიგების შედეგად, ბარათების ან აშკარა ძალადობის საფუძველზე ღებულობდნენ უფლებას და ერთმანეთს ადგილ-მამულებს ართმევდნენ. ხელისუფლების ყველა ბოროტმოქმედება ხორციელდებოდა გულუბრყვილო ხალხის მოტყუებისა და მისი გაძარცვის საფუძველზე მიღებული თანხით.

შეძლებდა თუ არა სუსტი, ავადმყოფი და კეთილი **გიორგის** ნაცვლად მოვლენილი რომელიმე გენიალური რეფორმატორი, საუკუნეების მანძილზე უთავბოლო მმართველობის საფუძველზე დაგროვებული ბოროტების ზვავის აღმოფხვრასა და მის ნაცვლად, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მარადიული კანონების

შესაბამისად, ახალი საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბებას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერც ერთი რეფორმატორი მსგავს სასწაულს ვერ მოახდენდა; უფრო მეტიც, თავად სასწაული მოვლენათა მსვლელობების წესრიგს დაარღვევდა. ყველა გენიალური სახელმწიფო მოღვაწისა და რეფორმატორის ისტორიის არენაზე გამოჩენა ადრინდელი მოვლენებით არის განსაზღვრული და მათი განვითარების შედეგია, რაც ხალხში დაგროვებული და უკვე მომწიფებული პრობლემებისა და მოვლენების გადაჭრის მოთხოვნილებითაა განპირობებული. ეს ადამიანები კი ამ პრობლემებსა და მოვლენებს, რა თქმა უნდა, ხალხის ისტორიული როლის შესაბამის, ნათლად გამოკვეთილ სახეს აძლევენ. მაგრამ არსად შეგვხვედრია, რომ მოშლილი, საუკუნეების მანძილზე ბოროტმოქმედებებით დაუძლურებული სახელმწიფო ორგანიზმი უეცრად ისეთ განმანათლებელ საზოგადო მოღვაწეს წარმოშობდა, რომელსაც დრომოჭმული ელემენტების მასისაგან ახალი და ჯანმრთელი სახელმწიფოებრივი წყობის შექმნის ძალა შესწევდა. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სამეფოს ან დინასტიის დაცემა, შემდეგ – ახალი და ჯანმრთელი ელემენტების გამოჩენა, დაბოლოს – სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალ ფორმაში ძველი და ახალი ელემენტების შერწყმა.

გიორგი XII, რა თქმა უნდა, რეფორმატორი არ იყო. ის მრავალსაუკუნოვანი, დაშლის პირას მდგომი, სამეფო დინასტიისა და საქართველოს ყოველმხრივ შერყეული სახელმწიფოებრივი წყობის მემკვიდრე გახლდათ. მაგრამ ეს, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, საბრალო პიროვნება განმარტოებით არ დგას. მას ჰყავდა გარემოცვა, ერთი მხრივ, ძმები: **იულონი, ვახტანგი, მირიანი, ალექსანდრე** და **ფარნავაზი,** მეორე მხრივ, შვილები: **დავითი, იოანე, თეიმურაზი, მიხეილი, გაბრიელი, ილია, ოქროპირი** და **ერეკლე**. ამ გრძელ სიაში წარმოდგენილ პირთათვის, რომელთა მოწოდება დაბადებიდანვე სამშობლოსთვის თავდადებული მსახურება უნდა ყოფილიყო, არ არსებობდა ისეთი ცნებები, როგორიცაა სახელმწიფოებრივი ინტერესები, სამშობლოს სიკეთისთვის ზრუნვა, ხალხის კეთილდღეობა, სამშობლოს მსახურება ან თუნ-

დაც, დინასტიის ინტერესებიდან გამომდინარე, მეფის – ძმისა ან მამის, მხარდაჭერა.

„არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ დაბეჭდილი მრავალრიცხოვანი წერილებისა, და დოკუმენტების მიხედვით, ამ სამეფო საგვარეულოს არც ერთ წარმომადგენელს, გარდა ვიწრო ეგოიზმისა და საკუთარი ანგარებისა, არაფერი აინტერესებს. განსაკუთრებით არასასიამოვნო გრძნობა გეუფლება, როდესაც რუსეთის ხელისუფლებასთან მათ მიმოწერას კითხულობ: ეს არის ერთმანეთზე ჭორებისა და ცილისწამების ყველაზე უბადრუკი ნაზავი. დამამცირებელი მონური მორჩილებით ერთგულებაში ეფიცებოდნენ ხელმწიფე იმპერატორს და სხვადასხვა წყალობის გაღებას შესთხოვდნენ და, იმავდროულად, რუსეთის გავლენის გავრცელების წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდნენ.

ამ ქმედებებს დამპყრობლის მიერ შეურაცხყოფილი პატრიოტული გრძნობა რომ ედოს საფუძვლად, მაშინ იგი პატივისცემას დაიმსახურებდა. მაგრამ რაიმე მსგავსი გრძნობა ქართველ მეფეებსა და ბატონიშვილებს არ ახასიათებდათ. ბატონიშვილები და მეფის ასულები დამპყრობლებისგან სამშობლოს გათავისუფლებაზე და გაუბედურებული ხალხის ინტერესებზე ნაკლებად ფიქრობდნენ.

ყველა კარგად აცნობიერებდა, რომ საქართველოს სამეფოს არსებობა გარეშე ძალის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო. ისიც იცოდნენ, რომ მხოლოდ „რუსეთის უძლეველ მხედრობას“ (ასე მოიხსენიებდნენ ოფიციალურ დოკუმენტებში) შეუძლია საქართველოს დაცვა **აღა-მაჰმად-ხანის** შემოსევისა ან თურქეთის ექსპანსიისაგან, რასაც, რაღა თქმა უნდა, შედეგად სამეფო უფლებების, ქრისტიანობისა და სამეფოს დამოუკიდებელი არსებობის განადგურება მოყვებოდა. ამიტომ ისინი, ოღონდ კი მეფის წოდება დაებრუნებინათ, რომელსაც სხვებისთვის მამულების ჩამორთმევის უფლება ექნებოდა, მზად იყვნენ „სუფთა ქრისტიანული სინდისით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ემსახურათ ყოვლადმოწყალე ხელმწიფისთვის და მისი ერთგული ქვეშევრდომები ყოფილიყვნენ“.

მეფის ძმებიდან მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა ბატონიშვილმა **ალექსანდრემ** გამოიჩინა. იგი საქართველოში რუსეთის ჯარის ჩამოსვლისთანავე სპარსეთში გაიქცა, ვითომც რუსეთისადმი სიძულვილის გამო, მაგრამ სინამდვილეში სპარსეთისა და მცირერიცხოვანი მეზობლების მხარდაჭერა სჭირდებოდა, რომლებსაც საქართველოს აოხრება სწყუროდათ, თავად კი, ბატონიშვილ დავითისთვის სამეფო ტახტის დათმობა არ სურდა. მისმა თანამზრახველებმა, ძმებმა და თანამოაზრეებმა, **კოტლიარევსკის** პირდაპირ განუცხადეს: თანახმა ვართ საქართველოში საერთოდ არ იყოს მეფე, ოღონდ კი ჩვენთვის საძულველი ბატონიშვილი **დავითი** ტახტზე არ ავიდესო.

ბატონიშვილი **ალექსანდრე** ორმაგ თამაშს ეწეოდა: ერთი მხრივ, სპარსეთის შაჰს ქართლ-კახეთის მეფედ აღიარებას სთხოვდა, მეორე მხრივ კი, რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა. გენერალ **ლაზარევთან** მიწერილ წერილში ბატონიშვილი აღნიშნავს: „ჩვენ ხელმწიფის წინააღმდეგ მიმართულ საქმეებში არ ვერევით, მის ჯართან ბრძოლასაც არ ვაპირებთ. ღმრთის წყალობით, შევეცდებით, გულმოდგინედ და უკეთესად ვემსახუროთ ხელმწიფეს. მაგრამ, თუ თქვენ ჩვენს დევნას არ შეწყვეტთ, ყველაფერს ხელმწიფე იმპერატორს მოვახსენებთ“. „ღმერთს ვფიცავ, – წერს **ალექსანდრე** ბატონიშვილი **ლაზარევს** სხვა წერილში, – ერთი ჯარისკაცის განაწყენებაც კი არ გვინდა, არათუ ხელმწიფის საწინააღმდეგო ქმედებებზე ვიფიქროთ“.

ომარ-ხანის დამარცხების შემდეგაც კი, რომელიც მან საქართველოს ასაოხრებლად მოიხმო, ბატონიშვილი **ალექსანდრე** ირწმუნებოდა, რომ „მზადაა გულმოდგინედ ემსახუროს ხელმწიფეს“. ხოლო, რაც შეეხება მის მონაწილეობას იმ უსინდისო თავდასხმაში საქართველოზე, ერთი მიზეზით ხსნის: „შურისძიება მათზე, ვინც საქართველოდან გააძევა და არა ხელმწიფე იმპერატორის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა“. ბატონიშვილი **ალექსანდრე** თავად **ციციანოვს** გარკვევით მიმართავდა: „პირდაპირ მითხარით, რას უნდა ველოდო ხელმწიფე იმპერატორისგან — ნუგეშს, წყალობასა თუ სარჩოს; ამ ურწმუნოთაგან დამიხსენით, მომეცით

საშუალება ქრისტიანული წირვა-ლოცვისა. დამამშვიდეთ“.

ამგვარად, რუსეთის ამ აშკარა მტერს, რომელმაც მთელი სიცოცხლე მის წინააღმდეგ ომებსა და ინტრიგების ხლართვას მოანდომა, სინამდვილეში მხოლოდ ერთი რამ სურდა — რაც შეიძლება ძვირად და ხელსაყრელად გაეყიდა საკუთარი თავი და ამისთვის, რამდენიც შეეძლო და სადაც ხელი მიუწვდებოდა, თავისი გაუბედურებული სამშობლოს ასაწიოკებლად ყველგან მტრებს პოულობდა... რა ამაზრზენი ისტორიული ფაქტია!

საინტერესოა, თვალი გავადევნოთ, თუ რას ჰპირდებოდა ბატონიშვილი **ალექსანდრე** საქართველოს მოსახლეობას. იგი ქიზიყის მიტროპოლიტს სთხოვდა, მრევლი მისდამი კეთილმოსურნედ განეწყო, „რათა რაიმე წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ცოდვაში არ ჩავარდნენ ან სისხლი არ დაღვარონ“. გავლენიან თავადებს ჰპირდება: „რა სარგებელსაც რუსეთის ხელმწიფისგან იღებთ, სპარსეთის შაჰისგან ათმაგს მიიღებთ“, და აცნობებს, რომ, თითქოს, შაჰი მას საქართველოს წინააღმდეგ საომრად 20, 30, 40, 50-ათასიან ჯარს და დასასრულს, მთელ სპარსეთს დაპირდა; რუსებს, თუნდაც 6000 ჯარისკაცი ჰყავდეთ, ყველას ცხენებით გათელავს; ამიტომ თავადებს მის მხარეზე გადმოსვლას სთავაზობს და უფრო მეტ სარგებელს ჰპირდება მას, ვინც მეტ ადამიანს მიუყვანს. უბრალო ხალხს კი ტრაბახით ცრუ ინფორმაციას აწვდიდა რუსებზე სპარსელების გამარჯვებების შესახებ და აფრთხილებდა, თუ არ უნდოდათ, რომ დასჯილიყვნენ, სპარსელებისთვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ. ამის შემდეგ, შეგონების სახით ახსენებდა, რომ უკვე 1700 წელია, რაც ხალხი მეფეებისთვის სისხლს ღვრის, დადგა დრო, წყალობა რომ დაიმსახურონ და უფრო ერთგულნი იყვნენ, ვიდრე მათი პაპები და მამები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ათმაგი სარგებლის მიღების იმედით, ბატონიშვილს მხოლოდ თავადები უთანაგრძნობდნენ, ხალხს კი ერთადერთი რამ სურდა — ისინი, რაც შეიძლება სწრაფად თავიდან მოეშორებინა.

როგორი ამაღლებული წარმოდგენა ჰქონდათ ბატონიშვილებს საკუთარ თავსა და ღირსებაზე, მეტყველებს ბატონიშვილ **ვახტან-**

გის მაგალითი, რომელიც, **სოკოლოვის** სიტყვებით, „ეშმაკობისა და გაიძვერობის შედეგად, თანამოაზრეებს წინასწარმეტყველად მიაჩნდათ“. ბატონიშვილი ვახტანგი ყოველთვის **ალექსანდრესთან** ერთად მოქმედებდა; ღიად უჭერდა მხარს **იულონსა** და **ფარნავაზს**, მაგრამ მუდმივად ეპირფერებოდა ხელისუფლებას და ემსახურებოდა რუსებს; მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილი ვახტანგი დუშეთსა და გზად განლაგებულ სოფლებს ფლობდა და შეეძლო რუსეთისთვის ხელი შეეშალა, საქართველოში მივლენილ ჩვენს ჯარს კავკასიის მთების გადალახვაში ეხმარებოდა. ასეთი ორპირობისთვის ის დუშეთიდან გააძევეს. დუშეთი გენერალ-მაიორმა **ტუჩკოვმა** დაიკავა; ვახტანგმა გუდამაყრის ხეობას შეაფარა თავი, სადაც ჯარმა ალყაში მოაქცია და ბატონიშვილი ტუჩკოვს მიჰგვარეს, რომელმაც თავდაპირველად დუშეთში, შემდეგ კი, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, საცხოვრებლად თბილისში გააგზავნა. მაგრამ ბატონიშვილი ვახტანგი ინტრიგების ხლართვას კვლავ განაგრძობდა და თავადმა **ციციანოვმა**, ბოლოს და ბოლოს, მისი რუსეთში გადასახლება გადაწყვიტა. როდესაც რუსეთში გადასახლებაზე აცნობეს, ვახტანგი, თავად ციციანოვის სიტყვებით, „ყველაზე ცბიერი და ვერაგი“, „მუხლებში ჩაუვარდა და შეწყალებას ევედრებოდა, რითაც უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა თავადი ციციანოვი“.

რა თქმა უნდა, თუ გავითვალისწინებთ ადამიანურ სისუსტეებს, ბატონიშვილების დადანაშაულება, **გიორგი** მეფის გარდაცვალების შემდეგ მომხდარ მღელვარებებსა და არეულობებში, არ შეიძლება. მაგრამ გამართლება არ აქვს მათ მიერ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს, ანუ ორივე მხარესთან – როგორც რუსეთის მთავრობასთან, ასევე თანამზრახველებთან და თანამოაზრეებთან მიმართებაში, ერთნაირად ცრუობდნენ და ორპირობდნენ: დაბოლოს, ყველა ინტერესის დავიწყება ხალხისა, რომელსაც შეგნებულად მხოლოდ იმიტომ აკოტრებდნენ და აჩანაგებდნენ, რომ რუსეთის ქვეშევრდომობის არახელსაყრელობაში დაერწმუნებინათ.

საქართველოში ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონი არ

არსებობდა. ტახტი, უკანასკნელი მეფის შვილის გვერდის ავლით, შეიძლება გადასულიყო ძმიდან ძმაზე. ამიტომ პიროვნებას გათავისებული უნდა ჰქონოდა მოქალაქეობრივი სიმამაცისა და პატრიოტული თავგანწირვის გრძნობა, რომ გათავისუფლებული ტახტი ხელში არ ჩაეგდო, არ გამოეწვია ძმათამკვლელი შინაომი და სამშობლო დასაღუპად არ გაეწირა. მოქალაქეობრივი სათნოებები იმდროინდელ ბატონიშვილებს ნაკლებად ახასიათებდათ. იმ მდგომარეობაში, როგორშიც საქართველოს სახელმწიფოებრიობა იმყოფებოდა, ბევრად უფრო განათლებული პიროვნებებიც კი გულგრილ მაყურებლებად ვერ დარჩებოდნენ, რაც საბუთდება ამჟამად საფრანგეთში მონარქიულ პარტიებს შორის მიმდინარე ბრძოლით.

ნებისმიერი, რომელიც ტახტზე პრეტენზიას აცხადებს, ყოველთვის პოულობს უსულგულო ეგოისტებს, რომლებსაც სამშობლოს გაჩანაგების ხარჯზე მისი გამარჯვება სურთ. ამიტომ ისეთი დოკუმენტების არსებობა, როგორიცაა ქართლის თავადების მიერ შედგენილი წერილი, რომელიც ასაბუთებს, თითქოს ანდერძის თანახმად, **ერეკლე II**-ის ტახტი **იულონს** ეკუთვნის, ასევე ქიზიყელი თავადების, შიდა კახეთის თავადებისა და ხალხისადმი განკუთვნილი წერილები, გარდა თავად პრეტენდენტის ინიციატივისა, არაფერს ამტკიცებენ, ისევე, როგორც ქართლის თავადების წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ ტახტის ჭეშმარიტი მემკვიდრე **გიორგი XII**-ის შვილი, ბატონიშვილი **დავითია**.

ამ დოკუმენტებში ყველაზე საოცარი ის არის, რომ პრეტენდენტს რუსულ მთავრობას წარუდგენენ, მაგრამ იქვე ხაზგასმით აღნიშნავენ ქართველი ხალხის დაჟინებულ სურვილს, დარჩეს რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომად. ეს ყველაზე საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა, რომ მსგავსი სახის, ერთი შეხედვით თითქოსდა ხალხის მოთხოვნები, მისი მოტყუების გზით არის მოპოვებული; მაგრამ ეს სიცრუე ისეთი მახვილგონივრული არ არის, რომ ხალხი დააინტერესოს და საკუთარი ინტერესები დაავიწყოს — ეს ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი, არ დაავიწყდეს და თავისი სურვილი პრეტენდენტების მიერ შთაგონებულ აზრებთან ერთად განაცხადოს.

გიორგი მეფის შვილები თავიანთ ბიძებს გონებითა და ენერგიით შეიძლება ჩამორჩებოდნენ, მაგრამ საერთო მაინც ჰქონდათ — არც ერთი მათგანი სამეფოს სარგებელზე არ ზრუნავდა. ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ აღიარებული **გიორგი** მეფის უფროსი შვილი, ბატონიშვილი **დავითი**, **ლაზარევის** სიტყვებით, „საკუთარ ინტერესებზე უფრო ზრუნავდა და სხვა საქმეებში არ ერეოდა“. როდესაც მეფე გიორგი გარდაიცვალა, დავითმა „დაახლოებულ პირთა წრეში არაფრით გამორჩეულ ახალგაზრდებს მოუყარა თავი, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ მათი მმართველობა დიდხანს არ გასტანდა და მის გარყვნასა და საკუთარი ჯიბეების ამოვსებას ცდილობდნენ; დავითს სმა უყვარდა და ისინიც საბაბს ყოველთვის პოულობდნენ“.

სამეფო ტახტზე ასვლის იმედი რომ დაკარგა, ბატონიშვილი **დავითი**, ბუნებრივია, რუსეთის მტრების მხარეზე გადავიდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გააკეთა. „ბატონიშვილი დავითის ყველა ქმედება უმნიშვნელოა, – მიმართავს გენერალი **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს**, – ყოველთვის ცდილობს მომატყუოს, მაგრამ მისი სიეშმაკის წინააღმდეგ ზომები მივიღეთ და ამიტომ თავის საწადელს ვერ აღწევს, რამეთუ ყველასთვის აუტანელი და საძულველია“. დავითის არაკეთილსაიმედობა იმდენად აშკარა იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, ბატონიშვილ **ვახტანგთან** ერთად ბატონიშვილი **დავითიც** რუსეთში გადასახლებაში გაეგზავნა.

„ბატონიშვილი **იოანე**, – ლაზარევის აზრით, – საკმაოდ სოლიდური ადამიანი იყო და რამდენადაც აქ (საქართველოში) ყველას საკუთარი სარგებელი უფრო აინტერესებს, ვიდრე ქვეყნის, ცდილობს ყველაფერს გაერიდოს და უმეტესწილად თავის სოფლებში ცხოვრობს, სადაც, თუკი შესაძლებელია, არ ერიდება, თუნდაც მოყვასის საზარალოდ, ხელში ჩაიგდოს, რაც შეიძლება მეტი“.

ამ ამონაწერებზე შევჩერდებით, რადგან ჩვენი მიზანი **გიორგი XII**-ის შვილების პიროვნული დახასიათება არ არის. ჩვენ გვსურდა დაგვესაბუთებინა ზემოაღნიშნული მოსაზრება – სამეფო დინასტიის უახლოესი წევრების მხრიდან სახელმწიფოებრივი და სახ-

ალხო ინტერესების სრული უგულველყოფის შესახებ.

სამეფო დინასტიის ქალთა პერსონალში ორი ძლიერი პიროვნება გამოირჩეოდა. ეს ქალბატონები მომავალ ქართველ დრამატურგებს საშუალებას მისცემენ გამოსახონ ეროვნული ტიპები, რომლებიც შექსპირისეულ გმირებს სისასტიკეში, გონებისა და ხასიათის სიძლიერესა და საშუალებების განურჩევლობაში ტოლს არ დაუდებენ. პირველობა, უპირობოდ, გიორგი XII-ის დედინაცვალს, **დარეჯან** დედოფალ ეკუთვნის. ეს ქალბატონი გახლდათ ეპიცენტრი, რომლის გარშემო თავს იყრიდა და აქედანვე ვრცელდებოდა ყველანაირი ინტრიგა, ცილისწამება და საქართველოს სიმშვიდისა და უსაფრთხოების საწინააღმდეგო გეგმები. დედოფალს ექვსი შვილი-ბატონიშვილი (ერთ-ერთი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), მისი მოსაზრებებისა და განკარგულებების უშუალო შემსრულებლები, მრავალრიცხოვანი ნათესაობა და მიმდევრები ჰყავდა.

დარეჯან დედოფალი ძლიერ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც რუსული ხელისუფლებაც საკმაოდ დიდხანს ანგარიშს უწევდა. იგი არაჩვეულებრივი მოხერხებულობით იფერებდა საბრალო დედის როლს, რომლის ერთადერთი საზრუნავი, **გიორგი** მეფის, ბატონიშვილი **დავითისა** და მისი პარტიის, აგრეთვე, რუსი მაღალჩინოსნების მიერ შევიწროვებული და დევნილი, შვილების კეთილდღეობა იყო. დარეჯან დედოფალი მისი საქართველოდან გაძევების ხელმოსაკიდ საბაბს არ იძლეოდა, თუმცა ცნობილი იყო, რომ აშკარად ხელმძღვანელობდა ყველა არეულობასა და ინტრიგებს. თავადმა **ციციანოვმა** მხოლოდ 1803 წელს გამოითხოვა ნებართვა, რათა „უწესრიგობების ეს სათავე საქართველოდან განიდევნოს“ და დაიწყოს „სპარსული ურჩხულის გამოზრდილი“ დედოფლის „საქართველოდან დაუყოვნებელი გამგზავრებისთვის მზადება“.

დედოფალი **მარიამი** ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნება არ გახლდათ, როგორც დედოფალი დარეჯანი. შეიძლება იმიტომ, რომ მისი მოღვაწეობა, თავდაპირველად მისი მეუღლის **გიორგი XII**-ის, შემდეგ კი, შვილის, ბატონიშვილი **დავითის** ჩრდილქვეშ მიედინე-

ბოდა. მაგრამ გენერალ **ლაზარევის** მკვლელობა მეტყველებს, რომ ეს ქალბატონი, თავისი მიზნების მისაღწევად, ყველაფრისთვის მზად იყო. ამ ფაქტს შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ მივანიჭოთ, რამდენადაც დედოფალი მარიამი, ჩაფიქრებული ჰქონდა რა რუსეთის საუკეთესო მსახურის მკვლელობა, თავის დაუსჯელობაში დარწმუნებული იყო; თუმცა, ეს მოსაზრება რომც გავიზიაროთ, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქალბატონს, სავარაუდოდ, საკმაოდ ძლიერი შექსპირისეული ხასიათის სტილი ჰქონდა, უდანაშაულო ადამიანი საკუთარი ხელით სიცოცხლეს რომ გამოასალმა. იმ დროს ქართლ-კახეთის მეფის მეუღლის ტიტული ჯერ კიდევ იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ დასჯის მაგიერ, დედოფალი მარიამი, „როგორც ტყვე და მკვლელი“, ყოველგვარი პატივის გარეშე, რუსეთში გააგზავნეს. „გენერალ ლაზარევის მიმართ მისი არაადამიანური საქციელიდან გამომდინარე“, დედოფლისთვის „ჭამის დროსაც კი დანის მიცემა აკრძალული იყო“, რაც შეეხება დედოფლისა და მისი ოჯახის შენახვას, მათ პენსია დაუნიშნეს.

რა თქმა უნდა, დროის ამაო ხარჯვა იქნებოდა დედოფლებისა და მეფის ასულების მოღვაწეობაში რაიმე სახის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიზეზები ან პატრიოტული მოტივები მოგვეძებნა, როცა არაფერი მსგავსი მეფეებისა და ბატონიშვილების მოღვაწეობაში არც კი იყო. მკაცრი მორალისტი, ამ ბედკრული ქალბატონებისთვის, რომლებმაც საკუთარი სამშობლოს დაღუპვას ხელი შეუწყეს, ყოველ შემთხვევაში, შემამსუბუქებელ გარემოებებს მაინც იპოვის — შვილებისადმი დედობრივი ეგოისტური სიყვარულის გრძნობისა და მათი კეთილდღეობის სურვილის სახით, თუმცა ყოველივე იმ გზითა და მისაღები საშუალებებით არ ხორციელდებოდა, სახელმწიფოებრივი სიბრძნე რომ მოითხოვს და რომელიც მათ არ ახასიათებდათ.

ბატონიშვილებისთვის, რომლებიც სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისთვის დაბადებისთანავე არიან განკუთვნილნი, სამშობლოს ინტერესების ღალატი და საკუთარი ხალხის კეთილდღეობისადმი გულგრილობა ყველაზე დიდი და საშინელი დანაშაულია, რომელიც უფრო მიუღებელი ხდება, თუ მას პირადი გამდიდრები-

სადმი, ხალხის საზიანოდ საკუთარი საქმეების კეთილმოწყობისა და შვილების კეთილდღეობისთვის გამუდმებულ ზრუნვას დავუმატებთ.

სამეფო ოჯახის მეორეხარისხოვანი წევრების მოღვაწეობის დახასიათებისთვის საჭირო არ არის „არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“ მოცემულ მდიდარ მასალაში ჩაძიება. ეს არ შეცვლის 67-წევრიანი სამეფო ოჯახის მმართველობის ქვეშ მცხოვრები ქართველი ხალხის კეთილდღეობის სურათის არსს; პირიქით, ისედაც მძიმე შთაბეჭდილებას უფრო გააძლიერებს, რომელსაც განიცდის ყველა, ვინც ამ დოკუმენტებით ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის საკითხს ეცნობა. მოგვიწევს **სოკოლოვის** შემდეგი მოსაზრების გაზიარება: „ხალხი ძალიან გახარებულია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო საგვარეულო სამი წევრით შემცირდა; მაგრამ ეს სიხარული, ჩემი ჩამოსვლიდან მოკლე ხანში გაქრა – რუსეთიდან შეტყობინება მოვიდა, რომ ბატონიშვილებს სამშობლოში აბრუნებენ“. „ზუსტად ვიცი, – წერს სოკოლოვი, – რაოდენ ძლიერად სურს აქაურ ხალხს ისეთი ბატონიშვილებისა და მეფის ასულების სამუდამოდ თავიდან მოცილება, ყველა შფოთისა და არეულობებისგან სარგებელს რომ იღებენ“.

ქართლ-კახეთის სამეფო კართან ნაცნობობა გვაიძულებს, **გიორგი XII**-ის პიროვნებას შემწყნარებლურად მოვექცეთ. სახელმწიფო საქმეებს ყურადღებას ვერ აქცევდა, ავადმყოფობა უშლიდა ხელს: ყველა მოვლენას სხვისი თვალით აღიქვამდა. მეფეს მოახსენებდნენ იმას, რასაც თავისთვის მომგებიანად თვლიდნენ და მისი სახელით ბოროტად სარგებლობდნენ. მეფის ყველა გადაწყვეტილება, მისი საუკეთესო თანაშემწეების, მეუღლისა და ბატონიშვილების მეშვეობით, უკონტროლოდ სრულდებოდა. თუ როგორ ეხმარებოდნენ ისინი მეფეს, შემდეგი ფაქტის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ: საქართველოსთვის ყველაზე დიდი ბოროტება, **კოვალენსკის** თანამდებობაზე დატოვება, ქრთამის მეშვეობით მოხდა – **მარიამ** დედოფალს 3000 რუბლი გადაუხადეს.

უფრო საინტერესოა **ლაზარევის** მონათხრობი: **მარიამ** დედოფალმა სასამართლოს, რომელიც იხილავდა მდიდარის მიერ უღა-

რიბესი ადამიანისთვის მიწის წართმევის ფაქტს, ურცხვად წარუდგინა საბუთი და განუცხადა, რომ ქრთამის სახით მხოლოდ ოქროს ხუთთუმნიანი აიღო. ამის შემდეგ შეგიძლიათ მის ზნეობასა და სულის სიდიადეზე იმსჯელოთ, აღნიშნავს ლაზარევი. **გიორგი** მეფემ, რა თქმა უნდა, ბევრი არასამართლიანი ბარათი გასცა, მაგრამ ეს, უმეტესწილად, საქმეში ჩაუხედაობით ხდებოდა — რამეთუ არ იცოდა, რასა იქმდა. როგორც მეფეს, მას, თავისი მეუღლის მსგავსად, უსამართლო გადაწყვეტილებებისთვის ქრთამი აღება არ შეეძლო, არ სჭირდებოდა, რადგან ქვეყანაში, სადაც სიტყვა „კანონმა“ მნიშვნელობა დაკარგა, მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება უკვე კანონიერი იყო.

თავისი მდგომარეობით **გიორგი XII** დესპოტი მმართველი იყო, მაგრამ არც ძალა და არც საშუალება ჰქონდა, რომ თავისი უფლებებით ესარგებლა. მეფის უფლებებიდან სარგებელს ქართველი ხალხის ძარცვით და დარბევით, მხოლოდ მეუღლე, შვილები და ერთგული დიდებულები იღებდნენ, რომლებიც გიორგის ავადმყოფობის დროს მის სარეცელს არ შორდებოდნენ. თავად მეფეს არ შეეძლო შეგნებულად დაემკვიდრებინა უსამართლობა, დაეღუპა და დაერბია ქართველი ხალხი, რომლის ფიზიკური არსებობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკუთარ და მისი შთამომავლობის ინტერესებთან.

როგორი დაბალიც არ უნდა ყოფილიყო მისი გონებრივი განვითარებისა და ზნეობრივი სრულყოფის დონე, **გიორგი**, რა თქმა უნდა, კარგად აცნობიერებდა ამ ჭეშმარიტებას. მას არ შეეძლო დავიწყებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მეფე იყო; ამიტომ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უარს ვერ იტყოდა; ის იძულებული იყო, ქართველებისადმი უფრო მეტი სითბო და უფრო მეტი გულისხმიერება გამოეჩინა, ვიდრე მისი გარემოცვა იჩენდა, რომელიც ბოროტად იყენებდა მის ავადმყოფობით გამოწვეულ უმოქმედობას და მეფის სახელითა და ძალაუფლებით სარგებლობდა.

ვერ ვიფიქრებთ, რომ **გიორგი** მეფემ ამის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ავადმყოფობა, ხასიათის სისუსტე და მატერი-

ალური შესაძლებლობების უქონლობა, საშუალებას არ აძლევდა საკუთარი ოჯახის ზღვარგადასული სიხარბე შეეზღუდა, რომლის მთავარი ინტერესი მეფის ხელისუფლების დაუძლურება იყო. ეს იყო ერთადერთი წინაღობა, რომელიც მათ საქართველოს გადანაწილებაში ხელს უშლიდა. მაგრამ სამეფო დინასტიის წევრებს შორის საქართველოს გადანაწილება, ნებაყოფლობით იქნებოდა ეს თუ შეთანხმების საფუძველზე, წარმოუდგენელი იყო: რომელიმე ბატონიშვილის მიერ თავისი ძმისთვის ან ძმისშვილისთვის ერთი გოჯი მიწის ან ერთი კვერი პურის წართმევა, მაშინდელი ქართული ზნე-ჩვეულებებითა და ადათ-წესებით, შურისძიებას, სისხლის აღებასა და უდანაშაულო ხალხის დარბევასა და გაკოტრებას იწვევდა.

რაოდენ სუსტი გონებისა არ უნდა ყოფილიყო **გიორგი**, თავისი ოჯახის წევრების მსგავსი დანაშაულებანი მისთვის უცნობი არ იყო, რადგან ნათესავებთან ყოველდღიური შეხლა-შემოხლის, აგრეთვე თავადების, დიდებულებისა და უბრალო ხალხის მათზე გამუდმებული საჩივრების წყალობით, ყოველივეს თვით ხედავდა. ჯარი ან ქალაქის მაცხოვრებელთა დაჯგუფება რომ ჰყოლოდა, რაც ევროპელ მეფეებს ფეოდალური წესების დაძლევაში დაეხმარა, ან თუნდაც გარეშე მოკავშირე, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა საქართველოს არსებობით, შესაძლებელია საქართველოს უკანასკნელ მეფეს თავისი ოჯახის წინააღმდეგობის ჩახშობა ეცადა და სამეფო დაღუპვისგან გადაერჩინა. მაგრამ მას არაფერი მსგავსი არ გააჩნდა. ის განწირული იყო, სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საწარმოო ძალების განადგურებისთვის მდუმარედ ეცქირა.

იმ შემთხვევაში, თუ მას სინდისი არ მისცემდა საშუალებას, რომ თავისი უმოქმედობით ქართლ-კახეთის სამეფოს დაღუპვა ეღიარებინა, მაშინ ერთადერთი რამ დარჩებოდა: ტახტზე უარი უნდა ეთქვა. თუმცა, მისი გადადგომაც სამეფოს ვერ გადაარჩენდა. ვინც არ უნდა დაენიშნა მემკვიდრედ — **იულონ ირაკლის ძე**, თუ **დავით გიორგის ძე**, ბიძებსა და ძმისშვილებს შორის ძმათამკვლელ შინაომს თავიდან ვერ აიცილებდა. ისეთი პიროვნებები, რო-

გორიც **დარეჯან** დედოფალი და დედოფალი **მარიამი** იყვნენ, შუა გზაზე არ გაჩერდებოდნენ; ლეკების, სპარსელებისა და თურქების დახმარებით მეორე მხარის განადგურებაზე უარს არ იტყოდნენ; სამეფოსაც საბოლოოდ ააოხრებდნენ და მოსპობდნენ.

სუსტი ხასიათის **გიორგი** მეფეს შეიძლება სამარცხვინო ნაბიჯიც კი გადაედგა, სამეფო დაეტოვებინა, საქართველოდან გაქცეულიყო და სამომავლოდ თავისი თავი და შვილები ლუკმა-პურით უზრუნველეყო. სრულიად შესაძლებელია, ასეთი პროექტი მართლაც არსებულიყო. **ლაზარევმა კნორინგს** აცნობა, რომ თითქოს გიორგი მეფის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, გამოართვა რა დედოფალს გასაღები, ბატონიშვილი **დავითი** მეფის ქალაქდებს არჩევდა და მათში ერთი შავად ნაწერი წერილი იპოვა. ამ წერილში **გიორგი** ხელმწიფე იმპერატორს თავისთვის რუსეთში 30000 სულსა და ყოველწლიურად 200000 რუბლს, თავისი ძმებისთვის კი საქართველოში ან რუსეთში პენსიით უზრუნველყოფას სთხოვდა. მაგრამ რუსეთს საქართველო არ სჭირდებოდა და ამიტომ, ბუნებრივია, ასეთი სახით სამეფო უფლებების ყიდვა, სინამდვილეშიც რომ ყოფილიყო შეთავაზებული, ვერ განხორციელდებოდა, და საქართველოს გაყიდვა არ შედგა.

გიორგი მეფეს მოუწია რუსეთის იმპერატორისთვის ქვეშევრდომობა ეთხოვა. ამ მიზნით მან პეტერბურგში, **გარსევან ჭავჭავაძის**, **გიორგი ავალიშვილისა** (ავალოვის) და **ელიზბარ ფალავანდიშვილის** (ფალავანდოვის) სახით ელჩობა გააგზავნა. ფაქტების მიუკერძოველელი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ელჩობის გაგზავნა გამოწვეული არ იყო არც გიორგი მეფის ეგოიზმით, არც მისი სურვილით, მდიდარი რუსი იმპერატორისგან პირადად მიეღო პენსია, არამედ ეს მოლაპარაკება, თანამედროვე ისტორიული პირობების გათვალისწინებით, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის თუ არა, ქართველი ხალხის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

რაოდენ დაუძლურებულიც არ უნდა ყოფილიყო, **გიორგი** მეფეს ქართველ ხალხის ზრუნვაზე ფიქრი არ ასვენებდა. მართალია, ავადმყოფი და დაუძლურებული, მაგრამ გიორგი მაინც

ქართლ-კახეთის სამეფოს მეფე იყო. ნებისმიერი ადამიანისთვის ამ ტიტულის შენარჩუნების სურვილი იმდენად ბუნებრივია, რომ **ლუდოვიკო XV**-ის ცინიკური ფრაზის მიუხედავად, იდიოტსაც კი ახასიათებს. გიორგი მეფეს გარდაუვალი ძმათამკვლელი შინაომების თავიდან აცილება მხოლოდ გარეშე ძალის დახმარებით შეეძლო. ქართლ-კახეთის ამ უძლურ დესპოტ მეფეს ეს ყველაზე კარგად ესმოდა, ვიდრე სხვებს. მაგრამ ძლიერი ისლამური სახელმწიფოებისა და პატარა სამფლობელოების გარემოცვაში მყოფს, სად უნდა მოეძებნა ისეთი კეთილი ძალა, რომელიც ალაგმავდა სამეფო ოჯახისა და მისი ნათესავების პირის გემოს მოყვარულობისა და გაუმაძღრობის ინსტინქტს, დაიცავდა ქართველ ერს აღგვისაგან პირისაგან მიწისა თავისი ათასწლოვანი ისტორიით, ქრისტიანული რელიგიით, მისი ქრისტიანული წეს-ჩვეულებებითა და ხასიათით?

სპარსეთისა და თურქეთის მფარველობაში, რომლებიც ქრისტიანობისადმი და ქრისტიანების მიმართ მათი რელიგიური შეუწყნარებლობით გამოიჩეოდნენ; ხანებისა და ფაშების მმართველობის დესპოტურ უთანხმოებების პირობებში, რისი მაგალითიც საქართველოში ყველგან იყო, – ცხადია, რომ ამ უთანხმოებების პირდაპირი შედეგი მათი მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხისთვის ყველა ადამიანური უფლების დაკარგვა და უიმედო, განწირული მონობა იქნებოდა. ყოველივე ეს ვერ მოხიბლავდა გულკეთილ და კეთილმორწმუნე **გიორგი** მეფეს, მით უმეტეს, იმ დროს, როცა მძიმე ავადმყოფმა მარადიულობაზე ფიქრი დაიწყო და უზენაესთან თავის ქმდებებზე პასუხისგებისთვის ემზადებოდა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მეფე მსგავსმა შიშმა აიტანა. ეს გასაკვირი არ არის.

ყველა დოკუმენტი ადასტურებს, რომ მთელ საქართველოში მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებებს იცავდნენ და მკაცრად აღასრულებდნენ, რაც, რა თქმა უნდა, განპირობებული არ იყო უმაღლესი, მარადიული და უცვლელი ჭეშმარიტებისადმი პატივისცემითა და სიყვარულით; ეს მომავალი ცხოვრებისა და განკითხვის შიში იყო. ამ მოსაზრებას **გიორგი XII**-ის მეუღლე,

მარიამ დედოფლის მაგალითი ადასტურებს. მან გულგრილად, წინასწარგანზრახულად, საკუთარი ხელით სიცოცხლეს გამოასალმა გენერალი **ლაზარევი**, მაგრამ რუსეთში გამგზავრების წინ თავად **ასლან ორბელიანს** წერილი გაუგზავნა, რომელშიც სთხოვდა, თავისი დედისთვის გადაეცა, რომ სუფთა გულით ელოცა მისი სულისთვის და სხვადასხვა ეკლესიაში 170 წირვა და 40 სამადლობელი პარაკლისი გადაეხადა.

გასაგებია, რომ **გიორგი** მეფეც, ემზადებოდა რა სიკვდილისთვის, უნდა განრიდებოდა და უარი ეთქვა ყოველივე მატერიალურზე, მათ შორის ქართლ-კახეთის მეფის უფლებაზე, რომელიც საკუთარი კეთილდღეობისთვის ქართველი ხალხის გამოყენებას გულისხმობდა; ფიქრობდა ამა ქვეყნის ამაოებაზე, განსაკუთრებით უფლისადმი გულწრფელი ანგარიშის წარდგენაზე — რა გააკეთა სამეფოსთვის როგორც მეფემ. ალბათ, ბერძნული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მრავალი მეფე და უფლისწული გაიხსენა, რომლებიც თავისი ხალხისთვის სიცოცხლეს არ იშურებდნენ, არა თავიანთ თავზე და საკუთარ მამონაზე, არამედ მხოლოდ მათთვის ღმრთის მიერ მიბარებულ ხალხზე ზრუნავდნენ.

რელიგიური შეხედულებების მქონე სუსტ და შეზღუდული აზროვნების ადამიანს თავისი მოვალეობების ასეთი იდეალიზაცია, საკმაოდ ხშირად, სწორედ სიკვდილის წინ უჩნდება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ **გიორგი** მეფე, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში სამეფოს კეთილდღეობაზე საერთოდ არ ზრუნავდა, სიკვდილის წინ დაფიქრდა თავისი დაბეჩავებული ხალხის მდგომარეობაზე; სრულად ჩაწვდა დესპოტური ანარქიის ბოროტებას, რომელშიც ქართლ-კახეთი იმყოფებოდა სამეფო დინასტიის მრავალრიცხოვნობის, გაუმაძღრობისა და ვიწრო ეგოიზმის წყალობით და გარდაუვალი აოხრებისა და მუსლიმების შთანთქმისაგან თავისი სამეფოს შენარჩუნება ისურვა.

იმ დროს ყველა ევროპული სახელმწიფო საქართველოდან დიდი მანძილით იყო დაშორებული; ამიერკავკასიასთან არაფერი აკავშირებდათ და, მით უმეტეს, საქართველოს სამეფოზე თითქმის არაფერი იცოდნენ. თუმცა ქართველებსაც ამ ქვეყნებზე საკ-

მაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. **თეიმურაზ** ბატონიშვილი ერთ-ერთი ძმისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს ისტორიის წიგნის, ლექსიკონისა და მსოფლიოს რუკის, თუნდაც ფრანგულ ენაზე, მოძიებას სთხოვდა. მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილს ეს სურვილი რუსეთში წასვლის წინ გაუჩნდა და არა მაშინ, როცა შეეძლო სამეფოს მმართველობაში მონაწილეობა მიეღო. საქართველოს მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ჰქონდა ურთიერთობა. ქართველი მეფეები კრიტიკულ სიტუაციებში უძველესი დროიდან რუსეთს მიმართავდნენ და მისი იმედი ჰქონდათ. ამიტომ გიორგი მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა: მფარველობისთვის რუსეთისთვის უნდა მიემართა, რომელმაც, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, სპარსელებისა და ლეკების თავდასხმისგან საქართველოს დასაცავად ეგერების მე-17 პოლკი გამოგზავნა.

მაშასადამე, ვერ დავუშვებთ, რომ **გიორგი XII** რუსეთის მფარველობას პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ითხოვდა: მარადისობის წინაშე წარმდგარს, ამაზე ფიქრის დრო არ ჰქონდა. ხალხისა და ქართლ-კახეთის სამეფოს კეთილდღეობა, თუნდაც სიმშვიდისა და მამა-პაპათა რწმენისა და ადათ-წესების შენარჩუნების სახით, ერთმორწმუნე და ძლევამოსილი სახელმწიფოს დახმარებას მოითხოვდა. სწორედ ასეთი სახელმწიფო იყო რუსეთი, რომელიც ისტორიული ბედ-იღბალით კავკასიის მთებს მიეჯაჭვა.

მხოლოდ რუსეთს შეეძლო, გარეშე მტრების მიერ გაღატაკებული და ყველა თვალსაზრისით დაშლილი, ძმათამკვლელი ომებითა და სამეფო დინასტიის ანგარებით ილაჯგაწყვეტილი საქართველოს დაცვა მუსლიმების დაპყრობისაგან. რუსეთის მფარველობას გიორგი მეფე ქრისტიანობის თვალსაზრისით აფასებდა. ეს შემდეგით დასტურდება: უკანასკნელ წუთებში ის უაღრესად უხეშად ექცეოდა თავის მემკვიდრესა და ოჯახობას; განსაკუთრებით ცდილობდა დარწმულებულიყო, შესძლო თუ არა რუსეთის მფარველობის ქვეშ სამეფოს გადაცემა. მეფე გამუდმებით ეკითხებოდა გენერალ **ლაზარევს**: მალე თუ დაბრუნდებიან პეტერბურგში გაგზავნილი ელჩები? „როცა ვხედავდი, თუ როგორ ანუგეშებდა მას ელჩების მალე დაბრუნება, – წერს ლაზა-

რევი, – ყოველთვის ვამშვიდებდი, ვეუბნებოდი, რომ ძალიან მალე ჩამოვლენ“. მეფე ამაზე ყოველთვის პასუხობდა: „მაშინ მე მშვიდად მოვკვდები“.

გიორგი მეფე მართალი იყო. რუსული ხელისუფლებისა და ჯარის საქართველოში ყოფნამ ხელი შეუშალა ძმათამკვლელ შიდა ომებს; «თქვენ გარეშე, – ეუბნებოდნენ ბატონიშვილები გენერალ **ლაზარევს**, – ჩვენ ერთმანეთს დავხოცავდით». შემდეგ: დროებითი მთავრობისა და საქართველოს უმაღლესი მთავრობის დაფუძნებამ, საქართველოში მთავარსარდლის დანიშვნამ და ყოფილი სამეფო დინასტიის წევრების თანდათანობითმა დამორჩილებამ და გადასახლებამ, ბოლოს და ბოლოს, რუსების ხიშტების იმედით, საშუალება მისცა ქართველ ხალხს, მოეპოვებინა პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება და დაეწყო გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, რაც მისთვის, სამეფო ოჯახისა და თავადაზნაურთა ძარცვისა და შევიწროების შედეგად, ამდენი საუკუნე მიუწვდომელი იყო.

სამეფო ოჯახსა და თავადაზნაურთა წოდებას **ლაზარევი** ასე ახასიათებს: „ვგრძნობ, რომ საკმაოდ რთულია ამ საკვირველ ადამიანებთან ურთიერთობა და ისეთ მდგომარეობასთან (იგულისხმება **გიორგი XII**-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებული მოვლენები) შეგუება, სადაც ნებისმიერი ნაბიჯი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. თუ თავად რაიმეს არ გააკეთებ, თვითონ გამოიგონებენ. მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ ერთმანეთს რამე მოპარონ და ადგილ-მამული და, თუ შესაძლებელია, სიცოცხლეც კი წაართვან“.

ნათქვამიდან გასაგებია, რომ **გიორგი XII**-მ რუსეთთან შეერთება გარდაუვალი ისტორიული აუცილებლობის შედეგად გადაწყვიტა და არა პირადი მიზნების გადასაწყვეტად, თუმცა კი თავისი ინიციატივით განახორციელა — 1800 წელს ის ქართლ-კახეთის მეფე იყო და მას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ **გიორგი XII**-ს თავის ხალხთან მოლაპარაკება არ შეეძლო არა მარტო დესპოტური მმართველობის არსიდან, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს მა-

შინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე. მეფეს „ეშინოდა რა, რომ მისი განზრახვა დროზე ადრე არაკეთილმოსურნე მეზობლებისთვის ცნობილი არ გამხდარიყო, რომლებიც, თავის მხრივ, ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ გიორგი მეფის რუსეთთან, მათთვის საზიანო, მოლაპარაკების ჩაშლაში, – აცნობებს გენერალი **კნორინგი** ხელმწიფეს, – საშიშროებას გრძნობდა, აგრეთვე, ბატონიშვილი-ძმებისა და ქვრივი დედოფლის, მათი დედის მხრიდან, რომლებსაც მეფობა სურდათ და წინააღმდეგობას გაუწევდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებას. გიორგი XII-მ საიდუმლოდ, რამდენიმე ერთგულ, მაღალ სამეფო მოხელესთან მოლაპარაკების შემდეგ, უფლებებით აღჭურვა თავისი ელჩები, თავადები **ჭავჭავაძე, ავალიშვილი** და **ფალავანდიშვილი** და დაავალა, რუსეთის მონარქისთვის ქვეშევრდომობა ეთხოვათ“.

თუკი **გიორგი XII**-ს ღიად არ შეეძლო ეთათბირა მის ერთგულ მაღალჩინოსნებთან, უბრალო ხალხთან მოთათბირებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ხალხს რუსეთის ქვეშევრდომად გახდომის დიდი სურვილი ჰქონდა. ამის მიზეზი იყო ის მძიმე და გაუძლისი მდგომარეობა, რომელშიც ხალხი იმყოფებოდა და რომელიც აუცილებლად უკეთესობისკენ უნდა შეცვლილიყო; აგრეთვე, ის საერთო მზადყოფნა, სიხარული და შემწეობა, რომელიც ქართველმა ხალხმა რუსეთის ქვეშევრდომად აღიარების, ტახტის მემკვიდრეობითობის გაუქმების, სამეფო დინასტიის წევრების გადასახლებისა და დრომოჭმული დინასტიის ადგილზე რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოხატა.

III. სურდა თუ არა ქართველ ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობა?

ხალხის სათავეში მდგომი გამოჩენილი პიროვნებების მდგომარეობა, მათი მოღვაწეობის შედეგად დატოვებული კვალი, საგარეო ურთიერთობების ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა, ისტორიული მოვლენების მკვლევარების ყურადღებას იმსახურებს. ამ პიროვნებებს ხალხის ისტორიული

ცხოვრების მდინარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. ნებისმიერი ისტორიული მოვლენა ხალხის ცნობილი წარმომადგენლის ან ხელმძღვანელის საქმეთა მიხედვით, ერთი მხრივ, დიდი გეგმებითა და ნაყოფიერი მოღვაწეობით, მეორე მხრივ კი, შეცდომებით, უმოქმედობით და პირადი ინტერესებით შეიძლება აიხსნას, მაგრამ ასეთი მარტივი ახსნა ვერც ზუსტი იქნება და ვერც მთლად უეჭველი. ხელმძღვანელი პირები და მმართველი ელიტა იმ ზღვის ზედაპირული, შედარებით უმნიშვნელო ხილული ფენაა, რომელსაც ხალხი ჰქვია. ამ ზღვის არსებობის მიზეზები სულაც არ არის ის, რაც ზღვის ზედაპირის აბობოქრებას იწვევს და რაც საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ტალღების ზევით-ქვევით დაცემისა და ატყორცნის სურათს.

მართალია, მმართველი ელიტისა და ხალხის ცხოვრებაში მისი ხილული წარმომადგენლობის, ადმინისტრაციის ხელში თავმოყრილია ინტელიგენციისა და ხალხის მატერიალური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ, ხალხისგან დამოუკიდებლად, მის ზედაპირზე არსებობისა და ყველა ხელმძღვანელი პირის განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ პირებისთვის **საკმაოდ რთულია**, მონაწილეობა მიიღონ სახალხო ძალების შექმნაში და **უაღრესად ადვილია**, ხელი შეუწყონ მათ დაშლასა და გახრწნას.

როგორი ძლიერი და დახელოვნებულიც არ უნდა იყოს ადმინისტრაცია, მას ძალა არ შესწევს, მთელი ხალხი თავის განკარგულებაში დაიქვემდებაროს და მისი ცხოვრების ყველა მიმართულებას ჩასწვდეს, რაც ყოველთვის ეკონომიკური კანონებით განისაზღვრება და, უმეტეს შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირების იდეალებთან, მოღვაწეობასა და შეცდომებთან საერთო არაფერი აქვს. მოქმედ ძალებს, რომლებსაც, საბოლოო ჯამში, ეს ისტორიული და ეკონომიკური კანონები განსაზღვრავენ, არაფერი განსაკუთრებული და ზებუნებრივი არ ახასიათებთ. ისინი თავს მუდმივად, ასე ვთქვათ, ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ამჟღავნებენ; მაგრამ მათი ზემოქმედების შედეგები, მსგავსად ფიზიკური ძალების ზემოქმედების რეზულტატებისა, როგორიცაა, მაგალითად, დედამიწის ზედაპირზე გეოლოგიური მოვლე-

ნების წარმოქმნა, თავს იჩენს მხოლოდ დროის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ; ამიტომ ეს შედეგები უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება და თითოეულ დამკვირვებელს, ამ ძალების მიერ ადრე განხორციელებული მოქმედებებისა და სავარაუდო შედეგების თანმიმდევრულობის შესახებ, მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი ჰიპოთეზების შემუშავების შესაძლებლობას აძლევს.

აქედან გამომდინარე, პასუხს კითხვაზე — სურდა თუ არა ქართველ ხალხს რუსეთთან შეერთება — პირდაპირ, უშუალოდ ვერ გადავწყვიტავთ, რამდენადაც ამ ხალხს, უპირველეს ყოვლისა, არ ჰქონდა შესაბამისი ორგანო, რომლის მეშვეობით შეეძლო ამ კითხვაზე მიუკერძოებლად გამოეხატა თანხმობა, ან არ დათამხმებულიყო; მეორე მხრივ, ეს ხალხი ისეთი სხვადასხვაგვარი ელემენტებისგან შედგებოდა, როგორიცაა თავადები, დიდებულები, უბრალო ხალხი, ქართველები, სომხები, ნახევრადველური მთიელი ტომები – ოსები, ფშაველები, ხევსურები და სხვ. ხალხის ყველა ამ შემადგენელ ელემენტს საერთო სიკეთესა და საერთო ინტერესებზე თავისი, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება ჰქონდა და ერთსულოვნად საერთო მიზნებსა და ყველასთვის მისაღებ მოსაზრებებზე ვერასდროს თანხმდებოდნენ.

მიუხედავად ამისა, რადგან ყველა მათგანი ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები იყვნენ, ერთი დინასტიის მმართველობას ექვემდებარებოდნენ და ყველა ადრინდელი, ისტორიული მოვლენების გავლენით შემუშავებული და დამკვიდრებული წესები, უფრო სწორედ, უწესრიგობები ერთნაირად აისახებოდა სრული უუფლებობისა და ქვეყნის შიგნითა და გარეთ პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უქონლობის სახით. – ამიტომ ჩვენ, განვიხილავთ რა ქართველი ხალხის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მდგომარეობას, შემდეგი დასკვნის გაკეთების საფუძველი გვაქვს — მას სურვილი უნდა ჰქონოდა, რომ მისი მძიმე, გაუსაძლისი ხვედრი უკეთესობისკენ შეცვლილიყო.

არ გავითვალისწინებთ საქართველოს სამეფოს მოშლის სრულ სურათს და მხოლოდ რამდენიმე მონაცემს მოვიყვანთ, რაც სრულიად საკმარისი იქნება, რომ ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა საქა-

რთველო რუსეთთან შეერთების პერიოდში.

კოვალენსკი, რომელიც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სამეფოს რეალურ მდგომარეობას რუსეთს ყოველთვის უმალავდა, თავის ჩანაწერებში საქართველოს შესახებ წერდა: «ქვეყნის შინაგანი კეთილმოწყობა, მარლთმსაჯულების სფეროში წესრიგი, ხალხის განათლება, საკუთრებისა და პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფით თითოეულის გამდიდრება, სულის მხნეობისა და ერთსულოვანი თანხმობის შთაგონება, შეძლებისდაგვარად მოწესრიგებული ჯარის შექმნა და, ბოლოს, მეზობლებთან მჭიდრო კავშირის დამყარება... ჩემი შეგონებისა და ძალისხმევის მიუხედავად, ყოველივე ეს ამ დროისთვის არც კი დაწყებულა».

სხვაგვარად ვერც იქნებოდა. წინამდებარე თავში განხილულ მოვლენათა მიხედვით ჩვენ საშუალება გვქონდა, მეფის უძლურობაში დავრწმუნებულიყავით — დესპოტური ძალაუფლების მიუხედავად, მან თავისი ხალხის საკეთილდღეოდ ვერაფერი გააკეთა. როგორც ბატონიშვილი **ალექსანდრე** გენერალ **ლაზარევთან** გაგზავნილ წერილში გულახდილად აღნიშნავს, ბატონიშვილები მეფეს პატივს არ სცემდნენ. «საქართველოს ხალხი თქვენ გერიდებათ და არა იმას, ვინც მას უნდა მსახურობდეს» (მეფე გიორგი XII-ს). მაგრამ თავად ბატონიშვილები, მეფის განკარგულებების შემსრულებლები და უახლოესი თანაშემწენი, რას აკეთებდნენ და როგორ აისახებოდა ხალხის კეთილდღეობაზე მათი საქმიანობა, შემდეგი ფაქტით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

დედოფლების, ბატონიშვილების, მეფის ასულებისა და მათი შვილების საერთო რაოდენობა 1800 წელს 73-ს ადამიანს შეადგენდა, ხოლო თუ გამოვაკლებთ დადიანის ოჯახობას (7 ადამიანი), რომელიც თავს სამეგრელოში ირჩენდა, აღმოჩნდება, რომ სამოცდაექვს ადამიანს უბედური საქართველოს, რომელშიც მხოლოდ 35000 კომლი ცხოვრობდა, გაღატაკების მოთხოვნილება და უფლება ჰქონდა. რა თქმა უნდა, სამეფო ოჯახის წევრები არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს. მათ განსხვავებული, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები ჰქონდათ, ერთმანეთს ადგილ-მამულებს, შემოსავალ-

სა და ადამიანებს ართმევდნენ, განუწყვეტლივ კინკლაობდნენ, ვერ იტანდნენ და სამაგიეროს უხდიდნენ ერთმანეთს; ცრუობდნენ და ერთმანეთს უჩიოდნენ თავდაპირველად მეფესთან, ვიდრე ის ცოცხალი იყო, შემდეგ კი რუსულ ხელისუფლებასთან. მათ ურთიერთობებში გარკვევა და, მით უმეტეს, მათი დაკმაყოფილება, შეუძლებელი იყო, რადგან ბარათები თითოეული მათგანის ყველა შესაძლო უფლებას აუქმებდა: ერთდროულად ყველა მართალი და ყველა მტყუანი იყო. ყველა ადგილ-მამული დავის საგანი იყო და ყველა ერთნაირად გაპარტახებული პატრონების მიერ.

ერთი რამ არის გასაკვირი, ამდენი ძალადობისა და მეტად დიდი მოსაკრებლების შემდეგ, რომლებიც მოსახლეობის გადამხდელუნარიანობას ძირს უთხრიდა, რაღაც სახსრები კიდევ რომ შემორჩა. არადა, საქართველოს 1801 წლის შემოსავალი რუსეთთან შეერთების დროს, შესაძლებელია 60287 რუბლი და 45 კაპიკი ყოფილიყო.

იმის გასარკვევად, თუ რა უჯდებოდა საქართველოს სამეფო კარის ჩვიდმეტი წევრის – დედოფლების, ბატონიშვილებისა და მეფის ასულების კანონიერი, ასე ვთქვათ, საშტატო შენახვა, «არქეოგრაფიული კომისიის აქტებიდან» რამდენიმე მონაცემი მოვიყვანოთ. ერეკლე II-ის მეუღლის, **დარეჯან** დედოფლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ვიგებთ, რომ საკუთრივ მისი პერსონისა და სამეფო კარის გამოკვებაზე ყოველდღიურად იხარჯებოდა:

4 კოდი ფქვილი; 24 ლიტრი ხორცი.

სამარხვო დღეს: თევზები — დოში 8 წყვილი; ზურგიელი 3 წყვილი; ხიზილალა 4 ლიტრი; სამარხვო ბოსტნეულისა და კაკლის მარაგი – 4 ლიტრი; მარილი – თითო-თითო ლიტრი; ხახვი – 1 ლიტრი (9 ფუნტი).

ღამისთვის – გაქონილი სანთლები 6 ფუნტი.

ღვინო, სურსათ-სანოვაგის შესაბამისად საპალნეებით გაიცემოდა. შეშა მეზობელი სოფლებიდან მიეწოდებოდათ.

ცხენებისა და ჯორცხებისთვის 17 ლიტრი ქერი, ხოლო ჩელხი (ბზე) მეზობელი სოფლებიდან პროპორციებით მიეწოდებოდათ.

როგორც ქვრივი დედოფლისა და მისი შტატის შესანახად გამო-

ყოფილი ნოყიერი პროდუქტების ჩამონათვალიდან ჩანს, ქართული სამეფო კარი გასტრონომიული თვალსაზრისით არ ბრწყინავდა. სხვათა შორის, თავად **დარეჯან** დედოფალი სულაც არ იყო წინააღმდეგი, უკეთესად ეკვება. ყოველ შემთხვევაში, რუსეთში მისი ბადრაგირების დროს ბარონი **უმიანცოვი** თავად **ციციანოვს** შეძრწუნებული აცნობებდა, დედოფლისა და მისი ამალის შენახვაზე ყოველდღიურად რა თანხა იხარჯებოდა სურსათისთვის: «დაახლოებით 3 ფუნტი შაქარი; 20 თუნგზე მეტი ღვინო; 3 ცხვარი; 15-მდე ქათამი; 100-დან 150-მდე პური».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რა სავალალო მდგომარეობამდე იყო მიყვანილი საქართველო, თუკი ასეთი გლახაკური სარჩო სამეფო ოჯახის უფროსს წევრებს აკმაყოფილებდა, უპირველეს ყოვლისა, **დარეჯან** დედოფალს, რომელიც, მისი მეუღლის ერეკლე II-ს მეფობის დროს, ყველა შიდა შფოთისა და უკანონობის მოთავე და მთავარი დამნაშავე იყო. მეორე მხრივ, ზემომოყვანილი ციფრების საფუძველზე, ცხადია, რომ სამოცდაშვიდწევრიანი სამეფო ოჯახის ასეთი გლახაკური სარჩო-სანოვაგის მხოლოდ სასურსათო პროდუქტებზე დაკისრებული მოსაკრებელი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფულადი შესატანების აკრეფას), ქართველ გაღატაკებულ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაც, რომელიც მხოლოდ 35000 კომლს შეადგენდა, და განსაკუთრებით მოსაკრებელის ამოღების მეთოდი: ძალმომრეობისა და ბარათების მეშვეობით, რომლებსაც ყველას აძლევდნენ და რომელთა გაცემაზე კონტროლი დაწესებული არ იყო.

«მეფის მსახურებაში მყოფმა არც ერთმა დიდი სტაჟის მქონე ქართველმა ჩინოვნიკმა, – აცნობებდა გენერალი **კნორინგი** ხელმწიფეს, – სწორი მონაცემები არ მომაწოდა — არც სოფლების სახელწოდებებზე, არც იქ მცხოვრები მოსახლეობის ეროვნებაზე, არც ქონებრივ მდგომარეობაზე, არც აღმსარებლობაზე და არც ქართული სამეფო კარის წევრების საუფლისწულო მამულებსა და მემამულეების შესახებ, მით უმეტეს, სახლებისა და ოჯახების რაოდენობაზე. ჭეშმარიტებასთან ოდნავ მაინც მიახლოებულ მო-

ნაცემებსაც ვერ ვფლობთ».

«ამჟამად ქართლისა და კახეთის მიწების ყოველ გოჯზე, – აცნობებდა **კოვალენსკი** გენერალ **კნორინგს**, – რამდენიმე პრეტენდენტია, რომლებიც, უკვე რამდენიმე თაობაა, რაც მემკვიდრეობითობის უფლებით სარგებლობენ, მაგრამ არათუ უსარგებლიათ, აზრადაც არ მოსვლიათ ამ უფლებით ესარგებლათ და არა იმიტომ, რომ გარედან მოსალოდნელი საფრთხის ეშინოდათ; როგორც წესი, ასეთ ცარიელ, უშენ ადგილებს მეფეები თვითნებურად ითვისებდნენ».

«საქართველოში ყველა სულად და საადგილმამულო მოსაკრებელს, – გენერალი **კნორინგის** ცნობით, – საფუძველიანი დასაბუთება არ ჰქონდა და მხოლოდ მეფის ნება-სურვილით, მისი მოთხოვნით ახდევინებდნენ, რომელიც სარგებლობდა რა ნებისმიერი ქვეშევრდომისგან ნამეტის აღების უფლებით, არ ითვალისწინებდა მოსახლეობაზე დაკისრებული მოსაკრებლის მათი წარმოების სპეციფიკასთან კავშირს».

ადვილი წარმოსადგენია ის რთული მდგომარეობა, რომელშიც მოსაკრებელის გადამხდელები იმყოფებოდნენ და თან საერთოდ არ იცნობდნენ საქართველოს მთავრობას — ვინ იხდის, რას იხდის და რატომ იხდის. ისედაც რთულ მდგომარეობას თანამდებობათა მემკვიდროებითობის პრინციპი ართულებდა — ხელფასის გარეშე, თავისი თანამდებობიდან სარგებლის მიღების უფლებით, ისეთი შემთხვევითი ადმინისტრაციის ყოველგვარი კონტროლის გარეშე, რომლის შემადგენლობაში ხანდაზმულები, მცირეწლოვნები და მათი მეურვეები შედიოდნენ, – ადმინისტრაციისა, რომელიც ყველა სამეფო პირისგან ბარათებს ღებულობდა და არც კი იცოდა, ვისი ნება-სურვილით მოქმედებდა. სამაგიეროდ, თავადები კმაყოფილები იყვნენ და არაფრის შეცვლა არ სურდათ.

როდესაც მემკვიდრეობითობის პრინციპის ნაცვლად ადმინისტრაციის არჩევითობის პრინციპის საკითხი დადგა, კახელმა თავადებმა **კოვალენსკის** თხოვნით მიმართეს: «ჩვენი სარგებელი მხოლოდ თანამდებობიდან მიღებულ შემოსავალშია, თუ ამას ჩამოგვართმევთ, თავს ვეღარ ვირჩენთ და დაღუპვისა და სიკვდი-

ლის გარდა აღარაფერი დაგვრჩება».

«რთული მისახვედრი არ არის, – აცნობებს თავადი **ციციანოვი** ხელმწიფეს, – როგორი დამამძიმებელია მოსახლეობისთვის მოურავების უღელქვეშ ყოფნა, რომლებიც, ქართული ადათ-წესების მიხედვით დაწესებული შემოსავლების 1/10 წილის აღების შემდეგ, ბოროტად იყენებენ ახლად დამკვიდრებულ წესს და გლეხების მდგომარეობას, სხვადასხვა უკანონო ვალდებულებებისა და მოსაკრებლების დაკისრებით, კიდევ უფრო ამძიმებენ».

გასაგებია, რომ მოსაკრებლების განსაზღვრის, დანიშნულებისა და თავად მოსაკრებლების ამოღების სისტემაში არსებულ წარმოუდგენელ ქაოსში, ხალხის მხრიდან, მოსაკრებლების თუნდაც რაიმე სახით კანონზომიერების დაცვისთვის ერთადერთი მომწესრიგებელი მხოლოდ ხელისუფლების ზნეობრივი სიმაღლე და ღირსება იყო, რომელიც აწესებდა და კრეფდა მოსაკრებლებს. ესენი კი იყვნენ ბატონიშვილები, მეფის ასულები, დედოფლები და მათი ნათესავები, აგრეთვე, თავადებთან დაახლოებული მემკვიდრეობითი მოურავები. მაგრამ, როგორც მათი წერილებიდან ვიგებთ, ამ ღირსების დონე ვერ აღწევდა ადმინისტრაციული წესებისა და მოსაკრებლების სისტემის მნიშვნელობამდეც, რომელიც თითქოს ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ იყო მოფიქრებული. რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ.

დარეჯან დედოფალი თავს აცოდებდა გენერალ **კნორინგს** და აცნობებდა, რომ ადგილ-მამულები ჩამოართვეს და საარსებო წყარო დაკარგა. ამის თაობაზე ბატონიშვილ **დავითს** ჰკითხეს. მან მიუგო, რომ დარეჯან დედოფლის საკუთრებაში არსებული ორი სამღებროდან მისი შემოსავალი 4000 რუბლს შეადგენს; ორი სოფელი პურით ამარაგებს, ერთი — ბრინჯითა და ხორცით; აქვს ვენახი, რომელიც 600 ვედრო ღვინოს იძლევა; ავლაბარში შეშას შამქორელები, ხოლო ქათმებს, რძესა და კვერცხს ქართველი აწვდის. რაც შეეხება **გიორგი** მეფის მიერ ბატონიშვილ **ფარნაოზისთვის** ჩამორთმეულ მამულებს: ხელმწიფისადმი ერთგულების ფიცის დადების შემთხვევაში, გაქცევიდან დაბრუნებისთანავე დაუბრუნებენ.

სხვათა შორის, აი, რა უპასუხა მას ქვრივმა **დარეჯან** დედოფალმა: «კარგად იცი, რომ, ჯერ კიდევ ბიძაშენის დროს, ცხინვალისა და გორის სამღებროებიდან მიღებულ შემოსავალს შენი ძმები მართმევდნენ, შარშან კი გორის სამღებროს შემოსავალი შენ თავად დახარჯე, ხოლო ცხინვალში შენი კაცი დააყენე და თანხაც შენ აიღე. ხომ იცი, რომ იქიდან არაფერი მერგება. ასეთი სიცრუის შემდეგ, თავს როგორ-ღა გაიმართლებ?... შენი წერილი იმიტომ ააჭრელე სხვადასხვა საკუთრებების ჩამონათვალით, უცოდინარი შეცდომაში რომ შეგეყვანა; დამიჯერე, ყველა რომც მოატყუო, ღმერთს ვერ მოატყუებ. ყველაზე მეტად ის მიკვირს, ამდენ სიცრუეს ამბობ და შენი თავი არ გეცოდება. იმასაც წერდი: «თუ ფარნაოზი გამოცხადდება და ხელმწიფის ერთულების ფიცს დადებს, ყველა სამემკვიდრეო მამულს დაუბრუნებენ, რომლებიც მამაჩემმა კანონიერ საფუძველზე ჩამოართვაო». მამაშენს კანონიერი არაფერი გაუკეთებია. რომელ კანონში წერია, რომ ფიცის გატეხვა და ძმისთვის ლუკმა-პურის წართმევა დასაშვებია? თქვენ ფარნაოზს ესეც უნდა გამოუცხადოთ: როგორც თქვენ გწამთ ფიცისა და როგორაც დაიფიცეთ, ასევე უნდა დაიფიცოს ფარნაოზმაც, თუ სხვაგვარად?» – დროული და საინტერესო კითხვაა: მაგრამ, ეს კითხვა მარტო ბატონიშვილ **დავითს** კი არა, სამეფო ოჯახის ყველა წევრს ეხება.

ლაზარევი გენერალ **კნორინგს** კონფიდენციალურ წერილში წერდა: «ისინი ფიცსა და აღთქმას არაფრად მიიჩნევენ, კანონის დაცვა კი ასე ესმით — მარხვაში ოთხშაბათობითა და პარასკევობით ხორცი არ ჭამონ, ხოლო საკუთარი ინტერესების გამო ადამიანი გააკოტრო, ადგილ-მამული ჩამოართვა, გაქურდო და სიცოცხლე წაართვა, მათთვის არაფერს ნიშნავს, ერთი რუბლის სარგებლის გამო დაიფიცებენ. ყველა უკლებლივ აი, ასეთები არიან».

«უკვე გაცნობეთ, – წერს **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს**, – რომ აწ განსვენებული მეფე **გიორგი XII**-ის ძმები ყველა ქართლელ თავადს ავიწროებენ. მათი მძვინვარება იქამდე მივიდა, რომ სამი დღის წინ თავად **თუმანიშვილის** მეუღლე სახლიდან გამოათრიეს და ბორკილები დაადეს. ზუსტად ასევე მოექცნენ სარდალ **ორბე-**

ლიანის დასაც. საკმაოდ ხშირად ჩადიან მსგავს უმსგავსობებს და სოფლებს ძარცვავენ».

ამ ძალადობისა და უმსგავსობის მოთავე ბატონიშვილი **ფარნაოზი**, თავის გამართლების მიზნით, გენერალ **კნორინგს** წერდა: «მოწყალეო ხელმწიფევ! გავიგე, თქვენთვის უცნობებიათ, თითქოს მე საქართველო დავარბიე და ხალხი შევავიწროვე. ქრისტიანული სინდისით გარწმუნებთ, რომ იმაზე მეტი, რამდენიც მეფე **გიორგიმ** და ბატონიშვილმა **დავითმა** ჩემს გლეხებს — ქართველებს, სომხებსა და თათრებს ძალადობით წაართვეს და მეც მამულები ჩამომართვეს, ქართლისაგან მეხუთედიც კი არ მიმიღია».

«ნუთუ თქვენ არ გსმენიათ, – თავის მხრივ გულწრფელად აღიარებს **ლაზარევთან** მიწერილ წერილში ბატონიშვილი **დავითი**, – ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ დაღუპეს ქართველებმა ერთმანეთი ოსმალებისა და სპარსელების ბატონობის დროს; ყოველივე ის, რაც ამჟამად ქართლის გაპარტახების ნაკვალევს წარმოადგენს, ერთობლივი ავკაცური ქმედებებისა და ანგარების შედეგია».

«ვითომდა ბატონიშვილი **დავითის** მიერ გამოგზავნილი ესაულები, – აცნობებს პოდპოლკოვნიკი **სიმონოვიჩი** გენერალ **ლაზარევს**, – სურამის ახლოს განლაგებულ სოფლებში ჩამოსვლისთანავე თავხედურად იქცეოდნენ, რამაც იქაური მოსახლეობა იმდენად შეაშინა, რომ სოფლებიდან გაქცევა დააპირეს, მაგრამ იქ დაბანაკებულმა ასეულის კაპიტანმა შეაჩერა. ამჟამად მეორედ ჩამოვიდნენ და ღვინო მოითხოვეს. მიიღეს რა უარი, სურამის მოსახლეობას თოფები, ქვაბები, ტანსაცმელი და პურის მთელი მარაგი ძალით წაართვეს».

იმ კითხვების ჩამონათვალში, რომლებიც გენერალმა **ლაზარევმა** გენერალ **კნორინგს** თბილისში ჩამოსვლისას გადასაწყვეტად წარუდგინა, ასეთი კითხვაც არის: «როდესაც ბევრი ჩინოვნიკი თავის თანამდებობას მხოლოდ საკუთარი თავის სარჩენად იყენებს და მათდამი რწუნებული სამსახურებიდან ფულსა და სხვადასხვა ნივთებს უსინდისოდ იღებს, რითაც საქართველოს მოსახლეობას დიდ ზიანს აყენებს, რა უნდა გავაკეთოთ ამ შემთხვევაში,

რომ მოსახლეობა და ჩინოვნიკებიც გაჭირვებულ მდგომარეობაში არ იყვნენ». პასუხი ასეთი იყო: ჩინოვნიკებმა ძველებურად გააგრძელონ თანამდებობებით სარგებლის მიღება, მაგრამ თავისი მდგომარეობა ბოროტად არ გამოიყენონ.

გენერალი **ლაზარევი** შეძრწუნებული ყვებოდა, როგორ თხოულობდა ბატონიშვილი **დავითი,** იძულებული გაეხადათ თავადი **სოლომონ თარხნიშვილი** მისთვის 6000 რუბლის ოდენობის ვალი დაებრუნებინა, რომელიც ამ უკანასკნელს არასდროს აუღია. როდესაც თავადი თარხნიშვილი დაუპირისპირეს, ბატონიშვილმა დავითმა ვალის დაბრუნებაზე არა მარტო უარი განაცხადა, არამედ არწმუნებდა კიდეც გენერალ ლაზარევს, რომ ეს ვალი არასდროს უხსენებია. «ახლა თქვენ შეგიძლიათ დაასკვნათ, წერს – გენერალი **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს**, – როგორი ხალხია ქართველები, თუკი თავად ტახტის მემკვიდრემ თავი ასე «ღირსეულად» წარმოაჩინა».

რა ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდნენ სამეფო კარის წევრები ხალხში, ნათლად ჩანს ბატონიშვილი **ფარნაოზის** თავად **ივანე ერისთავისადმი** გაგზავნილ წერილში: «ჩვენი ძმის კათალიკოსის წყალობასა და შენს სიცოცხლეს ვფიცავ, – წერს **ფარნაოზი**, – ყველა ჩემი მსახური მშიერ-ტიტველია და თუნდაც მევახშეებისგან თავი ვერ დავიხსნა, ბაზარში არავინ დამიჯერებს. რატომ უნდა დამიჯერონ, როცა დასაგირავებელი აღარაფერი მაქვს, რაიმე რომ ავიღო. ნისიად კი, თავად იცი, არაფერს მომცემენ».

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი დაბალი ზნეობრივი დონის მმართველებს უბრალო ხალხისადმი ბარბაროსული დამოკიდებულება ჰქონდათ. ამას ადასტურებს **გიორგი XII**-ის თავად **ამილახვარისადმი** გაგზავნილი ბრძანება და უმაღლესი მთავრობის სისხლის სამართლის ექსპედიციისადმი გენერალ **კნორინგის** ბრძანება: ეცნობოს პოლიციის ხელისუფალთ, «ხელწერილით დაავალდებულონ მემამულეები, რომ არაადამიანური წამებითა და ცემით თავიანთი გლეხები არ დაასახიჩრონ».

მიუხედავად გაღატაკებისა და სხვა უბედურებებისა, საქართ-

ველო იმ დროს, ისევე როგორც ამჟამად, ბუნებრივი პირობებითა და ნაყოფიერი მიწებით მდიდარი ქვეყანა იყო, რომელთა ექსპლოატაციას შეეძლო ჭარბად მოემარაგებინა და გამოეკვება ათჯერ მეტი რაოდენობის მოსახლეობა, ვიდრე ოდესღაც ძლიერი ქართველი ხალხის გაუბედურებული ნარჩენები დღეს!

საქართველოში მოგზაურობის შემდეგ გენერალი **კნორინგი** ხელმწიფეს აცნობებდა: «მიწები ყველგან ბუნებრივად ნაყოფიერია, მაგრამ სოფლები შიდა და გარეშე მტაცებლებისგან გაძარცვული და გაპარტახებულია». «აქაური ბუნებრივად ნაყოფიერი მიწა კარგი მეურნის ხელში შეიძლება განვითარებულიყო, – წერს გენერალი **ლაზარევი**, – მაგრამ ამჟამად მუშახელის ნაკლებობაა. ამას თავისი მიზეზი აქვს: ხალხი სამეფო ოჯახის წევრების, თავადებისა და დიდებულების მხრიდან მოსაკრებლებით დამძიმებულია, რამეთუ ნებისმიერი, ვინც არ უნდა იყოს ის, სოფელში რომ ჩადის, ყველაფერს უფულოდ იღებს, რის გამოც გლეხს მიწის დამუშავების სურვილი ეკარგება; თუ რაღაც პროდუქტს ქალაქში გასაყიდად ჩაიტანს, ზემოჩამოთვლილი რომელიმე პირის სახელით იმასაც ართმევენ».

ვერ ვიფიქრებთ, რომ ხალხი ვერ აცნობიერებდა, რომ მდიდარი ბუნების გამოყენებით საკუთარ ყოფას გაიუმჯობესებდა. მაგრამ, შესაძლებელია, არც კი ესმოდა, რადგან ყოველ წუთს უმტკიცებდნენ, რომ მისი სიღატაკისა და აუტანელი შევიწროების მიზეზი ბატონიშვილების, დედოფლებისა და მათ თანამოაზრეთა სიცრუეა, რაც ხალხის ყოფის გაუმჯობესებას აზრს უკარგავდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ უბრალო ხალხის ამ ბნელ, დაჩაგრულ და ტანჯულ მასას გულწრფელად სურდა ამ მდგომარეობის გამოსწორება და უმაღლესი ხელისუფლებისადმი შემდგომი დამოკიდებულების ფორმას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოღონდ კი დედოფლებისთვის, ბატონიშვილებისთვის, მეფის ასულებისა და მათ მიერ დაყენებული მოურავებისა და ნაცვალებისთვის ჩამოერთვათ სახალხო კეთილდღეობით სარგებლობის მემკვიდრეობითი უფლება და თავისუფალი იქნებოდა საქართველო თუ არა, დამოუკიდებელი მეფე ეყოლებოდა თუ ვასალი, ვისი მონა იქნე-

ბოდა მეფე — შაჰის, სულთნის თუ იმპერატორის – ყოველივე ეს ხალხში მაინც უკეთესი მდგომარეობის შექმნისა და უკეთესი წესების შემოღების იმედს ბადებდა.

საბოლოოდ რომ გავარკვიოთ, საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდში რაოდენ მაღალი იყო ხალხის კეთილდღეობის ეს დონე, ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების ზემომოყვანილი პირობები კიდევ ერთხელ უნდა გავაანალიზოთ და ზოგადი დასკვნა გამოვიტანოთ. ჩვენ ვნახეთ, რომ სოფლების ზუსტი რაოდენობა არავინ იცოდა, არც ის იცოდნენ, ამ სოფლებში რა რაოდენობის მოსახლეობა იყო და რამდენი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. ხალხს, მეფისა და მაღალი წოდების წარმომადგენლების ნება-სურვილით, განუკითხავად ბეგრავდნენ. მოსაკრებელის ოდენობა იმ მაცხოვრებლების არსებული ქონებით განისაზღვრებოდა, რომლებიც ტყეში არ იყვნენ გახიზნულნი და ადგილზე რჩებოდნენ.

ყველა დიდებულს ან მის ქვეშევრდომს უფლება ჰქონდა გლეხისთვის ყველაფერი, რაც კი ჰქონდა, წაერთმია. მიწაზე საკუთრების უფლება თვით მაღალი წრის წარმომადგენლებისთვისაც კი, საერთოდ არ არსებობდა: ნებისმიერი მამული და ნებისმიერი სოფელი ბარათის საფუძველზე შესაძლებელი იყო სხვისთვის გადაეცათ, ან უბრალოდ ჩამოერთვათ და გაეძარცვათ ბატონიშვილებსა და თავადებს, თუკი მათ არ აძლევდნენ იმას, რასაც საკუთარი თვითნებობით მოითხოვდნენ. ყველა, ვისაც როგორ შეეძლო, მძარცველობდა და მაინც, როგორც ბატონიშვილი **ფარნაოზი** აღიარებდა, ძარცვით იმის მეხუთედსაც ვერ შოულობდა, რასაც მას უფროსები ართმევდნენ. თუმცა ასეთი წესები გაძარცვულებს მოსაკრებელების გადახდაში ხელს არ უშლიდა, რომლებსაც მემკვიდრეობითი ანუ შეუცვლელი მოურავები იღებდნენ.

მოურავები ამ მოსაკრებლებით ცხოვრობდნენ და მათ გარეშე საარსებო წყაროს კარგავდნენ. მაშასადამე, იძულებული ხდებოდნენ თავიანთი სამსახურეობრივი მდგომარეობა ბოროტად გამოეყენებინათ. ვერავისთან იჩივლებდნენ, რადგან, **ციციანოვის** სიტყვებით, ნერვიულობდნენ რა საკუთარ თავზე და საკუთრების

დაკარგვაზე, უდანაშაულოც და დამნაშავეც ძლიერის რისხვას ერთნაირად, უსირცხვილო ვერაგობითა და სამოწყალოს გაღებით ემალებოდა. ამ მოწყალებასა და უსირცხვილო ვერაგობას იმ პირების წინაშე წარაგებდნენ, რომლებსაც ზნეობრივი ღირსება არ ჰქონდათ, ხოლო მათი უცოდინარობა «იმდენად ღრმა იყო, რომ მათი (დიდებულების) უმეტესობა თავის მშობლიურ ენაზე გამართულად ვერ საუბრობდა».

საქართველოს გარეშე მტრებისაგან დაცვა ევალებოდა ჯარს, რომელიც გენერალ **ლაზარევის** აღწერით, ასეთ მდგომარეობაში იყო: «ცხენოსანთა ჯარში, რომელიც თავადებისგან შედგება, საკმაოდ კარგი და მამაცი მეომრები არიან; მაგრამ ქვეითი ჯარი, რომელიც გლეხებისგან შედგება, თუშების, ხევსურებისა და ფშაველების გარდა, არ ვარგა. ეს ჯარი ისეა დაშინებული, რომ დამხმარე ძალის გარეშე, ყველაზე სუსტ მტერსაც კი ვერ შეებრძოლება».

ცხადია, ასეთი ჯარი საქართველოს მეზობლების თავდასხმებისგან იმდენად იცავდა, რამდენადაც თითოეულ ქართველს თავის დასაცავად იარაღი და ძალა ჰყოფნიდა. თავად მეფისთვის ასეთი ჯარი არა მარტო უსარგებლო, არამედ ზიანის მომტანიც იყო, რამდენადაც გარეშე მტრების მოსაგერიებლად აბსოლუტურად უსარგებლო ჯარი, მხოლოდ სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განწყობილი ნებისმიერი უკმაყოფილო პირის სამსახურში ჩადგებოდა.

მაგრამ, თუ შესაძლებელი არ იყო ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; თუ პიროვნება და ქონება დაცული არ იყო; თუ ადმინისტრაცია ქაოსურ ძარცვასა და სრულ უკანონობაში იყო ჩაფლული, მაშინ როგორი ნიჭიერი, ენერგიული და შრომისმოყვარეც არ უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხი, თითოეულის პირადად გაწეული შრომა, რაც სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს, არანაყოფიერი ხდებოდა. მაშასადამე, შრომა, წარმოება, მატერიალური ღირებულებების შექმნა არარაციონალური იყო. ეს კი უშუალოდ სახელმწიფოს სიძლიერის განადგურებას ემსახურება და ამ უკანასკნელის პოლიტიკურ არსებობას შეუძლებელს ხდის.

ადამიანის სიბრძნითა და ენერგიით არაფრისაგან ვერაფერს შექმნი. თუ მოსახლეობა გადამხდელუუნაროა, მაშინ ქვეყანაში ფინანსური კრიზისი მკვიდრდება, ამას კი, როგორც აუცილებელი შედეგი, სახელმწიფოს პოლიტიკური უძლურება და ქვეყნის შიგნით არეულობა და შფოთი მოსდევს. არ არსებობს ისეთი ბრძენი ადმინისტრაცია, რომელიც, სახელმწიფოს საჭიროებისათვის საკმარისი სახსრების არარსებობის შემთხვევაში, რთული სახელმწიფოებრივი მანქანის მართვას შესძლებდა. თუკი ხალხი, მატერიალური თვალსაზრისით, უაღრესად გაჭირვებულია, მაშინ, მხოლოდ ბიუროკრატიული მაქინაციების მეშვეობით, ადმინისტრაციის არსებობისთვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის შექმნა შეუძლებელია. საქართველოს მთავრობამ და ადმინისტრაციამ ხალხის კეთილდღეობა გაანადგურეს და ამის შემდეგ არსებობა აუცილებლად უნდა შეეწყვიტათ.

რა თქმა უნდა, ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მოშლის მიზეზებზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ის მხოლოდ თავის აუტანელ ტანჯვა-წამებას ხედავდა და გრძნობდა და მათი დაძლევის დრო და საშუალებები უნდა მოეძებნა; რასაკვირველია, არა განყენებული იდეების გამო, არამედ უბრალოდ თავისი მატერიალური მდგომარეობის შესაძლო გაუმჯობესებისთვის. მაგრამ რაში უნდა დაენახათ გამოსავალი, რა მოვლენებს უნდა მოეტანა სასურველი გაუმჯობესება?

მეფე **გიორგი XII**-ის ნაცვლად ბატონიშვილი **დავითის** ან ბატონიშვილი **იულონის** გამეფებას, საეჭვოა, უკეთესობისკენ რამე შეეცვალა; პირიქით, გაჩანაგებისა და ტანჯვა-წამების ახალი ეტაპი დაიწყებოდა. ბატონიშვილი **ალექსანდრესა** და მისი ძლევამოსილი მფარველის, სპარსეთის შაჰის აღიარება, ძალიან ემსგავსებოდა **აღა-მაჰმად-ხანის** ცოტა ხნით ადრე მომხდარ თავდასხმას — თითქმის მთელი ქართული მოსახლეობის ამოჟლეტასა და ქვეყნის სრულ განადგურებას, რომლის შემდეგ თბილისის მოსახლეობამ დამშვიდება და წესრიგის დამყარება ჯერ კიდევ ვერ მოახერხა.

ოტომანთა პორტა ამიერკავკასიის სახელმწიფოებს მნიშ-

ვნელობას არ ანიჭებდა და ქრისტიანების საზიანოდ, მუსლიმი მესაკუთრეების უფრო ზნეობრივი, ვიდრე მატერიალური მხადდაჭერით იფარგლებოდა. თურქეთი სხვაგვარად მომავალშიც ვერ მოიქცეოდა. ქართველები კი წმინდად იცავდნენ თავიანთ რელიგიას, უფრთხილდებოდნენ უძველეს წეს-ჩვეულებებს და თავიანთ აუტანელი მდგომარეობის შესამსუბუქებლად რენეგატები არ ხდებოდნენ. ქართველები სწორად იქცეოდნენ: შიდა სახელმწიფოებრივი წყობის სრული გახრწნის პირობებში, მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულმა რელიგიამ არ გადააქცია ქართველები აზიურ ურდოდ და არაადამიანურ ბარბაროსებად, მსგავსად გარშემომდებარე მეზობლებისა, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ ადამიანის უფლებებს და ადამიანური ღირსების გრძნობა საერთოდ არ ჰქონდათ.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქვეყნაში წესრიგის დასამყარებლად აუცილებელი იყო გარეშე ძალის დახმარება. ყველა საღად მოაზროვნე ქართველისთვის, ისევე როგორც ქართველი ხალხის ინტერესების წარმომადგენელ **გიორგი XII**-სთვის, შორეული, ძლევამოსილი და ერთმორწმუნე რუსეთი აღმოჩნდა ერთადერთი სახელმწიფო, რომლის დახმარება საქართველოს მოძალებული შიდა და გარეშე მტრების შემოსევებისგან გადაარჩენდა. მაგრამ ეს გაჩანაგებული ხალხი რუსეთის მფარველობის ან ქვეშევრდომობის სურვილს ღიად ვერ გამოხატავდა. ღრმა უცოდინარობისა და დასჯის გამუდმებული შიშით დაჩაგრული (ყოველგვარი საბაბის გარეშეც) უბრალო ქართველი ხალხი საკუთარი სურვილების გამოხატვას ვერ ბედავდა და რომც გაებედა, ამ სურვილებს ვერც ჩამოაყალიბებდა.

ხალხი ქრისტიანული რუსეთისგან დახმარებას დიდი ხანი ელოდებოდა, რომლის საზღვრები არც თუ ისე შორს იყო, და კარგადაც იცოდა, სად გადიოდა ეს საზღვრები, – საქართველოდან გაქცეულ ყველა პირს, რომელიც მეფის, ბატონიშვილების, თავადებისა და შინაური მტრების მხრიდან გაკოტრებისა და შურისძიებისგან თავის გადარჩენას ცდილობდა, ამ საზღვრების იქით ასახლებდნენ. თუ ქართველი ხალხი რუსეთიდან მხსნელებს

ელოდა, მაშინ როგორ უნდა მიეღწია ამისთვის, როგორ უნდა დაეჩქარებინა სასურველი დახმარების მიღება? ხალხი თავის სურვილს გარკვეული ფორმით ვერ ჩამოაყალიბებდა და პრაქტიკულ შემოთავაზებასაც ვერ მიაღწევდა. ამისი გაკეთება მხოლოდ ქართველ მეფეს შეეძლო, რომელიც უნებლიეთ დაემორჩილა თავისი ხალხის საზოგადო და ინსტინქტურ სურვილს.

მარტო ის სიხარული, როგორიც ქართველებმა საქართველოში შემოსული პირველი ჯარისადმი, პირველი რუსი სახელმწიფო მოღვაწეებისადმი და პირველი რუსული მმართველობისადმი გამოხატეს, აგრეთვე, ხალხის უმრავლესობის მხრიდან რუსეთის ბატონობის პირველი ნაბიჯებისთვის გულწრფელი ხელშეწყობით, საკმარისია დავასკვნათ, რომ ქართველ ხალხს გულწრფელად სურდა რუსეთის ქვეშევრდომობა.

პირველ თავში ჩვენ აღვწერეთ თბილისის მოქალაქეების შესანიშნავი დახვედრა და საერთო ზეიმი, თვით ბაზარშიც კი, სადაც, **კოვალენსკის** სიტყვებით, ყოველ დუქანში მათ ჩამოსვლაზე საუბრობდნენ, რაც, საერთო ჯამში, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

აი, ასე აღწერს გენერალი **ლაზარევი** თბილისში **გულიაკოვის** დეტაშემენტის შემოსვლას: «ხალხი, რომელთა სახეები სიმშვიდეს, სიხარულსა და აღფრთოვანებას გამოხატავდა, მხიარული შეძახილებით ქალაქისკენ აცილებდა თავის დამცველებს, სადაც თავიანთი სახლებიდან მათ შესახვედრად გამოსული მოხუცები მთრთოლვარე ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდნენ და დამცველების გამოგზავნისთვის უფალს მადლობას სწირავდნენ; ადიდებდნენ მისი უმაღლესობა ხელმწიფის სახელს და როგორც შვილთმოყვარული მამები შვილებს, ისე ეხვეოდნენ ჩვენს მუშკეტერებს. აქაური ქარვასლა სავაჭრო ადგილი აღარ იყო, ის ზეიმის მონაწილეთა ხმაურობითა და მხიარულ გუნებაზე მყოფთა შეძახილებით განსაცვიფრებელ წარმოდგენას ჰგავდა, რომელშიც სამეფო გვარი სრული შემადგენლობით, ასევე სამეფოს წარჩინებული ჩინოვნიკები, დიდ-პატარა ყველა მონაწილეობდა».

«უმაღლესი მანიფესტი, რომელიც ბატონიშვილებსა და ხალხს

გამოუცხადეს და რომლის თანახმად ქვეყანაში ყველაფერი უცვ-ლელად რჩებოდა, გარდა ერთისა – გარდაცვლილი მეფის მემ-კვიდრეს აღარ აირჩევდნენ, – აცნობებდა გენერალი **კნორინგი** ხელმწიფეს, – ხალხმა ყოველგვარი დრტვინვის გარეშე მიიღო; ყველა ბატონიშვილიც ხალისით დათანხმდა, რადგან ხვდებოდ-ნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაცვლილი მეფის ძმებსა და შვილებს შორის ძმათამკვლელი შინაომი განახლდებოდა».

დუშეთის სამაზრო პოლიციის უფროსი, კაპიტანი, რუსეთის მთავრობის განკარგულებაში ბატონიშვილი **ვახტანგის** მამ-ულების გადაცემის თაობაზე აცნობებდა: «ხალხი ყველგან აღ-ფრთოვანული გვხვდება და ხელმწიფე იმპერატორის მადლიერია, რომ გაუსაძლისი უღელისგან გაათავისუფლა».

გენერალი **კნორინგი** აცნობებდა რა ხელმწიფეს გარდაცვლი-ლი **გიორგი XII**-ის ძმების, ბატონიშვილების გაშმაგებაზე, აღწ-ერდა, როგორ მიიღეს სამეფოს გაუქმების შესახებ განცხადება თბილისში. უმაღლესი მანიფესტის წაკითხვის შემდეგ, თბილისის მოსახლეობა **ლაზარევის** სახლში მივიდა და ერთგულების ფიცს ხელი მოაწერა. «ყველა გახარებული და მადლიერი იყო. ხელის მოწერის ისეთი დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ ბევრი თავადი საღამოს მოვიდა და ხელის მოსაწერად პაკეტის გახსნა გვთხოვა; მოურავმა **ანდრონიკაშვილმა**, ავადმყოფობის გამო, რწმუნებულს, დასტურის ნიშნად, თავისი ბეჭედი გამოატანა». ყოფილმა ელჩებ-მა პეტერბურგში, თავადებმა **ფალავანდიშვილმა** და **ავალიშვილ-მა**, გენერალ **კნორინგს** განსაკუთრებული წერილი გაუგზავნეს, რომლითაც ადასტურებდნენ, რომ პირადად იხილეს ქართველი ხალხის გულწრფელი სურვილი, რომ რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ.

«სიტყვებით ვერ აღვწერ, თუ როგორ გაუხარდათ თბილისში თავადებს, დიდებულებს, ვაჭრებს და საერთოდ პროვინციაში მცხოვრებ ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება», – წერდა გენერალ **კნორინგს** სომხეთის პატრიარქი.

«ქალაქი რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი, თითოეული კი ათ ნაწილად; სისუფთავისა და წესრიგის დასაცავად გამოყოფილია

ათისთავები და კერძო პირები, – აცნობებდა გენერალი **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს**, – მოსახლეობა ისეთი სიამოვნებით მუშაობს, როგორსაც უხეში აზიური ხასიათისგან არ ველოდი».

«ახლა კი, – განაგრძობს გენერალი **ლაზარევი**, – თავს მოვალედ ვთვლი, ჩემი შთაბეჭდილება გაცნობოთ და გაგიზიაროთ ის სიხარული, უმაღლესი მანიფესტის გამოცხადებამ რომ გამოიწვია. წელიწადნახევარია აქ ვცხოვრობ და ჯერ არ მინახავს ასეთი სიხარული, რაც აქ **ზოლოტარევის** ჩამოსვლის დღიდან სუფევს; ყველა თითქოსდა გარდაიქმნა და გამოცოცხლდა; შეიძლება ითქვას, რომ გული მოსდით, ქართველებს რომ უწოდებენ, – ამბობენ რუსები ვართო. რამდენადაც აქაური (თბილისელი) მოსახლეობის დიდი ნაწილი სომეხი ეროვნების ხელოსნები და ვაჭრები არიან, ხოლო ქართველები კი მცირე ნაწილია, ამიტომ მანიფესტი სომხებსაც გამოვუცხადეთ. მათი სახე სიხარულს გამოხატავდა, გარდა პატრიარქისა, რომელიც გულუბრყვილობის გამო, თავის უკმაყოფილებას ვერ მალავდა» (პატრიარქი სამეფო დინასტიის ერთგული იყო).

«დღეს პირველად ვნახე ერთად თავმოყრილი ამდენი გახარებული ადამიანი, – აღნიშნავს გენერალი **ლაზარევი**, – ასევე დუშეთიდან და გორიდან თავად **სააკაძისა** და კაპიტან **გარცევიჩისგან** პატაკი მივიღე, სადაც მანიფესტის გამოცხადება ზუსტად ისევე გაუხარდათ, როგორც აქ. როგორც კი მთელი საქართველოდან გამოგზავნილ პატეკებს თავს მოვუყრი, ყველას ერთად წარმოგიდგენთ. დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტს ყველგან ისეთივე სიხარულით შეხვდებიან, როგორც ზემოხსენებულ ქალაქებში».

2 მარტით დათარიღებულ წერილში გენერალი **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს** აცნობებს, რომ «ოფიცრები, რომლებსაც უმაღლესი მანიფესტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უნდა გამოეცხადებინათ, დაბრუნდნენ და სასიამოვნო ამბავი ჩამოიტანეს — ყველგან დიდი სიხარულით მიიღეს, გარდა თამბაქისა, სადაც მხოლოდ მუსლიმებმა გამოხატეს უკმაყოფილება. ყველა თავადი კმაყოფილია, გარდა იმ თავადებისა, ვინც მმართველობაში გარკვეული გავლენით სარგებლობდა და შესაბამისად ხალხს

ძარცვავდა და ამ სახით მდიდრდებოდა; მხოლოდ ისინი დადიან ცხვირჩამოშვებული».

გააგზავნა რა ბატონიშვილების გარკვეული რაოდენობა რუსეთში, **ლაზარევი** პატაკში წერდა: «როგორც იქნა, საქართველოს ზოგიერთმა გაჩანაგებულმა მხარემ შვებით ამოისუნთქა; ვერ აღგიწერთ, როგორ უხარიათ ხალხსა და ჩვენს ერთგულ პირებს ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრება; ზოგიერთი თავს ვერ იკავებს და ხმამაღლა აცხადებს, რომ ხელმწიფის მხრიდან უფრო დიდი წყალობა იქნებოდა, თუკი ყველა ბატონიშვილს გადაასახლებდა».

«ვაჭრები, ქალაქის მაცხოვრებლები და სოფლებიდან ჩამოსული ბევრი ადამიანი, – წერს გენერალი **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს**, – რუსეთის ქვეშევრდომობით აღტაცებული არიან; ბევრმა ვაჭარმა განმიცხადა, რომ ბოლო სამი თვის მანძილზე იმდენი მოგება ნახა, რამდენსაც ბარათებით წელიწადში ვერ ღებულობდა; სოფლის მცხოვრებნიც, რომლებსაც ჩვენი მომხრე მოურავები ჰყავთ, ასევე კმაყოფილებას გამოთქვამენ და ხელმწიფის წყალობას უკვე რეალურად გრძნობენ... მაგრამ, სადაც მოურავები გლეხებს ისევ ძველებურად ავიწროვებენ, ბევრი უკმაყოფილია».

შფოთის დროს, როდესაც ბატონიშვილებმა ხელმწიფის წინააღმდეგ უბრალო ხალხის ამხედრება გადაწყვიტეს, ხალხი მათ არ გაჰყვა, რადგან ძველი წესების აღდგენისა და დაცვის სურვილი არ ჰქონდა.

«ლეკების თარეში, – წერს **მუსინ-პუშკინი**, – უმეტესწილად, სამეფო კარის ხელის შეწყობით ხდება, მაგრამ არა საქართველოს დარბევის მიზნით, არამედ ხალხი უნდათ დაარწმუნონ, რომ მათთვის რუსეთის მხარდაჭერა და დაცვა საკმარისი არ არის». გენერალ-მაიორი **ლეონტიევი** გენერალ **ლაზარევს** აცნობებდა: «ბატონიშვილი **ალექსანდრესა** და მისი ჯარის მოლოდინში, მანავის ყველა თავადი ყოველდღე მთაზე ადის და ხალხსაც მათთან ერთად წასვლას აიძულებს. მაგრამ მანავის მოსახლეობამ სიმტკიცე გამოიჩინა. მათი არ სჯერათ და თავის კუთხეს მხოლოდ რუსეთის დახმარებით დაიცავენ».

«უბრალო ხალხს, – წერდა **მუსინ-პუშკინი** კახეთის აჯანყების შესახებ, – აჯანყებაში მონაწილეობის მიღება არ სურდა. ჩვენდამი გამოგზავნილ წერილებში გვარწმუნებდნენ თავიანთ ერთგულებაში და ამბოხებულებისგან დაცვას გვთხოვდნენ». კახეთში აჯანყების მოსამზადებლად გაგზავნილი **ანდრია ქურდაშვილი** აღიარებდა, რომ სოფელ კალაურში ჩასვლისას, საჯარო შეხვედრაზე ხალხთან გამოტანებული წერილები წაიკითხა, რამაც «ამ სოფლის მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია. წერილები უკან დაუბრუნეს და განუცხადეს, რომ აჯანყებაზე არასდროს დათანხმდებიან. ამიტომ სხვა სოფლებში ამ წერილების წაკითხვა ვერ გაბედა». ამ ჩვენებას პოდპოლკოვნიკ **სოლენიუსის** პატაკიც ადასტურებს: პოდპოლკოვნიკი სოფლების გავლით გაქცეულ თავადებს მისდევდა, «რომელთა მოსახლეობა მასთან შეხვედრისას აცხადებდა, რომ, თავადების მუქარის მიუხედავად, რუსეთის იმპერატორისადმი დადებულ ფიცს არ გატეხდა».

გენერალი **ლაზარევი** იმავე თემაზე გენერალ **კნორინგს** შემდეგს აცნობებდა: «როგორ არ ეცადენ თავადები ხალხის თავიანთ მხარეზე გადაბირებას, მაგრამ ხალხმა თავისი აზრი მაინც არ შეიცვალა და მათ პარტიას არ მიემხრო, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში არც ემორჩილებოდა. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ თავადები თავიანთ ხალხზე შურს იძიებენ».

«არ შემიძლია, არ გაცნობოთ, – წერს თელავიდან **კარნეევი კოვალენსკის**, – რომ უბრალო ხალხი ხელმწიფის ერთგული რჩება. 29-30 ივლისს, თელავში ყოფნის დროს, გლეხები სოფლების მთელ მოსახლეობასთან ერთად გენერალ-მაიორ **გულიაკოვთან** რჩევა-დარიგებისთვის მიდიოდნენ – როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და რა გაეკეთებინათ ასეთი არეულობისა და შფოთის დროს».

«თავს უფლებას ვერ მივცემ, ვამტკიცო, – აცნობებდა გენერალი **კნორინგი** ხელმწიფეს, – რომ მაღალი ფენის ყველა წარმომადგენელი საქართველოს შეერთებას, ადრეც და ამჟამადაც, გულგრილად უყურებს. ქართველი დიდებულების ნახევარს, მემკვიდრეობითი უფლებებისა და მათთან დაკავშირებული შემოსავლების შენარჩუნების მიზნით, მეფის ყოლა სურთ. მაგრამ სხვები,

საღად მოაზროვნენი, კარგად ერკვევიან სამშობლოს შინაურ და საგარეო მდგომარეობაში. იციან, ასეთი მმართველობის დროს რაოდენ არამდგრადია მდგომარეობა ქვეყნისა, სადაც არც მყარი საფუძველი და არც ქვეყნის მოწყობისთვის საჭირო საშუალებები არ არსებობს; მათი აზრით, უმჯობესია თავიანთი პრივილეგიების ნაწილს შეელიონ და ძლიერი მთავრობის მფარველობის ქვეშ იცხოვრონ, ვიდრე ყოველწუთიერად, შინაგანი მღელვარებისა თუ მტაცებელი მეზობლებისგან, სიკვდილს ან საკუთრების დაკარგვას ელოდონ; ქართველი ხალხის უმეტესობასთან ერთად, მათაც რუსეთის ქვეშევრდომობა სურთ».

«თავადები, რომლებსაც საკუთარი სოფლები აქვთ, მხოლოდ ამ შემოსავლებით ცხოვრობენ და ხალხს არ ძარცვავენ, – წერდა გენერალი **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს**, – როგორც ჩანს, ახალი (რუსული) ხელისუფლების მომხრეებად რჩებიან, ხოლო ისინი, ვინც თავის თანამემამულეებს უზომოდ ძარცვავდა და ამ სახით მდიდრდებოდა, ბატონიშვილებს უჭერენ მხარს. მაგრამ მათ რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთების ძალა არ შესწევთ. ერთადერთი რაც შეუძლიათ, ეს მეზობლების არაფრის მაქნისი ჯარის ჩამოყვანაა».

როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, ხალხი, გაუქმებული დინასტიის წარმომადგენლების ჩაფიქრებულ გეგმებს მხარს არ უჭერდა, როგორც შეეძლო ეწინააღმდეგებოდა და თავის გადაწყვეტილებას არ ცვლიდა — რუსეთის ქვეშევრდომობა სურდა. ეს მტკიცდება შემდეგი ფაქტით: ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, გენერალ **კნორინგის** საქართველოში პირველი ჩამოსვლის მიზანი იყო, გაერკვია და დარწმუნებულიყო, რამდენად გულწრფელად სურდა ქართველ ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობა. ქართველი ხალხი სიხარულით შეხვდა გენერალ კნორინგს და საზღვრიდან თბილისამდე გააცილა; ვარაუდობდნენ, რომ გენერალი **კნორინგი** საქართველოს რუსეთთან შეერთების გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა და მადლიერების ნიშნად, ხელმწიფის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ლოცულობდნენ. მაგრამ, როდესაც გაიგეს, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერ-ჯერობით მიღებული არ იყო, მწუხარებასა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ.

თბილისში ხელმეორედ ჩამოსვლისას, გენერალი **კნორინგი** ხელმწიფეს აცნობებდა: «ხალხის კმაყოფილება იმდენად ძლიერი და გულწრფელია, რომ სრულად გაფანტა ბატონიშვილებისა და მათი მომხრეების მიერ გავრცელებული ხმები, თითქოსდა საქართველო ისევ ძველ, გაჩანაგებული მმართველობის სახეს შეინარჩუნებს».

ვფიქრობთ, მოწოდებული ამონაწერები სრულიად საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად – სურდა თუ არა ქართველ ხალხს რუსეთის ქვეშევრდომობა, რა თქმა უნდა, სამეფო ოჯახისა და მათი თანამოაზრეების გამოკლებით, რომლებიც იმდენად სამეფო დინასტიის მომხრეები არ იყვნენ, რამდენადაც მემკვიდრეობით თანამდებობებს ვერ ელეოდნენ. ჩვენ ამ სურვილის საუკეთესო ფაქტობრივ დასაბუთებას საქართველოში განლაგებულ, მისი შიდა და გარეშე მტრებისგან დასაცავად გამოგზავნილ სამხედრო ძალების მცირერიცხოვნობაში ვიპოვით.

«არქეოგრაფიული კომისიის აქტების» თანახმად, ასკაციანი რაზმი, ქვემეხთან ერთად, იმ დროს დიდ ძალად ითვლებოდა. ჩვენი ჯარი დაყოფილი და გაფანტული იყო 70, 60, 50 და უფრო ნაკლებ ჯარისკაცად, თანაც იმ პირობით, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობებში სიფრთხილე გამოეჩინათ. მაგრამ ჩვენი ჯარისკაცისათვის გინდ გიბრძანებია, გინდ არა; აქ, სახლებში, თავს ისე გრძნობდნენ, როგორც მუჟიკთან რუსეთში. ძლევამოსილი რუსული ჯარის დისციპლინისა და შეიარაღების უპირატესობის მიუხედავად, ცხადია, რომ ყველა ამ რაზმის განადგურება მტრის მიწაზე, მოსახლეობის მტრული დამოკიდებულების პირობებში, ძალების ასეთი გაფანტვის გარდაუვალი შედეგი იქნებოდა.

ბატონიშვილი **ფარნაოზის ოტია** და **ივანე ზანდუკელებისადმი** გაგზავნილი წერილის საფუძველზე შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ მცირერიცხოვან რუსულ რაზმებზე მოულოდნელი თავდასხმისა და განადგურების სურვილი მხოლოდ რუსეთის მტრებს შეიძლება ჰქონოდათ; და თუ ჩვენი რაზმები მედგრად იდგნენ და საქართველოს წესრიგსა და უსაფრთხოებას მართლაც იცავდნენ,

ამის გაკეთებას ისინი მხოლოდ უმრავლესობის ან ქვეყნის მთელი მოსახლეობის შემწეობისა და თანაგრძნობის საფუძველზე მოახერხებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან შეერთებით გამოწვეულ სიხარულთან ერთად, მალევე გულისტკენისთვის უამრავმა საბაბმა იჩინა თავი. უპირველეს ყოვლისა, 1801 წლის 16 თებერვალს იმპერატორ **პავლე I**-ის პირველი მანიფესტის გამოქვეყნებით ქართლ-კახეთის რუსეთის ქვეშევრდომად მიღების შესახებ, საქართველოში არაფერი შეცვლილა, რამდენადაც ბატონიშვილები, დედოფლები, მეფის ასულები და მთელი ადმინისტრაციული წესი ხელუხლებელი დარჩა; შესაბამისად, ხალხის მძიმე მდგომარეობაც არ გაუმჯობესებულა.

სერიოზული ცვლილებებისკენ პირველი მორიდებული ნაბიჯი მხოლოდ 1801 წლის ივლისში გადაიდგა, როდესაც გენერალ **კნორინგის** მითითებით საქართველოს მთავრობა დაარსდა: თავმჯდომარედ დაინიშნა გენერალ-მაიორი **ლაზარევი**, წევრები გახდნენ — **ზაალ ბარათაშვილი, ივანე ჩოლოყაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, სულხან თუმანიშვილი** და მხოლოდ თბილისის საქმეებში მონაწილეობისთვის, თავადი **დარჩი ბებუთოვი.** მაგრამ ამ «მთავრობას» არაფრის გაკეთება არ შეეძლო, რადგან თავიდანვე დროებით იყო დაარსებული, ვიდრე საქართველოს მომავალ ბედზე **ალექსანდრე I**-ის გადაწყვეტილება არ გამოქვეყნდებოდა.

იმავე დროს, საქართველოს უმაღლესი მთავრობის ცნობილი პროექტის შედგენაზე **კოვალენსკი** მუშაობდა, რომელიც მოსკოვში ხელმწიფემ 1801 წლის 12 სექტემბერს დაამტკიცა. საქართველოს პირველი მმართველი კოვალენსკი და მისი მოღვაწეობა, რომელიც რუსული ხაზინის გაძარცვისა და მის ხელში ჩავარდნილი მთელი ქვეყნის გაკოტრებისკენ იყო მიმართული, ჩვენთვის პირველი თავიდან არის ცნობილი. თუკი ქვეყნის საგარეო უსაფრთხოება უდავოდ გენერალ **ლაზარევისა** და, საერთოდ, მთელი სამხედრო ხელმძღვანელობის მოღვაწეობით იქნა მიღწეული, შინაგანი წესი ანუ საქართველოს სისტემატური ძარცვა ძველებურად გრძელდებოდა, თუმცა ბოროტმოქმედებათა ახალი ფორ-

მით, რომელიც ქართველი ხალხის ხასიათისთვის, ადათ-წესებისა და წარმოდგენებისთვის უცხო და ამიტომ განსაკუთრებით არასასიამოვნო და მძიმე იყო. ამას შედეგად ქვეშევრდომობის მიღებით გამოწვეული აღფრთოვანების დაცხრომა, შემდეგ დრტვინვა და რუსეთისა და ყოველივე რუსულისადმი მტრული განწყობა მოჰყვა.

თუ ამას დავუმატებთ ქართული სამეფო ოჯახისა და მისი თანამზრახველების ძალისხმევას, ხალხში ყველა საშუალებით გაეღვივებინა რუსეთისა და რუსული ბატონობის წინააღმდეგ მტრული გრძნობები, აღარ უნდა გაგვიკვირდეს 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთებით გამოწვეული საყოველთაო სიხარულის ასეთი სწრაფი შეცვლა რუსული მმართველობისადმი უნდობლობით; ასეთი მდგომარეობა დახვდა 1803 წელს თავად **ციციანოვს** საქართველოში.

სხვა შედეგები, რა თქმა უნდა, არც შეიძლება ყოფილიყო. ხელმწიფის სრული ნდობით აღჭურვილი საქართველოს მმართველი, თავისი მოვალეობების პატიოსნად შესრულებისა და რუსეთის სამსახურის თავდადებული სამსახურის მაგიერ, მაღალ სახელმწიფოებრივ მდგომარეობასა და მინიჭებულ ძალაუფლებას პირადი გამდიდრებისა და თავისი ნათესავებისა და თანამზრახველების კეთილდღეობისთვის იყენებდა, რომელთა მეშვეობით ყველა ადმინისტრაციულ ინსტანციაში თავისი ძლიერი, ერთიანი აგენტურული ქსელი შექმნა და ასეთ ანდერძის აღმსრულებელთა დახმარებით ყველაფერს იღებდა, რისი ამოღებაც კი შესაძლებელი იყო ქართველი ხალხისგან — ფულის, პროდუქტების თუ სამსახურის მეშვეობით.

კოვალენსკი და K^0, რასაც კი მოიხელთებდა, — მიწებს, ხაზინის ფულს, მოსახლეობის მხრიდან სხვადასხვა მომსახურებას, ჯარისთვის განკუთვნილ ქერსა და თივას, – განურჩევლად ყველაფერს ითვისებდა. გასაგებია, რომ ყოველივე ამ ბოროტმოქმედებებს საკუთარი ფირმის სახელით არ აკეთებდა. ამისათვის კოვალენსკის სპეციალური წარმომადგენლები, ანდერძის აღმსრულებლები ჰყავდა. მან, მფლობელების ნებართვის გარეშე, ქა-

რთველი მეფეების ძველი სასახლის აგურებისგან სახაზინო მაუდის ფაბრიკის აშენებაც ისურვა; კოვალენსკი ძლევამოსილი რუსული ჯარის გაძარცვასაც არ ერიდებოდა; ის გარიგებაში შევიდა მის მიერ დანიშნულ გუბერნიის ხაზინადარ **ივანე ბეგთაბეკოვთან** და მისი დახმარებით ხელოვნურად ამცირებდა ოქროს თუმნიანების კურსს, რითაც ართულებდა მათ ვერცხლზე გადაცვლას. ასე რომ, ხელმძღვანელობდა რა საქართველოს, ამ მმართველმა ისეთი ფინანსური ცოდნა და ნიჭი გამოავლინა, როგორიც იმ დროს რუსეთში, იშვიათად ვინმეს რომ ჰქონოდა.

გენერალ-ლეიტენანტი **კნორინგი** საქართველოს არ იცნობდა და მისი ადგილსამყოფელიც ამ კუთხიდან საკმაოდ დაშორებული იყო; ამდენად, შესაძლებელია, **კოვალენსკისა** და K^0-ის ბოროტმოქმედებათა გამზიარებელი, უფრო უკეთესი იქნება, თუ ვიტყვით, თანამონაწილე არ იყო; მაგრამ კოვალენსკისადმი თავისი ნდობითა და მის სასარგებლოდ გაცემული განკარგულებებით, რუსეთიდან მისთვის უმაღლესი ბრძანებულებების გამოთხოვნით, იგი კოვალენსკის თაღლითობასა და სპეკულაციას აკანონებდა და თავად ვერ აცნობიერებდა, რომ ამ ქმედებებით უფრო მეტად უწყობდა ხელს ქართველი ხალხის უკმაყოფილების ზრდასა და რუსეთისადმი თანაგრძნობისა და სიყვარულის დაკარგვას, ვიდრე წვრილ-წვრილი მპარავები და ქურდბაცაცები.

ამიტომ, თავად **ციციანოვისადმი** გადაცემულ რესკრიპტში, გენერალ **კნორინგის** სახელი **კოვალენსკის** სახელის გვერდით სრულიად სამართლიანად არის მოხსენიებული და თანამდებობების ბოროტად გამოყენებისთვის მათი შეცვლის ბრძანებაა გაცემული. მაგრამ, რამდენადაც ადვილი იყო საქართველოში მოღვაწე უმაღლესი რუსი მოხელეების შეცვლა, იმდენად რთული გახლდათ მათ მიერ შემოღებული წესების აღმოფხვრა და საქართველოში კოვალენსკის მიერ აკლიმატიზაციაგავლილი ადმინისტრაციიდან ჩინოვნიკ-ექსპლოატატორთა მასის გათავისუფლება.

საქართველოს უმაღლესი მთავრობის დაფუძნების დროს მის მიერ ჩადებულმა საწყისმა მოთხოვნებმა ნოყიერ ნიადაგში მყარად გაიდგეს ფესვები და ცვლილებები არ განუცდიათ. თავადმა **ცი-**

ციანოვმა მეტად რაციონალურ ხერხს მიმართა, კერძოდ, რუსული ადმინისტრაციის საუკეთესო წარმომადგენლების მოზიდვის მიზნით, გამოითხოვა უმაღლესი ნებართვა იმ პირებისთვის შეღავათების დასაწესებლად, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლას გადაწყვეტდნენ.

თუ რისი გაკეთების უფლებას აძლევდნენ საკუთარ თავს საქართველოში მოღვაწე რუსი ჩინოვნიკები, შესაძლებელია ვიმსჯელოთ შემდეგი ამონაწერით: საქმე ეხება კაპიტანის, ანანურის სამაზრო პოლიციის უფროსის მიერ 1804 წელს ჩადენილ უკანონო ქმედებებს, ესე იგი, მაშინდელს, როდესაც ადმინისტრაციაში, ძველ დროსთან შედარებით, უფრო მეტი წესრიგი და ადმინისტრატორების უკეთესი კადრი იყო. კაპიტანმა «ჟამურში ჩასვლისას ოსები დაიჭირა; ვარცლში, რომელშიც ძაღლებს საჭმელს უყრიდნენ, ჩაასხა ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი რძე, კატები დახოცა და იქვე ჩაყარა, ჩაამატა ადამიანის განავალი და მათ ამ ნაზავის ჭამა აიძულა».

რამდენადაც ეს დოკუმენტი დაბეზღებას წარმოადგენს და მისი სისწორე ჯერ კიდევ შემოწმებული არ არის, შესაძლებელია ვივარაუდით, რომ ყოველივე გადაჭარბებულია, მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტის გარეშე მსგავსი წამების მოგონება საკმაოდ რთულია. ეს მაგალითი იმ უპატივცემულობასა და უყურადღებობაზე მიუთითებს, როგორითაც პირველი რუსი ადმინისტრატორები მოსახლეობას ექცეოდნენ და უკანონობას მიჩვეული ხალხი მათ უაზრო თვითნებობას უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

საჭირო არ არის იმ მდიდარი მასალით გატაცება, რომელშიც რუსული ბიუროკრატიის პირადი სარგებლისა და არა რუსეთის ინტერესების დაცვისკენ მიმართული მოღვაწეობაა აღწერილი. ეს საკმაოდ ფართო, ძალიან საინტერესო, თუმცა უსარგებლო საკითხია, რადგან წარსულის უწესრიგობების ისტორიული აღწერა აწმყოს მოვლენებში ვერ გაგვარკვევს და ვერც მომავალს შეცვლის. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამ ბიუროკრატიის მონაწილეობის ფაქტს ქართველი ხალხის ისეთ ქმედებებში, როცა იგი რუსეთის მმართველობისადმი მტრულ განწყობას

გამოავლენდა, ვინაიდან ეს მოვლენა საქართველოს მიერ, მისი უკანასკნელი მეფის ინიციატივითა და მთელი ხალხის სურვილით განხორციელებულ, რუსეთთან შეერთების ნებაყოფლობით აქტს საფუძველშივე ეწინააღმდეგება.

ერთი და იმავე ხალხის ნების გამოვლინების ამ ორი, დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის შესარიგებლად, ჩვენ ვფლობთ ყველაზე ზუსტ მონაცემებს, დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც ვასკვნით, რომ ეს ორივე ფაქტი არა ერთდროულად, არამედ ერთმანეთის მიყოლებით გამოვლინდა. ქართლ-კახეთის სამეფოს მართვის ყველა ადმინისტრაციული ორგანოს დემორალიზაცია ხალხს აიძულებდა, რომ უკეთესი მომავლის სურვილი გასჩენოდა.

მეფესაც და ხალხსაც ეს უკეთესი მომავალი ძლევამოსილი მარლთმადიდებელი რუსეთის მფარველობის სახით წარმოედგინა — ეს მფარველობა ყველას ძლიერად და გულწრფელად სურდა. შეერთება შედგა: ყველა კმაყოფილი იყო, თუმცა, **მუსინ-პუშკინის** აზრით, «ის თავადები, რომლებსაც საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით და წარუმატებლობის შემთხვევაში, როგორც თავად ამბობენ, თავს დადებდნენ, არა მარტო არ დაუჯილდოებიათ, არამედ ის წარჩინების ნიშნები და შემოსავალი, რაც ადრე თანამდებობით ერგებოდათ, ისიც წაართვეს; რუსეთის ბევრი მოწინააღმდეგე კი ან წარჩინების ნიშნებით, ან ჯამაგირით დააჯილდოვეს». მაგრამ, მიუხედავად იმპერატორების **პავლე I**-ისა და **ალექსანდრე I**-ის მაღალჰუმანური განზრახვებისა, რომლებიც მათ მიერ გამოცემულ მანიფესტებში კატეგორიული ფორმით არის გამოხატული, რუსეთიდან საქართველოში უმაღლესი ნების ისეთი შემსრულებლები გამოაგზავნეს, როგორიცაა **კოვალენსკი** და K^0. მათ კი არ აღმოფხვრეს, არამედ გაამრავლეს და გააძლიერეს ბოროტმოქმედებები, რისგანაც ქართველი ხალხი იტანჯებოდა.

ამრიგად, ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები არ გაუმჯობესებულა და უკეთესი მომავლის იმედი არაკეთილმოსურნეობაში, გულისწყრომაში, უძალო ბრაზსა და მსგავს გრძნობებში გადა-

იზარდა, რაც, თავის მხრივ, უმაღლესი ხელისუფლების წინააღმ-დეგ შფოთსა და აღშფოთებას იწვევდა. შექმნილმა მდომარეობამ საქართველოს დაკარგვამდე რომ არ მიგვიყვანა, ამასაც თავისი, დოკუმენტურად დადასტურებული მიზეზები აქვს; კერძოდ, ეს განაპირობა ადმინისტრაციაში ისეთი პიროვნებების არსებობამ, როგორებიც იყვნენ გენერალი **ლაზარევი**, თავადი **ციციანოვი** და თავისი სამშობლოს ბევრი სხვა ცნობილი თუ უცნობი პატიოსანი ადამიანი, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ ბოროტმოქმედებებს, როგორც შეეძლოთ სდევნიდნენ მას და, რა თქმა უნდა, მხარდაჭერასა და დახმარებას ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის პოულობდნენ.

ჩვენ ვნახეთ, რომ გენერალი **ლაზარევი** პირველივე დღეე-ბიდან აცნობებდა გენერალ **კნორინგს კოვალენსკისა** და K^0-ის ბოროტმოქმედებებზე, რომლებიც ჩქარობდნენ ხალხის გაძარც-ვას. ლაზარევს მაშინ ჯერ კიდევ ეშინოდა, ხალხი არ გაენაწყენე-ბინათ. ჩვენ ისიც ვნახეთ, ამ თემაზე როგორ თამამად ესაუბრე-ბოდა ლაზარევი **გიორგი XII**-სა და ბატონიშვილ **დავითს**; ყველა ადმინისტრაციულ აქტშიც იგივეს იმეორებდა. გენერალ **კნორინ-გის** ყოვლად უქვეშევრდომილეს პატაკებში ვხედავთ, რომ ყველა მათგანი, უმეტესწილად, გენერალ **ლაზარევის** მოსაზრებებსა და წინადადებებს ემყარებოდა.

მართალია, გენერალ **ლაზარევს**, **კოვალენსკისაგან** განსხვავე-ბით, ისეთი მაღალი ოფიციალური მდგომარეობა არ ეჭირა, მა-გრამ საქართველოს საქმეების წარმართვაზე არანაკლები გავლენა ჰქონდა. ჯარის რიცხობრივ ზრდასთან ერთად, გენერალ ლაზა-რევის მნიშვნელობაც იზრდებოდა და საქართველოს აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებულ ყველა მოსაზრებასა და წინადადებას ის ღებულობდა და არა კოვალენსკი, რომელიც მხოლოდ აღმას-რულებელი ხელისუფლებით კმაყოფილდებოდა, რაც მას ქვეყნის ექსპლოატაციისთვის ფართო შესაძლებლობას აძლევდა.

თავად **ციციანოვის** დანიშვნისთანავე, **კოვალენსკი** ხელისუ-ფლებას ჩამოაშორეს, მაგრამ გაუგებარი მიზეზებით, ის ისევ ბოროტმოქმედებების აქტიურ მონაწილედ დარჩა. გენერალი

ციციანოვი უძლური იყო ხელი შეეშალა მისთვის, ის მხოლოდ ხელმწიფესთან ჩიოდა: «სადაც სამი წლის განმავლობაში დანაშაული დაუსჯელი რჩება, როგორც კოვალენსკის შემთხვევაშია, იქ მექრთამეობასთან მებრძოლი, სამშობლოს მსახურებისა და უქონელთა დაცვისათვის თავდადებული ერთი ადამიანი სიკეთეს თავის სამსახურს ვერ მოუტანს».

ჩვენ ასევე მოვიძიებთ იმის მტკიცებულებასაც, რომ, ჩინოვნიკების თავაშვებული ქცევის მიუხედავად, ქართველი ხალხის საღად მოაზროვნე ნაწილი მათ განუკითხაობას რუსული მთავრობის ნებასთან არ აიგივებდა და კარგად აცნობიერებდა, რომ ისინი თავის საქმიანობაში მათ ნდობას ბოროტად იყენებდნენ. «არქეოგრაფიული კომისიის აქტებში» ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, სადაც სხვადასხვა საზოგადოება ადგილობრივი უფროსების ნაცვლად, რუსი ჩინოვნიკების გამოგზავნას თხოულობდა, თუმცა ასეთი საჩივრებიც არსებობს: «თქვენი მხრიდან, მანიფესტით დაპირებული წყალობები არ შესრულებულა. უსაფრთხოებას დაგვპირდით: მაგრამ სად არის ის? სოფლებსა და დაბებს ლეკები აწიოკებენ, თქვენ კი არაფერზე ზრუნავთ; ეკლესიებისა და ეპისკოპოსების ღირსება უნდა აგემაღლებინათ, თქვენ კი მათ ყველა სამემკვიდრეო მამულები და გლეხები წაართვით; თავადებს მეტ პატივს დაგვპირდით, ამასობაში კი ჩვენ, რომლებიც ჩვენი დამპყრობლებისგან დაფასებული ვიყავით და მისი წყალობით თავს ვირჩენდით, ამის გარეშე დავრჩით; ვინც გმირულად იომა და თავისი სისხლით საკუთრებაში სოფლები დაიმსახურა, მათი უფლებები დარღვეულია; ხელმწიფე გლეხებს დაპირდა, რომ 12 წლის განმავლობაში ბეგარას არ გადაიხდიდნენ; ასევე ბრძანა, რომ მმართველის ხელფასის მონარჩენი თანხა ჩვენი ქალაქის (თელავის) აღდგენას მოხმარდება, მაგრამ ეს ბრძანებაც არ შესრულებულა».

იმ დროს რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციას იმაზე უკეთესი შემსრულებლები, ვიდრე საქართველოში გააგზავნა, არ ჰყავდა. ეს ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტი არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს ჩინოვნიკების მიერ ამიერკავკასიაში ჩადენილ ბოროტ-

მოქმედებების მნიშვნელობას. ეს ბოროტმოქმედებანი უნდა ჩაითვალოს ქართველი ხალხის იმ აღელვების ძირითად მიზეზად, რომელიც ყველაზე მშვიდი ხალხის მხრიდან რუსეთის მთავრობის მიმართ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებაში გამოიხატა, ხალხისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში რუსეთთან ერთობას ელოდებოდა და მას გულწრფელი სურვილით მიეკედლა, რათა რუსული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო.

ვასილი პოტო

საქართველოს შემოერთება[1]

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდგომ, **აღა-მაჰმად-ხანის** ახლად აოხრებული საქართველო ერთობ შეჭირვებულ და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ერთი მხრივ გარედან თურქების, სპარსელებისა და ლეკების შემოჭრის საშიშროების, მეორე მხრივ კი ქვეყნის შიდა არეულობისა და სამეფო ტახტის დაუფლებისთვის ატეხილი ბრძოლის გამო. **ერეკლეს** კანონიერი მემკვიდრე გახდა მისი უფროსი ვაჟი მეორე ქორწინებიდან **გიორგი XIII**, კარგა ხნით ადრე აღიარებული ქართლის მეფედ. ჯერ კიდევ პეტერბურგში გამგზავრებამდე მისმა ბაბუამ, **თეიმურაზმა** გადასცა უფლისწულ **გიორგის** ქართლის მეფის სკიპტრა, შეაბა სამეფო მახვილი და დაჰკიდა ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით მოოჭვილი ოქროს ძეწკვიანი ჯვარი ცხოველსმყოფელი ძელის ნაწილით. ეს მოხდა მცხეთის ტაძარში სამღვდელოების და ქართლის თავადებისა და დიდებულების თანდასწრებით. თუმცა, როგორც ცნობილია, **ერეკლემ** მაშინ შეიერთა ქართლი და თავის ერთპიროვნულ მმართველობაში მოაქცია.

გიორგის მემკვიდრეობით გადაეცა მამის საუკეთესო თვისებები და ამდენად მას შეეძლო კეთილდღეობა მოეტანა ქვეყნისათვის,

[1] თავი წიგნიდან: **Потто Василий**, Кавказская война (с нач. XVI в. по 1831 г.), М., 2018. გვ.117-123: **Присоединение Грузии (Кнорринг и Лазарев).** თარგმანი დავით ფურცხვანიძისა.

რომ ის ასეთ მძიმე პირობებში არ ყოფილიყო ჩავარდნილი. უფლისწულობის დროს ის უკვე ძალიან პოპულარული იყო, რომლის მოპოვებაში საგრძნობი წვლილი შეიტანა მისმა პირველმა ცოლმა, რომელიც ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ოცდაერთი წლის **გიორგიმ** ცოლად შეირთო ყაზახის მოურავ **ანდრონიკაშვილის** ცამეტი წლის ქალიშვილი **ქეთევანი**, რაც ერთგვარი რომანტიკული ხასიათის ვითარებაში მოხდა.

ამბობენ, როდესაც **გიორგი** კახეთს ეწვია და მოურავთან სტუმრად იყო, განგაში ამტყდარა: ლეკები ალაზანს მოადგნენო. მათ დაედევნა ახალგაზრდა **რევაზ ანდრონიკაშვილი**. ბრძოლისას იგი მუხლში დაჭრეს, მაგრამ მას ეყო სიმამაცე და სახლში დაბრუნებამდე არაფერი შეიმჩნია. **გიორგი** აღტაცებულა თავადის ლეგენდარული სიმამაცითა და კეთილშობილური ხასიათით და მაშინვე მისთვის დის, **ქეთევანის** ხელი უთხოვია, რადგან მამა უკვე გარდაცვლილი ჰყავდათ.

ეს პატარძალი ქართველი მემატიანეების მიერ მოხსენიებული ის ქეთევანია, რომელმაც, როგორც უშიშარმა გმირმა, სახელი გაითქვა ღართისკარის ველზე სამასი კახელი მხედრის თანხლებით ლეკების ძლიერ ჯართან ბრძოლაში. უშიშარი ქალწული თავად ხელმძღვანელობდა რაზმს და სამჯერ დახმარების მიღების მიუხედავად, მაინც დაამარცხა ლეკები. როდესაც ამის შემდეგ ტფილისში ჩავიდა, იგი დიდი ზეიმით მიიღო **ერეკლემ**, ზარბაზნების სროლითა და ჩირაღდნებით შეხვდა. ეს მოხდა 1778 წელს.

ბატონიშვილის ქორწინებას მთელი საქართველო ზეიმობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, **გიორგის** ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ოთხი წლის შემდეგ **ქეთევანი** გარდაიცვალა. როგორც მისი თანამედროვენი მოგვითხრობენ, საკმაოდ მდიდრულად დაკრძალეს უდროოდ გამქრალი მეფის ასული, რომელიც სამეფო კარის მშვენება და ქართველი ხალხის სიამაყე იყო. გიორგიმ მოისურვა, რომ გარეჯის უდაბნოს მონასტერის მიწისთვის მიებარებინა მისი ნეშტი. ივნისი იყო; სამწუხარო ამბავი მთელ საქართველოს მოედო და ხალხი ქვეყნის ყველა კუთხიდან დაიძრა მათი საყვარელი მეფის ასულის დაკრძალვაზე დასასწრებად.

გარდაცვლილს გარეჯის ლავრის საზღვარზე ბაირაღებით მიეგება სამი მიტროპოლიტი. სამგლოვიარო ჰიმნებს შერეული ტირილი და გოდება გაისმოდა მხოლოდ სწრაფი ჯეირანებით დასახლებულ მდუმარე უდაბნოში. განდეგილები, რომლებმაც ბავშვობიდან მიატოვეს წუთისოფელი და მისი ამაოება, გაოცებულნი შეჰყურებდნენ უეცრად გამოჩენილ ხმაურიან პროცესიას, რომელსაც თან სამეფო დიდებულება ახლდა. გარდაცვლილის ხილვა მათ უსიტყვოდ უქადაგებდა მიწიერი ყოფის ამაოებაზე, ადამიანური ძალისა და დიდების წარმავლობაზე.

ამბობენ, რომ მაშინ, დამწუხრებულმა **ერეკლემ** გარდაცვლილის კუბოსთან წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოთქვა: „აი, როდის დაიღუპა ჩემი სახლი!“.

დაქვრივებული **გიორგი** იმავე წელს მეორედ დაქორწინდა დიდგვაროვან **მარიამ ციციანოვზე**, რომელიც თუმცა სილამაზით ბრწყინავდა, მაგრამ არ ჰქონდა ის კეთილი გავლენა, რომლითაც ქართველთათვის საყვარელი მეფის ასული **ქეთევანი** გამოირჩეოდა.

ტახტზე ასულ **გიორგის** არ გააჩნდა საკმარისი ძალა და სიმტკიცე იმისთვის, რომ წინ აღდგომოდა მის გარშემო არსებულ შიდა არეულობას. მისი დედინაცვალი **დარეჯან** დედოფალი, რომელმაც ჯერ კიდევ **ერეკლე** აიძულა, მთელი სამეფო სამთავროებად დაეყო გიორგისა და მისი შთამომავლობის საზიანოდ, ახლა ინტრიგების ცენტრად იქცა და ტახტისგან გიორგის შთამომავლობის სრულიად ჩამოსაშორებლად ხრიკებს აწყობდა.

დარეჯანს და მის ვაჟებს არ სურდათ მეფის ხელისუფლების ცნობა და თავშესაფარს სპარსეთში ეძებდნენ.

გიორგი ხედავდა, თუ რა ძნელი იქნებოდა ტახტის შენარჩუნება მისთვისა და მისი შთამომავლობისთვის, და როგორც ამ მიზეზით, ისე ამ მძიმე ვითარებაში მტერთან უთანასწორო ბრძოლით გადაღლილი სამშობლოს საბოლოოდ დამშვიდების მიზნით, სთხოვა იმპერატორ **პავლე I**-ს, მიეღო საქართველო რუსეთის მუდმივ ქვეშევრდომად და შიდა და გარეშე მტრისგან მის დასაცავად ჯარები გამოეგზავნა.

იმპერატორმა კავკასიის ხაზის მეთაურს, გენერალ-ლეიტენანტ **კნორინგს** უბრძანა, ტფილისში ეგერების (ამჟამად ლეიბ-ერევნის)

მეჩვიდმეტე პოლკი გაეგზავნა გენერალ-მაიორ **ლაზარევის** მეთაურობით. 1799 წლის შემოდგომაზე, საქართველოში, პოლკთან ერთად განუსაზღვრელი ვადით სრულუფლებიანი მინისტრის თანამდებობაზე გამოგზავნილ იქნა საშტატო მრჩეველი **კოვალენსკი.** მან მეფეს გვირგვინი და სხვა სამეფო ატრიბუტები ჩამოუტანა, ვინაიდან **ალა-მაჰმად-ხანის** შემოსევისას გატაცებულ იქნა ყველა ის ძვირფასი რეგალია, რომლებიც ქართველი მეფეების კორონაციისას გამოიყენებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლო იყო და კავკასიის მთავარ ქედსა და უღელტეხილზე ყინვა და ქარბუქი მძვინვარებდა, პოლკმა წარმატებით დაასრულა რთული ლაშქრობა და 26 ნოემბერს, **გიორგის** ანგელოზის დღეს, ტფილისს მიუახლოვდა. მას არაჩვეულებრივი ზეიმით შეხვდნენ. თავად მეფე, ტახტის მემკვიდრესთან, ბატონიშვილებთან და მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად მას ქალაქის კარიბჭესთან პურითა და მარილით შეეგება. როგორც **კოვალენსკი** იუწყებოდა, პოლკი ტფილისში ზარბაზნების გრუხუნისა და ზარების რეკვის თანხლებით შევიდა. მთელი გზა, რომელზეც პოლკი მოძრაობდა და თვით ქალაქის ქუჩებიც გადაჭედილი იყო ხალხის მასებით, ტფილისის სახლების ფანჯრები სავსე იყო მაყურებლებით. ხალხი გულწრფელად ზეიმობდა.

თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ასეთი გულითადი მიღების მიუხედავად, ტფილისში რუსული პოლკის მდგომარეობა, განსაკუთრებით პირველ ხანებში, უკიდურესად სავალალო იყო. საქართველოს ადმინისტრაციაში უწესრიგობისა და თანამდებობებით ბოროტად სარგებლობის გამო ჯარისკაცებს ცუდ პირობებში უწევდათ ყოფნა, არ ჰქონდათ ბინები, დღეების მანძილზე შეშისა და საკვების გარეშე რჩებოდნენ. **ლაზარევი** პირადად ესაუბრებოდა ამის შესახებ მეფეს, თუმცა ამ უკანასკნელის განკარგულებებს არავინ ასრულებდა. „აქ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენთან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, – წერდა ამის თაობაზე ლაზარევი **კნორინგს,** – იქ ყველაფერი ხვალისთვისაა გადადებული, ხოლო აქ გამუდმებით გაისმის „იქნება“, საქმით კი არაფერი კეთდება“.

პოლკის შემოსვლისთანავე ტფილისმა დაიწყო საქართველოს უკანასკნელი მეფის, **გიორგი XIII**-ის კორონაციის საზეიმო დღისთვის მზადება.

რამდენიმე დღეში ყველა სამეფო რეგალია **კოვალენსკის** სახლიდან გადატანილ იქნა მეფის სასახლეში. ამ მდიდრულ ცერემონიას გაოცებული სახეებით უამრავი ადამიანი აკვირდებოდა. საპატიო ბადრაგით გარშემორტყმულ რუს მაღალჩინოსნებსა და ოფიცრებს, რომელთაც გვერდში ასისტენტები მოჰყვებოდნენ, მოჰქონდათ მასიური ოქროსფერი ფოჩებით მორთული ჟოლოსფერი ხავერდის ტახტი, თეთრი სახელმწიფო შტანდარტი რუსული ორთავიანი არწივის გამოსახულებით, დედოფალი **მარიამისთვის** გამოგზავნილი მდიდრული კაბა ბრილიანტის თაიგულთან ერთად, სამეფო ხმალი, ქართული და რუსული გერბებით მოქარგული სამეფო პორფირი, ძვირფასი ქვებით მორთული გვირგვინი და კვერთხი, და სამი ბრილიანტის ორდენი, რომელთაგან წმინდა ანდრიასი თავად **გიორგისთვის** იყო განკუთვნილი, ეკატერინესი – დედოფალი **მარიამისთვის**, ხოლო ანასი – ტახტის მემკვიდრის, ბატონიშვილი **დავითისთვის**. დაბოლოს, ვერცხლის ლანგრით მოჰქონდათ უმაღლესი სიგელი, რომლითაც **გიორგი** საქართველოს სამეფო ტახტის მფლობელად უნდა დამტკიცებულიყო.

პროცესია დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მეტეხის ციხიდან ზარბაზნის ცხრა გასროლამ ხალხს რუსი მინისტრის საზეიმო მსვლელობის დაწყება ამცნო.

საზეიმო ფორმაში გამოწყობილი **კოვალენსკი** მდიდრულად შეკაზმულ ცხენზე ამხედრებული მოდიოდა. მას წინ მიუძღოდა საელჩოს მდივანი იმპერატორ **პავლე I**-ის კრედიტული სიგელით ხელში, ცერემონმეისტერები და მუსიკოსთა გუნდი, გვერდით მოჰყვებოდნენ ტფილისის მაღალჩინოსნები, ხოლო უკან მეფის მცველებისგან შემდგარი ბრწყინვალე ბადრაგი მოძრაობდა. მეფის სასახლის სადარბაზოში **კოვალენსკის** საქართველოს სამეფოს უმნიშვნელოვანესი მაღალჩინოსნები შეხვდნენ და მათი თანხლებით მისაღებ დარბაზში შევიდა, სადაც მას მინისტრებითა და სამეფო კარისკაცებით გარშემორტყმული **გიორგი** ელოდა.

მეფესთან მოკლე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კოვალენსკიმ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორი **პავლე I** თავისი უმაღლესი მფარველობის ქვეშ ღებულობს საქართველოს და **გიორგის** საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ, ხოლო მის უფროს ვაჟს, უბრწყინვალეს ბატონიშვილ **დავით გიორგის ძეს** მის შემდგომ მემკვიდრედ ამტკიცებს. ამას მოჰყვა სამეფო ინვესტიტურის ნიშნების გადაცემის ცერემონია.

გიორგიმ სიტყვა წარმოთქვა: „ხელმწიფისადმი, როგორც ჩემი მბრძანებლისადმი მოწიწებით განმსჭვალული, სამეფო ღირსების ამ ნიშნების მიღებას შესაძლებლად ვთვლი მხოლოდ მას შემდეგ, რაც – როგორც იმპერატორისადმი ერთგულების, ისე კახეთისა და ქართლის მეფეებზე მისი უმაღლესი უფლებების აღიარების ფიცს დავდებ. მაგრამ მე მსურს, რომ ეს რიტუალი საზეიმოდ შესრულდეს ღმრთის ტაძარში, შესაფერისი დღესასწაულობითა და დიდებულებით“.

„თავს მოვალედ ვთვლი, – პატივისცემით უპასუხა **კოვალენსკიმ**, – დავესწრო თქვენი აღმატებულების მეფედ კურთხევას და თქვენ, როგორც ხელმწიფეს, შესაფერისი პატივი მოგაგოთ თქვენს დედაქალაქში მუდმივი ყოფნისთვის ჩამოსული რუსული ჯარების მხრიდან“.

სიტყვის დასრულების შემდეგ **კოვალენსკიმ გიორგის** უმაღლესი სიგელი გადასცა და ანდრია პირველწოდებულის ორდენის ნიშნები მიაწოდა, რომლებითაც მეფე მაშინვე შეიმკო. მინისტრმა მიულოცა გიორგის და ნებართვა ითხოვა, ანას ორდენი საქართველოს ტახტის მემკვიდრის, ბატონიშვილი **დავითისთვის**, ხოლო დანარჩენი საჩუქრები სამეფო გვარის სხვა წარმომადგენლებისთვის გადაეცა.

დედოფალმა **მარიამმა**, რომელიც ცერემონიას არ ესწრებოდა, **კოვალენსკი** შიდა პალატაში მიიღო. ამჯერად მან დაარღვია საქართველოში განმტკიცებული აზიური წეს-ჩვეულება, რომელიც მდედრობითი სქესის პირებს მამაკაცების თანდასწრებით თავდაუბურავად ყოფნას უკრძალავდა. ამასთან, დედოფალი შეხვდა მინისტრს, რომელსაც თან ახლდა მდიდრულ კაბებში გამოწყობილი მრავალი ქალბატონი უკან გადაწეული თავსაბურავებით. ჩვეულებრივი

მისალმების შემდეგ **კოვალენსკიმ** მას წმ. ეკატერინეს ბრილიანტის ორდენი მიართვა და, გიორგის თხოვნით, იგი დედოფალს თავად ჩამოჰკიდა.

12 დეკემბერს, მეფის კორონაციისთვის დანიშნულ დღეს, სასახლეში კვლავ შეიკრიბა ყველა ქართველი და რუსი წარჩინებული პირი. მეფე ეკლესიისკენ გაემართა თავის მეუღლესთან ერთად, რომელსაც რუსული მანტია ეცვა. მეფეს წინ მიუძღოდნენ სამეფო კარის მაღალჩინოსნები, რომელთაც გვირგვინი და კვერთხი მოჰქონდათ, ხოლო უკან მოჰყვებოდა **კოვალენსკი** და ტახტის მემკვიდრე, ასევე სამეფო გვარის სხვა წარმომადგენლები, თავადები, მინისტრები და მაღალჩინოსნები.

ჟამისწირვის შემდეგ **გიორგიმ** ბრძანა იმ უმაღლესი სიგელის წაკითხვა, რომელიც მას ტახტზე ამტკიცებდა, და რუსეთის ხელმწიფეებისადმი ქვეშევრდომობის ერთგულებაზე ფიცი მიიღო.

საზეიმო რიტუალის დასასრულს **გიორგი** სამეფო ინვესტიტურის ნიშნებით შეიმკო და დაბრუნდა სასახლეში, სადაც ტახტზე მჯდომმა რუსი მინისტრისა და ქართველი მაღალჩინოსნებისგან მილოცვები მიიღო.

ასე შესრულდა რუსეთის იმპერიისადმი საქართველოს სამეფოს ნებაყოფლობითი დაქვემდებარების აქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან შეერთებული საქართველო იმ დროისათვის მოიცავდა ქართლს, კახეთს და სვანეთის ნაწილს, რომელიც იყოფოდა თრიალეთისა და ბორჩალოს ოლქებად; საქართველოს კი მიეკუთვნებოდა ყაზახის, ბომბაკის და შამშადალის პროვინციები, რომლებიც თათრებით იყო დასახლებული, და მთის ხალხის: ოსების, თუშების, ფშაველებისა და ხევსურების მიწები.

ქვრივი დედოფალი **დარეჯანისა** და მისი შვილებისთვის სრულიად მიუღებელი იყო ტახტის მემკვიდრედ **გიორგის** რომელიმე შთამომავლის აღიარება. სწორედ იმ დროს, როცა გიორგი და დავითი იმპერატორ **პავლესადმი** ერთგულების ფიცს დებდნენ და ქართველი ხალხი უკეთესი მომავლის მოლოდინში ტფილისის ქუჩებში ზეიმობდა, მოხუცი დედოფალი თანამებრძოლებს აგროვებდა და უკმაყოფილო ადამიანებისგან შექმნილი პარტიის გაზრდას ცდი-

ლობდა. ხოლო ეს პარტია საქართველოს უმაღლესი მმართველობის სფეროში არსებული უთანხმოებებისა და განუკითხაობის ხარჯზე იზრდებოდა.

გიორგის გარემოცვაში ახლა უკვე რუსეთის ორი წარმომადგენელი იყო, რომლებიც, სამწუხაროდ, სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ხასიათითა და ზნეობრივი თვისებებით. მეფის დასაცავად გამოგზავნილ ჯარს სათავეში ედგა გენერალ-მაიორი **ლაზარევი**, პირდაპირი, გულღია და პატიოსანი კაცი, რომელმაც ჯერ კიდევ საქართველოში დანიშვნამდე საერთო კეთილგანწყობა მოიპოვა თავისი კეთილშობილური ხასიათით. მან თავისი სამხედრო კარიერა პროტექციისა და მფარველობების გარეშე, მხოლოდ პირადი ღირსებებით შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ **ივანე პეტრეს ძე ლაზარევი** დიდგვაროვანი აზნაურების შთამომავალი იყო და 1775 წელს მხედართა გვარდიის კაპრალად დაიწყო მსახურება, ცხრა წლის შემდეგ ძლივს მიაღწია ოფიცრის წოდებას. სამაგიეროდ, აქედან დაიწყო მისი სწრაფი სამსახურეობრივი ზრდა. ფინეთის ომში, შემდეგ კავკასიაში ანაპის შტურმისას და დერბენტის აღებისას მის მიერ გამოჩენილმა ღირსებებმა მეთაურობის ისეთი ყურადღება მიიპყრო, რომ 1797 წელს, როდესაც იმპერატორ **პავლეს** ბრძანებით, ყუბანისა და კავკასიის ეგერთა კორპუსების ნაწილთაგან ჩამოყალიბდა ახალი მეჩვიდმეტე ეგერთა პოლკი, **ლაზარევი** მის შეფად დაინიშნა და ოფიცრად მსახურების მეთოთხმეტე წელს გენერლის წოდება მიენიჭა. ლაზარევს, როგორც მკაცრ მეომარს, მცირედით დაკმაყოფილებას მიჩვეულს, უცხო მიწაზე მაღლად და პატიოსნად ეპყრა რუსული დროშა და ქართველებს ყოველივე რუსულისადმი უნებლიე პატივისცემას შთააგონებდა.

ამის საპირისპიროდ, მისი ამხანაგი **კოვალენსკი**, სამეფოს შიდა მმართველობისა და პოლიტიკის წარმომადგენელი, არაგულწრფელი, მეწვრილმანე და პატივმოყვარე კაცი იყო. იგი მეფეს ინტრიგებში ხვევდა, მის ყველა განკარგულებაში ერეოდა და პირველ პლანზე საკუთარ ინტერესებს აყენებდა. შეიტყო რა, რომ მეფემ მას და **ლაზარევს** თანაბარი თანხა დაუნიშნა დღიური კვებისთვის – ათი რუბლი დღეში, მან მეფეს აღნიშნული თანხის შეუსაბამობაზე მიუთითა და

დაჟინებით მოსთხოვა თავისთვის, როგორც ხელმწიფის წარმომადგენლისთვის, თანხის გაორმაგება. ასეთი მეწვრილმანეობითა და თავხედური პრეტენზიით აღშფოთებულმა **ლაზარევმა** საერთოდ უარი თქვა თავის კუთვნილ თანხაზე, და **კოვალენსკი**, რომელსაც ჩივილის საბაბი აღარ დარჩა, იძულებული გახდა თავის კუთვნილ ათ რუბლს დასჯერებოდა. მაშინ მან მოითხოვა, რომ მისთვის, როგორც რუსეთის წარმომადგენლისთვის, ჯარებს სამხედრო პატივი მიეგოთ, რაზეც ლაზარევმა უპასუხა: „წესდების თანახმად, სამოქალაქო პირებისთვის სამხედრო პატივის მიგება არ შეიძლება“ და „სამოქალაქო მაღალჩინოსნისადმი საქართველოს ჯარების ხელმძღვანელის დაქვემდებარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

დაიწყო დავა და კამათი, რითაც ისარგებლეს ბატონიშვილებმა და ააღელვეს ხალხი, დაატეხეს რა ახალი უბედურება საქართველოს მისი უძველესი მტრების – სპარსელებისა და ლეკების მხრიდან.

გიორგის ერთ-ერთმა ძმამ, ახალი მეფის მიერ წილის გარეშე დატოვებულმა **ალექსანდრე ერეკლეს ძემ** მოითხოვა ყაზახის პროვინცია, რომელიც, საქართველოში არსებული წესის მიხედვით, მეფის გარდა არავის ეკუთვნოდა. მიიღო რა უარი, ალექსანდრე, რომელიც შულავერში ცხოვრობდა, თურქეთის საზღვარს მიადგა, ხოლო იქიდან ფარულად სპარსეთის ბანაკში გადავიდა, სადაც იგი საკმაოდ გულთბილად მიიღეს. შეიტყვეს რა ეს, ქვრივმა დედოფალმაც და მისმა ვაჟებმაც დაიწყეს თავშესაფრის ძებნა სპარსელებთან, რომლებიც შემთხვევას ელოდებოდნენ საქართველოს სამეფოს საქმეებში ჩასარევად. სპარსეთისთვის ეს ყველაფერი ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ მისი მმართველი **ბაბა-ხანი**, რომელიც **აღა-მაჰმად-ხანის** სიკვდილის შემდეგ შაჰი გახდა, ვერ იქნებოდა აღიარებული მეფედ მისდამი დამორჩილებული ხალხების მიერ მანამდე, სანამ კორონაციის საზეიმო დღეს თავიანთი მმართველის ქვემოთ, ჩვეულებისამებრ, მეფისნაცვლებთან ერთად, შაჰის ხმლით ხელში ტახტის კვარცხლბეკთან მდგომ ქართველ მეფეს არ იხილავდნენ.[2]

[2] სპარსეთის მეფისნაცვალი სულ ოთხი იყო. კორონაციის დროს მათგან ქართველი ვალდებული იყო, შაჰის ხმალი სჭეროდა ხელში, არაბს – ქუდის ძვირფასი ბუმ-

მალე ტფილისს სპარსეთის ელჩობა ესტუმრა. **გიორგიმ** იგი არა სასახლეში, არამედ რუსი მინისტრის სახლში, ქართულ ტახტთან მდგომმა მიიღო. ტახტზე გვირგვინი და კვერთხი ეწყო, ხოლო ტახტის ორივე გვერდზე ქართველი მაღალჩინოსნები იდგნენ, რომელთაგან ერთს პორფირი, ხოლო მეორეს სამეფო შტანდარტი ეჭირა. ტახტის თავზე იმპერატორ **პავლეს** დიდი პორტრეტი ეკიდა.

სპარსეთის ელჩმა განაცხადა, რომ მეფესთან საიდუმლო შეხვედრის სურვილი ჰქონდა, რაზეც **გიორგიმ** უპასუხა, რომ მას, როგორც რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფს, არანაირი საიდუმლო მოლაპარაკების სურვილი არა აქვს რუსი მინისტრის გარეშე. მაშინ ელჩმა პირდაპირ განუცხადა მას, რომ შაჰი, თვლის რა საქართველოს თავისი წინაპრების ძველ მონაპოვრად, მოითხოვს მის სრულ მორჩილებას სპარსეთისადმი და რომ „მეფეს მართებს მორჩილება, რათა უწინდელზე უფრო მწარე ხვედრის გაზიარება არ მოუწიოს“.

– მე გაოცებული ვარ თქვენი სიტყვებით, – უპასუხა ამაზე **კოვალენსკიმ**, – თქვენ თითქოს სრულიად დაგავიწყდათ ის, რომ საქართველოს რუსეთის იმპერატორი მფარველობს.

– მე ეს მესმის, – უპასუხა ელჩმა, – მაგრამ მხოლოდ კეთილ რჩევას ვაძლევ მეფეს, რადგან არაკეთილმოსურნე უკვე მისი ქვეყნის საზღვრებს უახლოვდება.

– რუსეთს, – შეედავა **კოვალენსკი**, – არ გააჩნია აქაურ ქვეყნებში არაკეთილმოსურნეები, ხოლო მათ, ვინც გაბედავს მისი მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყნებზე გალაშქრებას, თავად გაუმკლავდება.

ამით დასრულდა მოლაპარაკებები.

თუმცა ბატონიშვილის ღალატმა და შაჰის პრეტენზიებმა **გიორგის** ახალი შემოსევების შიშის სამართლიანი საბაბი მისცა, მით უმეტეს რომ არაკეთილმოსურნე უკვე ერევნის ოლქში შევიდა და ხმა გაავრცელა, რომ ტფილისში მხოლოდ ბატონიშვილ **ალექსანდრეს** ტახტზე ასაყვანად მოდის.

იმისთვის, რომ შეშფოთებული მოსახლეობა დაემშვიდებინა, გიორგიმ დახმარება სთხოვა იმპერატორ **პავლეს**, რომელმაც ბრ-

---

ბული, რომელიც გვირგვინს ცვლიდა, ლორისტანელს – პორფირი და ქურთისტანელს – ორი ძვირფასი ალმასისგან შემდგარი განსაკუთრებული მორთულობა.

ძანა, კავკასიის ხაზიდან ყაბარდოს ქვეითი პოლკი გამოგზავნილიყო გენერალ-მაიორ **გულიაკოვის** მეთაურობით.

პოლკის შემოსვლა ძალზე დროული იყო, რადგან ტფილისს მართლაც სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა ავარელი **ომარ-ხანის** მხრიდან, რომელმაც რამდენიმე წლით ადრე მთელი საქართველო ააოხრა და ახლა მთიელებისგან შეკრებილი ოციათასკაციანი ჯარით კახეთის საზღვრებს უახლოვდებოდა.

ომარი ფხიანი, გაბედული და მამაცი კაცი იყო. მას არ გააჩნდა დიდი სამფლობელო, თუმცა მთელ დაღესტანში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მის ერთ დაძახილზე იარაღს ისხამდა მთიელი მტაცებლების მთელი ბრბო, რომელიც თავის საყვარელ ბელადს ბრმად ენდობოდა.

ომარის მოახლოების შესახებ ცნობამ საქართველოში საყოველთაო ფორიაქი გამოიწვია. სწორედ მაშინ, როცა დედაქალაქის მოსახლეობა გასაქცევად ემზადებოდა, **ლაზარევი** და **გულიაკოვი** რუსული ქვეითი ჯარის ორი ბატალიონით სწრაფად მიემართებოდა მტერთან შესახვედრად. სიღნაღში რაზმს ბატონიშვილების, **ბაგრატისა** და **იოანეს** სამიათასკაციანი ქართული მილიცია შეუერთდა, და უკვე 1800 წლის 5 ნოემბერს ლაზარევი ექვსი ვერსის დაშორებით იდგა მტრის ბანაკთან. მაგრამ **ომარმა** ღამით რუსულ ბანაკს შემოუარა და პირდაპირ ტფილისისკენ დაიძრა. მაშინ **ლაზარევი** უახლოესი გზით და ფორსირებული მარშით კვლავ დაეწია ლეკებს და 7 ნოემბერს, გამთენიისას, კვლავ მათ წინაშე აღმოჩნდა კახეთის სოფელ კაკაბეთთან ახლოს, მდინარე იორის მეორე ნაპირზე.

შეტაკება გარდაუვალი იყო. ლეკები იორზე გადავიდნენ და გააფთრებული ყიჟინით შეებნენ რუსულ რაზმს, მაგრამ ზარბაზნის ზალპი ისეთი წარმატებით დახვდა მათ, რომ „ამ დახვედრით მრავალი მათგანი შუბლით მიწას ჩიჩქნიდა და მასში ეძებდა მოჩვენებით უფლებებს, რომლის ძლიერ მოყვარული იყო **ომარ-ხანი**“, – როგორც შემდგომ სწერდა **ლაზარევი** გენერალ **კნორინგს**.

ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა, და საქართველოს ფარგლებში რუსეთის ჯარების ერთი მუჭა ნაწილის ეს პირველი შეხვედრა კავკასიის მთიელთა თხუთმეტიათასიან ხროვასთან, აქამდე

დაუმარცხებელ ავარელ **ომარ-ხანს** გადამწყვეტ დამარცხებად დაუჯდა. ვინაიდან ბრძოლა ღამით დასრულდა, გამარჯვებულებმა მხოლოდ შემდეგი დილით დაინახეს დამარცხებული მოწინააღმდეგის საშინელი ხოცვა-ჟლეტის სრული სურათი. ლელიანი, ბუჩქნარები და თხრილები სავსე იყო გვამებით; მთელ ველზე მზის სხივები ანათებდა სისხლით შეღებილ ბალახს; მდინარის გაღმა კი დახოცილი და გაქცეული მტრისგან დაცარიელებული ბანაკი, ოდენ აფრიალებული დროშები და ჭრელი კარვები მოჩანდა. ლეკების დანაკარგი ორიათას კაცს აღემატებოდა. თავად **ომარ-ხანი** მძიმედ დაიჭრა და მალევე მოკვდა. ერთ-ერთი მეთაური, ვინმე **ისკანდერი** მოკლულ იქნა და მისი თავი, ჯენგუტაელი ლეკი გოლიათის თავთან ერთად ქართველებმა როგორც საბრძოლო ნადავლი, რუსი მხედართმთავრის ფეხებთან დაამხეს.

იორის პირას ბრძოლა კავკასიის ომის მატიანეში სამუდამოდ სამახსოვროდ დარჩება. იგი შესანიშნავია არა ბრძოლის მდგრადობით (რადგან რუსების მხარეს დანაკარგი ბევრად უმნიშვნელო იყო), არამედ მეთაურთა სიმტკიცითა და გამბედაობით, რომლებიც სახელგანთქმული ლეკების მრავალრიცხოვან ხროვას მცირე რაზმით არაჩვეულებრივი სიმამაცით შეებრძოლნენ.

საქართველოსთვის დიდი ბედნიერება იყო ის, რომ ჩამოსულ რუს მეომრებს სათავეში ედგნენ ისეთი გენერლები, როგორც **ლაზარევი** და **გულიაკოვი** იყვნენ, რომელთა სახელებიც არასოდეს წაიშლება რუსეთის სახელოვან მხედართა მატიანეებიდან. ისინი რუსული სახელის ღირსეული მატარებლები აღმოჩნდნენ, და შემდგომ ორივემ თავისი სისხლით აღბეჭდა საქართველოსადმი გაწეული ძმური დახმარება. **ლაზარევი** ტფილისში დაიღუპა 1803 წლის ცხრამეტ აპრილს, ხოლო **გულიაკოვი** მისი საბრძოლო მეთაურისა და მეგობრის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში მოკლულ იქნა ალაზნის პირას.

„ლაზარევი და გულიაკოვი, ყაბარდოსა და ერევნის პოლკები, – ეს პირველი ქვებია იმ საძირკვლისა, – ამბობს **ზისერმანი**, – რომელზეც აშენდა კავკასიის გმირული არმიის მთელი საუკუნოვანი დიდება“.

გასაგებია, რომ მსგავს პირობებში მიღწეულმა დიდმა გამარჯვე-

ბამ მხარეში სწრაფად მოუპოვა რუსეთს მაღალი ზნეობრივი გავლენა, რაც მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ მის გარეშე რუსებს გაუჭირდებოდათ ამიერკავკასიაში ყოფნა იმ მწირი საშუალებებით, რაც მაშინ მათ იქ გააჩნდათ.

იმპერატორმა **პავლემ** ამ გამარჯვების გამო ორივე ბატონიშვილი დაასაჩუქრა, **ლაზარევი** და **გულიაკოვი** წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენის სამეთაურო ჯვრებით დააჯილდოვა, ხოლო ომის მონაწილე დაბალი რანგის ჩინოსნებს თითო რუბლი აჩუქა.

მეფე **გიორგი** ავადმყოფობის მიუხედავად თავად შეეგება ტფილისში დაბრუნებულ რაზმს, და ჩამოვიდა რა მდიდრულად შეკაზმული ცხენიდან, დაჟინებით სთხოვა გენერალ **ლაზარევს**, მიეღო ეს ცხენი საჩუქრად და მასზე ამხედრებული საზეიმოდ შესულიყო ქალაქში.

სამწუხაროდ, ეს **გიორგის** უკანასკნელი გამოსვლა იყო. ჯარებთან შეხვედრისას იგი გაცივდა და საბოლოოდ ჩავარდა ლოგინად. ექიმები გამოჯანმრთელების არანაირ იმედს არ იძლეოდნენ. ყველასთვის ცხადი იყო, რომ გიორგის გარდაცვალებისთანავე საქართველოში მეფის ვაჟებსა და მის ძმებს შორის დაიწყებოდა შინაომები და რომ უკანასკნელნი უფრო იმას მოისურვებდნენ, საქართველო რუსეთთან შეერთებული, ვიდრე ბატონიშვილი **დავითის** ხელში გადასული ეხილათ.

ეს სხვებზე უკეთ იცოდა მომაკვდავმა მეფემ და სასიკვდილო საწოლზე მყოფი სწერდა იმპერატორ **პავლეს**, რომ „საქართველომ ასე თუ ისე უნდა დაასრულოს თავისი თვითმყოფადი პოლიტიკური არსებობა“ და რომ „ქართველ ხალხს სურს, ერთხელ და სამუდამოდ ახლავე მიიღოს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა და სრულიად რუსეთის იმპერატორი თავის ბუნებრივ ხელმწიფედ და თვითმპყრობელად აღიაროს“.

ამის თაობაზე 1800 წლის 18 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგში იმპერატორის მანიფესტი გამოიცა, ხოლო 28 დეკემბერს ტფილისში **გიორგი** გარდაიცვალა.

ასე გაუქმდა საქართველოს სამეფო ტახტი და საქართველოში შეწყდა ბაგრატიონთა დინასტიის მეფობა, რომელიც მთელ ათას-

წლეულს ითვლიდა. 1801 წლის 16 თებერვალს ტფილისის ყველა მაცხოვრებელი სიონის ტაძარში შეიკრიბა და თავისი ახალი ხელმწიფის, იმპერატორ **პავლე პეტრეს ძისადმი** ერთგულების ფიცი დადო, ხოლო 17 რიცხვში განსაკუთრებული სადღესასწაულო ცერემონიებით დედაქალაქის სომხურმა მოსახლეობამ იგივე აღასრულა.

ამ დღეს დილით, ტაძრის ზარის დარეკვისთანავე, რვა არქიმანდრიტი და ასამდე მღვდელი გამოვიდა ყველა სომხური ტაძრიდან და ერთიანი მსვლელობით ტფილისიდან ქალაქგარეთ მდებარე მონასტერ ვანქისკენ დაიძრა. ამ პროცესიას ტფილისის ორი დიდგვაროვანი მოქალაქე მიჰყვებოდა იმპერატორ **პავლეს** პორტრეტით ხელში, ხოლო მათ უკან მიჰყვებოდა საზეიმოდ გამოწყობილი მიტროპოლიტი, მხოლოდ მიტრის ნაცვლად თავს ზემოთ ეჭირა ვერცხლის ლანგარი, რომელზეც ვარდისფერი მატერიით დაფარული მანიფესტი იდო. ათასობით ხალხი მიუყვებოდა მსვლელობას ბატონიშვილ **დავითისა** და გენერლების, **ლაზარევისა** და **გულიაკოვის** მეთაურობით. საზეიმოდ გამოწყობილი სომხეთის პატრიარქი **იოსები** პროცესიას საკათედრო ტაძრის გალავანში შეხვდა. მან იმპერატორის პორტრეტს საკმეველი უკმია, პირქვე დაემხო მის წინაშე, ემთხვია მას, მაღლა ასწია ხელში და ხმამაღლა წარმოთქვა: „გაუმარჯოს ჩვენს დიდ მონარქს მის სახლეულთან ერთად!“ ხალხმა ხმაურიანი და სასიხარულო შეძახილებით უპასუხა. შემდეგ პროცესია დაიძრა ტაძრისაკენ. იქ, საკურთხევლის წინ, ძვირფასი ფარჩით დაფარულ განსაკუთრებულ ანალოღიაზე დადეს მანიფესტი და პორტრეტი იმპერატორისა. პატრიარქმა თავად შეასრულა ლიტურგია, დასრულების შემდეგ კი მუხლმოყრილმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, და მთელმა ხალხმა ფიცი დადო.

როგორც ამ დღეს, ისე წინა დღით, კაზაკების ესკორტის თანხლებით რუსი ოფიცრები ტფილისის ქუჩებში დადიოდნენ და ხალხს მანიფესტს უკითხავდნენ ოთხ ენაზე: რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად.

ყველა ცერემონიის დასრულების შემდეგ ქართველი ბატონიშვილები **იოანე**, **ბაგრატი** და **მიხეილი**, მეფე **გიორგის** მიერ უფლე-

ბამოსილებით აღჭურვულ პირებთან, თავადებთან, **ავალოვთან** და **ფალავანდოვთან** ერთად პეტერბურგში წავიდნენ, „რათა რუსი მონარქის თანდასწრებით მთელი ქვეყნიერების წინაშე დაემოწმებინათ, რომ რუსეთის ქვეშევრდომად საქართველოს მიღება მთელი ქართველი ხალხის საერთო და ერთსულოვანი სურვილით აღესრულა“.

ამ დელეგაციის მოლოდინში ხელმწიფემ ბრძანა, მისთვის ქართველი მეფეების ძველებური სამოსელი შეეკერათ, იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს სამოსელი ბერძნულ ბისონს, ანუ მღვდელმთავრის შესამოსელს ჰგავდა.

დელეგაცია ჯერ კიდევ გზაში იყო და საქართველოს მდგომარეობა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული, როცა იმპერატორი **პავლე** გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ, იმპერატორმა **ალექსანდრე I**-მა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით დაადასტურა რუსეთის ქვეშევრდომად საქართველოს მიღება და დაამატა, რომ ამას აკეთებს „არა თავისი ძალების გასამყარებლად, არც ანგარებითა და ისედაც მსოფლიოში უდიდესი იმპერიის საზღვრების გასაფართოებლად, არამედ მხოლოდ კაცთმოყვარეობით, რომელიც მას აკისრებს წმინდა მოვალეობას, შეისმინოს ტანჯულთა ვედრება და იხსნას ისინი განსაცდელებისგან ისეთი მმართველობის დამყარებით, რომელიც მათ მიწაზე სამართლიანობასა და პირად უსაფრთხოებას განამტკიცებს და თითოეული ადამიანის კანონის ძალით დაცვას უზრუნველყოფს“.

იმავდროულად ხელმწიფემ საქართველოს დაუბრუნა მისი კუთვნილი სიწმინდე – ჯვარი ვაზისა, რომელიც დედა ღმრთისამ **წმინდა ნინოს** სიზმრისეულ ხილვაში გადასცა. უწინ ამ ჯვარს ქართველი მეფეების სახლი ინახავდა და, ერთ-ერთი სომეხი ისტორიკოსის მოწმობით, ქართველების საბრძოლო ბაირაღის როლს ასრულებდა ბერძნებთან ბრძოლაში. წმინდა ჯვრის ძალით აღსრულებული სასწაულებისა და მიღწეული გამარჯვებების აღსანიშნავად ქართველებმა დააწესეს დღესასწაული, რომელიც უფლის ამაღლებიდან მეათე დღეს ეკლესიის მიერ დღემდე აღინიშნება. მტრის შემოსევების დროს ჯვარი ხან მცხეთაში ინახებოდა, ხან ანანურში,

საიდანაც მიტროპოლიტ **ტიმოთეს** მიერ გატანილ იქნა მოსკოვში **ვახტანგ VI**-ის ძესთან, **ბაქართან**. ამ ბატონიშვილის შვილიშვილმა **გიორგიმ** წმინდა ჯვარი საჩუქრად მიართვა იმპერატორ **ალექსანდრე პავლეს ძეს**, რომელმაც ბრძანა მისი უკანვე დაბრუნება საქართველოში. 1802 წლის 9 აპრილს ჯვარი საზეიმოდ შეაბრძანეს ტფილისში. სიხარულით აღტაცებულმა ხალხმა იგი სიონის ტაძარში დააბრძანა, სადაც დღემდეა დაცული აღსავლის კარის მარცხენა მხარეს, განსაკუთრებულ ლუსკუმაში, რომლის ვერცხლის დაფაზეც **წმინდა ნინო** არის გამოსახული.

მაგრამ დავუბრუნდეთ ამიერკავკასიის მოვლენებს.

ხელმწიფემ თავისი ბრძნული და მეტად ჰუმანური გეგმების განხორციელება დაავალა გენერალ-ლეიტენანტ **კნორინგს**, რომელიც იმ დროს საქართველოს სამხედრო გუბერნატორად და კავკასიის ხაზზე ჯარების მეთაურად იყო დანიშნული. სამწუხაროდ, **კნორინგი** არ მიეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც ხალხის ნდობის მოპოვების ნიჭი გააჩნიათ. მან საქართველოს ნებაყოფლობით მიერთებას მისცა რა რაღაც ძალადობის სახე, იმთავითვე დაამახინჯა მისი მნიშვნელობა. ჩამოვიდა რა ტფილისში, მან შეკრიბა ქალაქის ყველა მაცხოვრებელი, გარს შემოარტყა მათ ჯარი და ახალი ხელმწიფისადმი ერთგულების ფიცის დადება უბრძანა. ამ სრულიად ზედმეტმა და უხეშმა საქციელმა ძალზე შეურაცხყო ქართველები. მათ არ ისურვეს ხიშტებისა და მუქარის ქვეშ ფიცის დადება და სახლებში დაბრუნდნენ. მაშინ **კნორინგის** ბრძანებით ქართველი თავად-აზნაურები დაპატიმრებულ იქნენ, რამაც კიდევ უფრო აღაშფოთა ქართველები. თავად კნორინგი მალევე წავიდა ხაზზე და ქვეყნის მართვა ჩვენთვის ცნობილ **კოვალენსკის** დაავალა. მისი წასვლით საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდა ანარქია და არეულობა.

ამასთან, ლეკებმა, ისარგებლეს რა საქართველოს შიდა არეულობით, უფრო ხშირად ვიდრე ოდესმე, დაიწყეს შემოსვლა და საზღვარზე მდებარე სოფლების აოხრება. ასეთ ვითარებაში ორი პოლკიც კი ვერ ასწრებდა მისვლას იმ ადგილებში, სადაც საფრთხე ჩნდებოდა; კავკასიაში გაძლიერებულ იქნა რუსული ჯარები.

ჯერ კიდევ იმპერატორმა **პავლე პეტრეს ძემ** გააცნობიერა რა, რომ საქართველოში სამხედრო ძალები არასაკმარისი იყო, იქ 1801 წლის დასაწყისში კავკასიის გრენადერთა (ამჟამად ქართული) პოლკის გაგზავნა ბრძანა გენერალ-მაიორ **ტუჩკოვის** მეთაურობით. ჯერ კიდევ შუა ზამთარში პოლკი იძულებული გახდა დაეტოვებინა გადამზიდები და დიდი თოვლის ნამქერით ამოვსებული მთის ხეობების გავლით გაეკვლია გზა. პოლკი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდა და ყოველ გადასასვლელზე ხალხს კარგავდა, თუმცა ასეთი დანაკარგების მიუხედავად მაინც დარიალის მკაცრი ხეობის გავლით გააღწია ქისტების სოფელ გველეთამდე, სადაც დასასვენებლად ბუნებაში შეჩერდა. იქ პოლკს მოულოდნელად დაეწია ფელდიეგერი და იმპერატორ **პავლეს** გარდაცვალების შესახებ მანიფესტი გადასცა. აქვე, ღრუბლებსიმიერი ყაზბეგის ძირში, გულმოსული თერგის ხმაურში, მუხლამდე თოვლში მდგომმა გრენადერებმა ახალგაზრდა მონარქისადმი ერთგულების საზეიმო ფიცი დადეს.

ტფილისში პოლკის ჩამოსვლისთანავე, მისი ერთ-ერთი ბატალიონი პოდპოლკოვნიკ **სიმანოვიჩის** მეთაურობით დაუყოვნებლივ გაიგზავნა სურამსა და გორში ქართლის საზღვრების დასაცავად, ხოლო ყაბარდოს ბატალიონი, პოდპოლკოვნიკ **სოლენიუსის** მეთაურობით, ქვემო კახეთში განლაგდა. „სწორედ ეს უკანასკნელი ვითარება, – როგორც სამართლიანად ამბობს **ზისერმანი**, – იყო დასაწყისი იმ სისტემისა, რომლითაც რუსები ცდილობდნენ საქართველოს დაცვას მეზობელ მთიელთა შემოსევისაგან, სისტემისა, რომელმაც შემდგომში დიდად განავითარა და განავრცო ლეკების კორდონის ხაზი“. იმავე დროს დაიწყო წვრილმასშტაბიანი მტაცებლური ომი, რომელიც მხოლოდ ორმოცდაცხრამეტი წლის შემდეგ დასრულდა **შამილის** დატყვევებით.

აღსანიშნავია, რომ მთიელთა პირველი თავდასხმები ძირითადად ალაზნისპირზე მოსიარულე რუსების ცხენთა ჯოგებზე იყო მიმართული. ასე მაგალითად, 1801 წლის 6 ივნისს ლეკებმა ჯოგი კაზაკთა პოლკში შერეკეს, მაგრამ ყაბარდოელების ასეულმა აიძულა ისინი ნადავლი მიეტოვებინათ; ერთი თვის შემდეგ თავად ყაბარდოელების ჯოგები საგუშაგო ასეულის სიმტკიცის წყალობით ძლივს გადაურჩ-

ნენ მტაცებლების ხელში ჩავარდნას. ლეკებმა ზამთარშიც სცადეს ალაზანზე გადასვლა, თუმცა მოგერიებულნი იქნენ გადასვლისას. ამასთან, ყაბარდოს პოლკში დაჭრილ იქნა სიმამაცით განთქმული შტაბს-კაპიტანი **გაბუაძე**. ასე რომ, ამ ბატალიონს, ისევე როგორც თურქეთის საზღვარზე მდგომ პოდპოლკოვნიკ **სიმანოვიჩის** გრენადერთა პოლკის ბატალიონს, ფაქტობრივად, არც ერთი წუთით მოსვენება არ ჰქონია. განსაკუთრებით განგაშით სავსე იყო 1802 წლის ზაფხული, როცა ჯარები მისვლას ვერ ასწრებდნენ იმ ადგილებში, სადაც მტერი ჩნდებოდა. ამ დროის სამახსოვრო მოვლენად რჩება ყაბარდოს პოლკიდან ოცი კაცის გმირობა, რომლებიც ჭიკაანის ძველი ქვის საგუშაგო კოშკიდან (ალაზანთან ახლოს) რამდენიმე საათის განმავლობაში უმკლავდებოდნენ მომხდურს, სანამ დასახმარებლად ასეული მოვიდოდა. ეს უკანასკნელი ისეთი შემართებით იბრძოდა, რომ დაჭრილმა შტაბს-კაპიტანმა **გაბუაძემ**, გაიგონა რა საგუშაგოდან სროლის ხმა, თავი ვერ შეიკავა, მტერს მიეჭრა და რაზმის თვალწინ იგი ლეკებმა აჩეხეს.

შემდეგი მაგალითები მოწმობს იმას, თუ რამდენად იყვნენ სიკვდილზე წამსვლელნი თავად ლეკები.

ერთხელ, 1802 წლის აპრილში, ყაბარდოს პოლკის ასეული მაიორ **ალექსეევის** მეთაურობით, დაეწია მტაცებლებს, რომლებიც მიუდგომელ ციცაბო კლდეებს შორის ხეობებში ისხდნენ. დანებების შეთავაზებაზე ლეკებმა უპასუხეს, რომ აქ არა ტყვედ ჩასავარდნად, არამედ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე საბრძოლველად მოვიდნენ. დახარჯეს რა უკანასკნელი ტყვიები, ისინი ხანჯლებით შეებნენ მოწინააღმდეგეს და ყველა მათგანი ყაბარდოელთა ხიშტებით დაიღუპა.

ასეთივე შემთხვევა იყო თურქეთის საზღვარზე იმავე წლის ივლისში, როცა **სიმანოვიჩმა** გაანადგურა ცნობილი ავაზაკის **ყაზიმაჰმადის** პარტია, რომელიც მთელ საქართველოს შიშის ზარს სცემდა.

მსგავს მტერთან აუცილებელი იყო არაჩვეულებრივი გამძლეობა და მნიშვნელოვანი ძალები, აქ კი ვითარება კიდევ უფრო რთულდებოდა თავადების ინტრიგებითა და ზოგიერთი ქართველი აზნაურის

ულირსი ქცევით რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგალითისთვის გამოდგება შემდეგი საინტერესო შემთხვევა. ერთხელ ლეკებმა გაძარცვეს დიდი ქართული დასახლება ქისტერი (ქისტაური?), რომელიც აზნაურ **მურვანოვს** ეკუთვნოდა. აღმოჩნდა, რომ მურვანოვმა შესანიშნავად იცოდა ყველაფერი ლეკების გადაადგილების შესახებ, მაგრამ ივარაუდა რა, რომ ისინი სურამში მიდიოდნენ რუსულ გარნიზონზე თავდასასხმელად, ამასთან დაკავშირებით კომენდანტი არ გააფრთხილა, ხოლო თავისი სოფლის გლეხები ძლიერ დაათრო ღვინით, რადგან შიშობდა, რომ ისინი რუსებს ამბავს მიუტანდნენ. ლეკები კი შუაღამით თავს დაესხნენ ამ სოფელს და ძალზე ადვილად შეიპყრეს ოთხმოცდათექვსმეტი ადამიანი, მათ შორის ეს აზნაურიც.

ღალატი და ამბოხი იყო ჩაბუდებული თავად ტფილისშიც, და მხოლოდ ამ ვითარებით შეიძლება აიხსნას ლეკების თავხედობა, რომლებიც ტფილისის გარეუბნებშიც ჩნდებოდნენ. ერთხელ, ლეკების ასეთი თარეშის დროს, დედაქალაქის მოსახლეობა შეაშფოთა გასროლებმა და ყვირილმა, რადგან ავლაბრის ხიდი იწვოდა. ყველა იქით გაიქცა და დაინახეს, რომ, მართლაც, ხიდზე ნავთი ესხა და იწვოდა. ხანძარი დროულად ჩააქრეს, მაგრამ ტფილისელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხიდის დაწვის მიზანი ქალაქის გათიშვა იყო მდინარის გაღმა ნაპირისგან, რათა ამ გზით ავლაბარი და კუკია მტაცებელი ლეკების მსხვერპლი გამხდარიყო.

არეულობა იყო ასევე საქართველოს სამხედრო გზაზე. ტფილისისკენ მიმავალი გზები იმდენად საფრთხიანი შეიქნა, რომ საქართველოდან კავკასიის ხაზზე დაბრუნებისას **კნორინგი** იძულებული გახდა, წინ მაიორი **ბუტკოვის**[3] მეთაურობით ქვეითთა ასეული და ორასი კაზაკი გაეგზავნა. ამ გზაზე განსაკუთრებით სახიფათო ადგილად ითვლებოდა ლარსის ხეობა, რომელიც მაღალ მთაზე მდგარ ქვის კოშკში მცხოვრები ოსი საველე მეთაურის, **ახმეტ დუდაროვის** მფლობელობაში იყო. იგი თავისი ერთგული მსახურების ბრბოსთან ერთად მთიდან საყაჩაღოდ ჩამოდიოდა, გამვლელებს ძარცვავდა და ვაჭრების ქარავნებისგან ხარკს კრეფდა. როგორც კი **ბუტკო-**

[3] კავკასიის შესახებ ცნობილი ნაშრომების ავტორი.

ვის კოლონა ხეობაში გამოჩნდა, **დუდაროვმა** სამხედრო განგაშის ნიშნად წითელი დროშა აღმართა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბუტკოვი ენერგიული და გამბედავი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდა. მან მტერს ძალების მოკრება არ აცალა, შეიჭრა დუდაროვის კუთვნილ სოფელ ჩიმში და იქ ციხესიმაგრის გარდა ყველაფერი გაანადგურა. იმ მხარეში ერთადერთი, ჯერ კიდევ **შეიხ-მანსურის** დროს აშენებული ლამაზი მეჩეთი ნანგრევებად იქცა, სოფელი გადაიწვა, მოსახლეობის ნაწილი დაიხოცა, ხოლო ვლადიკავკაზის მხრიდან ზარბაზნები გამოჩნდა...

დუდაროვი მიხვდა, რომ შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა.

ამ მხარეში შფოთმა, ამავდროულად **კოვალენსკის** უტაქტო და ანგარებიანმა საქციელმა საბოლოოდ გაამძვინვარეს ქართველები. ხალხი, რომელიც მანამდე მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ როგორმე გამოცალკევებოდა სამეფო კარის წევრებს, კვლავ მათ მხარეს მიექცა. იმპერატორ **ალექსანდრეს** ყურამდე ყველა მხრიდან მიდიოდა ხმები ამიერკავკასიის მხარის უწესრიგო მმართველობის შესახებ, და ამიტომ 1802 წლის 8 სექტემბერს უმაღლესი ბრძანებით **კნორინგიცა** და **კოვალენსკიც** გაწვეულ იქნენ, ხოლო მთავარსარდლად საქართველოში გენერალ-ლეიტენანტი თავადი **ციციანოვი** დაინიშნა.



ლიტერატურა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე

◊ **ალექსიძე ლევან,** საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983.

◊ **ანთაძე კონსტანტინე**, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში (ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1973.

◊ **ანთელავა ირაკლი**, ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984.

◊ **ბაგრატიონი თეიმურაზ,** ახალი ისტორია (XVIII ს. II ნახ.–XIX ს. დასწ.),თბ., 1983.

◊ **ბალახაშვილი იაკობ,** ქართველი მხედრები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1942.

◊ **ბერძენიშვილი ნიკო,** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე // საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, თბ., 1967.

◊ **ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ.,** საქართველოს ისტორია (დამხმ. სახელმძ.), ტ. I, თბ., 1958.

◊ **ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., კაჭარავა ი., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ.,** საქართველოს ისტორია (სახელმძ. VIII-X კლ.), თბ., 1958.

◊ **ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., კაჭარავა ი., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ.,** საქართველოს ისტორია (სახელმძღ. უფროსი კლ.), თბ., 1966.

◊ **ბერძნიშვილი მაქსიმე,** მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980.

◊ **ბულეიშვილი მარინა**, საქართველოს სამღვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVIII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1991.

◊ **ბურჯანაძე შოთა,** სოლომონ I-ის ურთიერთობა რუსეთთან // საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV, 1948.

◊ **ბურჯანაძე შოთა,** იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1794-1810) // მაცნე, №№3-4, 1967.

◊ **გასვიანი გერონტი,** დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX სს.), თბ., 1988.

◊ **გოზალიშვილი გიორგი,** 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, ტფ., 1935; ტ. 2, თბ., 1970; ტ. 3, თბ., 1976.

◊ **გონიკიშვილი მიხეილ,** იმერეთი XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე, თბ., 1979.

◊ **გონიკიშვილი მიხეილ,** ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.

◊ **გრიგოლია კონსტანტინე**, რას მოგვითხრობს «ქართლის ცხოვრება», თბ., 1961.

◊ **დავით ბატონიშვილი**, ახალი ისტორია; **ბაგრატ ბატონიშვილი**, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941.

◊ **დუმბაძე მამია,** დასავლეთ საქართველო XIX ს-ის I ნახევარში, თბ., 1957.

◊ **საქართველოს ისტორიის ნარკვევები,** ტ. IV (საქართველო XVI ს-ის დასწ. XIX ს-ის 30-იან წლებამდე), ტ-ის რედ. **მამია დუმბაძე**, თბ., 1973.

◊ საქართველოს ეკლესიის ისტორია (XX-XXI სს. დოკუმენტები და მასალები), ტ. I (1901-1904), გამოს. მოამზ. **მერაბ ვაჩნაძემ** და **ვახტანგ გურულმა**, თბ., 2007.

◊ **თოთაძე ანზორ,** საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1993.

◊ **იოსელიანი ავთანდილ**, ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები (უძვ. დროიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე), თბ., 1990.

◊ **იოსელიანი პლატონ,** ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936.

◊ **კალისტრატე ცინცაძე**, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001.

◊ **კარბელაშვილი პოლიევქტოს**, მღვ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა – კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი (მეორე გამც. ბონდო არველაძისა), თბ., 2011 (პირველი გამც.: 1900).

◊ **კაჭარავა ანდრო, დაუშვილი ალექსანდრე,** საქართველოს დე-

მოკრატიული რესპუბლიკა – ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, თბ.–ატლანტა, 2012.

◊ **კოპლატაძე გვანცა**, სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (I-III ნაწ.), «სამი საუნჯე», №3, 2012; №1-2, 2013.

◊ **კოპლატაძე გვანცა**, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, I-II ტ. (VI გამოც.), თბ., 2019.

◊ **ლომსაძე შოთა**, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები), თბ., 1979.

◊ **მაჭარაძე ვალერიან**, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968. – განხილულია ბესარიონ გაბაშვილის ელჩობა ირანსა და რუსეთში.

◊ **მაჭარაძე ვალერიან**, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის, ნაწ. I, გამც. გურამ კუტალაძემ და გიორგი ჟუჟუნაშვილმა, თბ., 2007.

◊ **მაჭარაძე ვალერიან**, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის, ნაწ. II, თბ., 1968.

◊ **მაჭარაძე ვალერიან**, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის, ნაწილი III, ნაკვეთი I, თბ., 1988.

◊ **მაჭარაძე ვალერიან**, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვეთი II, თბ., 1997.

◊ **გეორგიევსკის ტრაქტატი**, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები **ვ. მაჭარაძისა,** გამც. „ხელოვნება“, 1983 // ჟ. „სამი საუნჯე“, №1-2,2013.

◊ **მეგრელიძე შამშე**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963. – რუსეთ-თურქეთის XIX ს-ის ომები და აჭარის შემოერთება.

◊ **მირიანაშვილი თემურ**, სიმართლე საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში // «სამი საუნჯე»,№4, 2012.

◊ **ორბელიანი პაპუნა,** ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა

ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981. თხზულება მოიცავს 1739-1758 წლების ისტორიას.

◊ **გეორგიევსკის ტრაქტატი,** ტექსტი მოამზადა **გ. პაიჭაძემ**, თბ., 1983.

◊ **პაიჭაძე გიორგი,** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960.

◊ **პაიჭაძე გიორგი, ჯაფარიძე ვახტანგ,** ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში, თბ., 1974.

◊ **პაიჭაძე გიორგი,** ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981.

◊ **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი,** სტატიების კრებული, ჟ. „სამი საუნჯის“ დამატება, რედ. გრ. რუხაძე, თბ., 2015.

◊ **რუხაძე გრიგოლ**, წმიდა ილია მართლის პოლიტიკური მრწამსი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 01-02.10.2015. იგივე: ჟ. „სამი საუნჯე“, №1, 2016.

◊ **რუხაძე გრიგოლ**, დიდთა ქართველთა ანდერძი, ჟ. „სამი საუნჯე“, №1, 2012. იგივე: გაზ. „სამტრედიის მაცნე“, 31.10.2012.

◊ **რუხაძე ტრიფონ**, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან(XVI-XVIII სს.), თბ., 1960.

◊ **რუხაძე ტრიფონ**, რუსეთის პირველი სამამულო ომი და მასში მონაწილე ქართველები // გაზ. ლიტერატურული საქართველო, №48, 1941.

◊ **რცხილაძე გულბაათ**, ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2017.

◊ **სოხვაძე ბ.,** რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნეში, თბ., 1996.

◊ **სურგულაძე აკაკი,** რუსეთი XIX ს-ის I ნახევარში, თბ., 1963.

◊ **სურგულაძე აკაკი,** რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973.

◊ **სურგულაძე ივანე**, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965.

◊ **სურმანიძე რამაზ,** ტრაქტატის თანაავტორი, თბ., 1983.

◊ **ტატიშვილი ვლადიმერ**, ქართველები მოსკოვში (ნიკოლოზ ბატონიშვილი, მეფე არჩილი), თბ., 1947.

◊ **ტივაძე თამარ,** საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური

ურთიერთობა XVII ს-ის II ნახევარში, თბ., 1977.
◊ **ფერაძე ილია,** საქართველოს ექზარხოსები // ჟ. მოგზაური, №№4-5, 1901.
◊ **ფირცხალაიშვილი ალექსანდრე,** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
◊ **ფრონელი ალექსანდრე,** დიდებული მესხეთი, გორი, 1914.
◊ **ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ**(XII ს. – XIX ს. ნახ.), შემდგენელი **ვანო შადური**, თბ., 1962.
◊ **რუსი მწერლები საქართველოს შესახებ,** ტ. I, ძველი დროიდან XIX ს-ის ნახევრამდე, შეადგინა **ვანო შადურმა**, თბ., 1949.
◊ **ჩუბინაშვილი გიორგი**, საბჭოთა საქართველოს მიღწევები ხელოვნების ისტორიის დარგში, თბ., 1952.
◊ **ჩხატარაიშვილი ქველი**, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985.
◊ **ჩხენკელი მიხეილ**, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობები XIX ს-ის II ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისში(სახვითი ხელოვნების მაგალითზე – ფერწერა, გრაფიკა), თბ., 2003.
◊ **ცინცაძე იასე,** კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან(1754-1756) // თსუ შრომები, ტ.XXVII, 1946. გვ.1-15.
◊ **ცინცაძე იასე,** ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში 1752-54 წწ. // საისტორიო მოამბე, წ.VI, 1952. გვ.85-134.
◊ **ცინცაძე იასე,** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი (მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის), თბ., 1960.
◊ **ცუცქირიძე ზურაბ,** მადლი და უმადურობა, «სამი საუნჯე», №1, 2015.
◊ **ჭავჭავაძე ალექსანდრე,** საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე, გამოსცა ვ. პოლიევექტოვმა // ჟ. ქართული მწერლობა, 1926, №№3-4,5-6, გვ. 163-189, 225-230.
◊ **ხუსკივაძე თეოფილე,** უკანასკნელი მეფე იმერეთისა სოლომონ

მეორე, ქუთ., 1902.

◊ **ჯანაშვილი მოსე,** საქართველოს საეკკლესიო ისტორია, ტფ., 1886.

◊ **ჯაოშვილი ვახტანგ**, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში (დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა),თბ., 1984.

◊ საქართველოსა და რუსეთის მართმადიდებელ ეკლესიებს შორის **ლოცვით-კანონიკური კავშირის აღდგენა**. Журнал Московской Патриархии, №3, 1944. ამონაწერი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდეს პატრიარქთან არსებული წმიდა სინოდის 1943 წლის 19 ნოემბრის, №12 სხდომის განჩინებიდან//ჟ. სამი საუნჯე, №1, 2011.

◊ **Абашидзе З.,** К истории упразднения Грузинской Церковной автокефалии и образования Грузинского Экзархата Русской Православной Церкви // XV Ежегодная Богословская конференция ПСТГУ: Материалы, т. I, М., 2005. С. 245-254.

◊ **Белокуров Сергей**, Сношения России с Кавказом (1578-1613 гг.), М., 1889.

◊ **Берже Ад. П.,** Кавказская старина, Пятигорск, 2011. გვ. 16-96: Присоединение Грузии к России.

◊ **Акты**, собранные Кавказской археографической комиссией, пред. и изд. **Ад. П. Берже**, Тифлис: Т. I, 1866; т. II, 1868; т.III, 1869; т.IV, 1870; т.V, 1873; т. VI, ч. I, 1874; т. VI, ч. II, 1875; т.VII, 1878; т.VIII, 1881; т.IX, 1884; т.X, 1885; т.XI, 1888; т.XII, 1904.

◊ **М. Броссе** (сост.), Переписка грузинских царей с российскими государями (от 1659 г. по 1770 г.), СПб., 1861.

◊ **Бубулашвили Э.,** Имеретинская епархия // ПЭ, т. 22, с. 384-386. http://www.pravenc.ru.

◊ **Бубулашвили Э.,** Карталино-Кахетинская (Грузинская) епархия // ПЭ, т. 31, с. 367-372. http://www.pravenc.ru.

◊ **Виноградов А. Ю., Гугушвили Ш.,** Очерк истории Абхазского Католикосата (VIII-XV вв.) // Богословские труди, вып. 46, Изд. Моск. Патр., 2015. С. 79-116; вып. 47-48, 2018. С. 290-320.

◊ **Глушаков М.,** Очерки из истории Грузии и присоединение ея к

России // ж. Кавказский вестник, Тифлис, №№ 4-10, 1900.
◊ Грузинский экзархат. https://drevo-info.ru.
◊ Грузино-российские научно-культурные связи в истории Санкт-Петербурга [Сост. и отв. ред. **В. Парцвания**].СПб., 2003.
◊ **Дубровин Николай,** Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ея к России, СПб., 1897.
◊ **Иоселиани Платон,** Краткая история Грузинской Церкви (изд. второе), СПб., 1843.
◊ **Келенджеридзе Мелитон Спиридонович**, Русско-грузинские отношения и значение этих отношений в царствовании августейшего Дома Романовых, Тифлис, 1915.
◊ **Еп. Кирион,** Культурная роль Иверии в истории Руси, Тифлис, 1910.
◊ **Еп. Кирион** (Садзаглишвили), Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901.
◊ **Мельникова И. Е.,** К истории восстановления автокефалии Грузинской Церкви (12 марта 1917 г.) // XIX Ежегодная Богословская конференция ПСТГУ: Материалы, т. I, М., 2009. С. 398-404.
◊ **Мельникова И. Е.,** О событиях признания автокефального статуса Грузинской Православной Церкви в XX в. // XXIX Ежегодная Богословская конференция ПСТГУ, М., 2019. С. 141-145.
◊ **Месхиа Шота, Цинцадзе Яссе,** Из истории русско-грузинских взаимоотношений (X-XVIII вв.), Тб., 1958.
◊ **Мультатули Петр**, Присоединение Грузии к Росии, 2018. https://tsargrad.tv.
◊ Иерархия Грузинского экзархата (ავტორი: **Н.Л.**) // Церковныя ведомости, №2, 1901.
◊ **Н.Т.-М.,** Гурийско-Мингрельская епархия // Православная энциклопедия, т. 13, М., 2006.
◊ **Пайчадзе Г. Г.,** Георгиевский трактат. Тб., 1983.
◊ **Пайчадзе Георгий Георгиевич**, Русско-грузинские отношения в 1725-1735 годах, Тбилиси, 1965.
◊ **Пайчадзе Г**., Русско-грузинские отношения в период борьбы грузинского народа против иранских захватчиков в 1735-1747 гг. //

Мацне (Вестник. Орган отделения общественных наук Академии наук Грузинской ССР) 1967, N3(36), стр.103-121.

◊ **Плоен Франциск**, Исторический обзор дипломатических сношений между российскими государями и грузинскими царями и владетелями, დაახ. 1800 // **М. Броссе** (сост.), Переписка грузинских царей с российскими государями (от 1659 г. по 1770 г.), СПб., 1861.

◊ **Потто Василий**, Кавказская война (с нач. XVI в. по 1831 г.), М., 2018.

◊ **Рункевич С**., Грузинский экзархат // Православная Богословская энциклопедия, ред. А.П. Лопухин, т. IV, Петроград, 1903.

◊ **Сургуладзе Акакий**, Прогрессивные последствия присоединения Грузии к России, Тб., 1982.

◊ **Такайшвили Е. ,** Материалы для истории Грузии, Тифлис, 1895.

◊ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т.I (с 1768 по 1774 г.), под. ред. **А.А. Цагарели**, СПб., 1891.

◊ Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, т. II, вып. I (грузинские тексты с 1768 по 1801 г.), под. ред. **А.А. Цагарели**, СПб., 1898.

◊ **Владислав Цыпин**, протоиерей, История Русской Православной Церкви (1700-2005 гг.), V изд., М., 2012.

◊ **Владислав Цыпин**, прот., Грузино-имеретинская синодальная контора // Православная энциклопедия, т. 13, М., 2006.

◊ **Харатишвили Генрико**, Грузины-профессора, преподаватели и выпускники Санкт-Петербургского государственного университета (XIX-XX вв.), СПбГУ, 2009.

◊ **Харатишвили Генрико**, Грузины-профессора и преподаватели Восточного факультета Санкт-Петурбургского университета, СПбГУ, 2005.

◊ **Шакиашвили Т.,** «Духовный вестник Грузинского экзархата» // ПЭ, т.16, с. 429-432. http://www.pravenc.ru.

პირთა საძიებელი

ა. ბეზბოროდკო 86,87,100,101,103,111
ა. ორლოვი 108
ა. სუხოტინი 98
ა. ცაგარელი 82,84,87,128
აბასი, შაჰი 41
აბას-მირზა 137
აბოვი 149
ადოლფ ბერჟე 7
ავალიშვილი, თავადი 200,217
ავალოვი, თავადები 245
ათანასე ამილახვარი 56,69
ალექსანდრე არჩილის ძე 54
ალექსანდრე ბაქარის ძე 91
ალექსანდრე ბატონიშვილი 52,104, 149,151,160,166,167,183,185,186,187,203,214,219, 240
ალექსანდრე ერეკლეს ძე 60,239
ალექსანდრე, თეიმურაზის ბაბუა 40
ალექსანდრე თეიმურაზის ძე 40
ალექსანდრე, ივერიელი ხელმწიფე 34
ალექსანდრე, იმპერატორი 141,168,250
ალექსანდრე I, იმპერატორი 60,76,155, 161,163,166,223,227,245
ალექსანდრე I, კახეთის მეფე 30
ალექსანდრე ლევანის ძე, ივერიელი მთავარი 30
ალექსანდრე მაკაევი 139
ალექსანდრე, მეფე 36,46,47,48,49,50, 51,53,56
ალექსანდრე, მეფის ძმა 137
ალექსანდრე, მთავარი 31,32,33,36, 37,38
ალექსანდრე პავლეს ძე, იმპერატორი 246
ალექსანდრე ჟიდკოვსკი 78
ალექსანდრე, ხელმწიფე 33,34,35,36
ალექსეევი, მაიორი 248
ალექსი, მეფე 46
ალექსი მიხეილის ძე, მეფე 45,47,51
ალექსი მიხეილის ძე, უფლისწული 43
ალექსი სუხოტინი 58
ამბროსი (მიქაძე), ნეკრესელი მიტროპოლიტი 21
ამილახვარი ოთარ, თავადი 179,210
ანა, დედოფალი 167
ანდრია ქურდაშვილი 220
ანდრია ხვოროსტინინი 32
ანდრიანე მალახოვი 78
ანდრონიკაშვილი, მოურავი 217,232
ანტონ I, კათალიკოსი 58,72,84,96,98,127
ანტონ II, კათოლიკოსი 70,75,76
ანტონ მოურავოვი(თარხან-მოურავი) 126
აპრაქსინი, გრაფი 113,114
არსენი, არქიმანდრიტი 42,55
არჩილი, მეფე 51,52,53,54,69,128
ასლან ორბელიანი197
აფხაზოვი 146
აღა-მაჰმად-ხანი 59,184,231,214,234,239
ახმეტ დუდაროვი 249

ბაბა-ხანი (ალი შაჰი) 148,239
ბაგრატი, ძე გიორგისა 53
ბაგრატ მეფე 50
ბაგრატი, ბატონიშვილი 50,241,244
ბაქარი, ბატონიშვილი 54,55,69

ბაქარი, ვახტანგ VI-ს ძე 246
ბელევსკი 166,170
ბეჟან ავალოვი 169
ბესიკი 128
ბორის თეოდორეს ძე გოდუნოვი, მეფე 33,34,37
ბორის თურქისტანოვი 54
ბრონევსკი 167
ბულატ-ბეგი, სპარსელი ელჩი 41
ბურნაშოვი, პოლკოვნიკი 121,122
ბუტკოვი, მაიორი 249,250

გ. პაიჭაძე 89,93
გ. პოტიომკინი 93
გ. ჭავჭავაძე 90,114,121,123
გაბრიელი, ბატონიშვილი 183
გაბრიელ არქიმანდრიტი 52
გაბრიელი, დიაკონი 52
გაბრიელი, მღვდელი, ელჩი 45
გაბუაძე, შტაბს-კაპიტანი 248
გაიოზ არქიმანდრიტი 113,114, 122,127
გაიოზ რექტორი(ბარათაშვილი), მთავარეპისკოპოსი 25,69
გარსევან ჭავჭავაძე 113,114,115,119,120, 123,152,195
გარცევიჩი, კაპიტანი 218
გასტინგსი 154
გედეონი (ან ევდემოზი) მიტროპოლიტი 50,51
გერმანე, არქიმანდრიტი 46
გილი, მაიორი 114

გიორგი ავალიშვილი 195
გიორგი ალექსანდრეს ძე 36,37
გიორგი, არჩილის ძმა 53
გიორგი, ბაქარ ბატონიშვილის შვილიშვილი 246
გიორგი, ბატონიშვილი 46,96
გიორგი დადიანი 53
გიორგი მეფე 52,135,136,138,139,144,146,150, 155,156,160,176,177,178,179,180,181,187,189,190,193, 195,196,197,199,207,209,243,244
გიორგი XII, მეფე 59,62,75,76,139,148,151, 155,160,176,177,179, 180,182,188,189,190,192, 193,194,196,198,200,208,21 0,214,215,217,228, 231
გიორგი XIII 231,232,233,234,235,236,237,238, 239,240,243
გიორგი, იმერეთის მთავარი 41
გიორგი, მთავარი 37,38,39,40
გიორგი VIII, საქართველოს მეფე 30
გიორგი სიმონის ძე, ქართლის მთავარი 39
გიორგი, უფლისწული 231
გიორგი, ხელმწიფე, ძე ალექსანდრესი 35
გლებ პატრიკიევი 46
გოლოვინი, თავადი 54
გრ. პოტიომკინი 94,101,111, 112,113,114,115,121
გრიგოლ ადამოვი 78
გრიგოლ დადიანი 59,60,79
გრიგოლ კლობუკოვი 34
გულიაკოვი, გენერალ-მაიორი 136,147, 150,151,160,216,220,241,242,243,244

დ. ენუქიძე 87
დადეშქელიანი, მთავარი 60
დადიანი, ოდიშის მთავარი 163,164,

165,168
დარჩი ბებუთოვი 223
დარეჯან დედოფალი 76,96,190,195,204, 205, 207,208, 233,151,178,237
დავით აბაშიძე 169
დავით გიორგის ძე 194
დავით გიორგის ძე, ბატონიშვილი 236
დავით გურამიშვილი 127
დავით I, ივერიელი ხელმწიფე 34
დავითი, ძე ალექსანდრესი 36
დავითი, ხელმწიფე 35
დავითი, ბატონიშვილი 43,47,48,155,183, 185,188,189,190,195,207,208,209,210,214,228,235, 236,243,244
დავითი, გიორგი XII-ს ძე 148
დავითი, მეფე 167
დავითი, თეიმურაზის მამა 40
დე ტრავერსი, ადმირალი 166
დიმიტრი გორიხვასტოვი 46
დიმიტრი დოლინსკი 49
დიმიტრი მიტროპოლიტი 50
დიმიტრი ქვარიანი 52

ეგნატე თუმანიშვილი 223
ეგნატე რუსინი, მოენე 30
ევსტათი კუვშინიკოვი, ელჩი 41
ეკატერინე დავითის ასული, დედოფალი 52
ეკატერინე II, დიდი, იმპერატორი 57,59,91,92,93,94,99,101,102,103,109,111,120, 122,134,155
ელენე, დედოფალი 48,49,51
ელენე, გიორგის ასული 39
ელენე ლევანის ასული 46
ელიზბარ ფალავანდიშვილი 195
ეპიფანე მიტროპოლიტი 50
ერეკლე II, თეიმურაზის ძე, მეფე 56,57,58,59,62,72,75,76,81,83,84,85,90,91,92,93, 94,95,96,97,98,99,100,101,104,106,109,111,112,113, 116,117,118,119,120,121,122,123,124,125,127,134, 155,177,179,183,188,231,232,233

ვალერიან ზუბოვი 59
ვალერიან მაჭარაძე 6,59
ვასილი გულიაკოვი 60
ვასილი დოლგორუკი 55
ვასილი კოროობინი, ელჩი 41
ვასილი პოტო 8
ვასილი ჟიდოვინოვი 46
ვასილი სოლოხოვი 79
ვახტანგ VI, მეფე 54,55,56,127,183,246
ვახტანგი, ბატონიშვილი 96,123,186, 189,217
ვახუშტი ბაგრატიონი 127
ვლიტო, ლეიტენანტი 170
ვორონცოვი, გრაფი 168

ზაალ ბარათაშვილი 223
ზისერმანი 242,247
ზოლოტარევი 218

თამაზ ორბელიანი 149
თეიმურაზ I 128
თეიმურაზ ბატონიშვილი 183,198
თეიმურაზ II, მეფე 56
თეიმურაზი, კახეთის მთავარი 40,41
თეიმურაზი, მეფე 44,45,46,47,48,49,50, 56,231

თეიმურაზი, მთავარი 42,43
თეოდორე ალექსის ძე 51
თეოდორე ბორისის ძე, უფლისწული 34,39
თეოდორე იოანეს ძე, მეფე 30,31, 32,33,34, 35,51
თეოდორე ვოლკონსკი 42
თეოდორე პოროშინი 46
თეოდორე რუბცოვი 79
თეოდორე ჩერნოვი 79
თეოდორე ხლამოვი 79
თეოდოსი, მთავარეპისკოპოსი 40,41
თეოდოტე ელჩინი 45
თუმანიშვილი, თავადი 208
თუმანოვი 145
თურქისტანოვი, კომენდანტი 109

ი. ბაგრატიონი 90,114,121,123
ი. დოლიძე 88
ი. ლვოვი 98
ი. რაინეგსი 100
ი. ცინცაძე 84,87,92
ილია, ბატონიშვილი 183
ილია მართალი (ჭავჭავაძე) 18
ილია სტოიანოვი 47
იოანე, ძე გიორგი XII-ისა 183
იოანე ბაგრატიონი 119,120,150,189
იოანე, ბატონიშვილი 241,244
იოანე, მეფე 51
იოანე III, რუსეთის მეფე 30
იობი, მოსკოვის პატრიარქი 31
იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯუღაშვილი) 27
ივანე ათანასეს ძე ნაშჩოკინი 34
ივანე ბაგრატიონი 113
ივანე ბეგთაბეკოვი 225
ივანე, ელჩი 47
ივანე ერისთავი 210
ივანე ვსევოლოდსკი 32
ივანე კლიუჩარევი 44
ივანე ლეონტიევი, ელჩი 34,35
ივანე მიხეილის ძე ბუტურლინი 38
ივანე ნაშჩოკინი 35
ივანე პეტრეს ძე ლაზარევი 60,238
ივანე ჩაშნიკი 47
ივანე ჩოლოყაშვილი 223
იოსებ სამებელი 69
იოსები, შვილიშვილი თეიმურაზისა 46
იოსები, არქიმანდრიტი 42
იოსები, სომხეთის პატრიარქი 244
ისკანდერი 242
იულონ ბატონიშვილი 76,96,167,183, 187,188,194,214

კაცია დადიანი 57
კალისტრატე, კათოლიკოს-პატრიარქი 73
კარნეევი 220
კვინიხიძე 168
კირილე, ბერი, ელჩი 36,37
კირილე ქსანთოპულოსი 34
კირიონი, კათოლიკოს-პატრიარქი 74
კლეივი 154
კნორინგი, მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი 135,136,140141,144,145, 146,148,149,150,152,155,156,157,161,163,164,167, 177,178,179,180,189,195,200,205,206,207,208,

209,210,211,216,217,218,219,220,221,222,223,225,228,
233,234,241,246,249,250
კოჩუბეი, გრაფი 141
კოლბერი 175
კომარსკი, მაიორი 113
კონსტანტინე ალექსანდრეს ძე 38,39
კონსტანტინე ბატონიშვილი 167
კოვალენსკი, გენერალი 134,135,136,
137,138,139,141,142,143,144,145,146,147,148,149,
151,152,153,154,159,160,192,203,206,216,220,223,
224,225,227,228,234,235,236,237,238,239,240,
246,250
კოტლიარევსკი 185
კურაკინი, ვიცე-კანცლერი 165

ლავრენტი, არქიმანდრიტი 52
ლაზარევი ივანე პეტრეს ძე, გენერ-
ალ-მაიორი 135,136,138,144,145,146,149,150,151,
152,153,154,155,159,160,178,179,185, 189,191,192,195,
197,198,203,208,209,210,211,213, 216,217,218,219,220,
221,223,228,234,238,239, 241,242,243,244
ლევან (Леонтий) დადიანი 41,45, 47,49
ლევან ბატონიშვილი 58,84,96,98
ლევანი, ძმა არჩილისა 53
ლევანი თეიმურაზის ძე 40
ლეონტიევი, გენერალ-მაიორი 219
ლიონიძე, თავადი 166,169
ლიპარიტ დადიანი 50
ლიტვინოვი, მრჩეველი 159,164,167
ლუდოვიკო XIV 175
ლუდოვიკო XV 196
ლუკინი, ელჩი 48

მ. ბროსე 6
მათე ბატონიშვილი 52,53
მათე ივანოვი 51
მაინოვი, პოლკოვნიკი 165
მაკარ მინინი 78
მაკარი, არქიმანდრიტი 51
მაკარი, მაცნე 53
მალაქია, პატრიარქი 45
მამია (Мануило) გურიელი 41
მარიამ ციციანოვი 233
მარიამი, დედოფალი 152,153,190,192,
192,195,197,235,236
მაქსიმე II, კათალიკოსი 70
მაქსიმე, მიტროპოლიტი 57
მაჰმუდი, სულთანი 37
მელიქ აბოვი 149
მელიქოვი 145
მირიანი, ძმა გიორგი XII-ისა 183
მიშეცკი, თავადი 44
მიხეილ თეოდორეს ძე, მეფე 40, 42,43
მიხეილ ნესტეროვი 79
მიხეილ სენოვსკი 37
მიხეილ ტატიშჩევი 34,37
მიხეილ ტროშჩინსკი 79
მიხეილი, ბატონიშვილი 136,183,244
მიხეილი, მეფე 44
მოლოჟენნიკოვი, პოლკოვნიკი 114
მოურავოვი, თავადი 86
მღვდელმოწამე კირიონ II (საძა-
გლიშვილი) 21
მურვანოვი, აზნაური 249
მუსინ-პუშკინი 219,220,227

ნ. ანდრეევი 78
ნ. ბერძენიშვილი 128
ნ. პანინი, გრაფი 57
ნაპოლეონ ბონოპარტე 60
ნელეშ ბეი, სოხუმის მთავარი 164
ნიკიფორე, ბერძენი არქიმანდრიტი 42
ნიკიფორე, მიტროპოლიტი (!) 42,44
ნიკოლოზ დადიანი 171
ნიკოლოზი, ბატონიშვილი 46,49,50, 51,52
ნიკოლოზი, ივერიის მიტროპოლიტი 31
ნინო, წმინდა 245,246

ოთარ ამილახვარი 179
ომარ-ხანი 60,151,185,241,242
ორბელიანი, სარდალი 208
ოტია და ივანე ზანდუკელები 222
ოტია წულუკიძე 169
ოქროპირი, ბატონიშვილი 183

პ. ბუტკოვი 82,104
პავლე ანდრონიკაშვილი 109
პავლე I იმპერატორი 59,60,75,134,137, 148,155,223,227,233,235,236,237,238,240,243, 244,245,247
პავლე, იმპერატორის ძე 120
პავლე, მღვდელი 45
პავლე პოტიომკინი 93,101,112,113,114, 115,119,120,122
პანიოტი, კაპიტან-ლეიტენანტი 170
პეტრე ჯომარჯიძე 109
პეტრე ალექსის ძე, მეფე 51
პეტრე ამფილოვი 78
პეტრე ბაგრატიონი, გენერალი 24
პეტრე I, იმპერატორი 54,72,133,181
პეტრე ნასენკინი 78
პეტრე ნორევი 78
პოლიდორ ბაბაევი 78

რ. მიმინოშვილი 89
რევაზ ანდრონიკაშვილი 232
რევაზ ჯომარჯიძე 109
რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი 69

ს. ა. ბელოკუროვი 6
ს. ბურნაშევი 112,123
ს. ლეონიძე 127
სააკაძე, თავადი 218
საბა, მდივანი 34,37
სევარსამიძე პორუჩიკი 114,127
სეიდ ახმედ ერიბ-ეფენდი 158
სერგი პატრიარქი 73
სეხნია წულუკიძე 169
სიმანოვიჩი, პოდპოლკოვნიკი 247, 248
სიმონ გურიელი 59
სიმონ მაყაშვილი 56
სიმონ წულუკიძე 169
სიმონი, ძმა ვახტანგ VI-ისა 54
სიმონი, ქართლის მეფე 33
სიმონოვიჩი, პოდპოლკოვნიკი 209
სოკოლოვი, სამეფო კარის მოხელე 139,140,141,152,167,187,192
სოლენიუსი პოდპოლკოვნიკი 220, 247
სოლომონ თარხნიშვილი 210
სოლომონ I, მეფე 103,106

სოლომონ II, იმერეთის მეფე 57,59, 60,101,112,119,163,164,166,167,168,169
სტუდენცოვი, ლეიტენანტი 170
სტუპიშინი, გენერალი 109
სულეიმან ხანი 149
სულხან თუმანიშვილი 223
სულხან-საბა ორბელიანი 127

ტამარა, პოდპოლკოვნიკი 90,112,113, 121,122,123,126
ტიმოთე, მიტროპოლიტი 246
ტიხონი, პატრიარქი 74
ტოტლებენი, გრაფი 57
ტუჩკოვი, გენერალ-მაიორი 187,247

უმიანცოვი, ბარონი 205

ფალავანდიშვილი, თავადი 200,217,245
ფარნავაზი, ბატონიშვილი 167,179, 183,187
ფარნაოზ ბატონიშვილი 207,209,210, 211,222
ფილარეტ ნიკიტას ძე, პატრიარქი 42
ფრანცისკ პლოენი 6

ქაიხოსრო აბრამოვი 46
ქაიხოსრო წერეთელი 169
ქეთევან დედოფალი 40,43,48
ქეთევანი, მოურავ ანდრონიკაშვილის ქალიშვილი 232,233
ქერიმ ხანი 103,104,109
ქრისტეფორე გურამიშვილი 69

ყაზი-მაჰმადი, ავაზაკი 248

შამილი 247
შაჰ-აბასი 39,40,41,48
შეიხ-მანსური 250
შერიფ ფაშა 167
შოსტაკი, კაპიტანი 170

ჩარტორიისკი, თავადი 169
ჩერნოვი, პოლკოვნიკი 140
ჩოლოყაევი, თავადი 113,114
ჩოლოყაშვილი, პორუჩიკი 127

ციციანოვი, თავადი 140,141,142,143,153, 164,165,168,169,171,176,185,187,190,205,207,212, 224,225,226,228,250

ჭავჭავაძე, თავადი 145,200
ჭავჭავაძე, კნეინა 139

ხარიტონი, ილუმენი 40,41

რეზიუმე კრებსითი თხზულებისა
«დოკუმენტური ცნობები ეგზარქოსებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან»

ავტორ-შემდგენელი ბერდიაკონი გიორგი(რუხაძე), ფილოსოფიის დოქტორი, პატროლოგი

წიგნი I, 2023

პირველი ნიშანი, რაც წინამდებარე წიგნს თანამედროვე ისტორიული ლიტერატურისგან არსებითად განასხვავებს, ეს არის რუსეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობათა პოზიტიური მხარის წარმოჩენა, რომელმაც ფაქტობრივად განაპირობა ამ ორი მართლმადიდებელი ერის რელიგიური და პოლიტიკური შეთანხმებების გაფორმება და ახლაც, მიუხედავად ამ ერთა თანხმობის წინააღმდეგ მოქმედი მძლავრი დასავლური იდეოლოგიისა, ქართველი და რუსი ხალხები ერთმანეთისადმი კეთილგანწყობასა და არაფორმალურ კომუნიკაციას მაინც ინარჩუნებენ.

ავტორი «უკვე არსებული და ადრე გამოქვეყნებული ისტორიული საბუთების კვლავ გამომზეურებით დაინტერესებულ მკითხველს შეახსენებს, რომ ეს ორი ქრისტიანი ერი შეძლებისდაგვარად ყოველთვის მხარში ედგა ერთმანეთს და, მიუხედავად ცალკეულ ჩინოვნიკთა ავანტიურიზმისა, მათ ურთიერთმეგობრობის არჩეული გზიდან პრინციპულად არასდროს გადაუხვევიათ».

ნაშრომში წარმოდგენილია საკმაოდ მდიდარი ქრონოლოგიური მასალა «ქართული პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულებისა და კურსის გასარკვევად, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი, როგორც ბიზანტიური პერიოდის განმავლობაში (IV-XV სს.), ისე რუსეთთან დამყარებული კავშირის შემდეგ (XV ს-დან), უცვლელად ადგნენ. ისტორიული სურათი რუსეთთან ინტენსიური ურთიერთობისა ცხადყოფს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და საქართველოს რუსეთთან შეერთება არა **ერეკლე II**-ისა და **გიორგი XII**-ის პირადი შეხედულებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს

წარმოადგენდა, არამედ ეს იყო ქართული დიპლომატიის დამაგვირგვინებელი პოლიტიკური აქტები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი საუკუნეების განმავლობაში ამზადებდნენ».

ბერდიაკ. გიორგის დაპირებით, საქართველოს ეგზარქოსთა ისტორია II წიგნში დაიბეჭდება, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები I წიგნშიც არის განხილული; მაგალითად: ეგზარქოსთა დროს დაბეჭდილი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების მიზეზი, ქართულ ტაძრებში დაზიანებული ფრესკების შეთეთრების შემთხვევები და სხვ.

ნაშრომში, აგრეთვე, შეტანილია ცალკეული ნარკვევები რამდენიმე ავტორის თხზულებათაგან, რომელთა შორის აღსანიშნავია – არქივარიუსი ფრანცისკ პლოენი(†.XVIII-XIX სს.), ისტორიკოსი ვალერიან მაჭარაძე(†.2000 წ.), კავკასიოლოგი ადოლფ ბერჟე(†.1886 წ.) და გენერალი ვასილი პოტტო(†.1911 წ.); მათგან პირველი სამი თავიანთ თხრობას ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე აგებს, ხოლო ვ. პოტტო თანამედროვე იყო იმ ეპოქისა, რომელიც წიგნში განხილულ ისტორიულ პერიოდს მოიცავს.

დაბოლოს, მამა გიორგის წიგნის საერთო შინაარსი მოკლედ შეიძლება მისივე სიტყვებით გამოიხატოს: «ისტორიული ფაქტების ზერელე ცოდნითა და უსაფუძვლო არგუმენტებით საქვეყნო საქმეთა განსჯა სარგებლობას ვერავის მოუტანს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დიდ წინაპართა – წ^ა ვახტანგ გორგასლის, წ^ა გიორგი მერჩულის, წ^ა ილია მართლის და მრ. სხვ. – ნაანდერძევისა და გამოცდილების გათვალისწინება მაინც აუცილებელია, რომ ერთმორწმუნე ერების, მით უმეტეს მეზობლის, კეთილ საქმეთა დაფასება შევძლოთ და კიდევ ერთ სულიერ სნეულებას, უმადურობის ცოდვას არ ვეზიაროთ».

ნ.ძ. 31.07.2023.

РЕЗЮМЕ

Собрания сочинений
«Документальные сведения об экзархов и из истории русско-грузинских отношений»

Автор-составитель иеродиакон Гиоргий (Рухадзе), доктор философии, патролог

Книга I, 2023

Первым признаком существенного отличия предлежащей книги от современной исторической литературы, является подчеркивание русско-грузинского позитивного взаимосотрудничества, которое фактически обусловила оформление религиозной и политической договоренности двух православных народов. И ныне, несмотря на мощное влияние западной идеологии, народы Грузии и России между собой сохраняют хотя бы доброжелательные и неформальные коммуникации.

Автор, «напоминает читателю, заинтересованного повторным изданием раннее опубликованных исторических документов, что эти два христианские народы, по мере возможности, всегда поддерживали друг друга и несмотря на авантюризм некоторых чиновников, принципиально никогда не отступали от выбранного ими пути – взаимной договорённости и дружбы».

В книге представлен достаточно богатый хронологический материал «для выяснения курса и магистрального направления грузинской политики, которую неизменно соблюдали властители нашей страны – как в течение Византийского периода (IV-XV вв.), так и после установленной с Россией связи (с XV века). Историческая картина интенсивных взаимоотношений с Россией доказывает, что утверждение Георгиевского трактата и воссоединение Грузии с Россией не представляло личное решение Ираклия II и Гиоргия XII. Это являлось венчающим для грузинской дипломатии

политическими актами, которых государственные деятели Грузии готовили на протяжении веков».

Обещанный иеродиаконом Гиоргием, история экзархов будет напечатана во второй книге. Однако связанные с этой темой важные вопросы рассмотрены и в первой книге. Например: напечатанная в период правления экзархов грузинская церковная литература, причина упразднения автокефалии Грузинской Церкви, случаи побелки повреждённых фресок в грузинских соборах и др.

В книге также внесены отдельные очерки из разных сочинений некоторых авторов, среди которых следует отметить архивариуса Франциска Плоена(†.XVIII-XIX.), историка Валериана Мачарадзе († .2000 г.), кавказоведа Адольфа Берже (†.1886 г.) и генерала Василия Потто (†.1911 г.). Повествование первых трёх авторов основывается на исторические документы . Что касается В.Потто – он является современником той эпохи, которая охватывает описанную в книге исторический период.

Общее содержание книги отца Георгия вкратце можно описать его же словами: «обсуждение государственных дел поверхностными знаниями исторических фактов и необоснованными аргументами, никому пользу не принесёт. В любом случае, чтобы принять и оценить добрые дела единоверных народов, тем более соседей, чтобы не поддаться ещё и одной душевной хвори – греху неблагодарности, следует учесть завещанные заветы и опыт наших великих предков – св. Вахтанга Горгасали, св. Гиоргия Мерчуле, св. Илии Праведного и многих других».

SUMMARY

Collected Works of

Historical References of the Exarchs and the Russian-Georgian Relations

Author and Compiler Hierodeacon Giorgi (Rukhadze)
Doctor of Philosophy, Patrologist

Book 1, 2023

The first sign of a significant difference between the present book and modern historical literature is the emphasis on Russia and Georgia's cooperation, which resulted in the formation of the religious and political agreement between the two Orthodox nations. Even now, despite the powerful influence of Western ideology, the peoples of Georgia and Russia still maintain friendly and informal communications.

The author reminds the reader, «interested in previously published historical documents, that these two Christian peoples have always supported each other and, despite the adventurism of some officials, have not retreated from the path they had chosen - mutual agreement and friendship».

The book presents sizable chronological material "to clarify the main direction of Georgian policy. This course was invariably observed by the rulers of Georgia during the Byzantine period (4th -15th centuries) and after the unification with Russia (from the 15th century). The historical picture of intensive relations with Russia proves that the Georgiesky Treaty concluded between the Georgians and Russians was not a decision based on the personal views of Erekle II and George XII. It was the culminating political act of Georgian diplomacy, which Georgian statesmen had been preparing for centuries».

The History of the Exarchs, promised by Hierodeacon Giorgi, will

be published in the second book. However, the first book also discusses important issues related to this topic: Georgian church literature printed during the reign of the Exarchs, abolition of autocephaly of the Georgian Church, cases of whitewashing of damaged frescoes in Georgian cathedrals, etc.

The book also contains separate essays from different works of some authors, among whom should be noted archivist Franzisk Ploen (18th-19th c.), historian Valerian Macharadze (†.2000), Caucasologist Adolph Berge (†.1886) and lieutenant-general and military historian Vasily Potto (†.1911). The first three authors based their narratives on historical documents. As for V. Potto, he was a contemporary of the historical period described in the book.

In conclusion, we will use Father Giorgi's words to describe the book theme: "Discussing state affairs with superficial knowledge of historical facts and unfounded arguments does not benefit anyone. One should consider the experience and testamentary of our great ancestors - St. Vakhtang Gorgasali, St. Giorgi Merchule, St. Ilya the Righteous, and many others. We should see and appreciate the good deeds of the people of the same faith, especially our neighbors, and not succumb to the sin of ingratitude".

დოკუმენტური ცნობები ეგზარქოსებისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

ავტორ-შემდგენელი
ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე)

❖

წიგნი I

❖

თბილისი, 2023

ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23.
ელ. ფოსტა: madli.ssg@rambler.ru

წიგნის ელ. ვერსია იხ.:
www.sinergia.ge/ მონოგრაფიები

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.2023. ტირაჟი 300.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47